

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ნინო ვასოს ასული გრიგალაშვილი

საბანკო დაკრედიტების სისტემის სრულყოფის გზები
საქართველოში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი ნ. ბაგრატიონი



თბილისის
უნივერსიტეტის
განმაცემლობა

2011

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი-----3

თავი I. საბანკო სისტემის ბანკოთარების
კანონზომიერება საბაზრო ეკონომიკის
თანამედროვე ეტაპზე-----8

1.1. ეკონომიკის დაკრედიტების კანონზომიერება
და მისი განვითარების ტენდენციები-----8

1.2. ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურა
და დინამიკა საქართველოში-----27

თავი II. საქართველოს საკრედიტო პოლიტიკა-----38

2.1. საკრედიტო პოლიტიკა და მისი რეგულირების
მექანიზმის სრულყოფის გზები-----38

2.2. საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების
ინსტრუმენტები და მათი გამოყენების სრულყოფა -54

თავი III. საქართველოს კომერციული ბანკების
საკრედიტო პოტენციალი და მათი
სტაბილური ფუნქციონირების საკითხები -----66

3.1. საქართველოს კომერციული ბანკების
საკრედიტო პოტენციალი, მისი სტრუქტურა
და დინამიკა ----- 66

3.2. საკრედიტო პოტენციალის სახსრების
მოზიდვაზე მოქმედი ფაქტორები----- 82

3.3. საქართველოს კომერციული ბანკების
როლი და მათ მდგომარეობაზე მოქმედი
ფაქტორები----- 91

3.4. კომერციული ბანკების ფინანსური
მდგომარეობის ადდგენის ღონისძიებები -----105

თავი IV. დაკრედიტების რისკები და
მათი მართვა -----110

4.1. საკრედიტო რისკი და მისი მართვა
საქართველოს საბანკო სექტორში -----110

4.2. საქართველოს საბანკო სექტორი
და პრობლემური სესხები-----157

4.3. დაკრედიტების სრულყოფის გზები-----165

დასკვნები და წინადადებები -----170

გამოყენებული ლიტერატურა -----182

დანართები -----189

შ ე ს ა გ ა ლ ი

თემის აქტუალურობა. ბანკები – საბაზრო სისტემის ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს. მათი საქმიანობის განვითარება – საბაზრო მექანიზმის რეალური შექმნის აუცილებელი პირობაა. ეკონომიკური გარდაქმნების პროცესი საბანკო სისტემის რეფორმირებით დაიწყო, რადგანაც იგი უშუალოდ ზემოქმედებს ეკონომიკის პრაქტიკულად ნებისმიერ დარგზე, განსაზღვრავს მის მიმართულებებს და ტრაექტორიებს.

საბანკო სისტემა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი ატრიბუტია, რომლის შექმნა და წარმატებული ფუნქციონირება ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად იქცა. აღნიშნულის დასტურია ის, რომ საბანკო სისტემის საშუალებით ქვეყანაში შესაძლებელია:

1. ეროვნული მეურნეობის სფეროების ეფექტური განვითარება;
2. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა;
3. ქვეყნის ფულად-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირება;
4. დაკრედიტების მეშვეობით ბიზნესის ხელშეწყობა, რაც თავისთავად მოსახლეობის დასაქმებას და, შესაბამისად, სიღარიბის აღმოფხვრას უწყობს ხელს.

საქართველოს საბანკო სფეროს პრობლემები მნიშვნელოვანწილად გადაჯაჭვულია ქვეყნის ეკონომიკისა თუ სოციალური სფეროს პრობლემებთან. პირველ რიგში ეს ეხება ეკონომიკის დაკრედიტებას, რაც თავის მხრივ სამუშაო ადგილების შექმნის საფუძველია. მეორე რიგში- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ პოლიტიკას, რაც ინფლაციის შეზღუდვის საწინდარია. ინფლაციის დაბალი დონე კი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში, როდესაც ფინანსური კრიზისი გამძაფრებულია, ეკონომიკის დაკრედიტებასთან ერთად წინა პლანზე იწევს საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხები.

დიდი ხნის (70 წლის) განმავლობაში ბანკები სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენდნენ და ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის სისტემის თანმხლები ერთეულები იყვნენ, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში საბანკო საქმის გაძღოლისა და მისი მეცნიერული ანალიზის ისტორიული ტრადიციები, რომელიც

დაგროვდა გეგმიანი ეკონომიკის პირობებში, ფაქტობრივად დაიკარგა. საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ და ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლამ დღის წესრიგში დააყენა სუვერენული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტის – დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ამოცანა.

დამოუკიდებელი საქართველოსთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საფინანსო-საკრედიტო სისტემას, რომლის სრულყოფილებაზე მთლიანადაა დამოკიდებული ეროვნული ვალუტის მდგრადობა, მისი მსყიდველობითუნარიანობა და გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში. სახელმწიფოს ფუნქციების შესრულება, საწარმოებისა და ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირება, ქვეყნის ჩართვა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში და, საერთოდ, სუვერენული სახელმწიფოს განვითარება პირდაპირ დაკავშირებულია ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულადი სახსრების წარმოშობის, განაწილების და გამოყენების პროცესთან, რომლებიც მთლიანობაში შეადგეს სახელმწიფოს ფინანსური საქმიანობის შინაარსს. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა და განვითარება, სახელმწიფო ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური პროგრამების წარმატებით განხორციელება შეუძლებელია მყარი, საიმედო საბანკო სისტემის გარეშე. მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა და საბაზრო მოდელების შექმნაში ბანკების როლის გაძლიერება წინა პლანზე აყენებს საბანკო სისტემაში ღრმა ცვლილებების აუცილებლობას და, შესაბამისად, ეკონომიკის რეგულირების ფულად – საკრედიტო მექანიზმის ფორმირების ამოცანას.

ზემოთ აღნიშნული ნათლად მიუთითებს გარდამავალ ეტაპზე საბანკო სისტემის განვითარების პრიორიტეტულობაზე, რამდენადაც აღნიშნული სისტემის მეშვეობით შესაძლებელია ჩვენი ქვეყნისათვის უადრესად აქტუალური პრობლემების – ეროვნული მეურნეობის დარგების განვითარების, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობების და სიღარიბის დაძლევის – გადაწყვეტა.

ეროვნული მეურნეობის დარგების განვითარებისათვის, და საერთოდ, ბიზნესის აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო კრედიტებს. რამდენადაც თანამედროვე საქართველოში კომერციული ბანკები საბანკო სექტორის წარმმართველ ძალას წარმოადგენენ და ამავე დროს განსაზღვრავენ ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილებებს, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების

დაკრედიტებაში აქტიურ როლს თამაშობენ. ამდენად, დაკრედიტების თავისებურებები მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიხედვით და ამასთან საკრედიტო რისკებთან დაკავშირებული პრობლემების (რომლებიც საბაზრო ეკონომიკის აუცილებელ და თანხვედრ ატრიბუტს წარმოადგენს და რომლებიც უკანასკნელ წლებში მსოფლიო ფინანსურ კრიზისსა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით მეტ აქტუალობას იძენს), გადაჭრა და სრულყოფილი ფუნქციონირების მიმართულებების დასახვა მეტად აქტუალურია.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია საბანკო დაკრედიტების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოკვლევა, ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების ტენდენციების გამოვლენა ეკონომიკის დაკრედიტების კანონზომიერებებზე, საკრედიტო პოლიტიკაზე, საკრედიტო პოტენციალზე, ბანკების მდგრადობასა და საიმედოობაზე.

დაკრედიტების რისკების მართვის, სხვადასხვა დარგში დაკრედიტების სპეციფიკურობისა და დაკრედიტების სრულყოფის გზების კვლევა და ანალიზი, საბანკო სფეროსათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ იმ კანონზომიერებათა დადგენა, რომლებიც არსებობს საქართველოს საბანკო ბაზარზე რისკების მართვასთან დაკავშირებით, ასევე დაკრედიტების სპეციფიკურობის ძირითადი ტენდენციების გამოვლენა მეურნეობის სხვადასხვა დარგში და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული სრულყოფის გზების დასახვა.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

- ეკონომიკის დაკრედიტების კანონზომიერებებისა და განვითარების ტენდენციების გამოკვლევა;
- საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრა ქვეყნის განვითარების საქმეში;
- საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალსა და სახსრების მოზიდვაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი;
- კომერციული ბანკების მდგრადობის მნიშვნელობის განსაზღვრა მათი ფუნქციონირების სტაბილიზაციის მიღწევის საქმეში;
- კომერციული ბანკების მდგრადობის აღდგენის ღონისძიებების დასახვა.
- დაკრედიტების რისკების წარმოშობის კანონზომიერებებისა და მათი მართვის მექანიზმების თეორიული მასალის ანალიზი და ამ მხრივ საქართველოში არსებული ტენდენციების დადგენა;

- ეკონომიკის სხვადასხვა დარგში (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა) დაკრედიტების თავისებურების გამოვლენისა და მათი გათვალისწინების აუცილებლობის შესწავლა – გაანალიზება;

- დაკრედიტების სრულყოფის გზების დასახვა და პერსპექტივაში შესაძლო ტენდენციების გამოვლენა.

ნაშრომის სიახლე:

ნაშრომის მიხედვით ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებულ ზოგად სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს:

1. საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში მყოფი, ასევე მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებით გამოწვეული სირთულეების ფონზე საქართველოში დაკრედიტების რისკების ასპექტების გამოვლენა, დაკრედიტებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების (პრობლემური სესხების, დაკრედიტების არასწორი მიმართულების შერჩევა – სამომხმარებლო კრედიტების სიუხვე ეკონომიკის დაკრედიტების ნაცვლად, საბანკო სექტორის არასწორი მიმართულების, ანუ საბანკო და საინვესტიციო საქმიანობის აღრევა) გაანალიზება და შესაბამისი უარყოფითი თუ დადებითი შედეგების დაფიქსირება.

2. დაკრედიტების რისკებისა და მათი მართვის, სხვადასხვა დარგში დაკრედიტების სპეციფიკურობის, ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების, სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო დახმარების (ჩარგვის ანუ რეგულირების) და სხვა, სრულყოფის გზების დასახვა.

3. კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალის ცვლილებების გამოვლენა ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში, საბანკო სფეროში ომამდე არსებული პრობლემების გამოვლენა;

5. კომერციული ბანკების მდგრადობისა და საიმედოობის ანალიზის საფუძველზე არსებული პრობლემების გამოვლენა და, შესაბამისად, მდგრადობისა და საიმედოობის აღდგენის ღონისძიებების დასახვა.

6. საქართველოს ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტების ძირითადი კანონზომიერებების დადგენა შესაბამისი ანალიზის საფუძველზე;

7. ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტებაში და, შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკის სტაბილურ ფუნქციონირებაში საბანკო სახსრების როლის განსაზღვრა;

8. საკრედიტო პოლიტიკის იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომლებიც საბანკო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს პოსტკრიზისულ დამსახურებულ პერიოდში.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია:

სადისერტაციო ნაშრომი განხილულ იქნა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების, სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის მიმართულების 23 დეკემბრის სხდომაზე. ოქმი №...შესრულებული კვლევის შედეგებზე გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო ნაშრომი და კონფერენციის თეზისები. ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ რეფერირებულ გამოცემებში:

1. საქართველის კომერციული ბანკების ფუნქციონირების სრულყოფის გზები საქართველოში. ნ. გრიგალაშვილი ჟურნ. კომერსანტი, თბილისი, 2 (7) 2009. გვ. 42-45;

2. საბანკო სისტემის ფუნქციონირების ტენდენციები საქართველოში. ნ. გრიგალაშვილი. ჟურნ. ეკონომიკა 3-6 2010 გვ. 109 -117;

3. საკრედიტო რისკი და მისი მართვა. ნ. გრიგალაშვილი. ჟურნ. ეკონომიკა 10-12 2010 გვ. 76- 80;

4. საქართველოს კომერციული ბანკების მდგრადობა და მასზე მოქმედი ფაქტორები. ნ. გრიგალაშვილი. ჟურნ. ეკონომიკა 10-12 2010 გვ. 87-90;

5. საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები და ამოცანები საქართველოს ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. ნ. გრიგალაშვილი. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში. 2008წ გვ. 146-149;

6. საკრედიტო პოლიტიკა და მისი სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის სრულყოფის გზები. ნ. გრიგალაშვილი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. 2010 გვ. 275-279.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 188 გვერდს და შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნებისა და წინადადებებისგან. ტექსტის ძირითად ნაწილს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

თავი I. საბანკო სისტემის ბანკითარების კანონზომიერება საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ეტაპზე

1.1. ეკონომიკის დაკრედიტების კანონზომიერება და მისი განვითარების ტენდენციები

უძველესი პერიოდიდან მოყოლებული კრედიტს განსაკუთრებული როლი აკისრია, უპირველეს ყოვლისა კი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. კაპიტალს ფიზიკურად, წარმოების სახსრების სახით არ შეუძლია გადავიდეს ერთი დარგიდან მეორეში. ეს პროცესი ჩვეულებრივ ხორციელდება ფულადი კაპიტალის მოძრაობის ფორმით.

ამიტომ კრედიტი საბაზრო ეკონომიკაში აუცილებელია პირველ რიგში როგორც ელასტიური მექანიზმი კაპიტალის გადაინებისა ერთი დარგიდან მეორეში და მოგების ნორმის გათანაბრებისათვის.

თანამედროვე საბაზრო სისტემაში კრედიტი ძირითადად სასესხო კაპიტალის მოძრაობის ფორმაა, რომლის აუცილებლობის განაპირობებს შემდეგი:

წარმოებაში კაპიტალური დაბანდების, მსხვილი ინვესტირების საჭიროება, როდესაც ფირმებს რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციისათვის, ძირითადი კაპიტალის განახლებისათვის არა აქვთ საკმარისი საკუთარი ფულადი სახსრები (საამორტიზაციო თანხა, მოგება) და ამიტომ განსაზღვრული ვადით იღებენ კრედიტს;

1. საბრუნავი კაპიტალის შექმნისათვის საკუთარი სახსრების უკმარისობა, ნედლეულის სეზონური მარაგის შექმნის აუცილებლობა;

2. მზა პროდუქციის რეალიზაციიდან ფულის მიღებამდე ხელფასის გაცემის აუცილებლობა.

კრედიტის უმნიშვნელოვანესი წყაროებია ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში აკუმულირებული დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებები:¹

წარმოებრივი ძირითადი ფონდების (დაზგა-დანადგარები, მოწყობილობა, ხელსაწყოები, ფაბრიკა – ქარხნების შენობა – ნაგებობანი და ა.შ.) თანდათანობითი

¹ ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ., 1997. 433 გვ.

ცვეთის კვალობაზე ამორტიზაციის სახით დაგროვილი და ამ ფონდების აღდგენისათვის განკუთვნილი დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები;

- საქონლის (მომსახურების) რეალიზაციისა და წარმოებრივი რესურსების (ნედლეული, სათბობი, ენერჯია, სამუშაო ძალა და ა.შ.) შექმნის დროში დაუმთხვევლობისა და სეზონური წარმოების მეოხებით დროებით გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები (საბრუნავი კაპიტალის ნაწილი);

- წარმოების განვითარება – გაფართოებისათვის (დაგროვებისთვის) განკუთვნილი მოგების ნაწილი პირდაპირი დანიშნულებით მის გამოყენებამდე;

- სახელმწიფო ბიუჯეტის, სხვადასხვა მიზნობრივი ფონდისა და რეზერვის დროებით თავისუფალი სახსრები;

- მოსახლეობის დანაზოგები და ფულადი შემოსავალი.

ავტორთა ერთი ნაწილის აზრით კრედიტები იყოფიან პირველ რიგში მსესხებელთა ძირითადი ჯგუფების მიხედვით: „კრედიტი მეურნეობას, მოსახლეობას, ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებს“. იგივე ავტორთა მიერ გამოიყოფა კრედიტი დანიშნულების, ფუნქციონირების სფეროს, გამოყენების ვადის, სიდიდის, უზრუნველყოფის, გაცემის მეთოდის, დაფარვის მეთოდის მიხედვით²

დანიშნულების (მიმართულების) მიხედვით განასხვავებენ: სამომხმარებლო, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო, საინვესტიციო, ბიუჯეტურ კრედიტს. ფუნქციონირების სფეროს მიხედვით საბანკო კრედიტები გაცემული მეურნეობის ყველა დარგის საწარმოსადმი (ე.ი. მეურნე სუბიექტისადმი) შეიძლება იყოს ორი სახის: სესხები, რომლებიც მონაწილეობენ ძირითადი ფონდების გაფართოებულ კვლავწარმოებაში, და კრედიტები, რომლებიც მონაწილეობენ საბრუნავი ფონდების ორგანიზაციაში.

გამოყენების ვადის მიხედვით კრედიტები იყოფა: მოთხოვნამდე, ვადიანი. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ იყოფიან: მოკლევადიანებად (1 წლამდე), საშუალოვადიანად (1-დან 3 წლამდე), გრძელვადიანად (3 წელზე ზევით).

როგორც წესი, ის კრედიტები, რომლებიც საბრუნავ ფონდებს აყალიბებენ, ითვლებიან მოკლევადიანებად, ხოლო სესხები, რომლებიც მონაწილეობენ

² Банковское дело и финансирование инвестиций. Под ред. Н. Брука. Всемирный банк реконструкции и развития. 1995. т. II, часть 1. с. 215- 216.

ძირითადი ფონდების გაფართოებულ კვლავწარმოებაში, მიეკუთვნებიან საშუალო და გრძელვადიან კრედიტებს.

სიდიდის მიხედვით ყოფენ: მსხვილ, საშუალო და წვრილ კრედიტებს.

უზრუნველყოფის მიხედვით განასხვავებენ: არაუზრუნველყოფილ (ბლანკურ) და უზრუნველყოფილ კრედიტებად. უზრუნველყოფილი კრედიტები თავის მხრივ უზრუნველყოფის ხარისხის მიხედვით იყოფიან გირაოს, გარანტირებულ და დაზღვეულ კრედიტებად.

გაცემის მეთოდის მიხედვით საბანკო სესხები შეიძლება დაიყოს კომპენსაციურად და საგადასახადოდ. პირველ შემთხვევაში კრედიტი მიემართება მსესხებლის საანგარიშსწორებო ანგარიშზე იმ საკუთარი სახსრების ანაზღაურებისათვის, რომლებიც ჩადებულ იქნა ან სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში, ან დანახარჯებში.

მ. გოგოხია კრედიტების ისეთ კლასიფიკაციას იძლევა, რომელიც უფრო ხშირადაა მოცემული ეკონომიკურ ლიტერატურაში. ესაა კრედიტების კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნების მიხედვით:³

- დანიშნულება (კრედიტის მიზანი);
- გამოყენების სფერო;
- სარგებლობის ვადები;
- უზრუნველყოფა;
- გაცემისა და დაფარვის მეთოდი;
- საპროცენტო განაკვეთის სახეობა.

კრედიტის სახის მიუხედავად, მისი არსი და როლი მის ფუნქციებში, საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში ვლინდება.

კრედიტის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს შემდეგი:

- გადანაწილების;
- ეკონომიკის რეგულირების;
- მიმოქცევის ხარჯების შემცირების;
- კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის;
- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების;
- კონტროლის.

თითოეულ მათგანს მოკლედ განვმარტავთ.

³ გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. თბ., 2006. 114 გვ.

- კრედიტის გადანაწილების ფუნქცია ვლინდება იმაში, რომ ამა თუ იმ დარგში არსებული დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები კრედიტის საშუალებით გამოიყენება იმ დარგების დასაკრედიტებლად, რომლებიც მოცემულ ეტაპზე მომგებიანი და პრიორიტეტულია ქვეყნისათვის.

- კრედიტი ეკონომიკის ნაკრორეგულირების მძლავრი ბერკეტია სახელმწიფოს ხელში. ამ მიზნით სახელმწიფო აწესებს და ცვლის კრედიტის გაცემის პირობებს, სარგებლისგანაკვეთებს, მიზნობრივ დანიშნულებას. კრედიტის მიღების გაიოლებით, შეღავათიანი პირობებით კრედიტების გაცემით სახელმწიფო ხელს უწყობს პრიორიტეტული დარგების განვითარებას.

- მიმოქცევის მთავარ ხარჯს თვით ფული წარმოადგენს. კრედიტის მეშვეობით ფულის ეკონომია წარმოებს ჯერ ერთი იმით, რომ მთელ რიგ გარიგებებში ფული საერთოდ ამოვარდნილია, სახელდობრ მაშინ, როდესაც ვალდებულებები ურთიერთიფარება და მეორე, კრედიტი აჩქარებს არა მხოლოდ საქონელმიმოქცევას, არამედ ფულის მიმოქცევას და რაც უფრო სწრაფია ფულის მიმოქცევა, მით ნაკლები რაოდენობის ფულია საჭირო მიმოქცევისათვის. დიდია ამ საქმეში კომერციული კრედიტის როლი, რომელიც თანამედროვე საქონელმიმოქცევის აუცილებელი ელემენტია. კომერციული კრედიტი ხელს უწყობს ნაღდი ფულის ეკონომიას და ცვლის მას საკრედიტო ფულით (თამასუქი, საკრედიტო ბარათი, ჩეკი).

- კრედიტი საქონელმიმოქცევის პროცესს აჩქარებს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს კვლავწარმოების პროცესის დაჩქარებას. კრედიტი საწარმოებს შესაძლებლობას აძლევს შეამცირონ სარეზერვო ფონდები, რადგან საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ გამოიყენონ კრედიტი. კრედიტი რომ არ არსებობდეს, სარეზერვო კაპიტალი საჭიროების წარმოქმნამდე უქმად მყოფი კაპიტალი იქნებოდა.

- კრედიტი ხელს უწყობს როგორც კაპიტალის კონცენტრაციას, ასევე მისი ცენტრალიზაციის პროცესს. კაპიტალის კონცენტრაცია ნიშნავს საწარმოს გაფართოებას მოგების მიღების ხარჯზე, ანუ მოგების კაპიტალიზაციას. კრედიტი ხელს უწყობს ცალკეულ მეწარმეს მის ხარჯზე გააფართოონ წარმოება, მიიღონ მეტი მოგება, რადგანაც რაც უფრო მეტია მოგება, მით მეტია მისი კაპიტალიზაციის მოცულობა ანუ კონცენტრაცია. კრედიტი ხელს უწყობს ასევე სხვადასხვა კაპიტალების ერთ მსხვილ კაპიტალად გაერთიანებას, მათ ცენტრალიზაციას, კერძოდ, იგი ხელს უწყობს სააქციო საზოგადოებების შექმნას,

კრედიტის საშუალებით წერილი მეანაბრების სახსრების გამოყენებას მეწარმეთა კაპიტალის გასაფართოებლად.

- ბანკები კრედიტის მეშვეობით საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ცონტროლს ახორციელებენ. კრედიტის გაცემისას ბანკები ყოველმხრივ სწავლობენ და ამოწმებენ მსესხებლის კრედიტუნარიანობას, მის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

ეკონომიკის დაკრედიტება საბანკო მომსახურების ტრადიციულ სახეებს მიეკუთვნება. აღნიშნულის დასტურად ვ.პ.პოლიაკოვის და დ.ამოსკოვკინის ნააზრევს წარმოვადგენთ: თანამედროვე პირობებში საკრედიტო დაწესებულებები გარდაუვლად აღმოჩნდებიან სამეურნეო ცხოვრების ცენტრში და წარმოადგენენ საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს რგოლს⁴.

საკრედიტო სისტემის მთავარ რგოლს საბანკო სისტემა წარმოადგენს, რომელშიც თავმოყრილია მრავალრიცხოვანი საკრედიტო და საფინანსო ოპერაციები..

ქვეყნების თანამედროვე საკრედიტო სისტემები მოიცავს აგრეთვე, არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებს, რომლებიც განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ ფულადი კაპიტალის დაგროვება-მობილიზაციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ისინი კონკურენციასაც კი უწევენ საბანკო სისტემებს, განსაკუთრებით, ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი დაგროვების მოზიდვა განთავსების მეტად რთულ, თუმცა აუცილებელ საქმეში.

მართალია თანამედროვე საბანკო სისტემებსა და სპეციალიზებულ არასაბანკო საკრედიტო – საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციონირებას შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ საქმიანობის ბევრ სახეობაში ისინი იდენტურები არიან. ქვეყნების უმრავლესობაში მათ გააჩნიათ ისეთი საერთო ოპერაციები, როგორებიცაა: დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მიზიდვა, მათი განთავსება, კრედიტის გაცემა, ფულადი ანგარიშსწორებისა და გადახდების ორგანიზაცია, ფინანსური სამსახურისა და კონსულტაციის გაწევა და მრავალი სხვა, თუმცა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკების როლი განუსაზღვრელია.

კომერციული ბანკები მიეკუთვნებიან საქმიანი საწარმოების განსაკუთრებულ კატეგორიათა რიცხვს და წარმოდგენილია საფინანსო შუამავლების სახით. ისინი

⁴ Поляков В.П., Московкина Л.А. Основы денежного обращения и кредита. М. 1997. с. 89.

სამეურნეო საქმიანობისა და პირადი ცხოვრების პროცესში დროებით გამოთავისუფლებულ ფულად სახსრებს გარდაქმნიან კაპიტალად და განათავსებენ იქ, სადაც მათზე დამატებით მოთხოვნა არსებობს. ბანკები ასრულებენ რა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციის ფუნქციას და გარდაქმნიან მათ კაპიტალად, ამით აკუმულაციას უკეთებენ ფულად შემოსავლებს და დანაზოგებს ანაბრების სახით“.

კომერციული ბანკების ფუნქციონირება ფულადი კაპიტალის აკუმულაციისა და მობილიზაციის სახით უდიდესი სარგებლობის მომტანია ყველა დაინტერესებული მხარისათვის და საერთოდ ეროვნული ეკონომიკის ზრდისთვის. მაგალითად, მეანაბრები ფულადი რესურსების დეპოზიტების სახით დაბანდებისათვის ღებულობენ შემოსავალს – სარგებელს. მასესხებლებს საშუალება ეძლევათ დროებითი ფინანსური სიძნელეების დასაძლევად მიიღონ კრედიტი, ამით მოახდინონ სამეწარმეო ოპერაციები და მიიღონ მოგება, ხოლო კომერციული ბანკები იღებენ მოგებას გაცემულ კრედიტებზე უფრო მაღალ პროცენტსა და მეანაბრებზე გაცემულ პროცენტს შორის სხვაობის სახით.

დაკრედიტების თანამედროვე სისტემა წარმოადგენს უფრო ლიბერალურს, როდესაც კლიენტი ბანკზე მიმაგრებული კი არ არის, არამედ თავად ირჩევს საკრედიტო დაწესებულებას, რომლის მომსახურებაც მას სურს. კლიენტს, ასევე მინიჭებული აქვს უფლება გახსნას სასესხო ანგარიშები არა ერთ, არამედ რამდენიმე ბანკში. დაკრედიტების სქემის ლიბერალიზაცია, უდაოდ აფართოებს კლიენტის შესაძლებლობებს, მათ შორის კრედიტის მიღებაში, რაც ბანკებს შორის კონკურენციისათვის ქმნის ოპტიმალურ პირობებს.

დაკრედიტების გარდამავალი სისტემა არსებითად აწარმოებდა გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მართვას ცენტრალიზაციიდან დეცენტრალიზაციისაკენ, საფუძველს უყრიდა მეწარმეობის განვითარებას როგორც მეურნეობაში, ისე საბანკო სფეროში. დაკრედიტების მექანიზმმა ახალი თვისებები შეიძინა, თუმცა იგრძნობოდა მისდამი თავშეკავება. ამ პროცესის დამამუხრუჭებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ საწყის ეტაპზე ახალი ფორმების არცოდნა, ძველი ტრადიციული ფორმებისადმი ჯერ კიდევ არაკომერციული რისკის რეგულირებაში გამოცდილების უქონლობა, საერთოში კი, სახალხო მეურნეობაში მიმდინარე კომერცია.

ეკონომიკის დაკრედიტების გარდამავალი სქემა ასახავს გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, მაინც ინარჩუნებს ერთ-ერთ

მნიშვნელოვან თვისებას: იგი აგებულია დაკრედიტების უნიფიცირებული სქემის პრინციპზე.

როგორც ცნობილია, მრავალი წლის მანძილზე საბჭოთა პრაქტიკა აღიარებდა დაკრედიტების სისტემის დარგობრივი თავისებურებების მიხედვით მნიშვნელოვანი დიფერენციაციის აუცილებლობას. სახელმწიფო ბანკის მიერ დამუშავებული იყო ინსტრუქციები ცალკე სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, სავაჭრო და მომარაგება – გასაღების ორგანიზაციების დაკრედიტებისათვის.

ეს სისტემები თვისობრივად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ მოქმედი ინსტრუქციების განსხვავებულობის მიუხედავად, სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების დაკრედიტების პრინციპული სქემის დაახლოება თანდათან მოხდა. თუმცა დაკრედიტების ობიექტები, სასესხო ანგარიშების ფორმები, კრედიტების დაფარვის სისტემა კვლავ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გენერალური ხაზი უნიფიცირებაზე საკმაოდ ხელოვნურად გამოიკვეტება. ერთიანი მექანიზმის ჩარჩოებში დაიწყო დაკრედიტება ყველა სამრეწველო საწარმოებისა (გარდა აგრარულ – სამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა), ასევე, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების, დამამზადებელი ორგანიზაციების. არ მოქმედებს ინსტრუქცია არასეზონური სამრეწველო საწარმოების წილობრივ საწყისებზე დაკრედიტებისა: სოფლის მეურნეობის მიერ კრედიტების მიღება ერთიანი სქემით დაიწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ დაკრედიტების ერთიანი მიდგომის დანერგვა გამსხვილებული ობიექტის ბაზაზე დადებით პროცესს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საბანკო რეფორმის მიმდინარეობაში გადახრა მოხდა, რადგან ყველა საწარმომ (მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, დამამზადებელი ორგანიზაციების ძირითადმა ნაწილმა) დაიწვეს დაკრედიტება ერთიანი სქემით.

დაკრედიტების მექანიზმის ახლებური აგების აუცილებლობას ადასტურებს აგრეთვე, საფინანსო ბაზარზე გადასვლა და მასთან დაკავშირებული საბანკო საქმიანობის კომერციალიზაცია. საკრედიტო გარიგების მონაწილეებს შორის პარტნიორული ურთიერთობები დაკრედიტების მიმართ კრედიტორის დიქტატს გამორიცხავს. ბანკისათვის ყველაზე უფრო შემოსავლიანი, რისკიანი საკრედიტო ოპერაციები არა მარტო საკრედიტო საწარმოს ეფექტურობას, არამედ კლიენტის კრედიტუნარიანობასაც მოითხოვენ.

ბრუნვის მიხედვით დაკრედიტება მისი ძველი ფორმით სესხის გაცემაში ავტომატიზმის მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავდა, ამიტომ პირველი, რაც ბაზარზე გადასვლას მოჰყვა, ეს იყო ბრუნვის მიხედვით დაკრედიტების სფეროს შემცირება. იგი შენარჩუნებული იქნა მხოლოდ სავაჭრო და მომარაგება-გასაღების ორგანიზაციებთან ურთიერთობებში.

კომერციულმა ბანკებმა დაკრედიტების მყარი ლიმიტებით, ნაშთების მიხედვით დაკრედიტების ფართოდ გამოყენება დაიწყეს. საბანკო საქმიანობის კომერციალიზაციის პირობებში მეთოდის ამორჩევა მიზანშეწონილია.

ყველაზე უფრო შეღავათიანი დაკრედიტება პირველი კლასის მსესხებლისათვის არის რეკომენდირებული. მაგალითად, ასეთი მოდელი შეიძლება იყოს ბრუნვის მიხედვით დაკრედიტება კონტოკორენტის საფუძველზე უზრუნველყოფის შემოწმების გარეშე კრედიტის გეგმიური სიდიდის განუსაზღვრელად გადამეტების უფლებით.

მეორე კლასის მსესხებლები ბრუნვის მიხედვით უფრო მკაცრი პირობებით დაკრედიტდებიან. მაგალითად, თუ ხდება დაკრედიტება ერთობლივი ობიექტისა, რომელიც მოიცავს ფონდების წრებრუნვის ყველა სტადიას, მაშინ მისაღებია სპეციალური სასესხო ანგარიში რეალიზაციიდან ამონაგების მასზე ჩარიცხვით და კრედიტის გეგმიური სიდიდის დავალიანების შეზღუდვით.

მესამე კლასის მსესხებლების დაკრედიტების ძირითად ფორმას შეიძლება წარმოადგენდეს მიზნობრივი სესხები, რომლებიც მის ტექნიკურ გადაიარაღებას და ფინანსური სიმტკიცის ზრდას, ასევე, მიმდინარე სამრეწველო საქმიანობას უზრუნველყოფენ. ნაშთის მიხედვით მიზნობრივი დაკრედიტება გირაოთი და დასაკრედიტებელი დონისძიებების ან ბანკის საკრედიტო ოპერაციების დაზღვევით უნდა განმტკიცდეს.

თანამედროვე საბანკო სისტემის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად უნდა იქნეს მიჩნეული საკრედიტო კავშირების სწრაფად განვითარებადი ინტერნაციონალიზაცია, ტრანსნაციონალური ბანკების ოპერაციათა დაჩქარებული ზრდა და საერთაშორისო საბანკო ბრუნვის მნიშვნელოვანი გაფართოება.

ლ. ჩიბურდანიძე დაკრედიტების სქემას შემდგენაირად წარმოგიდგენს; „დაკრედიტების სისტემა სუბიექტის, ობიექტის, კრედიტის სახეების მრავალფეროვნებასთან ერთად, წარმოადგენს ერთ სქემას, რომელიც მოიცავს:

1. დაკრედიტების მეთოდებს და სასესხო ანგარიშების ფორმებს;
2. ბანკში წარსადგენ საკრედიტო დოკუმენტაციას;

3. პროცედურებს კრედიტის გაცემის მიხედვით;
4. სესხის დაფარვის წესს;
5. კონტროლს დაკრედიტების პროცესში.⁵

იგივე ავტორის აზრით „თუ დაკრედიტების ეტაპები გვიჩვენებს განსაზღვრული, აუცილებელი პროცედურების თანმიმდევრობას, მაშინ დაკრედიტების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სქემის ელემენტები გამოხატავს საკრედიტო პროცესის ტექნოლოგიას.“

დაკრედიტება ხორციელდება საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე ცენტრალური (ეროვნული) ბანკის ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით. ეს ნორმატივებია:

- მოზიდული რეზერვის ოდენობა;
- მინიმალური რეზერვის ოდენობა;
- კრედიტის გაცემის ვადები;
- საეგებლის განაკვეთების ოდენობა;
- ლიკვიდობის კოეფიციენტები (მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტები);
- ერთი მსესხებლისათვის გასაცემი კრედიტის მაქსიმალური ოდენობა;
- ბანკის მიერ მოქალაქეთა ანაბრების შეფარდება ბანკის საკუთარ სახსრებთან;
- სხვა ნორმატივები და ლიმიტები.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საკრედიტო მექანიზმი მსესხებლის კრედიტუნარიანობის საფუძველიან შესწავლას მოითხოვს და მხოლოდ ამის შემდეგაა კრედიტის გაცემის შესაძლებლობა.

საკრედიტო ურთიერთობა ემყარება განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომლის ერთ-ერთ ელემენტს დაკრედიტების პრინციპები წარმოადგენს. საკრედიტო ურთიერთობების განვითარების პირველ ეტაპზე ეს პრინციპები სტიქიურად მყარდებოდა. შემდგომში კი საბაზრო ეკონომიკურ საბანკო პრაქტიკაში საერთო სახელმწიფო და საერთაშორისო საკრედიტო კანონმდებლობაში შემუშავდა დაკრედიტების მთელი რიგი ფორმალურ-სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც დაცული უნდა ყოფილიყო როგორც მსესხებლის, ისე გამსესხებლის მიერ.

⁵ ჩიბურდანიძე ლ. საბანკო საქმე (მოკლე კურსი). თბ., 2008. 65 გვ.

დაკრედიტების პრინციპების განხილვამდე აუცილობლობად მივიჩნევთ შევე-
ხთ დაკრედიტების პრინციპების შესახებ საკითხს, რამდენადაც ეს რთული
თეორიული საკითხია და რომელსაც დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებენ.
მ. გოგოხია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოყოფს ორ ურთიერთდაკავში-
რებულ პრობლემას. „პირველი მდგომარეობს „დაკრედიტების პრინციპის“ ცნების
განსაზღვრებაში, მეორე – თავად დაკრედიტების პრინციპების ამორჩევაში.“⁶

საბანკო საქმის და კერძოდ დაკრედიტების პრინციპების შესახებ მოცემულ
ლიტერატურულ წყაროებში დაკრედიტების პრინციპები სხვადასხვაგვარად
განისაზღვრება, რასაც ქვემოთ ჩამონათვალიც ადასტურებს. დაკრედიტების პრინ-
ციპები განისაზღვრება, როგორც:

- ბანკის მიერ ფულადი სახსრების სესხად გადაცემის ძირითადი წესები;
- კრედიტის ეკონომიკური კანონების რეალიზაციის ხერხები;
- დაკრედიტების სისტემის მთავარი ელემენტი;
- დაკრედიტების ფუძემდებლური პირობები, რომლითაც გაიცემა კრედიტი
მსესხებელზე;

- დაკრედიტების სისტემის საფუძველი, მთავარი ელემენტი, რამეთუ ასახავენ
კრედიტის არსსა და შინაარსს, აგრეთვე ობიექტური ეკონომიკური კანონების
მოთხოვნებს, მათ შორის საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში.

- შევნიშნავთ, რომ კრედიტის პრინციპები და დაკრედიტების პრინციპები
იდეენტური ცნებები არ არის. კრედიტთან მიმართებით აუცილებელია განისაზ-
ღვროს დაკრედიტების მექანიზმის ამოსავალი ელემენტები, ანუ დაკრედიტების
პრინციპები და არა კრედიტის პრინციპები. მეცნიერთა აზრით (ო. ლავრუშინი,
მ. გოგოხია და სხვ.), კრედიტის მოძრაობა ექვემდებარება განსაზღვრულ სპეციფი-
კურ - კრედიტის კანონებს. ეს უკანასკნელნი შემდეგია:

- სახსრების გეგმაზომიერი დაბრუნებითობის კანონი;
- საკრედიტო სახსრების დაცულობის კანონი.

ზემოთ მოცემული კრედიტის კანონები ამოსავალი უნდა იყოს დაკრედიტების
პრინციპების შემუშავებისას, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში უპასუხებს
დაკრედიტების მექანიზმი კრედიტის არსს და გახდება მართლაც მომუშავე
მექანიზმი.

⁶ გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. თბ., 2006. 118 გვ.

ერთიანობა არ არსებობს რიგი პრობლემების გამო დაკრედიტების პრინციპებთან დამოკიდებულებაში. ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს თვითონ დაკრედიტების პრინციპების დასაბუთებული შერჩევა, მეორე პრობლემაა ის, ჩაითვალოს თუ არა ეს პრინციპები ერთიანად საბანკო კრედიტის ყველა ობიექტისთვის, მისი ყველა სახეობისთვის, თუ ისინი განსხვავებულია მოკლევადიანი საბანკო დაკრედიტებისათვის საბრუნავ საშუალებებში და დანახარჯების გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის ძირითად ფონდებში.

მეცნიერთა უმეტესობა აღიარებს საბანკო დაკრედიტების ისეთ პრინციპებს, როგორებიცაა: მიზნობრივი გამოყენება ანუ მიზანმიმართულობა, ვადიანობა, უზრუნველყოფა.

დაკრედიტების დამატებითი პრინციპების სახით გამოყოფენ: დიფერენცირებულობას, საფასურიანობას, ეფექტიანობას და სხვა.

უფრო დაწვრილებით გადმოვცემთ მეცნიერთა სხვადასხვა მოსაზრებებს დაკრედიტების პრინციპების შესახებ.

დაკრედიტების ექვს აუცილებელ პრინციპზეა გამახვილებული ყურადღება საბანკო საქმის სახელმძღვანელოში, კერძოდ:

1. ვადიანობა (კრედიტი გაიცემა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული ვადით);
2. დაბრუნებადობა (კრედიტის თანხის სრულად დაბრუნება);
3. ფასიანობა (პროცენტების დათქმული თანხის გადახდა);
4. საკრედიტო გარიგების დაქვემდებარება კანონმდებლობის ნორმებსა და საბანკო წესებზე;
5. დაკრედიტების პირობების უცვლელობა;
6. საკრედიტო გარიგების ურთიერთსარგებლიანობა.

იმავე სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ „პრინციპების ცალკე ჯგუფად შეგვიძლია გამოვყოთ დაკრედიტების ის გავრცელებული წესები, რომლებსაც იყენებენ მხარეები, თუკი მათი ეს ნება ხელშეკრულებაშია დაფიქსირებული, ან არ იყენებენ, თუკი ისინი ხელშეკრულებაში არაა ჩაწერილი:

- კრედიტის მიზნობრივად გამოყენება;
- კრედიტის უზრუნველყოფა (მთლიანად ან ნაწილობრივ).

დაკრედიტების ექვს პრინციპზე ამახვილებენ ყურადღებას ქართველი ავტორები, ა. ინგოროყვა და ს.წიკლაური: „დაბრუნებადობა, ვადიანობა, ფასიანობა,

დიფერენცირება, მატერიალური უზრუნველყოფა და მიზნობრიობა“.⁷ გადმოგვცემთ ავტორთა მოსაზრებას მათი ექვსი პრინციპის მიხედვით.

„დაბრუნებადობა ნიშნავს, რომ კრედიტი აუცილებლად დაბრუნებული უნდა იქნეს მსესხებლის მიერ, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო დაწესებულების (ბანკის) საკრედიტო რესურსების განახლებას და მის შემდგომ საქმიანობას“.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში ამ პრინციპს განსაკუთრებული როლი ენიჭება, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ხელს უწყობს კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობას, კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფას და ამის მეშვეობით საწარმოების (ორგანიზაციების), სახელმწიფოსა და მოსახლეობის დაკრედიტებას.

ვადიანობა ასახავს კრედიტის დაბრუნების აუცილებლობას არა მსესხებლისათვის ხელსაყრელ დროში, არამედ ზუსტად განსაზღვრულ დროში, რომელიც დაფიქსირებულია საკრედიტო ხელშეკრულებაში.

ვადიანობის პირობის დარღვევა ბანკისათვის წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მან მსესხებლის მიმართ გამოიყენოს ეკონომიკური სანქციები: გაუზარდოს სარგებლის განაკვეთი, მოითხოვოს კრედიტის დაუყოვნებლივ დაბრუნება და სხვა.

„ფასიანობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მსესხებელთა გამასესხებელს (ბანკს) უნდა დაუბრუნოს არამარტო ნასესხები თანხა, არამედ გარკვეული საზღაური მისი გამოყენებისათვის, ე.ი. დაუბრუნოს ეს თანხა განსაზღვრული ნამატით, რომელსაც სარგებელი ეწოდება.“

კრედიტზე გადასახდელის (სარგებლის) ეკონომიკური არსი ასახავს კრედიტის გამოყენებით მიღებული მოგების განაწილებას მსესხებელსა და გამსესხებელს შორის. მოგების განაწილების თანაფარდობა მსესხებელსა და გამასესხებელს შორის დამოკიდებულია სარგებლის ნორმაზე, ანუ სასესხო პროცენტზე.

„დიფერენციაციის პრინციპი გულისხმობს საკრედიტო ორგანიზაციის მხრიდან კრედიტის გაცემისას მსესხებლისადმი დიფერენცირებულ მიდგომას.“ პრაქტიკაში დიფერენციაციის პრინციპის რეალიზაცია დამოკიდებულია როგორც ცალკეული ბანკის ინდივიდუალურ ინტერესებზე, ასევე სახელმწიფოს ცენტრალიზებულ საკრედიტო პოლიტიკაზე. თუ სახელმწიფოს საკრედიტო პოლიტიკა ითვალისწინებს

⁷ ინგოროყვა ა., წიკლაური ს. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის საფუძვლები. თბ., 2000. 44-55 გვ.

რომელიმე დარგის საქმიანობის მხარდაჭერას, მაშინ მათ კრედიტები მიეცემათ შედარებით შეღავათიან პირობებში.

კრედიტის მიზნობრიობის პრინციპი ვრცელდება მის მრავალ სახეობაზე. ბანკი კრედიტს გასცემს განსაზღვრული მიზნისათვის და თვალყურს ადევნებს მის მიზნობრივ გამოყენებას.

მასესხებელს არ აქვს უფლება მიზნობრივი კრედიტის მიღების შემთხვევაში მისი არამიზნობრივად (არადანიშნულებისამებრ) გამოყენებისა. კრედიტის არამიზნობრივი გამოყენებისას ბანკს უფლება აქვს მსესხებლის მიმართ გამოიყენოს მკაცრი ეკონომიკური სანქციები, კრედიტის ვადაზე ადრე დაბრუნების ჩათვლით.

კრედიტის უზრუნველყოფა აუცილებელია ბანკის აქტივების გარანტიის შენარჩუნებისათვის, რადგან მისი ძირითადი ნაწილი ნასესხი სახსრებისაგან შედგება. კრედიტის უზრუნველყოფის როლში შეიძლება გამოვიდეს მსესხებლის ნებისმიერი მატერიალური ფასეულობა, როგორც უძრავ-მოძრავი ქონება, ასევე ფასიანი ქაღალდები. „კრედიტის უზრუნველყოფის ეს ფორმა გულისხმობს, რომ თუ მსესხებელი თავის ვალდებულებას დაარღვევს, უზრუნველყოფაში მიღებული ქონება გადადის ბანკის საკუთრებაში და ბანკი მისი რეალიზაციის საფუძველზე ინაზღაურებს კრედიტის დაუბრუნებლობით მიყენებულ ზარალს გაცემული კრედიტის მოცულობა, როგორც წესი, ყოველთვის ნაკლებია უზრუნველყოფის საშუალო საბაზრო ღირებულებაზე.

ადრე კრედიტის უზრუნველყოფაში მხოლოდ მატერიალური ფასეულობით უზრუნველყოფა იგულისხმებოდა. ამჟამად მსოფლიო საბანკო საქმიანობის პრაქტიკაში კრედიტის უზრუნველყოფას, გარდა მატერიალური ფასეულობისა წარმოადგენს გარანტიები, თავდებობა და სადაზღვევო პოლისები.

დაკრედიტების ხუთ პრინციპს გამოყოფს გ.ცაავა: „ვადიანობა, დაბრუნებადობა, უზრუნველყოფადობა, ფასიანობა, დიფერენცირებადობა“⁸.

დაკრედიტების 4 პრინციპს გამოყოფენ რუსი ავტორები: „დაკრედიტების პრინციპები წარმოადგენს დაკრედიტების სისტემის საფუძველს, ძირითად ელემენტს, რამდენადაც გამოხატავს კრედიტის არსსა და შინაარსს, ასევე ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს, მათ შორის საკრედიტო ურთიერთობების

⁸ ცაავა გ. საბანკო საქმე. თბ., 2005. 392 გვ.

სფეროში. დაკრედიტების პრინციპებს მიეკუთვნება: დაბრუნების ვადიანობა, დიფერენცირება, უზრუნველყოფადობა და ფასიანობა⁹.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად ხაზი აქვს გასმული კრედიტის კანონებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს დაკრედიტების პრინციპებს. აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ეკონომიკის დაკრედიტებისას.

დაკრედიტების მექანიზმის ამოსავალ ელემენტს წარმოადგენს რა საბანკო დაკრედიტების პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც იქმნება კონკრეტული პირობები კრედიტის ფუნქციონირებისათვის, მისი შესაბამის სფეროებში გამოყენებისათვის და ამით განისაზღვრება კრედიტის როლი მეურნეობაში.

ამდენად აუცილებელია, რომ დაკრედიტების მექანიზმში განსახიერდეს კრედიტის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის სპეციფიკური თავისებურებები. აღნიშნულის მიღწევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ საბანკო დაკრედიტების პრინციპებს საფუძვლად დაედება კრედიტის კანონები. სხვა შემთხვევაში, მოცემულმა კანონებმა შეიძლება არ მიიღონ მატერიალიზაცია საბანკო დაკრედიტების პრინციპებში. შედეგად, დაკრედიტების მექანიზმი აგებული იქნება კრედიტის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსობრივი თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ამან კი შეიძლება მეურნეობაში საბანკო კრედიტის როლის შესუსტება და სხვა უარყოფითი მოვლენები გამოიწვიოს.

კრედიტის კანონები რომ იქნეს დაცული საბანკო დაკრედიტების საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები: ვადიანობის, მიზნობრიობის, უზრუნველყოფის ისინი ურთიერთკავშირში არიან კრედიტის კანონებთან, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

კრედიტის წამყვანი კანონია სახსრების დაბრუნებითობის კანონი. დაბრუნებითობის, როგორც კრედიტის ატრიბუტის სპეციფიკურ აქტიურ თვისებად გადაქცევა დაკრედიტების მექანიზმის მეშვეობითაა შესაძლებელი. მაგრამ აქ ჩართული უნდა იყოს ისეთი პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს გასესხებულ სახსრების თავისდროულ დაბრუნებას. ამ მიზნისათვის გამოიყენება ვადიანობის პრინციპი. ეს უკანასკნელი მოწოდებულია განსაზღვროს როგორც კრედიტის გამოყენების დროითი საზღვრები, ასევე მისი დაბრუნების კონკრეტული ვადები.

⁹ Банковское дело и финансирование инвестиций. Под ред. Н. Брука. Всемирный банк реконструкции и развития. 1995. т. II, часть 1. с. 216.

აუცილებელია ორი ცნების კრედიტით სარგებლობისა და კრედიტის დაფარვის ვადის განსხვავება. ზოგ შემთხვევაში ისინი შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს კრედიტის ობიექტების თავისებურებათა შედეგად.

აღნიშნული შემთხვევები საბრუნავ საშუალებებზე დანახარჯებისას ხდება ხოლმე. სხვაგვარია ძირითად ფონდებზე დანახარჯების დაკრედიტება. აქ კრედიტით სარგებლობის ვადა და მისი დაფარვის ვადა, როგორც წესი, არ ემთხვევა. ამიტომ დაკრედიტების ვადიანობის პრინციპი მოითხოვს კრედიტით სარგებლობის პერიოდის განსაზღვრავს და არა უბრალოდ მისი დაფარვის პერიოდს. ამ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს კრედიტით სარგებლობის ვადების, ასევე მისი დაფარვის ვადების ეკონომიკურად დასაბუთებული დაწესება.

ვადიანობის პრინციპი მიმართულია საგადასახდელი დისციპლინის განმტკიცებისაკენ. ბანკები ახდენენ ეკონომიკურ ზემოქმედებას საწარმოებზე, რომლებიც არღვევენ ამ დისციპლინას, კრედიტით სარგებლობისათვის დიფერენცირებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენების გზით, აგრეთვე ზემოქმედების სხვა ზომების გამოყენებით, რომლებიც გათვალისწინებულია საკრედიტო ხელშეკრულებით, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის, რომ მხოლოდ ვადიანობის პრინციპები არ არის საკმარისი კრედიტის ისეთი კანონის მოქმედების უზრუნველყოფისათვის, როგორც სახსრების დაბრუნებაა.

თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, კრედიტი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ნებისმიერი დანახარჯების განხორციელებისათვის, რომლებიც მეურნეობის სხვადასხვა უბანზე წარმოიქმნება. მისი მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკურად მიზანშეწონილ ხარჯებზე, რომლებსაც აქვთ დაბრუნებითი საფუძველი. ამიტომ დაკრედიტების მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს მიზნობრიობა. ეს პრინციპი მოწოდებულია განსაზღვროს კრედიტის გამოყენების საზღვრები.

კრედიტის მეორე კანონია საკრედიტო სახსრების დაცულობის კანონი, რომელიც გულისხმობს სასესხო სახსრების სრულ და თავისდროულ დაფარვას. პრაქტიკაში ეს კანონი რომ არ დაირღვეს, დაკრედიტების მექანიზმში უნდა იყოს ჩადებული შესაბამისი პრინციპები. სასესხო სახსრების თავისდროული დაბრუნების მისაღწევად იყენებენ ამ დაბრუნებითობის უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმას, აქედან კი ჩნდება აუცილებლობა, გამოიყოს დაკრედიტების პრინციპის სახით კრედიტის უზრუნველყოფის პრინციპი. უზრუნველყოფის პრინციპი ასრულებს განსაკუთრებულ როლს საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში, რადგანაც ეს

არამართო იმყოფება მჭიდრო ურთიერთკავშირში სხვა პრინციპებთან, არამედ თამაშობს მათ მიმართ განსაზღვრულ როლს.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ყველა გაცემული კრედიტი როდია დაკავშირებული უშუალოდ მატერიალურ უზრუნველყოფასთან. ამ შემთხვევაში კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი კრედიტუნარიანობა. ამიტომ საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებას ბანკების მიერ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება.

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები – ვადიანობა, მიზნობრიობა, უზრუნველყოფა – სავსებით უწყობენ ხელს კრედიტის კანონების უზრუნველყოფას და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საბანკო დაკრედიტების პრინციპების სახით. საბანკო დაკრედიტების ყველა პრინციპი ურთიერთშორის მჭიდროდაა დაკავშირებული, ნებისმიერი მათგანის შესრულების დარღვევა არახელსაყრელად აისახება სხვა პრინციპებზე. ასე, მაგალითად, მიზნობრიობის პრინციპის არასწორმა შესრულებამ შეიძლება კრედიტის არარაციონალური გამოყენება გამოიწვიოს. ნაკლოვანებები დაკრედიტების უზრუნველყოფის პრინციპის რეალიზაციაში გაართულებენ ვადიანობის პრინციპის შესრულებას.

რაც შეეხება მოკლე და გრძელვადიანი საბანკო დაკრედიტების პრინციპებს, ისინი უნდა იყოს ერთიანი, რამეთუ ისინი ასახავენ ერთიანი კრედიტის – საბანკო კრედიტის არსსა და კანონებს, ხოლო მისი სახესხვაობების (მოკლევადიანი, გრძელვადიანი საბრუნავ საშუალებებში, ძირითად ფონდებში) სპეციფიკა მდგომარეობს კონკრეტული ობიექტისადმი მიმართებით დაკრედიტების მექანიზმის შინაარსის თავისებურებებში, მაგრამ არ ეხება თავად საბანკო დაკრედიტების პრინციპებს, როგორც მის ამოსავალ ელემენტებს.

დაკრედიტების მეთოდი წარმოადგენს დაკრედიტების სისტემის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, რამდენადაც იგი განსაზღვრავს ამ სისტემის სხვა ელემენტებსაც, როგორებიც არის სასესხო ანგარიშის ფორმები, კონტროლის და საკრედიტო დავალიანების რეგულირების წესები.

დაკრედიტების მეთოდებად იგულისხმება კრედიტის გაცემისა და დაფარვის ხერხები დაკრედიტების პრინციპების შესაბამისად.

დაკრედიტების მეთოდების რაოდენობა ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა გვხვდება, მაგალითად სამი მეთოდი აქვს გამოყოფილი გ.ცაავას,

ესენია დაკრედიტება ნაშთის ფარგლებში, დაკრედიტება ბრუნვის მიხედვით და საკრედიტო ხაზი.¹⁰

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშთის მიხედვით დაკრედიტების მეთოდმა დაკარგა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა ჯერ კიდევ მეურნეობის გარდამავალი ეტაპის საწყის პერიოდში, რადგანაც საბანკო რეფორმის პირველ ეტაპზე მრავალრიცხოვანიდან ერთობლივი ობიექტების მიხედვით დაკრედიტებაზე გადასვლა მოხდა ერთიანი უნიფიცირებული სქემის მიხედვით, თანაც მხოლოდ ბრუნვის მიხედვით.

საბანკო პრაქტიკაში ძირითადად ერთჯერადი კრედიტის გაცემისას გამოიყენება მარტივი სასესხო ანგარიში. იგი ნაშთის მიხედვით დაკრედიტებას წარმოადგენს. კრედიტის გაცემა ხდება საწარმოს დანახარჯების დასაფარავად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ფაქტიურად არსებული ნაშთის მიხედვით. საწარმოს შეუძლია იმდენი მარტივი სასესხო ანგარიში ჰქონდეს, რამდენი დაკრედიტების ობიექტიც გააჩნია, რადგან სხვადასხვა ობიექტზე კრედიტი გაიცემა სხვადასხვა პირობით, ვადით და პროცენტით. კრედიტის გამოყენებაზე და მის დაბრუნებაზე კონტროლს. სპეციალური სასესხო ანგარიშით დაკრედიტებისას კრედიტის გაცემაც და დაფარვაც ამ ანგარიშით ხდება.

კლიენტს ეხსნება მხოლოდ ერთი სასესხო ანგარიში, რომელზეც კონცენტრირდება უნაღლო ბრუნვის ძირითადი ნაწილი და მის მიერ აღებული კრედიტებიც. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორების ანგარიში მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს, მასზე აღირიცხება მოგების განაწილება და ხელფასების გაცემა. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მთელი ამონაგები ანგარიშსწორების ანგარიშის გვერდის ავლით პირდაპირ ჩაირიცხება სპეცსასესხო ანგარიშზე.

კრედიტების გაცემა სპეცსასესხო ანგარიშიდან საქონლისა და მომსახურებისათვის შემოსული საანგარიშსწორებო საბუთების განაღდების გზით ხორციელდება.

დაკრედიტების ყველაზე გავრცელებულ ფორმას საბაზრო ეკონომიკის პირობებში პირველი კლასის მსესხებლისათვის კონტოკორენტული ანგარიშით დაკრედიტება.

საბანკო კრედიტის ერთ-ერთი სახეა კონტოკორენტული კრედიტი, რომელიც ეძლევა ბანკის კლიენტებს როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით და

¹⁰ ცაავა ვ. საბანკო საქმე. თბ., 2005. 392 გვ.

შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მოცულობით. კონტოკორენტი-ერთიანი ანგარიშია, რომელზეც აღირიცხება კლიენტებთან ბანკის ყველა ოპერაცია. კონტოკორენტი დაკრედიტების კლასიკური ფორმაა. საწარმოს, რომელსაც ბანკი კონტოკორენტულ ანგარიშს უხსნის, ანგარიშსწორების ანგარიში აღარ სჭირდება და იგი უქმდება. კონტოკორენტული ანგარიშის დებეტში აისახება წარმოების ყველა გადასახდელი, რაც დაკავშირებულია წარმოების პროცესთან და მოგების განაწილებასთან, კრედიტში კი ჩაირიცხება საწარმოს სასარგებლოდ შემოსული ყველა ფულადი შემოსავალი. საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ხდება დაჯამება. თუ ნაშთი საკრედიტო იქნება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მოცემული დროისათვის საწარმოს ბრუნვაში აქვს საკუთარი საბრუნავი სახსრები.

სადებეტო ნაშთი კი ნიშნავს იმას, რომ საწარმოს ბრუნვაში აქვს ბანკის კრედიტი, რაზეც ბანკი მას პროცენტს ახდევინებს. კონტოკორენტული ანგარიშით მხოლოდ მოკლევადიანი კრედიტის გაცემა ხდება.

კონტოკორენტი დაკრედიტების წესი დიფერენცირებულია კლიენტის ფინანსური მდგომარეობისა და ავტორიტეტის მიხედვით ბანკის წინაშე. პირველი კლასის მასესხებელს ბანკი დაკრედიტების ლიმიტის გაზრდის უფლებას აძლევს. მსხვილი საწარმოები კრედიტს უზრუნველყოფის გარეშე იღებენ.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემისგან განსხვავებით დაკრედიტების თანამედროვე მექანიზმისათვის დამახასიათებელია დაკრედიტების განხორციელების სხვა წესი. თანამედროვე პირობებში დაკრედიტება ხორციელდება ერთობლივი (გამსხილებული) ობიექტების მიხედვით, რომელიც გულისხმობს:

1. დაკრედიტება ხორციელდება არა მრავალრიცხოვანი, არამედ ერთობლივი ობიექტების მიხედვით, რომელიც მოიცავს:

- ა) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს;
- ბ) საწარმოო დანახარჯებს;
- გ) გადატვირტულ საქონელს;

2. დაკრედიტება ხორციელდება არა რამდენიმე სასესხო ანგარიშით, არამედ ერთი სასესხო ანგარიშით;

3. განისაზღვრება დაკრედიტების ზღვრული თანხა, ანუ ე.წ. საკრედიტო ხაზი. ამრიგად, დაკრედიტების თანამედროვე მექანიზმის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაკრედიტების მექანიზმის ელემენტები იგივეა, რაც ადრე იყო, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათი შინაარსი არსებითად იცვლება.

დაკრედიტების თანამედროვე სისტემისათვის დამახასიათებელია სრული თავისუფლება, გამორიცხულია სახელმწიფოს დიქტატი დადგენაში. ამასთან, ნასესხებ სახსრებში მონაწილეობას იღებს არა მარტო ბანკის კრედიტი, არამედ საწარმოთაშორისი კრედიტი, როგორც ფულადი, ასევე საქონლური ანუ კომერციული კრედიტის ფორმით.

12. ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში დაკრედიტების მექანიზმის ცვლილებას ჰქონდა ადგილი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პერიოდში დიდი აქტუალობა შეიძინა ეკონომიკის დაკრედიტებამ, რამდენადაც ამ უკანასკნელს შეეძლო ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. თუმცა ეკონომიკის დაკრედიტების ნაცვლად კორუფციის მორევში აღმოჩნდა მთელი საქართველო და ფული ეკონომიკაში დაბანდების ნაცვლად კორუმპირებული ჩინოვნიკების ხელში აღმოჩნდა.

შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი უფრო გამწვავდა, რადგანაც დაკრედიტების უდიდესი ნაწილი საბანკო დაკრედიტებას ეკავა, ამან კი ხელი შეუწყო საბანკო დაწესებულებების ქაოსურ ზრდას. გარდა ამისა, არასრულყოფილი საბანკო კანონმდებლობა და სუსტი ადმინისტრირება ხელს უწყობდა ბანკების რიცხოვნობის უკონტროლო ზრდას. 1994 წლის დასაწყისში საქართველოში 229 კომერციული ბანკი მოქმედებდა. ბანკების ასეთი სიმრავლე და მათი შექმნის შეუძლებლობა კიდევ უფრო აძლიერებდა საბანკო სექტორის არამდგრადობას.

2003 წლის სამთავრობო ცვლილების შემდეგ საქართველოში ფისკალური წესრიგის დამყარება დაიწყო, გაიზარდა ინვესტიციური ნაკადები. იმ პერიოდში შემოსული ინვესტიციები ფრაგმენტული და შესაბამისად ნაკლებ სტაბილური იყო. წინა პერიოდში ინვესტიციების უმეტესობა ნავთობსადენსა და გაზსადენის მშენებლობის წილად მოდიოდა. შემდგომ პერიოდში ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურაში მომსახურების სფეროს დიდი ხვედრითი წილია, პრივატიზების შედეგად მიღებული საინვესტიციო ნაკადები კი თავისი არსით ერთჯერადად შეიძლება ჩაითვალოს, თუკი მათ არ მოჰყვება შემდგომი კაპიტალ-დაბანდება. ჯერჯერობით საქართველოში არ შეინიშნება კაპიტალის შემოდინება მაღალტექნოლოგიურ დარგებში. უძრავ ქონებასა და ინფრასტრუქტურის ობიექტებში განხორციელებული ინვესტიცია მართალია აუმჯობესებს საერთო მდგომარეობას, მაგრამ შედარებით ნაკლები ეფექტიანობის მომტანია. წარმოებისათვის, მით უფრო ექსპორტის ზრდის მიზნით.

საქართველოში არსებულ ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ეკონომიკის ამა თუ ამა თუ იმ დარგის დაკრედიტება, განსაკუთრებით კი ეს ეხება მიკროდაკრედიტებას და მოკროდაფინანსებას. რამდენადაც საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებას პრიორიტეტი ენიჭება, მიკროდაკრედიტება

მიკროსაწარმოებს საშუალებას აძლევს მოახდინოს გარემოს ფაქტორებისადმი ადაპტაცია და გადაჭრას ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შემდეგი ეკონომიკური ამოცანები: შეივსოს საბრუნავი საშუალებები; მოახდინოს ფონდების ფორმირება; შექმნას საკრედიტო ისტორია ინვესტიციური რესურსების შემდგომი მოზიდვისათვის და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ეს სოციალურ გავლენას ახდენს ეკონომიკურ გარემოზეც, ანუ სიღარიბესა და უმუშევრობასთან ბრძოლის ქმედით საშუალებას, ბიზნესის დეკრიმინალიზაციის ინსტრუმენტს, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის სამეწარმეო აქტიურობის და თვითგადარჩენის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს. სწორედ მიკროსესხებზე ააგო ბევრმა ბანკმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა. სტაბილური საბანკო სექტორის ჩამოყალიბებამ შესაძლებელი გახდა კრედიტის გაიაფება. მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ ბევრმა საქართველოს მოქალაქემ ბიზნეს სესხი მანქანის შესაძენად გამოიყენა, რაც საქართველოში ბიზნესის განვითარების ჯერ კიდევ დაბალ დონეზე მიუთითებს.

საქართველოში ეკონომიკის დაკრედიტების დინამიკას 2007 წლიდან წარმოვადგენთ, რაც ნათელს მოჰყენს არსებულ მდგომარეობას.

2007 წლის ნოემბრის თვიდან საქართველოში დაიწყო იაფი კრედიტების გაცემა ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის აღორძინებისათვის, ამან რაღა თქმა უნდა ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტება მნიშვნელოვნად გაზარდა.

2007 წლის ივნისისა და 2008 წლის ივნისის მდგომარეობით კომერციული ბანკების მიერ ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტებამ 5527,3 მლნ. ლარი შეადგინა¹¹

2007 წლის ბოლოსათვის მთლიანი სესხების მშპ-თან ფარდობის კოეფიციენტი 27,0% იყო. საქართველოს საბანკო სისტემამ შეინარჩუნა 2005 წლიდან ამ მაჩვენებლის ზრდის ჩამოყალიბებული ტენდენცია, რაც ერთგვარად საბანკო სექტორის განვითარების არსებით მახასიათებელ ინდიკატორს წარმოადგენს.

2007 წ. ივნისი – 2008 წ. ივნისის პერიოდში მიუხედავად სამომხმარებლო სესხების ზრდისა, საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში უმთავრესი წილი იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებს ეკავა (63%). აღნიშნულ პერიოდში იურიდიული პირების დაკრედიტებაც 40%-ით გაიზარდა, რასაც, ჯანსაღი საბანკო სისტემის მზარდ შესაძლებლობებთან ერთად, სამეწარმეო სუბიექტების მხრიდან

¹¹ www.nbg.gov.ge.

რესურსებზე არსებულმა მოთხოვნამ და ქვეყანაში მაღალმა ეკონომიკურმა აქტივობამ შეუწყო ხელი. ამავე პერიოდში ეროვნული ვალუტით დაკრედიტების მოცულობა 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. კერძოდ, მატების ტემპმა 116,4% შეადგინა. შედეგად, სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი შემცირდა და 64,9% შეადგინა 89/ 24 მიუხედავად სესხების დოლარიზაციის კლებისა, ეკონომიკის დაკრედიტების უდიდესი ნაწილი კვლავ უცხოური ვალუტით ხორციელდებოდა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ოდენობა 38,1%-ით გაიზარდა.

ვადაგადაცილებული დავალიანების წილი, 2008 წ. 30 ივნისის მდგომარეობით, 1,6%-ს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი გაუარესებული იქნა ერთი წლის წინანდელ მონაცემთან შედარებით. ამ პერიოდისათვის ვადაგადაცილებული დავალიანება მთლიანი სესხების 0,8% იყო. ვადაგადაცილებული დავალიანება, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მიხედვით, კიდევ უფრო მაღალი იყო და 2,0%-ს შეადგენდა.

2007 წ. ივნისი – 2008 წ. ივნისში პერიოდში სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი სავაჭრო სფეროზე გაიცემოდა. მთლიანად სასესხო პორტფელში საკმაოდ დიდი იყო მშენებლობაზე გაცემული სესხების წილიც.

2008 წლის პირველ ნახევარში 2007 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტება 58%-ით გაიზარდა. ამასთან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 2,1%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ზრდამ მხოლოდ 37,3% შეადგინა.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ 2008 წ. პირველ ნახევარში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წინამსწრები ტემპით იზრდებოდა გრძელვადიანი სესხების მოცულობა, რომლის წილმა ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტების საერთო მოცულობაში პერიოდის ბოლოს თითქმის 70% შეადგინა. 88/ 36.

2008 წლის პირველ ორ კვარტალში კვლავ გრძელდებოდა ფიზიკური პირების დაკრედიტების ზრდის ტენდენცია. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების მოცულობა წლიურ გამოსახულებაში 2,1-ჯერ გაიზარდა, რაც ერთი მხრივ, შინამეურნეობათა სამომხმარებლო ხარჯების ზრდაზე, მეორე მხრივ კი, ინდივიდუალური მეწარმეობის გააქტიურებაზე მეტყველებს.

2008 წ. პირველ ნახევარში ეკონომიკის დაკრედიტების დარგობრივ სტრუქტურაში შემდეგი გამოიკვეთა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან

შედარებით 1,8-ჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაკრედიტება, 30,6%-ით – მრეწველობის, 61,8%-ით – მშენებლობის, 37,5%-ით – ვაჭრობისა და მომსახურების. 1,6-ჯერ გაიზარდა დაკრედიტების მოცულობა განათლების სექტორში. ამის მიუხედავად, სოფლის მეურნეობისა და განათლების წილი დაკრედიტების საერთო მოცულობაში კვლავ უმნიშვნელო იყო. ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტების 80,5% მხოლოდ სამ დარგზე – მრეწველობაზე, მშენებლობასა და ვაჭრობაზე მოდიოდა. მათ შორის ყველაზე დიდი წილი ვაჭრობას ჰქონდა – 47%.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მოვლენებიდან გამომდინარე კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობამ აგვისტოს ბოლოს 5,6 მლრდ. ლარი შეადგინა, ანუ 1 სექტემბრისათვის 1 აგვისტოს მდგომარეობასთან შედარებით 175,6 მლნ.ლარით შემცირდა.¹² თუმცა, აგვისტოს ბოლოს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა 1,6 მლრდ.ლარით (39,5%) გაიზარდა.

ომის შემდგომ 2008 წ. 1 სექტემბრისათვის იურიდიული პირების დაკრედიტების მთლიან მოცულობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი – 45,7% კვლავ ვაჭრობის სფეროზე მოდიოდა. მრეწველობაზე გაცემული სესხების წილი იურიდიულ პირებზე გაცემული ვადიანი სესხების საერთო მოცულობაში 20,9%-ს შეადგენდა, რაც 2008 წ. 1 სექტემბრისათვის 633,1 მლნ. ლარით განისაზღვრა (28,6%-ით მეტი 2007 წ. ანალოგიურ პერიოდთან შედარებით; 13,6% მოდიოდა მშენებლობაზე, რაც 410,5 მლნ. ლარია, შესაბამისად 36,0%-ით მეტი). ამჯერადაც იურიდიული პირების დაკრედიტების საერთო მოცულობის დიდი წილი (80,2%) მხოლოდ სამ დარგზე – მრეწველობაზე, მშენებლობასა და ვაჭრობაზე მოდიოდა.

დანართი № 1 წარმოდგენილია კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკაზე გაცემული სესხების დინამიკა 2008 წ. ივნისი – 2009 წ. ივლისის პერიოდში. ცხრილიდან ნათლად ჩანს, კომერციული ბანკების მიმართ ეკონომიკის დაგაღიანების კლების ტენდენცია აგვისტოს თვიდან ნოემბრის თვემდე, ნოემბერ-დეკემბერში ზრდას ჰქონდა ადგილი, შემდგომ პერიოდში კი კვლავ კლებას 2009 წლის ივლისის თვის ჩათვლით, რაც ძირითადად ომისა და ფინანსური კრიზისის შედეგია. მოკლევადიან სესხებში 2008 წლის ივნისიდან 2009 წ. ივლისამდე საგრძნობი კლება დაფიქსირდა (თითქმის განახევრდა ეროვნულ ვალუტაში 2008 წ. ივნისში 860,1 მლნ. ლარი 2009 წ. ივლისში 413,3 მლნ. ლარამდე შემცირდა).

¹² „გადასახადები“. ქ. №17 სექტემბერი 2008. 48 გვ.

მოკლევადიანი სესხები იგივე პერიოდში მონაცვლეობით მცირედი კლებითა და ზრდით გამოირჩეოდა. რაც შეეხება გრძელვადიან სესხებს, ეროვნულ ვალუტაში მათი შემცირების, ხოლო უცხოურ ვალუტაში ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა: 2008 წ. ივნისში გრძელვადიანი სესხები შემცირდა 339300 ლარით და 704,1 მლნ.ლარი შეადგინა. იგივე პერიოდებში გრძელვადიანი სესხი უცხოური ვალუტით 4742 მლნ. ლარით შემცირდა (იხ. დანართი 1).

2009 წლის პირველ კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტება 13,3%-ით გაიზარდა. ამასთან გამოვლინდა ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების შესამჩნევი წლიური და კვარტალური კლება (შესაბამისად 11,2 და 13,8%-ით. უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობამ კი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად (31,8%-ით) მოიმატა, კვარტალურ გამოსახულებაში კლებამ 95,9 ათასი ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც წლიურ, ისე კვარტალურ ჭრილში საგრძნობლად იკლო მოკლევადიანი სესხების მოცულობამ (შესაბამისად 15,9 და 12,8%-ით). მისი წილი ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტებაში 22,5%-ით განისაზღვრა. გრძელვადიანი სესხების მოცულობა წლიური ზრდის მაღალი ტემპით (23%) გამოირჩეოდა, თუმცა წინა კვარტალთან შედარებით მისი მოცულობა 4,6%-ით შემცირდა.

№ 2 დანართზე წარმოვადგენთ 2008-2009 წლების პირველი კვარტალების მიხედვით ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურას.

კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების 57,6% ეკონომიკის ცალკეულ დარგებზე, 43,4% კი შინამეურნეობებზე მოდიოდა.

№ 2 დანართიდან ჩანს, რომ კრედიტების დარგობრივი განაწილების სტრუქტურაში სერიოზული ცვლილებები არ შეინიშნებოდა, მაგრამ შესამჩნევად შეიცვალა ეკონომიკის ცალკეული სექტორების დაკრედიტების აბსოლუტური მოცულობები. კერძოდ, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სოფლის მეურნეობისა და საფინანსო შუამავლობის დაკრედიტება მნიშვნელოვნად (შესაბამისად 21,7 და 30,8 პროცენტით), ხოლო მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის – საგრძნობლად (შესაბამისად 7,4 და 13,1 პროცენტით) შემცირდა. რეწველობის, უძრავი ქონებით ოპერაციების და სასტუმროების დაკრედიტება კი არსებითი ზრდით (ძსესდაბამისად 13,8; 25,9 და 37,7 პროცენტით) ხასიათდებოდა.

2009 წ. პირველ კვარტალში შეინიშნებოდა დაკრედიტების მოცულობის კლება წინაკვარტალთან შედარებით სოფლის მეურნეობის, საფინანსო შუამავლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობისა და მრეწველობის (შესაბამისად 24,1; 12,8; 11,9; 7,4 და 6,4%-ით) სექტორებში.

№3 დანართიდან წარმოდგენილია კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული ვადიანი სესხების მოცულობა 2009 წლის აგვისტოს მდგომარეობით. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 90836 ათასი ლარი იყო, მათ შორის ვაჭრობაზე მოდიოდა ყველაზე მეტი – 40457 ათ. ლარი ანუ 44,5%. მნიშვნელოვანი იყო მშენებლობისა (12,8%) და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის (13,1%) წილი. მრეწველობის წილად მოდიოდა 6,2%. საპროცენტო განაკვეთების მხრივ ყველაზე დაბალი იგივე პერიოდში სოფლის მეურნეობასა, მეტყვეობისა და თევზჭერაზე მოდიოდა – 16,6 %, მაშინ, როცა ვაჭრობაში – 19,1% იყო, ფინანსურ შუამავლობაში კი – 19,8%.

2009 წლის 1 სექტემბრისათვის ეროვნული ვალუტით იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები 475850 ათას ლარს შეადგენდა, მათ შორის ყველაზე მეტი 1 წელზე მეტი ხნით ვადის დავალიანებაა – 298 839 ათასი ლარი ანუ 60,7%. საქმიანობის მიხედვით კვლავ ვაჭრობაზე გაცემული სესხები ჭარბობს ყველას – 219734 ათასი ლარი, ანუ მთლიანი სესხების 46,2%. ვაჭრობის შემდეგ მეორე ადგილზეა მრეწველობის მიხედვით სესხების ოდენობა – 93660 ათ. ლარი ანუ 19,7%. მესამე პოზიციაზეა მშენებლობა – 55662 ათ ლარი ანუ მთლიანი სესხების 11,7%.

აღსანიშნავია, რომ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაცემული მთლიანი სესხებიდან – 1076397 ათასი ლარი კვლავ უპირატესობა აქვს 1 წელზე მეტი ვადის მქონე სესხებს – მთლიანის 61,8%. რაც შეეხება სამეწარმეო სექტორს, გაცემული იყო 475849 ათ. ლარის სესხი, ანუ მთლიანი სესხების 44,2%, შინამეურნეობებზე კი – 600 547 ათ. ლარი (55,8%). (იხ. დანართი 4).

განვიხილოთ რა საქართველოს ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტების მონაცემების დინამიკა, შესაძლებელია ითქვას, რომ დაკრედიტებაში კვლავ ლიდერობას ვაჭრობის დარგი 2009 წლის ყველა არსებული მონაცემების მიხედვით. 2008 წლის პირველ კვარტალში ვაჭრობის წილად 47,4% მოდიოდა, 2009 წლის პირველ კვარტალში – 46,7% მოდიოდა, 2009 წლის აგვისტოში – 44,5%, ხოლო 2009 წლის სექტემბერში კვლავ გაიზარდა და მთლიანი სესხების 46,2% შეადგინა. მრეწველობის დაკრედიტების წილი 2009 წლის I კვარტალში მართალია 2008 წლის

იმავე პერიოდთან გაზრდილია, მაგრამ მცირედით 18,4%-დან 20,5%-მდე, ხოლო სოფლის მეურნეობის დაკრედიტების წილი 2,0%-დან 1,5%-მდე შემცირდა 2008-2009 წლების პირველი კვარტალების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობის დაკრედიტებაში როგორც გეგმიანი, ისე საბაზრო ეკონომიკის დროს არსებობს პრობლემები საქართველოში. თანამედროვე პირობებში მიგვაჩნია რომ საჭიროა მიკროსაწარმოთა ფორმირება და მთავრობის მხრიდან მათი ხელშეწყობა.

ქვეყნის მთავრობამ გააცნობიერა რა ქვეყანაში მზარდი უმუშევრობისა (სახელმწიფო სამსახურებიდან დათხოვნილი მუშაკეები, საწარმოთა რესტრუქტურის შედეგად გამოთავისუფლებული სამუშაო ძალა, კრიზისული მოვლენების გამო თვითდასაქმებული ღარიბების საქმიანი აქტივობის შეზღუდვა და ა.შ.) და სიღარიბის გაძლიერების ტენდენცია, 2009 წლიდან ასეთ საწარმოთა ამოქმედებას აქტიური მხარდაჭერა აღუთქვა. მართლაც ბევრი მიკროსაწარმო ამოქმედდა კიდევ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობის მიკროდაკრედიტება შეიძლება ჩაითვალოს სიღარიბესა და უმუშევრობის შემცირების ბრძოლის ქმედით ინსტრუმენტად.

მრეწველობის დაკრედიტებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ მიკროსაკრედიტო ორგანიზაციებს, რამდენადაც მათგან მიღებულ მიღებულ მიკროსესხებს მეწარმეთათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ. მიკროსესხებს განსაზღვრული წვლილი შეაქვთ ღარიბი და მცირე შემოსავლიანი სოციალური ჯგუფების დასაქმებაში, მათთვის ინდივიდუალური და ჯგუფური სესხების მიცემით. აქვე შევნიშნავთ, რომ ჯგუფურ სესხებთან საქართველოში პრობლემა შეიქმნა, კონკრეტულ შემთხვევებში ჯგუფის ზოგიერთი წევრი უფრო დაზარადა ვადაგადაცილებული სესხის გამო.

ამდენად მიგვაჩნია, რომ ამ საკითხს იურიდიული დახვეწა სჭირდება. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა და საერთოდ მეწარმეობის მხარდამჭერი მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების ხელშეწყობა და მხარდაჭერა პრიორიტეტული უნდა გახდეს, ასევე საჭიროა დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მუშაობის გააქტიურება და საქმიანობის ამ ფორმების განვითარების კოორდინაციის გაძლიერება.

გარდა მრეწველობისა, დაკრედიტების სფეროში ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ აგროსასურსათო სექტორი საქართველოს ეკონომიკის საფუძველია. ამდენად ამ

სექტორის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიის შემუშავება, დაკრედიტების წილის გაზრდა ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

2008 წლის პირველ ნახევარში სამთავრობო პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდებოდა იაფი კრედიტების პროგრამა საბანკო სექტორის მეშვეობით, გამოყოფილ იქნა 40 მლნ. ლარამდე კრედიტი ხუთი საწარმოს მხარდასაჭერად, თუმცა, როგორც თ. ხომერიკი წერს „მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით ათჯერ აღემატებოდა გამოყოფილ სახსრებს და 9%-იანი განაკვეთებიც არაა აგრარულ სექტორში მოქმედ მეწარმეთათვის მცირე ტვირთი“.¹³

იგივე ავტორი მიუთითებს სხვა ნაკლოვანებაზეც: „თუკი თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა და ფინანსური ცენტრის ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფო თავის არსენალში იყენებს კლასტერიზაციის მექანიზმებს, აგრარული ტერიტორიული ერთეულებისათვის სახელმწიფო თავის არსენალში იყენებს კლასტერიზაციის მექანიზმებს, აგრარული ტერიტორიული ერთეულებისათვის ამგვარი კომპლექსური მიდგომა დღემდე არ შეინიშნება. ამის გარეშე კი სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი ყოველგვარი ინიციატივის (მაგალითად, მანქანა-ტრაქტორის პარკების ჩამოყალიბება და სხვა) გრძელვადიანი პერსპექტივა შეზღუდულია.

მნიშვნელოვანია საერთოდ ეკონომიკის დაკრედიტების გაუმჯობესების ღონისძიებებიც, რომელთაც ქვემოთ ჩამოვაცალიებთ:

1. მართალია დღევანდელი საკანონმდებლო ბაზა ხელს უწყობს ექსპორტის მწარმოებლებს, მაგრამ მნიშვნელოვანია ასეთ მწარმოებელთა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. ამდენად, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები კრედიტის მეშვეობით გამოყენებული უნდა იქნეს იმ დარგების დასაკრედიტებლად, რომლებიც მოცემულ ეტაპზე მომგებიანი იქნება ქვეყნისათვის. ასეთი დარგებია საექსპორტო ნაწარმის: მინერალური წყლების, ღვინის მწარმოებელი დარგები, სიფლის მეურნეობის დარგებიდან კი მეციტრუსეობა, მეხილეობა. ყოველივე ეს კი სასურსათო პრობლემის მოგვარებას, უცხოურ ბაზრებზე გასვლის და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს. სახელმწიფოს როლი ასეთი დარგების განვითარებაში უნდა მდგომარეობდეს შეღავათიანი პირობებით კრედიტის გაცემის ხელშეწყობაში;

¹³ ხომერიკი თ. მიკროფინანსების როლი სასესხო ბაზრის განვითარებაში. ჟ. “საქართველოს ეკონომიკა”. №3. 2008. გვ. 28-30.

2. ეკონომიკის დაკრედიტების ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ სტაბილურობაზე, რაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლია სახელმწიფოს, რომელმაც უნდა შეაჩეროს ინფლაციური პროცესები, შეიმუშაოს რა ანტიინფლაციური პროგრამა;

3. საბანკო კრედიტის პროცენტის სუბსიდირებით და საკრედიტო გარანტიების პროგრამების დანერგვით დაჩქარდება დადებითი შედეგები;

4. ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის ეფექტური ამოქმედება;

5. სახელმწიფოს მიერ კრიზისული მოვლენების შესარბილებელი ადეკვატური ზომების მიღება, რამდენადაც ეკონომიკის დაკრედიტება და საბანკო სექტორის ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული უცხოური ქვეყნების საბანკო სექტორზე და საფინანსო ორგანიზაციებზე;

6. ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი მსესხებლის დაკრედიტება, რადგანაც ომისა და ფინანსური კრიზისის გამო გაიზარდა საკრედიტო განაკვეთები, გამკაცრდა მოთხოვნები მსესხებლების მიმართ, შესაბამისად გაიზარდა რისკები. ამიტომ დაკრედიტებაზე უარის თქმის ფაქტები მომრავლდა;

7. მკაცრი სამართლებრივი ბაზის და მკაფიო წესების შემოღება, რომლებიც რეგულირებას გაუწევენ სპეციალიზირებული საკრედიტო ორგანიზაციების მუშაობას. აღნიშნული ხელს შეუწყობს იპოთეკური დაკრედიტების გერმანული მოდელის განვითარებას;

8. დაკრედიტების რეზერვებისც შექმნისა და გამოყენების თვალსაზრისით ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ეფექტური ურთიერთობის ჩამოყალიბება;

9. საქართველოში არსებული მაღალი საკრედიტო რისკის პირობებში ეკონომიკის რეალური დაკრედიტების და საინვესტიციო დაბანდებების გაზრდის მიზნით საჭიროა კონსორციული და პარალელური დაკრედიტების სისტემის გამოყენება, რისთვისაც საჭიროა ბანკების საინვესტიციო საქმიანობის შესაბამისი მასტიმულირებული მექანიზმების ამოქმედება. ამ მიზნით მნიშვნელოვანია გრძელვადიანი საკრედიტო დაბანდებებიდან კომერციული ბანკების მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავლები გამოიქეითოს მთლიანი საპროცენტო შემოსავლებიდან, ეს კი შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გარკვეულწილად სტიმულს მისცემს ბანკებს მოახდინონ მოზიდული სახსრების გრძელვადიან სესხებად ტრანსფორმაცია;

10. ფინანსური სიძნელეების მქონე საკრედიტო ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობები ფინანსური მდგომარეობის აღსადგენად, რომელთაგან უპირატესობა უნდა მიენიჭოს შემუშავებულ გაუმჯობესების ღონისძიებებს. იძულებით ზომებს უნდა მიმართონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მენეჯმენტი სიტუაციის გამოსწორებას არ ცდილობს და პირიქით – შეგნებულად აუარესებს მდგომარეობას.

11. ეკონომიკის რეალური სექტორის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის გაზრდისათვის სათანადო განვითარება უნდა ჰპოვოს შესაბამისი სამართლებრივი და ეკონომიკური ბაზის პირობებში სალიზინგო მომსახურებამ და სალიზინგო ურთიერთობებში კომერციული ბანკების ჩართვისათვის შესაბამისი მასტიმულირებელი პირობების შექმნამ;

12. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისათვის და ამ საქონლით შიგა ბაზრის გაჯერების მიზნით, ასევე საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაზრდისთვის აუცილებელია გრძელვადიანი კრედიტის გამოყენება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოთა დაკრედიტებაში მოკლე და გრძელვადიანი კრედიტების ოპტიმალურ შეთანაწყობას. მოკლევადიან დაკრედიტებაში საჭიროა თამასუქი დაინერგოს, რადგან მას ბევრი უპირატესობა გააძნია, რომელთაგან აღსანიშნავია:

- ა) იგი არ ითხოვს სესხის უზრუნველყოფის კომპენსაციას;
- ბ) გარანტიას იძლევა მსესხებელს უცვლელი საპროცენტო განაკვეთზე და საწარმო გაცილებით სწრაფად მოიზიდავს სესხებს მოკლევადიანი დაფინანსებისათვის თამასუქის გაყიდვით, ვიდრე საბანკო სესხის აღებით. გრძელვადიანი დაკრედიტება ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს მსხვილი კაპიტალური დაბანდებებისათვის, ინვესტიციური და ინოვაციური სფეროს განვითარებისათვის. გრძელვადიან დაკრედიტებაში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული საფინანსო ბაზრის შესაძლებლობანი;

13. უნდა ამაღლდეს საბანკო მარკეტინგის როლი საწარმოთა დაკრედიტების მექანიზმის სრულყოფაში. მის ძირითად ბაზას უნდა შეადგენდეს:

- ა) ახალი კლიენტების მოზიდვა;
- ბ) მოსახლეობის თავისუფალი სახსრების ანაბრებზე განთავსების სტიმულირება;
- გ) საკრედიტო რესურსების მანევრირება და მათი მოძრაობის დაჩქარება;
- დ) ბანკებს შორის კონკურენციის გაფართოება;

ე) ბანკების მიერ საკრედიტო, საოპერაციო, საინვესტიციო მომსახურების ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა და დახვეწა;

14. ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტებაში დიდ მნიშვნელობას იძენს კომერციული ბანკების საქმიანობის ისეთი მიმართულება, როგორცაა საწარმოთა საპროექტო დაფინანსება. ეს კი მოიცხვს მთავრობის მხრიდან ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას. კერძოდ, საწარმოო სფეროს მაღალი საკრედიტო და საინვესტიციო რისკების სისტემის დროს ბანკების მიერ საინვესტიციო პროექტებზე გრძელვადიანი სესხების გაცემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო გარანტიების არსებობა, თანაც საბანკონ დაკრედიტებაზე საბიუჯეტო გარანტიებშიც გაცემა დაკავშირებული უნდა იყოს შემდეგი პირობების შესრულებასთან:

ა) რამდენად არსებობს საკმარისი საბიუჯეტო რესურსები აღნიშნული გარანტიებისათვის;

ბ) რამდენად პრიორიტეტულია დასაკრედიტებელი სფერო. სახელმწიფო გარანტიების ერთ-ერთ სახედ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ საკრედიტო პროცენტის სუბსიდირება, რაც ბანკებს საშუალებას მისცემს მიიღონ საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, ხოლო მასესხებელ სუბიექტს კი – გადაიხადონ ნაკლები სუბსიდირების ხარჯზე, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას.

შევნიშნავთ, რომ 2009 წლის მეორე ნახევარში თბილისის მერიამ დაახლოებით ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ღონის ძიებებიდან ბოლო პუნქტის მიახლოებული ნაბიჯი გადადგა. მშენებლობასა და ბანკებს შორის გარანტად ჩადგა, რაც ხელს შეუწყობს მშენებლობის დაკრედიტებას და ამ სფეროს გამოცოცხლებას. ეს ყოველივე კი გაზრდის დასაქმებას, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესებას, ასევე ბანკების საკრედიტო საქმიანობის გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

თავი II. საქართველოს საკრედიტო პოლიტიკა

2.1. საკრედიტო პოლიტიკა და მისი რეგულირების მექანიზმის სრულყოფის გზები

საკრედიტო პოლიტიკას ხშირად განმარტავენ როგორც “ბანკის სტრატეგიასა და ტაქტიკას საკრედიტო ოპერაციების სფეროში”¹⁴ ან როგორც „სახალხო მეურნეობის დაკრედიტების სფეროს ღონისძიებათა სისტემას.“¹⁵ საკრედიტო პოლიტიკის განმარტებაში ანალოგიურ მიდგომას ვხვდებით უცხოურ ლიტერატურაში. ასე, მაგალითად, მსოფლიო ბანკის გამოცემაში (ნ. ბრუკის რედაქცია) წერია: „პოლიტიკის გამომუშავება და რეალიზაცია ნიშნავს ორგანიზაციული მოთხოვნების, წესების, კანონებისა და მმართველობითი ფილოსოფიის ინტეგრაციას. ეს კორპორაციული კულტურის განვითარებას უწყობს ხელს.

პოლიტიკის გამომუშავებისას მყარდება ბანკის იმიჯი და საფუძველი ყალიბდება როგორც მომავალი შედეგებისათვის, ისე შიდა და გარე აუდიტისათვის. ზუსტად განსაზღვრულ პოლიტიკაზე მოთხოვნა იზრდება ბანკის გაფართოების, დეცენტრალიზაციის და დამოუკიდებლობის ამადლების მიხედვით. საბანკო პოლიტიკა ჩვეულებრივ ეხება შემდეგ ძირითად ფუნქციებს: დაკრედიტებას, ინვესტიციებს ფასიან ქაღალდებში და შვილობილ კომპანიებს, ხარჯებს კაპიტალური დაბანდებების ფინანსირებაზე, პერსონალს, შიდა კონტროლს და ფინანსურ მართვას. ამ საკითხების შესახებ წინადადებები გამომუშავდება იმ განყოფილებების მმართველებისა და თანამშრომლების მიერ, რომელთაც ეს ეხებათ.

პოლიტიკის გამომუშავება ხშირად ეფუძნება დარგობრივ პოლიტიკას, ტრადიციებს და დირექტორთა საბჭოსა და მმართველების რეკომენდაციებს. ბანკს შეუძლია ისარგებლოს საგარეო წყაროების დახმარებითაც. ამასთან, ნებისმიერი გარე ნასესხობა უნდა იყოს ადაპტირებული ბანკის მოთხოვნებთან. ჩვეულებრივ, ახალი პროცედურები და პოლიტიკა დირექტორთა საბჭოს მიერ უნდა იყოს მოწონებული“.¹⁶

¹⁴ Банковская система России (настольная книга банкира). М. 1995. книга II, 63 გვ.

¹⁵ ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ., 1997. 36 გვ.

¹⁶ Банковское дело и финансирование инвестиций. Под ред. Н. Брука. Всемирный банк реконструкции и развития. 1995. т. II, часть I. 6 გვ.

საკრედიტო პოლიტიკის ზემოთ მოტანილი, ასევე სამამულო და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში არსებული განსაზღვრებები იმის თქმის საშუალებას იძლევიან, რომ მისი შინაარსი არაერთგვაროვანია. პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს საკრედიტო პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური პოლიტიკა. თუმცა ფინანსურის, საფასოს, საგადასახადოს, საპროცენტოსა და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სახეებისაგან განსხვავებით საკრედიტო პოლიტიკა ფლობს განსაზღვრულ სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც მას გამოყოფენ იმ ელემენტების საერთო სისტემიდან, რომლებიც აყალიბებენ ეკონომიკურ პოლიტიკას. საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელოვან გამორჩეულ თავისებურებად ითვლება ის, რომ საკრედიტო პოლიტიკა – ესაა პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია კრედიტის მოძრაობასთან. აღნიშნული მოძრაობა პრაქტიკაში იღებს შემდეგ სახეს: ა) ვალი; ბ) სესხი. კრედიტის ეს ორი სხვადასხვა გამოვლინება პრაქტიკაში განიხილება როგორც დაპირისპირებულობის ერთიანობა, ერთიანი მთლიანის ორი სხვადასხვაობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბანკის საკრედიტო და დეპოზიტურ პოლიტიკას აქვს ერთგვაროვანი საფუძველი და ითვლება როგორც ერთი მედლის ორი მხარე.

საკრედიტო პოლიტიკის ფორმირება მაკროეკონომიკურ დონეზე, რომლის გამტარებლადაც გამოდის ეროვნული ბანკი, გულისხმობს ისეთი ურთიერთდამოკიდებულებების ახსნას, როგორებიცაა საბანკო და საკრედიტო პოლიტიკა. თუ არ იქნა განსაზღვრული საერთო დეფინიცია (საბანკო პოლიტიკა), რთულია და ყოველთვის შეუძლებელია სწორად იქნას შეფასებული უფრო კერძო ცნების – საკრედიტო პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა.

პრაქტიკაში რეალურად ბანკები (ცენტრალური და კომერციული) ატარებენ ფულად, საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო პოლიტიკას. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო პოლიტიკა – ესაა სხვადასხვაგვარი კრედიტორების (არა მარტო ბანკების, არამედ საკრედიტო კოოპერატივების, სამშენებლო საზოგადოებების, ლომბარდების, ურთიერთდახმარების საღაროების და ა.შ.) პოლიტიკა. ამიტომ საკრედიტო პოლიტიკა ყოველთვის შეუძლებელია განხილულ იქნეს საბანკო პოლიტიკის შემადგენელ ელემენტად. თუ მხოლოდ ბანკებზე ვისაუბრებთ, მაშინ საბანკო პოლიტიკა, როგორც განმაზოგადოებელი ცნება, წარმოადგენს შემდეგი ელემენტების ერთიანობას: დეპოზიტური პოლიტიკა; საკრედიტო პოლიტიკა; კლიენტების საანგარიშო – საკასო ორგანიზაციის

სფეროში პოლიტიკა; საპროცენტო პოლიტიკა; საგალუტო პოლიტიკა; ცალკეული საბანკო ოპერაციების (კონსალტინგური, სატრასტო, საფონდო, ელექტრონული და სხვა.) ჩატარების პოლიტიკა. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო პოლიტიკა მოიცავს აგრეთვე შემადგენელი ელემენტების სახით ბანკის რისკების, მისი რენტაბელობის, პერსონალის და ა.შ. პოლიტიკას.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შინაარსის ორი პარალელური პოზიციაა. პირველი მათგანის მიხედვით, საკრედიტო პოლიტიკა მაკროეკონომიკურ დონეზე ჩვეულებრივ განიხილება, როგორც საბანკო პოლიტიკა. მეორე, საკრედიტო პოლიტიკა მიკროეკონომიკურ დონეზე განიხილება, როგორც წესი კონკრეტული ბანკის პოლიტიკა საკრედიტო პროცესის მართვის სფეროში (ვიწრო გაგებით). თუმცა ეკონომისტების ნაწილი ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება. საკრედიტო პოლიტიკა ითვლება უფრო ფართო ცნებად, ვიდრე საბანკო პოლიტიკა.

აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მისი ავტორი საკრედიტო პოლიტიკას განიხილავს მხოლოდ მაკროეკონომიკურ დონეზე როგორც სახელმწიფო პოლიტიკას, ხოლო საბანკო პოლიტიკას – კონკრეტული ბანკის დონეზე. ასეთი განმარტება განპირობებული იყო გეგმიანი ეკონომიკის სისტემის არსებობით. ამ პირობებში საჭირო არ იყო საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება მიკროეკონომიკურ დონეზე – ყოველი ბანკის დონეზე, რამდენადაც მაშინ სახელმწიფო ბანკები ითვლებოდნენ ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლად, მათ შორის დაკრედიტებასთან დამოკიდებულებაშიც. სოციალისტურ ეკონომიკაში საბანკო პოლიტიკა სამთავრობო პოლიტიკის სიძლიერის იყო.

თანამედროვე ეკონომისტთა განმარტებების მიხედვით საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: საკრედიტო პოლიტიკის არსი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა რესურსების მოზიდვის მიხედვით მათი დაბრუნების საფუძველზე და მათი ინვესტირებით ბანკის კლიენტების დაკრედიტების ნაწილი. საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის საგნობრივ მხარეს წარმოადგენს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ფუნქციონალური ფორმები და სახეები.

საკრედიტო პოლიტიკის ფართო და ვიწრო გაგებაც არსებობს. ფართო გაგებით საკრედიტო პოლიტიკა განიხილება ბანკის კრედიტორისა და მსესხებლის პოზიციიდან კლიენტებთან მათ შორის მოსახლეობის დამოკიდებულებაში. ვიწრო

გაგებით საკრედიტო პოლიტიკა – ესაა ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის ნაწილში. რამდენადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკები როგორც ეკონომიკის, ისე მოსახლეობის დაკრედიტების ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ, ყურადღებას გაავამახვილებთ კომერციული ბანკის საქმიანობაში საკრედიტო პოლიტიკის როლზე.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის როლი მდგომარეობს საკრედიტო რესურსების ინვესტირებისა და აკუმულაციის პროცესში საბანკო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრაში, საკრედიტო პროცესის განვითარებასა და მისი ეფექტურობის ამაღლებაში.

ამასთან ერთად, მაკროეკონომიკურ დონეზე ხაზი უნდა გაესვას საკრედიტო პოლიტიკის უდიდეს მნიშვნელობას ეროვნული შემოსავლის ფორმირების, განაწილების და გადანაწილების პროცესებში, ფულადი ბრუნვის დაგეგმვასა და რეგულირების ორგანიზაციაში, ხოლო მაკროეკონომიკურ დონეზე – კონკრეტული ბანკის დონეზე – ბანკის სტაბილურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფაში, რენტაბელობასა და ლიკვიდობაში, კლიენტების მოთხოვნებთან მისი საქმიანობის ადექვატურობაში. ეკონომიკაში ბანკების საკრედიტო პოლიტიკის როლი განისაზღვრება მისი მნიშვნელობით ფულადი სახსრების გადანაწილების პროცესში საბაზრო ეკონომიკის დარგებსა და სფეროებს შორის ბანკების მეშვეობით; დანახოების გადატანაში არასაწარმოოდან საწარმოო ფორმაში; ეკონომიკისა და მოსახლეობის მოთხოვნების ფინანსირებასა და დაკრედიტებაში არაინფლაციურ საფუძველზე, ე.ი. ბრუნვაში დამატებითი ფულადი სახსრების გამოშვების გარეშე.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა-ბანკის კომპლექსურ ღონისძიებებს მოიცავს, რომელთა მიზანს – საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლება და საკრედიტო რისკის შემცირება წარმოადგენს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება განიმარტოს: კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, როგორც ზედნაშენური კატეგორია ეფუძნება ბანკის კლიენტებთან საკრედიტო ურთიერთობების მიღწეული ღონის გამოკვლევებს და მიზანმიმართულია მათ სრულყოფაზე და განვითარებაზე. კრედიტი (ბაზისური კატეგორია) ითვლება ბანკის მიერ შემუშავებული საკრედიტო პოლიტიკის წყაროდ და მისი ეფექტურობისა და ოპტიმალურობის საზომია. ბანკები შეიმუშავებენ საკრედიტო პოლიტიკას პირველ რიგში იმისათვის, რომ ის საშუალებას იძლევა ბანკსა და კლიენტებს შორის ფულადი სახსრების

დაბრუნებითი მოძრაობის შესაბამისი ურთიერთდამოკიდებულება იქნეს რეგულირებული, მართული და რაციონალურად ორგანიზებული. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოების, სახელმწიფოს საბანკო სისტემის და კონკრეტული ბანკის განვითარების დონე. ასეთი მიდგომა ეკონომიკურ ლიტერატურაში საერთოდ მიღებული მიდგომიდან გამოირჩევა იმით, რომ პირველ რიგში აღნიშნული მიდგომა განიხილავს საკრედიტო პოლიტიკას ფართო გეგმით ბანკის კრედიტორისა და მსესხებლის პოზიციიდან, ხოლო მეორე მხრივ, გულისხმობს მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეზე პოლიტიკის გამოყენების შესწავლას.

მაკროეკონომიკურ დონეზე, ქვეყნის ბანკების მიერ გატარებული პოლიტიკის მიზნად ითვლება საბანკო სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერა და მდგრადი წინსვლითი ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფა. შეიძლება ითქვას, რომ კომერციული ბანკის ძირითად მიზნად ითვლება მისი განვითარება ყველაზე ფართო გაგებით. მხედველობაშია მიღებული ბანკის, როგორც კომერციული საწარმოს განვითარება ექსტენსიური განვითარების თვალსაზრისით (რაოდენობრივი მახასიათებლები) და ინტენსიური განვითარების თვალსაზრისით – ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლება (ხარისხობრივი მახასიათებლები), ასევე ბანკის, როგორც სოციალური ინსტიტუტის განვითარება. აქციონერების, ბანკის პერსონალის, საბანკო ზედამხედველობის უზრუნველყოფის პოზიციიდან.

საკრედიტო პოლიტიკა განიხილება, როგორც საბანკო პოლიტიკის ელემენტი, ამიტომ საკრედიტო პოლიტიკის მიზნები ორგანულ კავშირში იმყოფებიან ბანკის საერთო სტრატეგიულ მიზნებთან, თანხმობაში იმყოფებიან რა საბანკო პოლიტიკის მიზნებთან.

კომერციული ბანკის საბანკო პოლიტიკასა და საკრედიტო პოლიტიკას აქვთ საერთო მიზანი – მოგების მიღება მეანაბრეთა ფულადი საშუალებების განთავსებიდან, ასევე ბანკის დინამიური განვითარება მომსახურების სპექტრისა და მოცულობის გაზრდის მიმართულებით, რაც ბანკის მოგების ზრდისა და სტაბილურობის გარანტიას იძლევა. აქედან გამომდინარე, საკრედიტო პოლიტიკის მიზანია მოზიდული სახსრების ეფექტური განთავსებისათვის პირობების შექმნა, ბანკის მოგების სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა (საკრედიტო ოპერაციებიდან შემოსავლების ზრდის და დეპოზიტური ოპერაციების მიხედვით ხარჯების

შემცირების პროცესში, ასევე დაბალი ხარისხის კრედიტების მომსახურებაზე ხარჯები). (იხ. დანართ № 5, 6, 7, 8, 9.)

ამრიგად, ბანკის მიზნები შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ საჭიროა მათი განსხვავება საქმიანობის საერთო სტრატეგიული მიმართულებების და საერთო საბოლოო მიზნების/ამოცანების განვითარების მიხედვით. ბანკის განვითარების კონკრეტულ, კერძო მიზნებში შეიძლება ჩართულ იქნეს მაგალითად, კერძო კლიენტებზე შეთავაზებული მომსახურების სპექტრის განვითარება; კლიენტებთან მუშაობის გაუმჯობესება მაღალი შემოსავლებით; კარტოთეკის გაწმენდა და ა.შ. კომერციული ბანკისათვის განვითარების მიზნები ამოცანები შეიძლება იყოს შემდეგი:

1. საწარმოო მიზნები”
 - ა) ბაზრის წილის შეცვლა (დეპოზიტების, კრედიტების, საბანკო მომსახურების ხვედრითი წილის გაზრდა ბაზარზე);
 - ბ) ბანკის მომსახურებით კლიენტების უზრუნველყოფა;
 - გ) სტრუქტურული მაჩვენებლები;
 - დ) ანგარიშებზე სახსრების საშუალო ნაშთის ზრდა ან შემცირება;
 - ე) ახალი ან დახურული ანგარიშების ზრდა/შემცირება;
2. საბანკო პროდუქტების გასაღების მიზნები;
3. კომუნიკაციის მიზნები (ბანკის ცნობადობის, მისი იმიჯის გაფართოება);
4. ბანკის ფუნქციონირების მიზნები (საქმიანობის სახეები და შესაბამისი პერსონალის არსებობა).

ბანკის განვითარების კერძო მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ საერთო ამოცანა უფრო კონკრეტულად. ეს საბოლოო ტაქტიკური მიზანი უნდა ფლობდეს განსაზღვრულ მახასიათებლებს. ის უნდა იყოს: კონკრეტული, მარტივი, ამბიციური, რეალისტური, გაზომვადი. თუ დასახული მიზნის შესრულება ვერ იზომება რიცხვით გამოსახულებაში, მაშინ შესაძლებელია მისი გაზომვა დროში. თუ მიზანი გაზომვას არ ექვემდებარება, მაშინ აზრი არ აქვს მის დასახვას.

კონკრეტული კომერციული ბანკის დონეზე მისი პოლიტიკა გამოიხატება სტრატეგიისა და ტაქტიკის სახით საბანკო ოპერაციებისა და მომსახურების განხორციელებისა და ორგანიზაციის სფეროში ბანკის რენტაბელობის, საიმედოობის და ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

ბანკის სტრატეგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც მისი რეალიზაციის მიზანი და მეთოდები, ხოლო ტაქტიკა, როგორც მიზნის მიღწევა კონკრეტული სახსრების, ხერხებისა და მეთოდების მთლიანობიდა.

სტრატეგია და ტაქტიკა ერთმანეთთან ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული. ტაქტიკა ითვლება სტრატეგიის ცხოვრებაში ხორცშესხმის კონკრეტულ საშუალებად. ამრიგად, სტრატეგიული მიზნებისა და ოპერაციული ამოცანების შეთანაწყობა, სტრატეგიული და მიმდინარე დაგეგმვა კომერციულ ბანკს საშუალებას აძლევს აიცილოს თავის საქმიანობაში ყოველგვარი წარუმატებლობა, სრულად მოახდინოს თავისი ინტერესების რეალიზაცია კომერციის სამყაროში. აშკარა სტრატეგიული ორიენტაცია ბანკს მნიშვნელოვან იმპულსს აძლევს მეწარმეობრივი საქმიანობის განვითარებისათვის.

ბანკის სტრატეგიულ ორიენტაციასთან (კლიენტზე ორიენტაცია, დანახარჯები, კაპიტალი, ხასიათი) ერთად, რომელიც განსაზღვრავს საბანკო და რელათიურად საკრედიტო საქმიანობის წარმატებას, შეიძლება გამოიყოს ბანკის მენეჯმენტის ხარისხი და კვალიფიკაცია, მისი მარკეტინგული აქტიურობა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მეწარმეობის კულტურის არქონა, მართვის არაეფექტური სისტემა, რაც ვფიქრობთ ქვეყნის ეკონომიკის საბანკო სექტორის განვითარებაში მუხრუჭს წარმოადგენს. მარკეტინგისა და მენეჯმენტის გაუმჯობესებით 90-იანი წლების შემდეგ აღნიშნული ქვეყნის საბანკო სფერო მკვეთრად გაუმჯობესდა. ასეთ ქვეყანათა რიცხვშია საქართველოც.

საკრედიტო პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სრულადაა ხორცშესხმული ბანკის სტრატეგიისა და ტაქტიკის ყოველ ეტაპზე შემუშავებული მიზანდასახულობანი. კლიენტების დაკრედიტების სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხების გადაწყვეტა განსაზღვრავს ბანკის, როგორც კომერციული საწარმოს განვითარებაში საკრედიტო პოლიტიკის როლს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზნები შეიძლება იყოს: საკრედიტო ბაზრის ანალიზი და მიზნობრივი ბაზრების განსაზღვრა საკრედიტო რისკის მინიმიზაციის მიზნით; მოგების მაქსიმიზაცია დაკრედიტების პროცესში და დეპოზიტებში სახსრების მოზიდვა; ბანკის სადეპოზიტო და საკრედიტო პორტფელის მართვის ოპტიმიზაცია; პრობლემური ვალების წილის შემცირება; ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნება კრედიტების (სესხების და ვალების) მართვის პოზიციით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთიანი (ერთნაირი) საკრედიტო პოლიტიკა ყველა ბანკისათვის. ყოველი კონკრეტული ბანკი განსაზღვრავს თავის საკუთარ საკრედიტო პოლიტიკას, ითვალისწინებს რა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ პოლიტიკას მისი ფუნქციონირების რეგიონში ან რაც უფრო სწორეა, ყურადღებას აპყრობს იმ გარე და შიდა რისკების ერთობლიობას, რომლებიც ახდენენ გავლენას მოცემული ბანკის მუშაობაზე. ბანკის ერთობლივი (მთლიანი) რისკი იზრდება, თუ ამ ბანკს არ აქვს საკუთარი საკრედიტო პოლიტიკა, ან აქვს დაბალი ხარისხის (ურთიერთსაწინააღმდეგო, არაკონკრეტული) საკრედიტო პოლიტიკა, ან და ვერ შეძლო კონკრეტულ შემსრულებლამდე დაეყვანა მისი ძირითადი დებულებები, რაც ეჭვქვეშ აყენებს საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის შესაძლებლობას.

საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისას ბანკები აანალიზებენ იმ ფაქტორების უმრავლესობას, რომელსაც უშუალო გავლენა აქვთ მათ საქმიანობაზე. მათ შორის უნდა გამოიყოს მაკროეკონომიკური ფაქტორები – ყველა ბანკზე მოქმედი და მიკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც კონკრეტული ბანკის მუშაობაზე ახდენენ გავლენას.

საბანკო პოლიტიკა მთლიანობაში და კერძოდ კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა თანამედროვე – საბაზრო ურთიერთობების ეტაპზე დამოკიდებულია ფაქტორების ორ ჯგუფზე. პირველ ჯგუფში გამოიყოფა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის საგარეო პოლიტიკას (ბაზრის მდგომარეობა, სადაც ფუნქციონირებს ბანკი, რისკები, ინფლაციის დონე, კონკურენცია, საბანკო ოპერაციებზე და მომსახურებაზე მოთხოვნა და ა.შ.).

ბანკის საკრედიტო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა, ასევე იმ რეგიონის, რომელშიც ბანკი თავის საქმიანობას ავითარებს. ესენი საგარეო რისკების ჯგუფს მიეკუთვნებიან (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური), რომლებიც არ არიან დაკავშირებული ბანკის ან მისი კლიენტების მუშაობაზე.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ბევრწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკა. საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბანკის ფუნქციონირების რეგიონალური სპეციფიკა ექვემდებარება ზემოქმედებას:

- ა) რეგიონში ბანკსა და მის კლიენტებს შორის შექმნილ ურთიერთობას;

ბ) საბანკო საქმიანობისა და მომგებიანობის სპეციალიზაციას;

გ) მოცემულ რეგიონში საბანკო ოპერაციებსა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და მოწოდებას შორის თანაფარდობას.

საკრედიტო პოლიტიკის მეორე ჯგუფში გამოიყოფა ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის შიდა პოლიტიკას (ბანკის პრიორიტეტები ახლო შორეულ პერსპექტივაში საკუთარი საქმიანობის განვითარების მიხედვით: შემოსავლიანობა, ლიკვიდობა, კლიენტურის გაფართოება, ახალი ბაზრების ათვისება, ოპერაციებისა და მომსახურების ახალი სახეების დანერგვა და სხვა. მეორე ჯგუფის ფაქტორებში ძირითადად ითვლებიან:

- ბანკის საკრედიტო პოტენციალი;
- ვალების ცალკეული სახეების მომგებიანობისა და რისკიანობის ხარისხი;
- დეპოზიტების სტაბილურობა;
- შესრულებული ოპერაციებისა და მომსახურების სპექტრი;
- ვალების უზრუნველყოფა;
- ბანკის პერსონალის პროფესიული მომზადებულობა, კვალიფიკაცია და

გამოცდილება;

- ბანკის კლიენტურა;
- საკრედიტო პორტფელის ხარისხი;
- ბანკის საფასო პოლიტიკა;
- რისკ-მენეჯმენტის დონე.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი განისაზღვრება, როგორც სიდიდე ბანკში მობილიზებულმა სახსრებისა, მინუს ლიკვიდურობის რეზერვი. კომერციული ბანკის ლიკვიდურობის საერთო რეზერვი დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული საგადადებულო რეზერვის ნორმაზე და თვით ბანკის მიერ დამოუკიდებლად განსაზღვრული ლიკვიდურობის რეზერვის დონეზე. ყოველი კომერციული ბანკი ისწრაფის შექმნას ლიკვიდური სახსრების მინიმალური რეზერვი და უზრუნველყოს მაქსიმალური საკრედიტო პოტენციალი, თავისი ლიკვიდობიდან, საიმედოობიდან მომგებიანობიდან გამომდინარე.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის დონე თავის მხრივ განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: ბანკში მობილიზებული სახსრების საერთო სიდიდე; დეპოზიტების სტრუქტურა და სტაბილურობა; ცენტრალურ ბანკში საგადადებულო რეზერვების დონე; მიმდინარე რეზერვების გამოყენების რეჟიმი

მიმდინარევე ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის; ბანკის ვალდებულებების საერთო ჯამი და სტრუქტურა.

საკრედიტო პოტენციალის სახსრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი თანასწორობა პრაქტიკაში ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება.

დაკრედიტების რისკიანობის ხარისხი კომერციულ ბანკში განისაზღვრება კომერციული ბანკის ტიპის მსესხებლის ტიპის, მასესხებლის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით, ასევე სესხის მიხედვით გარანტიის ან უზრუნველყოფის არსებობით, დროის მიხედვით რისკის განაწილების შესაბამისად. ამ კრიტერიუმებზე დამოკიდებულებით განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთიც ყოველ გაცემულ სესხზე.

საბანკო რისკები სხვადასხვა არსებობს. სპეციალიზირებულ (მაგალითად, ინოვაციურ ბანკში) ჭარბობს გაზრდილი (მაღალი) რისკები, რომლებიც დაკავშირებულია იმ სარისკო საწარმოების დაკრედიტებასთან, რომელთა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია გულისხმობს, რომ მისი რეალიზაცია პირველ ხანებში გაძნელებული იქნება. ეს მოითხოვს საბანკონ რისკების რეგულირების განსაკუთრებულ ხერხებს, კერძოდ, გარანტიის მიღებას, საგირავნო უფლების მიღებას და სხვა. დარგობრივ ბანკში სხვებთან ერთად აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს იმ რისკის დონე, რომელიც დაკავშირებულია მოცემული დარგის ეკონომიკურ განვითარებასთან. ამასთან დაკავშირებით ყოველმა ბანკმა უნდა შეიმუშაოს მართვის საკუთარი ოპტიმალური მოდელი, რისკების რეგულირება, რომელსაც ის აწყდება მუდმივად ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო.

ბანკის კლიენტების შემადგენლობა განსაზღვრავს ბანკის რისკის გამოთვლისა და მისი ხარისხის მეთოდს. წვრილი მსესხებელი საბაზრო ეკონომიკის შემთხვევითობასთან დაკავშირებულ რისკებს უფრო მეტად ექვემდებარება, ვიდრე მსხვილი. ამავე დროს მსხვილი კრედიტები, რომლებიც გაცემულია ერთ მსესხებელზე ანდა დარგის, რეგიონის ან ქვეყნის მსესხებელთა ჯგუფზე, ხშირად არის საბანკო გაკოტრებისდ მიზეზი. ამიტომ მსხვილი კრედიტების გაცემის რისკი რეგულირების მეთოდებიდან ერთ-ერთია მათი ზომის შეზღუდვა. ბანკის კლიენტების შერჩევისადმი არაკრიტიკული მიდგომის შემთხვევებში, უმეტესად არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის მქონე კლიენტებისას იზრდება რისკის ხარისხი დაკრედიტებისას.

რისკის განაწილება დროში ითვლება მნიშვნელოვან ფაქტორად საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

აყალიბებენ რა საკრედიტო პოლიტიკას, კომერციულმა ბანკებმა უნდა გაითვალისწინონ დეპოზიტების სტაბილურობა, დეპოზიტების სახეები და მათი ცვლილება. საკრედიტონ რისკების შემცირებისათვის მიზანშეწონილია დეპოზიტების სტაბილურობის კოეფიციენტების გამოთვლა მოცემული ბანკის საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე და საჭიროა იხელმძღვანელონ მიღებული მონაცემებით დეპოზიტების აქტივებში განთავსებისას. მნიშვნელოვანია ასევე საპროცენტო რისკის გავლენის გათვალისწინება, რომლებიც წარმოიშობა დეპოზიტების ფორმირებისას.

საბანკო ოპერაციების და მომსახურების ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის შეფასებისათვის და მისი პერსპექტივაში განვითარებისათვის საკმარისი არაა მხოლოდ იმ შიდა და გარე ფაქტორების მთლიანობის გამოვლენა, რომლებიც კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკას განსაზღვრავენ. მნიშვნელოვანია აგრეთვე მათ გავლენას ბანკის მუშაობაზე შეფასება მიეცეს. ამიტომ ბანკები ატარებენ ბაზრის მარკეტინგულ კვლევას, რომლებიც საშუალებას იძლევიან შემუშავდეს უფრო მეტად ეკონომიკურად დასაბუთებული პოლიტიკა.

მთლიანობაში, ზემოთ მოტანილი ფაქტორული ანალიზი საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ აზრი, რომ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა გამოხატავს ბანკის პოლიტიკას საერთო სახელმწიფო და ინდივიდუალურ პრიორიტეტებს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკას აქვს თავისი საზღვრები. საკრედიტო პოლიტიკის საზღვრებს განიხილავენ რა, როგორც განსაზღვრულ ზღვარს, დასაშვებ ნორმებს, ადასტურებენ, რომ საკრედიტო პოლიტიკა განისაზღვრება (შემოსისაზღვრება):

ა) ცენტრალური ბანკის საკრედიტო პოლიტიკით, რომელსაც აქვს კონკრეტული გამოვლინება კომერციული ბანკის საქმიანობის ეკონომიკური ნორმატივების ლიმიტების და სხვა მაჩვენებლებისათვის;

ბ) კომერციული ბანკის საკუთარი სტრატეგიითა და ტაქტიკით. ამასთან, საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციისას საზღვრები განისაზღვრება (ან უნდა განისაზღვროს) ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ფაქტორების გავლენით. გამსხვილებულად, საკრედიტო პოლიტიკის საზღვრები მაკროეკონომიკურ დონეზე განისაზღვრება ეკონომიკის მოთხოვნებით, ხოლო მიკროეკონომიკურ დონეზე (კომერციული ბანკის დონეზე) – საკრედიტო

პოტენციალით ან ბანკის უფრო ფართო რესურსული ბაზით და ბაზრის კონიუნქტურით, რომელზეც იგი ფუნქციონირებს.

საკრედიტო პოლიტიკის საზღვრების პირობითი დაყოფა გულისხმობს გამოყოფას:

1) ეკონომიკური საზღვრების, რომლებიც განისაზღვრება ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ზემოქმედებით, ასევე ბანკის შესაძლებლობებსა და წარდგინებებზე საკრედიტო ექსპანსიის ან რესტრიქციის მიზანშეწონილობების მიხედვით;

2) ადმინისტრაციული საზღვრების (ბანკის საქმიანობის ნორმები და ნორმატივები, მათ შორის ცენტრალური ლიმიტები და საკრედიტო ოპერაციების შესრულებაზე თვით ბანკის მიერ დადგენილი დაკრედიტების საკონტროლო ციფრები); საკრედიტო ურთიერთობების სუბიექტების დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება გამოიყოს:

3) საგარეო საზღვრები (მაკრო – და მიკროეკონომიკურები, ინდივიდუალურები) და

4) საშინაო (ბანკის აქციონერებთან, დამფუძნებლებთან, პერსონალთან საკრედიტო ურთიერთობების საზღვრები);

5) დროებითი საზღვრები (განსაზღვრავენ საკრედიტო ურთიერთობის ვადიანობის პრიორიტეტებს);

6) სივრცითი საზღვრები (გეოგრაფიული, ბანკის ფუნქციონირების ტერიტორიული საზღვრები);

7) ხარისხობრივი საზღვრები (განსაზღვრავენ საკრედიტო პორტფელის ხარისხს);

8) რაოდენობრივი საზღვრები (ლიმიტები, დაკრედიტების საკონტროლო ციფრები; განისაზღვრება საკრედიტო პოტენციალით). საკრედიტო პოლიტიკის

9) ქვედა და

10) ზედა საზღვრები.

საბოლოოდ შეიძლება გაგვაკეთოს დასკვნა, რომ კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა ატარებს ობიექტურ საწყისს (ე.ი. ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის ცენტრალური ბანკის ერთიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკას) და ამასთან ერთდროულად ის განისაზღვრება კომერციული ბანკის საკუთარი სტრატეგიისა და ტაქტიკით, ე.ი. თავის თავში ატარებს სუბიექტურ საწყისს, რაც საშუალებას აძლევს განსაზღვროს არსობრივად საკრედიტო

პოლიტიკის დუალისტური ბუნება, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი და ინდივიდუალური პოლიტიკის გამოხატულება. კომერციული ბანკის ობიექტური და სუბიექტური მიდგომების ერთიანობა საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების პროცესში საშუალებას იძლევა უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული ყველა ის ფაქტორი (საშინაო და საგარეო), რომლებიც ზემოქმედებენ კომერციული ბანკის საქმიანობაზე და რომლებიც განაპირობებენ მის პოლიტიკას, და როგორც შედეგი შემუშავებულ იქნას ბანკის უფრო მეტად რაციონალური, ოპტიმალური, ეფექტური საკრედიტო პოლიტიკა.

ბანკის საკრედიტო სტრატეგია ამასთან დაკავშირებით მოითხოვს ღრმა ანალიზის ჩატარებას. კონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, კომერციულ ბანკს შეგვიძლია შევთავაზოთ ანალიზის ძირითადი მიმართულებების შემდეგი რეკომენდაციები:

- პერსონალის შერჩევა და მომზადება (პერსონალის კორპორატიული კულტურა საკრედიტო პოლიტიკის გატარების სფეროში);

- საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის შეფასება და კონტროლი;

- ფარწარმოქმნა რისკის ხარისხის გათვალისწინებით;

- ბანკის ოპერაციების დივერსიფიკაცია; ეკონომიკის სექტორების, რეგიონის, ოპერაციისა და მომსახურების სახეების მიხედვით ისე, რომ შემცირდეს ბანკის საკრედიტო რისკი. რაც უფრო საგულდაგულოდ გატარდება დივერსიფიკაციის პოლიტიკა, მით უფრო მეტად შემოსახლვრავს, შეამცირებს სპეციფიკურ (შიდა) საბანკო რისკს. თუმცა ბანკის საერთო რისკი მოიცავს არა მარტო შიდა, არამედ გარე რისკებსაც;

- რეზერვების შექმნა კრედიტების მიხედვით დანაკარგების დაფარვაზე ბუღალტრული აღრიცხვიდა და დაბეგვრის წესების შესაბამისად;

- გულდასმითი კონტროლი და ზედამხედველობა პრობლემურ სესხებზე.

ანალიზის მიღებული მონაცემების საფუძველზე ბანკს შეეძლება შეიმუშაოს შემდგომი განვითარების კონცეფცია. კარგად ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად განისაზღვროს ბანკის ორიენტაცია, დასაბუთდეს ბანკის მიერ შერჩეულ განვითარებისა მიმართულებებში კორექტირებები.

ამასთან, კომერციული ბანკის საგარეო პოლიტიკა საკრედიტო ორგანიზაციის პროცესის ნაწილში უნდა დაკონკრეტდეს შემდეგზე:

- ბანკი როგორ აფასებს ქვეყანაში ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციას და მის დინამიკას, ფაქტორებიდან გამომდინარე როგორ შეზღუდვებს დააწესებს

თავის საკრედიტო საქმიანობაზე დეპოზიტებში სახსრების მოზიდვისა და სესხების გაცემის მიხედვით);

- ბანკი როგორ მიზნობრივ ბაზრებსა და ბაზრის სეგმენტებს თვლის პერსპექტიულად დაკრედიტებისათვის (და როგორი მოცულობით), ხოლო როგორებს – აბსოლუტურად მიუღებლად;

- როგორ მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს პოტენციური მსესხებლები მათი კრედიტუნარიანობის ანალიზის პოზიციიდან;

- როგორი შეზღუდვები წესდება დაკრედიტების პროცესზე არსებული ნორმატიული ბაზიდან, ზედამხედველობისა და რეგულირების ორგანოებიდან, ასევე აქციონერებისა და მეწილეების საერთო კრების გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.

ბანკის შიდა პოლიტიკა უნდა შეეხოს შემდეგს:

- საკრედიტო პროცესის მართვის ორგანოებისა და ქვედანაყოფების სტრუქტურას;

- საკრედიტო კომიტეტის უფლებამოსილებასა და შემადგენლობის ფორმირებას;

- კრედიტების დამტკიცების პროცედურას მათი პარამეტრების და მიხედვით;

- რისკისა და შემოსავლიანობის დონეებს, რომლებიც მისაღებია ბანკისათვის კრედიტების ხარისხზე დამოკიდებულებით;

- ლიკვიდობის მაჩვენებლებს, შემოსავლიანობასა და კაპიტალის საკმარისობას, რომელთაც ბანკი თვლის თავისთვის ოპტიმალურად, და კრიტერიალური დონიდან კრიტიკულად გადახრებს;

- საკრედიტო ტექნოლოგიებს, რომელთაც ბანკი თვლის თავისთვის სავალდებულოდ;

- საკრედიტო დეპარტამენტის თანამშრომლებისადმი მოთხოვნებს.

როგორც ირკვევა, ბანკმა კრედიტის სფეროში თავისი პოლიტიკის რეალიზაციისას შესაბამისი მოთხოვნები და კორექტირება უნდა განახორციელოს. შაკრედიტო პოლიტიკის კორექტირებაზე კარგად წერენ ამერიკელი ეკონომისტები: „მას შემდეგ, რაც ბანკმა ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკა კრედიტის სფეროში, მან უნდა გაითვალისწინოს მისი სათანადო რეალიზაციის წესები.

პოლიტიკის განხორციელება უნდა დაეკისროს გარკვეულ პირებს. სევე გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი პერიოდული ანალიზისა და შეფასების შესაძლებლობა აუცილებელი ცვლილებების შეტანის მიზნით. უცილებელია იმის

ცოდნა, რომ სასესო პოლიტიკა, ეს არის ხელმძღვანელობა მოქმედებაში და დამაწყნარებელი პერანგი. თუ იცვლება ეკონომიკური პირობები, უნდა მოხდეს საკრედიტო პოლიტიკის კორექტირებაც.

საკრედიტო პოლიტიკის პრინციპები საკრედიტო პროცესის საფუძვლად ითვლებიან, შესაბამისად რაც უფრო სრულად ფლობს მათ ბანკი, მით მისი საქმიანობა ეფექტურია ლიკვიდობისა და შემოსავლიანობის უზრუნველყოფის პოზიციიდან. ნუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკრედიტო პოლიტიკის პრინციპებში იგულისხმება ძირითადი წესები, საწყისი მდგომარეობა მისი შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციისათვის. გამოყოფენ საკრედიტო პოლიტიკის საერთო და სპეციფიკურ პრინციპებს.

საერთო პრინციპებში იგულისხმება ერთიანი პრინციპები ცენტრალური ბანკის სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკისათვისაც, რომელიც ტარდება მაკროეკონომიკურ დონეზე, და ყოველი კონკრეტული კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკისათვის.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის პრინციპები ასტიმულირებს საკრედიტო ურთიერთობების სუბიექტების ეკონომიკურ დაინტერესებულობას თავიანთი საქმიანობის საუკეთესო შედეგებისათვის ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ დიდი მნიშვნელობა საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას მთელი ეროვნული მეურნეობის მასშტაბით. საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კრედიტის გამოყენების უზრუნველყოფა მისი არსის შესაბამისად. მრიგად, საკრედიტო პოლიტიკა გამოდის მისი პრინციპების რეალიზაციის ხერხების სახით. ამასთან, საკრედიტო პოლიტიკის ხარისხი განისაზღვრება პირველ რიგში მისი განმაპირობებელი პრინციპების შესრულების ხარისხით.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის საერთო პრინციპებიდან უნდა გამოიყოს: მეცნიერული დასაბუთებულობა, ოპტიმალურობა, ეფექტურობა, ასევე საკრედიტო პოლიტიკის ერთიანობა, მისი ელემენტების უწყვეტი კავშირი.

შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკა შეესაბამება იმ მიზნებს, რომელთაც ბანკი თავისი განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე აყენებს. შესაბამისად, მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული საკრედიტო პოლიტიკა იდეალში ითვლება ოპტიმალურად, უფრო ეფექტურად, უკეთესად ბანკისათვის (როგორც ცენტრალური, ისე კომერციულისათვის).

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის სპეციფიკურ პრინციპებს მიეკუთვნება: შემოსავლიანობა, მომგებიანობა, (რამდენადაც ნებისმიერი

კომერციული ბანკის ფუნქციონირების ძირითად მიზანს წარმოადგენს მაქსიმალურად შესაძლო მოგების მიღება), ასევე უსაფრთხოება, საიმედოობა (რამდენადაც ბანკი ესწრაფის მიიღოს შემოსავალი არა ნებისმიერ ფასად, არამედ იმ რეალური ბაზრის გათვალისწინებით, სადაც ის თავის საქმიანობას ავითარებს).

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვა შეადგენს ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ეფექტურობის ამაღლების პირობას. მთლიანობაში სწორედ ამ პრინციპების დაცვა შეიძლება ჩაითვალოს ეფექტური, ოპტიმალური საკრედიტო პოლიტიკის კრიტერიუმებად.

ამასთან მნიშვნელოვანია მხედველობაში იყოს მიღებული ის, რომ მთლიანობაში (მაკრო – და მიკროეკონომიკურ დონეზე) საკრედიტო პოლიტიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ოპტიმალური, ეფექტური, როდესაც მასში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული საზოგადოების, ეკონომიკის მეურნე სუბიექტების, ინვიდუმების ინტერესები.

საკრედიტო პოლიტიკას აქვს მთელი რიგი ელემენტები, რომლებიც საშუალებას იძლევიან საკრედიტო პოლიტიკის შესახებ გვექონდეს საუბარი. შეიძლება ითქვას, რომ საკრედიტო პოლიტიკის სახეების შესახებ საკითხი შედარებით ახალია და ამდენად დეტალურადაც არ არის განხილული. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება გამოვლენო ბანკის ერთ-ერთ გამოცემაში მოტანილი განყოფილება „საკრედიტო პოლიტიკის სახეები და მეთოდები“, სადაც არ არის დასახელებული აღნიშნული სახეები და მეთოდები

სახეებისგან დამოუკიდებლად ბანკის საკრედიტო პოლიტიკას აქვს შიგა სტრუქტურა. საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ:

- 1) ბანკის სტრატეგია საკრედიტო პროცესის ძირითადი მიმართულებების შემუშავების მიხედვით;
- 2) ბანკის ტაქტიკა დაკრედიტების ორგანიზაციის მიხედვით;
- 3) კონტროლი საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციაზე.

„საკრედიტო პოლიტიკის ელემენტები თავის პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობენ საკრედიტო პოლიტიკის ორგანიზაციულ ფორმებში, ე.ი. საკრედიტო პოლიტიკის ეალიზაციის ხერხები, მეთოდებში“ ებისმიერ ბანკის საკრედიტო პოლიტიკა წარმატებულია, თუკი მისი რეგულირების მექანიზმი სრულყოფილი იქნება. მდენად საჭიროდ მიგვაჩნია საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ინსტრუმენტებზე და სრულყოფის გაზეზზეც ვისაუბროთ.

2.2. საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების ინსტრუმენტები და მათი გამოყენების სრულყოფა

თანამედროვე საქართველოსთვის დასაქმებისა და ინფლაციის დაბალი დონის საკითხები მეტად აქტუალურია, შესაბამისად საჭიროა ქვეყნისათვის სწორი და ეფექტური საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრა და ამავე დროს რეგულირების მექანიზმების სრულყოფა. მით უმეტეს, რომ საკრედიტო პოლიტიკა მონეტარულთან ერთად ღონისძიებების კომპლექსია და მიმართულია მიმოქცევაში ფულის მასის, კრედიტის მოცულობის, საპროცენტო განაკვეთების დონის ოპტიმალური ცვლილებების უზრუნველყოფისათვის.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელობაზე მრავალი ქართველი თუ უცხოელი ექსპერტი მიუთითებს. ა. გაბრიჭიძე წერს: „ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიწოდებულია გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორებიცაა: 1. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა; 2. ეროვნული ვალუტის სტაბილურობა; 3. მოსახლეობის რაციონალური დასაქმება; 4. ოპტიმალური საგადასახადო ბალანსის ფორმირება და ა.შ.“¹⁷

საკრედიტო-ფულადი რეგულირების მეთოდების შერჩევა ითვლება გადამწყვეტად, რამდენადაც გამოყენებული ინსტრუმენტები ერთნაირი ეფექტურობით არ გამოიჩენიან. ზოგიერთი მათგანი საჭიროებს სხვა ინსტრუმენტების სავალდებულო დამატებას (შესაბამისად, ერთობლივი გამოყენებით), მაშინ, როცა სხვები მხოლოდ შეიძლება აღტერნატიულები იყოს (შესაბამისად, მათი ურთიერთგამოყენება გამოირიცხება).

საკრედიტო ფულადი-პოლიტიკის ინსტრუმენტები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით კლასიფიცირდება. პირველ ყოვლისა, ეკონომიკაზე მონეტარული ზემოქმედების ყველა მეთოდი პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პრიორიტეტული დარგების, ეკონომიკის სექტორების ან რეგიონების განვითარებაზე ზემოქმედი (სტრუქტურული პოლიტიკა); მთლიანობაში კონიუნქტურაზე ზემოქმედი (კონიუნქტურული პოლიტიკა).

რეგულირების მაკროეკონომიკური მეთოდების სისტემაში საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ორადი ბუნება (გაორება) მდგომარეობს იმაში, რომ ზემოქმედების

¹⁷ გაბრიჭიძე ა. ფულად-საკრედიტო სფეროს თანამედროვე მდგომარეობა. ჟ. „ეკონომიკა“. №12. 2005. 59-62 გვ.

გაბატონებული სფეროს მიხედვით ის მიეკუთვნება კონიუნქტურული ბუნების ბერკეტებს. ამასთან ერთად ცალკეული დარგების, სექტორების და რეგიონების (მაგალითად, მიზნობრივი კრედიტების გაცემა შეღავათიანი განაკვეთებით) განვითარების სტიმულირების სელექციური ხერხების გამოყენების შემთხვევაში ის ფუნქციონირებს, როგორც სტრუქტურული პოლიტიკის ინსტრუმენტი.

ანსხვავებენ ინსტრუმენტებს: შინაგანი და გარეგანი მიზნების მიღწევისათვის: ეკონომიკური (ირიბი) ზემოქმედების მეთოდებს, რომლებიც მიმართულია საბაზრო მექანიზმების მთლიანობაზე და ადმინისტრაციული (პირდაპირი) ზემოქმედების მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებენ ამ მთლიანობის შეზღუდვას (შემოფარგვლას); ფასებში ჩარევა (პროცენტის ნორმა და სავალუტო კურსი) და რაოდენობრივ კატეგორიებში ჩარევა. თუმცა მეთოდების კლასიფიკაცია, გამართლებული შემეცნებითი თვალსაზრისით არ პასუხობს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის რეალიებს, რომელიც პრაქტიკაში უფრო რთული ჩნდება. მართლაც, მეთოდების კლასიფიკაცია კონკრეტიზირებულ მიზნებთან შედარებით არ შეიძლება იყოს უნივერსალური და დარჩეს ურყევი (მყარი) ინსტრუმენტების შერჩევის საფუძველში დევს „კომპენსაციური რეგულირების“ პრინციპი, რომელიც გულისხმობს ღონისძიებების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კომპლექსის გამოყენებას ეკონომიკური კონიუნქტურიდან კრედიტზე ხელმისაწვდომობის გადაადგილების ან გართულების გზით. ეკონომიკის „გადახურების“ პირობებში და ინფლაციური პროცესების განვითარებისას ტარდება „ძველი ფულის“ პოლიტიკა. და პირიქით, „იაფი ფულის“ პოლიტიკას ანუ საკრედიტო ექსპანსიას მიმართავენ კაპიტალდაბანდებების და საქმიანი აქტივობის სტიმულირებისათვის. იგულისხმება, რომ პირველ შემთხვევაში მოხდება შეკვეცა, საკრედიტო დაბანდებისა და ფულადი მასის მოცულობის შემცირება, მეორეს დროს კი – გაფართოება. ამგვარად მოხდება ზემოქმედება კონიუნქტურაზე სასურველი მიმართულებით. ყურადღებას გაავამახვილებთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების გზებზე. მ. ჯიბუტი განმარტავს, რომ „მონეტარული პოლიტიკის განხორციელება არის მონეტარული ინსტრუმენტებით ამ პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის მოქმედება, მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისათვის შესაბამისი დიზაინის შერჩევის და დანერგვის პროცესი“.¹⁸ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ამა

¹⁸ ჯიბუტი მ. ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტები განვითარებად ქვეყნებში და მათი რეალიზაციის გზები საქართველოში. დისერტაცია ეკ. მეცნ. კანდიდატის სამეც. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2005. 45 გვ.

თუ იმ მიმართულების შეფასება დამოკიდებულია მოცემული ეკონომიკის ფინანსურ სტრუქტურაზე და მაკროეკონომიკურ გარემოზე. ამ მხრივ, საოჯახო მეურნეობების, ფირმებისა და ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური მდგომარეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს მონეტარული პოლიტიკის გავრცელებაში.

ზემოთ აღნიშნული მონეტარული პოლიტიკის გადაცემის თითოეულ მიმართულებას განვიხილავთ:

საპროცენტო განაკვეთის პირდაპირი ეფექტი – მონეტარული პოლიტიკის განხორციელების უმრავლეს სტანდარტულ მოდელში პოლიტიკის ცვლილებას მიყვავართ ფულის მიწოდების ცვლილებისაკენ. ამის შედეგად იცვლება ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები. პოლიტიკისა და ბანკთაშორისი განაკვეთების ცვლილება იწვევს სესხის ამადლებისათვის ბანკის კრედიტის განაკვეთების ცვლილებას, რომელიც გავლენას ახდენს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე და სადეპოზიტო განაკვეთებზე. ამასთან, დგება საკითხი, თუ ცენტრალური ბანკის პირდაპირ ცონტროლს დაქვემდებარებული (ჩვეულებისამებრ ოვერნაითის ბანკთა-შორისი განაკვეთი) რომელი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გამოიწვევს პოლიტიკის ცვლილებას და რამდენად მოახდენს ზემოქმედებას ფულადი ბაზრის ყველა მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც შემდეგ ჯაჭვურად გავრცელდება საპროცენტო განაკვეთების მთელ სპექტრზე.

გარდა ამისა, ზღვრული და საშუალო განაკვეთების დიფერენცირებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს რეალურ და ნომინალურ განაკვეთებს შორის არსებული სხვაობა. რეალური საპროცენტო განაკვეთი გავლენას ახდენს კრედიტის ზღვრულ ღირებულებაზე, რაც განსაზღვრავს ხარჯებისა და დანაზოგების შესახებ სუბიექტების ქცევებს. მაშინ, როდესაც ნომინალური საპროცენტო განაკვეთების ზრდა ასახავს ინფლაციურ მოლოდინს (როდესაც რეალური განაკვეთი რჩება მუდმივი), მაგრამ ის არ შეცვლის კრედიტის ზღვრულ ღირებულებას, არამედ მხოლოდ სიგნალს იძლევა მსესხებლის (სესხის ამდების) ფულადი ნაკადებისა და საბალანსლო პოზიციის ცვლილების შესახებ. იგი შეცვლის საშუალო საპროცენტო განაკვეთს, ვინაიდან დაკავშირებულია საპროცენტო გადასახდელის იმ ნაწილის მატებასთან, რომელიც ინფლაციის გამო მარჟის/პრემიის ზრდას იწვევს. ამიტომ ინფლაციის ცვლილება სესხები ვადიანობაზეც ახდენს გავლენას. ამ ფულადი ნაკადების ეფექტმა კი შეიძლება იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა ერთობლივ მოთხოვნაზე.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ასევე ზემოქმედებს აქტივების ფასებზეც, როდესაც არსებობს ისეთი აქტივების ბაზრები (ძირითადად ობლიგაციები, აქციები), რომელთაც აქვთ გრძელვადიანი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მაშინ მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ზრდა იწვევს ამ აქტივების ფასების შემცირებას, რაც უფრო განვითარებულია ბაზრები, მით უფრო ძლიერია გადაცემის ეს არხი.

როდესაც აქტივების ფასებისა და ბალანსის მეშვეობით მონეტარული პოლიტიკა ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე, მაშინ სუბიექტების ეკონომიკური აქტივობა ადეკვატურად რეაგირებს ამ მოქმედებებზე. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ზრდა ცვლის აქტივების ფასებს და იწვევს გამოშვებისა და შემოსავლების შემცირებას.

ეკონომიკური საქმიანობის შემცირება თავის მხრივ, შეამცირებს შინამეურნეობებისა და ფირმების შემოსავლებს, რაც გამოიწვევს მათი მგრძობიარობის გაძლიერებას ფინანსურ სირთულეებზე და აიძულებს მათ შეამცირონ თავიანთი ხარჯები.

გაცვლითი კურსის ეფექტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბერკეტი, რითაც მონეტარული პოლიტიკა გავლენას ახდენს ფასებზე, არის გაცვლითი კურსი. განვითარებად ქვეყნებში, სადაც, უძრავი ქონების, ობლიგაციებისა და აქციების განუვითარებელი ბაზრები არსებობს, სადაც, უძრავი ქონების, ობლიგაციებისა და აქციების განუვითარებელი ბაზრები არსებობს,

გაცვლითი კურსი არის მონეტარული პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი. მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ზრდის საპროცენტო განაკვეთებს, მატულობს მოთხოვნა შიდა აქტივებზე და მყარდება ნომინალური და რეალური კურსი.

ასეთი გამყარება მოქმედებს დანახარჯებზე ორი მიმართულებით. პირველი, ფარდობითი ფასების ეფექტით – მცირდება მოთხოვნა შიდა საქონელზე, რომელიც ხდება უფრო ძვირი უცხოურ საქონელთან შედარებით და შესაბამისად, მცირდება ერთობლივი მოთხოვნა. მეორე, საბალანსო ეფექტით, როდესაც შინამეურნეობებსა და ფირმებს აქვთ აღებული ვალი უცხოურ ვალუტაში და ეს ვალი არ არის დაბალანსირებული უცხოური ვალუტის აქტივებით და შემოსავლებს იღებენ ეროვნული ვალუტით, მაშინ გაცვლითი კურსის ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მათ ბალანსზე და ვალი/აქტივების კოეფიციენტზე, რაც გამოიწვევს დანახარჯებისა და სესხების თანაფარდობის

ცვლილებებს. განვითარებად ქვეყნებში რეზიდენტები ჩვეულებრივ არიან დანარჩენი მსოფლიოს წმინდა დებიტორები და გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი გამყარება (გააუმჯობესებს მათ საბალანსო მდგომარეობას და) გამოიწვევს შიდა მოთხოვნის არსებით გაფართოებას. ეს ნაწილობრივ შეიძლება გააბათილოს ფარდობითი ფასების ეფექტმა, რომელიც შეიძლება ამ ეტაპისათვის უფრო დომინანტურ როლს თამაშობდეს.

თავისუფალი გაცვლითი კურსის პირობებში გაცვლითი კურსი არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რადგან ზემოთ განხილული სხვა არსებისაგან განსხვავებით, ის გავლენას ახდენს არა მხოლოდ ერთობლივ მოთხოვნაზე, არამედ ერთობლივ მიწოდებაზეც. მაგალითად, მონეტარული პოლიტიკის ლიბერალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს გაცვლითი კურსის გაუფასურება, ეროვნულ ვალუტაში იმპორტის ღირებულების გაზრდა და აიძულოს მეწარმეები გაზარდონ მქარმოებელთა ფასები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს ერთობლივი მოთხოვნის გაფართოების შესაძლებლობა. საერთოდ, გაცვლითი კურსის ცვლილება არის ფასების მომავალი ცვლილების სიგნალი. ეს კანონზომიერია განსაკუთრებით იმ ქვეყნისათვის, სადაც მაღალი და ცვალებადი ინფლაციაა.

კრედიტის ხელმისაწვდომობის ეფექტი. იმ ქვეყნებში, სადაც საკრედიტო ბაზრები განუვითარებელია ან შეზღუდულია მათი თავისუფლად ფუნქციონირება, მონეტარულ პოლიტიკას შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს ერთობლივი მოთხოვნის ფორმირებაზე უფრო მეტად კრედიტის ხელმისაწვდომობის რეგულირებით, ვიდრე კრედიტის ფასების ცვლილებით. ამასთან, საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარის შეზღუდვა, ან ფიქსირებული განაკვეთის დაწესება, როგორც ეს ჩინეთშია, ან კიდევ მთავრობის უშუალო მონაწილეობა საკრედიტო ბაზარზე, აიძულებს ბანკებს გამოიყენონ არაფასისმიერი მექანიზმები სესხების განაწილებისას, რაც აიძულებს კრედიტის ხელმისაწვდომობის ეფექტის მნიშვნელობას ეკონომიკაში.

ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია ვერ აუქმებს ამ ეფექტს. როდესაც მონეტარული მდგომარეობა მკაცრდება, ბანკებს არ სურთ გაზარდონ ექსკლუზიურად საპროცენტო განაკვეთები კრედიტების ხელმისაწვდომობის ხარჯზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება რისკიანი ინვესტიციების წახალისება. ამ შემთხვევაში ბანკები, როგორც წესი, ზრდიან საპროცენტო განაკვეთებს დაკრედიტუნარიანობის სტანდარტებს, რომელიც გამოიწვევს კრედიტის მიწოდების შემცირებას მისი ფასის ზრდასთან ერთად.

ტრადიციულად ცენტრალური ბანკები ახორციელებენ მონიტორინგს კრედიტის ზრდაზე და თვალყურს ადევნებენ სესხების ინდიკატორებს მონეტარული მდგომარეობის შესაფასებლად.

კრედიტის ხელმისაწვდომობაში ცვლილებები იწვევს საკრედიტო რესურსების გადაადგილებას ერთი ბაზრიდან მეორეზე. როდესაც მონეტარული პოლიტიკა მკაცრდება, ბანკები, განსაკუთრებით მცირე ბანკები, რომლებსაც არ შეუძლიათ მსხვილი ბანკებივით გამოიყენონ დაფინანსების სხვა წყაროები (მაგალითად, საერთაშორისო კაპიტალის ბაზრები) კარგავენ ზოგიერთი იაფფასიანი კრედიტის წყაროს. იგი იწვევს მცირე ბანკებიწს მიერ გაცემული სესხების მნიშვნელოვან შემცირებას. ფირმები საბანკო დაფინანსებიდან თავისუფლდებიან და გადაინაცვლებენ საკრედიტო რესურსების სხვა ბაზრებზე.

მონეტარული პოლიტიკა კრედიტის ხელმისაწვდომობაზე გავლენას ახდენს პიდაპირი გზით სესხის ამღებთა და კრედიტორთა აქტივების ფასის მეშვეობით. მონეტარული მდგომარეობის ცვლილება იწვევს აქტივების ფასების ცვლილებას, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ბანკების სესხების უზრუნველყოფის/გირაოს ღირებულებაზე და კრედიტის გაცემის პირობებზე.

ამასთან, როდესაც ბანკის აქტივების დიდი ნაწილი ინვესტირებულია აქციებისა და უძრავ ქონებაში, აქტივების ფასებისა და კაპიტალი/აქტივებთან კოეფიციენტის შემცირებამ შეიძლება აიძულოს ბანკები გაამკაცროს კრედიტის მიწოდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარული პოლიტიკის ცვლილებებზე ბანკების გაუთვალისწინებელი ქცევები და არასათანადოდ რეაგირება ხდება საბანკო კრიზისის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი.

მონეტარული პოლიტიკის გადაცემაზე გავლენას ახდენენ ფაქტორები. ამ უკანასკნელთა ახსნისათვის ხაზი უნდა გაესვას ორ სპექტრს, შეფასდეს თუ რამდენად სწრაფად ახდენს გავლენას მონეტარული პოლიტიკა რეალურ ეკონომიკაზე. პირველი არის ტრანსმისია გადაცემა ცენტრალური ბანკის პირდაპირ კონტროლს დაქვემდებარებული ინსტრუმენტებიდან, მაგალითად, მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები ან სარეზერვო მოთხოვნები, იმ ცვლადებზე, რიმელიც პირდაპირ ეფექტს ახდენს არასაფინანსო სექტორის მდგომარეობაზე სესხების განაკვეთებზე, დეპოზიტების განაკვეთებზე, აქტივების ფასებზე და გაცვლით კურსზე. ეს კავშირი ძირითადად ფინანსური სისტემის სტრუქტურით განისაზღვრება. მონეტარული ტრანზმისის პროცესის მეორე ასპექტი არის ფინანსურ მდგომარეობასა და საოჯახო მეურნეობების ფირმების დანახარჯების

შესახებ გადაწყვეტილებებს შორის არსებული ურთიერთკავშირი. ამიტომ საოჯახო მეურნეობების, ფირმების და ბანკების საწყისი ფინანსური პოზიციები თამაშობს მნიშვნელოვან როლს, აქტივებისა და ვალდებულებების ვალუტების მიხედვით დენომინაციისა და კომპოზიციის, საგარეო დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულების ხარისხს.

საქართველოში ლარის გაცვლითი კურსი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფასების ფორმირებაში და განსაზღვრავს მონეტარული გადაცემის მექანიზმს, ეს კი გამოწვეულია დოლარიზაციის უაღრესად მაღალი დონით და სამომხმარებლო კალათაში იმპორტული საქონლის დიდი ხვედრითი წილით. აღნიშნულ აზრს ადასტურებს ქართველი ეკონომისტი ნ. გიგინეიშვილი 28/ 4 იმპორტულ საქონელზე საქართველოს ეკონომიკის ორიენტაციას და ამის მიერ ხელშეწყობას დოლარიზაციის მასშტაბებზე ხაზს უსვამ ასევე მ.კაკულია. ეს უკანასკნელი დოლარიზაციის დაძლევის პროცესში ერთ-ერთ მთავარ როლს ეროვნულ ბანკს აკისრებს და წერს: „სწორედ მან უნდა უზრუნველყოს ეკონომიკისათვის ფულის მიწოდების ოპტიმიზაცია, რაც გამორიცხავს მიმოქცევის არსებში ჭარბი ფულის დაღეჟვას, რომელსაც ვერ „გადაამუშავებს“ ეროვნული ეკონომიკის რეალური სექტორი და ნაკლებად განვითარებული ფინანსური ბაზარი“.¹⁹

ნათელია, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რომელიც ღია ეკონომიკის პოლიტიკაზე გადავიდა და ფასების დონით კი მკვეთრად ჩამოუვარდება თავისი სავაჭრო პარტნიორების უმრავლესობას, ფასების სტაბილურობის პოლიტიკა მოკლებულია საფუძველს. უსაფუძვლო პოლიტიკა კი საზიანო პოლიტიკაა, რადგან იგი ეყრდნობა ვარაუდს, რომ ემისიის შეზღუდვით დაიჭერს ფასებს. ამას შეუძლია ლარს მხოლოდ უცხოურ ვალუტასთან დააჭერინოს თავი, ფასები კი მაინც გაიზრდება და მძიმე შედეგებს მოუტანს წარმოებასა და მოსახლეობას.

მკაცრ მონეტარისტულ პოლიტიკაზე ორიენტაცია თითქოს ლოგიკურია, რადგან თუ ფულის რაოდენობა არ გაიზრდება, საიდან იქნება ინფლაცია, არსებობს ამის სხვადასხვა არხი და საშუალება. პირველი, ფული შემოდია უცხოეთში საშოვარზე გასულ ჩვენს თანამემამულეთა გზავნილების სახით. ეს

¹⁹ კაკულია მ. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. დისერტაცია ეკ. მეცნ. დოქტორის სამეც. ხარისხის მოსაპოვებლად. 26 გვ.

თანხა დიდია და ოფიციალური გაანგარიშებები ვერ იძლევა მასზე წარმოდგენას, თანხა დაახლოებით 15 წლის მანძილზე სჭარბობდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. მეორე, ფული შემოაქვთ ინვესტორებს. ამას უთუოდ მოჰყვება რეალური ფასეულობები, მაგრამ, ჯერ ერთი, საბოლოო შედეგები მოგვიანებით იჩენს თავს და მეორეც, თვით ეს ფასეულობები შეფასებული მსოფლიო სტანდარტებით, ზოგჯერ სჭარბობს კიდევ მათ (მაგალითად, ელექტროენერჯის ტარიფის შემთხვევაში). მესამე, მართალია, ინფლაციის იმპორტს დადებით სავაჭრო ბალანსით მოდინებული ფული ჩვენთან ვერ გამოიწვევს, რადგან ასეთი ბალანსისგან შორსა ვართ, მაგრამ რაც იაფი და მეტნაკლებად ხარისხიანი გვაქვს, იმის ექსპორტს ვეწევით და ეს აძვირებს იმავე საქონელს სამამულო ბაზარზე, მეოთხე, ფულისა და ინვესტიციების მოდინება უთანაბროდ, მაგრამ მაინც, ზრდის შემოსავლებს, რაც ასევე არის ფასების ზრდის ფაქტორი. დღეს ეს ფაქტორი სუსტად მოქმედებს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით იგი არის გადამწყვეტი ფასების დონეთა გამოთანაბრების საქმეში.

ამ ფონზე მკაცრი მონეტარისტული პოლიტიკა ვერ გამოიყურება სერიოზულად ლარი უფასურდება შენაბაზარზე, დოლართან მიმართებაში კი მისი კურსი იზრდება. თითქოს ეს პარადოქსულად ჩანს, მაგრამ რაც უფრო გაიზრდება ფასები, მით უფრო განმტკიცდება გაუფასურებული ლარი. თუ, ვთქვათ, ფასები 1,5-ჯერ გაიზარდა, მიმოქცევას 1,5-ჯერ მეტი ლარი დასჭირდება და თუ მისი ემისია არ გაიზარდა, გახშირდება მასზე უცხოური ვალუტის გადახურდაცვა. ამ პროცესს აძლიერებს ფულის გარედან მოდინებაც.

ემისიის შეზღუდვა უთუოდ ანელებს ფასების ზრდას, რადგან თრგუნავს მოთხოვნას. მოთხოვნის დათრგუნვა წარმოების დათრგუნვაა. იგი გამოუყენებელს ტოვებს მიწოდების რეზერვს, მაშასადამე, თავისებურად, ისიც მუშაობს ფასების ზრდაზე.

ერთობლივი მოთხოვნის დათრგუნვის მონეტარისტულ პოლიტიკას უთანაბრო შედეგები მოაქვს სოციალურსა და დარგობრივ ჭრილებში. იგი განსაკუთრებით აუარესებს იმ ფენების მდგომარეობას, რომლებსაც სახელმწიფო ვერ აძლევს ინფლაციის ადეკვატურ კომპენსაციას. ამავე დროს იგი სხვადასხვაგვარად ცვლის საქონელთა ფასებს, - თუ ზოგის ფასი იზრდება, ზოგისა მცირდება კიდევ. ეს პროცესი მართული ვერ იქნება და ზოგჯერ სრულიად იზრდება, ზოგისა მცირდება კიდევ. ეს პროცესი მართული ვერ იქნება და ზოგჯერ სრულიად შემთხვევით ფაქტორებზეა დამოკიდებული – მაგალითად, სამამულო ნაწარმის იმპორტირებულ

სუბსტიტუტებზე (მათთან თვისებებით ახლოს მდგომ საქონელზე). ბუნებრივია, ეს უარეს მდგომარეობაში აყენებს იმ დარგებს, რომელთა პროდუქტებზე ფასის ზრდა ვერ ხერხდება. აქ ვერც ხელფასი გაიზრდება, მაშასადამე, დასაქმებულთა მდგომარეობაც გაუარესდება. საქონელთა (მათ შორის სამუშაო ძალის) ასეთი საბაზრო შეფასებები უფრო ხშირად მცდარია, რესურსების ფლანგვას იწვევს და სახელმწიფოს შევლას ითხოვს.

მაშასადამე, მონეტარისტული პოლიტიკის უკუგდება კი არაა საჭირო, არამედ – გონივრული გამოყენება დროისა და ადგილის შესაფერისად რეალური ეკონომიკის ობიექტურ მოთხოვნათა განსახორციელებლად.

საქართველოში გამოიკვეთა მონეტარული პოლიტიკის მონეტარისტული ვარიანტის უპირატესობა, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ იგი უფრო მიესადაგება ჩვენს სინამდვილეს ან უფრო ეფექტიანად ხორციელდება. მიზეზები სხვა არის. მათ შორის პირველია ის, რომ საფინანსო ინსტრუმენტები ვერ იმუშავენს საჭირო ძალით სახელმწიფო ბიუჯეტის სიმწირის პირობებში.

მიზეზებს შორის გამოსაყოფია მოთხოვნის დათრგუნვის გარედან თავსმოსხვეული „შოკური“ მონეტარისტული პოლიტიკა, რომლის ეფერქტიანი მუშაობის პირობები ჩვენთან არ არსებულა. მოთხოვნის დათრგუნვა წარმოების დათრგუნვაცაა. მისი ზრდის ხელოვნური შეკავებაცაა. შოკური თერაპია თვით-მიზნურს ხდის ეროვნული ვალუტის განმტკიცებას და ეს შედეგი – ლარის შეფარდებითად მყარი კურსი – მეტნაკლებად მართლაც სახეზეა. ოღონდ რესურსების გაძვირებას, რაც საგარეო (იმპორტის გაძვირება) თუ საშინაო ფაქტორებით არის გამოწვეული, წარმოება ვერ უპირისპირებს ინტენსიური ფაქტორების გამოყენებას, მას ეზრდება დანახარჯები და დროდადრო, ფასებიც.

შოკური თერაპია ითვალისწინებდა ფასების აშვების გზით მოთხოვნისა და მიწოდების გაწონასწორებას და წარმოებისათვის იმ ბალანსტური რგოლების მოცილებას, რომელთაც ხარჯები უფრო მაღალი აღმოაჩნდებოდათ ბაზარზე ჩამოყალიბებულ წონასწორობის ფასებთან შედარებით. ნავარაუდევია იყო, რომ ეკონომიკის დისპროპორციათა ასეთი, მონეტარისტული შესწორებით მიღწეული წონასწორობა შემდგომში შენარჩუნებული იქნებოდა, გადარჩენილი, მომგებიანი საწარმოები ახალ, დალაგებულ გარემოში, განახლებული საკუთრებითი ურთიერთობის საფუძველზე ახალ სიცოცხლეს დაიწყებდნენ, თანდათან შეამცირებდნენ წარმოების ხარჯს და მიღებულ მოგებას წარმოების ზრდას მოახმარდნენ.

2008 წ. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის შემუშავებისას ხელმძღვანელობდა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ძირითადი ამოცანებითა და ფუნქციებით, რომლის მიხედვითაც „ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა“.

2008 წ. აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად პროდუქციის ერთი რეგიონიდან მეორეში ტრანსპორტირების გართულებამ და შედეგად ბაზარზე აღნიშნული საქონლის მიწოდების სიმცირემ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასების მკვეთრი ზრდა და ინფლაციის მაჩვენებლებმა წლის განმავლობაში მაქსიმალურ ნიშნულს 12,8%-ს მიაღწია.²⁰ მდგომარეობის სტაბილიზაციასთან ერთად ფასები თანდათანობით დაუბრუნდა ადრინდელ ნიშნულს. საშუალო წლიური ინფლაცია 2008 წ. განმავლობაში 10%-ს შეადგენდა.

სებ ფულის მასის მიწოდების რეგულირებას მასზე მოთხოვნის შესაბამისად ახდენდა პოლიტიკის გამკაცრების მიზნით სებ სულ უფრო აქტიურად იყენებდა „მონეტარული პოლიტიკის ძირითად საპროცენტო განაკვეთს“, რომელიც წლის პირველ ნახევარში სამი პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12%-ს მიაღწია.

სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი ივლისის ბოლო მდგომარეობით 34%-ს აღემატებოდა. M2 ფულადი აგრეგატის წლიური ზრდის ტემპი ივლისის მდგომარეობით 41%-ს, ხოლო M3 ფულადი აგრეგატის წლიური ზრდის ტემპი 27%-ს შეადგენდა. საერთოდ წლის პირველ ნახევარში სებ ატარებდა მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას, რაც მიმართული იყო საბანკო სისტემიდან ჭარბი ლიკვიდობის ამოღებისაკენ, რათა ფულადი აგრეგატების ზრდის ტემპი სასურველ ფარგლებში მოქცეულიყო.

წლის ბოლოსათვის, სარეზერვო ფულის წლიური კლების ტემპმა 7,8% შეადგინა. M2 ფულადი აგრეგატის წლიური კლების ტემპი 13%-ს შეადგენს, ხოლო M3 ფულადი აგრეგატის ზრდის ტემპი ივნისის თვეში 29%-დან წლის ბოლოს 7%-მდე შემცირდა. M2 ფულის მულტიპლიკატორი წლის განმავლობაში 6%-ით შემცირდა, ხოლო M3 ფულის მულტიპლიკატორი 16%-ით გაიზარდა.

2008 წლის განმავლობაში ინფლაციის დინამიკაზე მნიშვნელოვანი იყო ეგზოგენური ფაქტორების გავლენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სებ საბაზო

²⁰ „გადასახადები“. კ. №17 სექტემბერი 2008. 46-49 გვ.

ინფლაციის შესაფასებლად იყენებდა როგორც სამომხმარებლო კალათიდან სხვადასხვა კომპონენტის გამორიცხვით მიღებულ ინდექსებს, ისე ერთი და ორი სტანდარტული გადახდის ფარგლებში მყოფი სამომხმარებლო კალათის კომპონენტების მიხედვით მიღებულ ინდექსს.

სებ-ის სავალუტო პოლიტიკა მართვადი მცურავი გაცვლის კურსის რეჟიმის ფარგლებში ხორციელდებოდა. სებ-ის სავალუტო ინტერვენციების მიზანი გაცვლის კურსის მკვეთრი რყევების თავიდან აცილება იყო და არა კურსის მოძრაობის ძირითადი ტრენდის შეცვლა და კონკრეტული საკურსო თანაფარდობის ჩამოყალიბება.

სებ-მა 2008 წ. თბსბ-ს სავაჭრო სესიებზე 1,2112 მლნ აშშ დოლარი გაყიდა და 821,7 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა.

აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის ოფიციალური გაცვლის კურსის საშუალო სიდიდე 2008 წ. განმავლობაში 1.4902 ლარს გაუტოლდა. 2008 წ. საშუალო წლიური გაცვლის კურსი 11%-ით გამყარდა, ხოლო წლის ბოლოს გაცვლის კურსი 4,7 პროცენტით გაუფასურდა.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სებ-ის საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 1480,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2007 წ. ანალოგიურ მაჩვენებელს 8,74%-ით აღემატებოდა.

აღსანიხნავია, რომ 2008 წ. განმავლობაში სებ-ის მიერ თბსბ-ზე განხორციელებულმა წმინდა გაყიდვებმა 389,49 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. წლის განმავლობაში სებ-ის საერთაშორისო რეზერვების ზრდას შემდეგი ძირითადი წყაროები განაპირობებდა: პრივატიზაციიდან მიღებული სახსრები (121 მლნ აშშ დოლარი), სსფ-დან მიღებული ტრანში (240 მლნ. აშშ დოლარი), აშშ-დან მიღებული ბიუჯეტის დახმარების გრანტი (250 მლნ აშშ დოლარი), აგრეთვე ფინანსთა სამინისტროსთვის დონორი ქვეყნებიდან გაცემული სხვა კრედიტები და გრანტები. ასევე საერთაშორისო რეზერვების ზრდას უზრუნველყოფდა ევროობლიგაციების გაყიდვით მიღებული შემოსავალი და შემდგომ სუვერენული ფონდებიდან თანხების რეპატრიაცია. საერთაშორისო რეზერვების შემცირება დაიწყო აგვისტოს დასაწყისში, საომარ სიტუაციასთან დაკავშირებით და სექტემბრის ბოლომდე შემცირდა დაახლოებით 360 მლნ. აშშ დოლარით 2008 წ. განმავლობაში რეზერვებიდან მიღებულმა შემოსავალმა 70 667 926 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის შემოსავალზე 26,4 მლნ ლარით

ნაკლებია. წინა წელთან შედარებით შემოსავლების შემცირება, მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი შემცირების შედეგია.

2008 წ. ლიკვიდობის ამოღების მთავარ ინსტრუმენტს სადეპოზიტო სერტიფიკატები წარმოადგენდა. კერძოდ, გამოიყენებოდა, როგორც სამთვიანი, ისე ერთკვირიანი ვადიანობის ინსტრუმენტები. სამთავიანი სადეპოზიტო სერტიფიკატები განკუთვნილია სწორედ ბანკებისაგან ჭარბი ლიკვიდობის ამოსაღებად. თავის მხრივ, სეპ-ის ერთკვირიანი სადეპოზიტო სერტიფიკატებისათვის დადგენილი მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი კი პოლიტიკის განაკვეთის როლს ასრულებდა მის გაუქმებამდე, სექტემბერში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი რამდენჯერმე შეიცვალა ზრდის მიმართულებით, რაც წლის პირველ ნახევარში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ამსახველი იყო (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ 2008 წელი

კომიტეტის გადაწყვეტილების თარიღი	მიღებული გადაწყვეტილება
23.01.08	გაიზარდა 9%-დან 10%-მდე
20.02.08	გაიზარდა 10%-დან 11%-მდე
16.04.08	გაიზარდა 11%-დან 12%-მდე
20.08.08	გაიზარდა 12%-დან 13%-მდე
02.09.08	შემოღებული იქნა რეფინანსირების სესხები
10.09.08	გაიზარდა 11%-დან 10%-მდე
26.11.08	გაიზარდა 10%-დან 9%-მდე
24.12.08	გაიზარდა 9%-დან 8%-მდე

თავი III. საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალი და მათი სტაბილური ფუნქციონირების საკითხი

3.1. საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალი, მისი სტრუქტურა და დინამიკა

„კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ბანკი არის დაწესებულება, რომელიც დასაქმებულია ფულადი ანაბრების ან სხვა საგადასახადო საშუალებათა მოზიდვით, აგრეთვე, თავის ხარჯზე კრედიტების გაცემით დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფის და ვადიანობის პირობით. კანონისა და ნორმატიული აქტების თანახმად, ბანკის საქმიანობა მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს ეროვნული ბანკის მიერ, რაც ბანკის მენაბრების, კლიენტებისა და თვით ბანკის პარტნიორების ბანკის არაკეთილსინდისიერი და უკანონო მოქმედებებისაგან დაცვის წინაპირობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო მომსახურებასა და პროდუქტებს შორის დაკრედიტება საქართველოს კომერციული ბანკების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, თუმცა ბანკის აქტიური ოპერაციების განსახორციელებლად მთლიანად მობილიზებული სახსრები არ არის თავისუფალი. შესაძლებელია მისი მხოლოდ იმ ნაწილის გამოყენება, რომელიც საკრედიტო პოტენციალს განსაზღვრავს. ამ უკანასკნელის შესახებ საკითხი ბანკში მობილიზებული ფულადი სახსრების დაკრედიტებისათვის დასაბუთებულ საზღვრებს მოიცავს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი განისაზღვრება როგორც ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდე ლიკვიდურობის რეზერვის გამოკლებით. კომერციული ბანკის ლიკვიდურობის საერთო რეზერვი ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ აუცილებელი რეზერვის ნორმაზე და ბანკის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრულ ლიკვიდურობის რეზერვის დონეზეა დამოკიდებული.

ტრადიციულად ბანკის საკრედიტო პოტენციალის ყველა წყარო საკუთარი და ნასესხები სახსრებია. კომერციული ბანკის მთელი რესურსები ჩამოყალიბების ხერხის მიხედვით იყოფა საკუთარ და ნასესხებ (მოზიდულ) სახსრებად ძირითადი ადგილი ნასესხებ სახსრებს უჭირავს, რომლებიც ეკონომიკური ხასიათიდან გამომდინარე დეპოზიტების, საშემნახველო ანაბრებისა და ფულადი ბაზრის სახსრების (ბანკთაშორისი სესხები და ფასიანი ქაღალდები) სახით გამოდიან.

კომერციული ბანკების მოზიდული სახსრების სტრუქტურისათვის დამახასიათებელია საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე შენახული სახსრების მაღალი ხვედრითი წილი, რომლებიც მოთხოვნამდე დეპოზიტებს შეადგენს.

ნასესხები სახსრები, ეკონომიკური ხასიათიდან გამომდინარე, დეპოზიტების, საშემნახველო ანაბრებისა და ფულადი ბაზრის სახსრების (ბანკთაშორისი სესხები და ფასიანი ქაღალდები) სახით არის წარმოდგენილი. საკრედიტო პოტენციალის ნასესხები სახსრების მოკლევადიან და გრძელვადიან სესხებად დაყოფას განსაზღვრავს საბანკო საქმიანობის ლიკვიდობის პრინციპი..

ლიკვიდურობის პრინციპის გათვალისწინებით კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის ყველა სახსრები მათი სტაბილურობის ხარისხის მიხედვით შეიძლება დაიყოს: აბსოლუტურად სტაბილური, სტაბილური და არასტაბილური სახსრები.

საკრედიტო პოტენციალის პირველ ჯგუფში, მაგალითად სტაბილური სახსრების შემადგენლობაში შედის: ბანკის საკუთარი სახსრები; განსაზღვრული ვადით დეპონირებული სახსრები; სხვა ბანკებიდან მიღებული საკრედიტო სახსრები.

სტაბილური სახსრები – ეს ბანკის კომიტენტების წარდგინებით დეპონირებული სახსრებია, რომელთა დინამიკაც, ბრუნვაობა ბანკის მიერ არის შესწავლილი და ამ სახსრების საშუალო თანხაა დადგენილი. ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია ამ სახსრების განსაზღვრულ აქტივებში გამოყენება.

არასტაბილური სახსრები იმ დეპოზიტურ სახსრებს ქმნის, რომლებიც პერიოდულად ჩნდება და რომელთა დინამიკაც ძნელი გასათვალისწინებელია.

ბანკების საკუთარ სახსრებს მიეკუთვნება საწესდებო ფონდი, სარეზერვო ფონდი, სხვა ფონდები, რომლებიც შექმნილია ბანკის მოგების ხარჯზე, სადაზღვევო რეზერვები, ასევე წლის განმავლობაში გაუნაწილებელი მოგება.

ბანკის საწესდებო ფონდი (კაპიტალი) – საბანკო საქმის ორგანიზაციაში ამოსავალი წერტილია.

ბანკის ორგანიზაციის ფორმის მიხედვით ხდება საწესდებო ფონდის ჩამოყალიბება. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ბანკის საწესდებო ფონდი ყალიბდება მთლიანად მონაწილეების – იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბრების ხარჯზე და ემსახურება მათი ვალდებულებების უზრუნველყოფას. ის შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ბანკის მონაწილეების სახსრების ხარჯზე. საწესდებო ფონდის ფორმირება საბანკო კრედიტების ხარჯზე

არ დაიშვება. არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საწესდებო ფონდში საწევროებისათვის მოზიდული ფულადი სახსრები. ბანკის შექმნისას საწესდებო ფონდი შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ ფულადი სახსრებისა და მატერიალური აქტივების მეშვეობით. სხვა აქტივების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საწესდებო ფონდის შემდგომი გაზრდისას.

კომერციული ბანკის საწესდებო ფონდის ფორმირებისათვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ფულადი სახსრები და პოლიტიკური ორგანიზაციების (პარტიის), სპეციალიზირებული საზოგადოებრივი ფონდების, საზოგადოებრივი, რელიგიური და სხვა გაერთიანებების საკუთრების სხვა ობიექტები, რომელთა წესდებებში არ არის გათვალისწინებული კომერციული საქმიანობა ან არ არსებობს მათი შექმნისას მოგების მიღების მიზანი.

კომერციული ბანკის სარეზერვო ფონდები განკუთვნილია აქტიური ოპერაციებიდან ზარალის ასანაზღაურებლად, ასევე ბანკის ობლიგაციების, პრივილიგირებული აქციების დივიდენდების მიხედვით მიღებული მოგების უკმარისობის შემთხვევაში პროცენტების გადახდის წყაროდაა მიჩნეული. სარეზერვო ფონდი ყალიბდება მოგებიდან ყოველდღიური ანარიცხების ხარჯზე.

კომერციული ბანკებში სარეზერვო ფონდებთან ერთად იქმნება სპეციალური ფონდები მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე. მათი შექმნისა და ხარჯვის წესი რეგულირდება ბანკის დებულებით კომერციული ანგარიშის შესახებ.

ბანკის საკუთარი სახსრების განსაკუთრებული შემადგენელი ნაწილია – სადაზღვევო რეზერვები, რომლებიც შექმნილია ბანკის მიერ კონკრეტული ოპერაციების შესრულებისას. ამ რეზერვების დანიშნულებაა ნეგატიური შედეგების ნიველირება ბანკის მიერ შექმნილი ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების ფაქტიურ დაცემასთან დაკავშირებით და გაცემული სესხების დაუბრუნებლობისას.

ბანკის საკუთარი სახსრების მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბანკის ვალდებულებების უზრუნველყოფა მისი მენაბრეების წინაშე. ისინი (სახსრები) შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სიდიდე, რომელთა ფარგლებშიც ბანკები თავისი ვალდებულებების პასუხისმგებლობის გარანტიას იძლევა. საბანკო პრაქტიკაში საკუთარი სახსრები ითვლება იმ რესურსების რეზერვად, რომლებიც ბანკს უნარჩუნებენ გადახდისუნარიანობას, მიუხედავად ზარალის წარმოშობისა რესურსების დანაკარგის შედეგად, რამდენადაც საკუთარი სახსრები არ ექვემდებარება

აქციონერებისათვის სავალდებულო დაბრუნებას. ბანკის საკუთარი სახსრების ზომა განსაზღვრავს მისი საქმიანობის მასშტაბებს.

საბანკო პრაქტიკაში ასხვავებენ საკუთარ კაპიტალს – ნეტოს და ბრუტოს. საკუთარი კაპიტალი – ბრუტო – ესაა ბანკის ყველა ფონდის ჯამი და გაუნაწილებელი მოგება ბალანსის მიხედვით. სკუთარი კაპიტალი – ნეტო – ესაა ბანკის საკუთარი სახსრების ნაწილი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საკრედიტო რესურსი, ე.ი.

დეპოზიტი – ესაა კლიენტის სახსრები გადაცემული ბანკისათვის დროებით სარგებლობაში. დეპოზიტების უმეტესობას შეუძლია შეუქმნას ბანკს სასესხო კაპიტალი, რომელსაც ის შემდგომ განათავსებს ხელსაყრელი პირობებით მეურნეობის სხვადასხვა სფეროში.

დეპოზიტური ანგარიშები შეიძლება ყველაზე მრავალფეროვანი იყოს და მათი კლასიფიკაციის საფუძველში ისეთი კრიტერიუმებია, როგორებიცაა ანაბრების წყაროები, მათი მიზნობრივი დანიშნულება, შემოსავლიანობის ხარისხი და ა.შ. თუმცა ძალზე ხშირად კრიტერიუმის სახით გამოდის მეანაბრის კატეგორია და ანაბრის ამოღების ფორმები.

მეანაბრეთა კატეგორიიდან გამომდინარე ასხვავებენ შემდეგ დეპოზიტებს:

- იურიდიული პირების (საწარმოს, ორგანიზაციის, სხვა ბანკების);
- ფიზიკური პირების;

სახსრების ამოღების ფორმის მიხედვით დეპოზიტებს ყოფენ:

- მოკითხვამდე (ვალდებულება, რომელსაც არ აქვს კონკრეტული ვადა);
- ვადიანი (ვალდებულება, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული ვადა);
- პირობითი (სახსრები, რომლებიც ექვემდებარება ამოღებას დათქმული პირობის დადგომამდე უფრო ადრე).

კომერციული ბანკების უმრავლესობაში მოთხოვნამდე ანაბრები მოზიდული სახსრების სტრუქტურაში საკმაოდ მაღალ ხვედრით წილს იკავებს. ეს, როგორც წესი, საბანკო რესურსების შექმნის ყველაზე იაფი წყაროა.

ვადიანი ანაბრები – ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტებია განსაზღვრული დროით. ასხვავებენ საკუთარ ვადიან ანაბრებს და ვადიან ანაბრებს წინასწარი შეტყობინებით.

საკუთრივ ვადიანი დეპოზიტები სახსრების შენახვის ვადის მიხედვით იყოფა შემდეგი ვადების მქონე დეპოზიტებად:

- 30 დღემდე;
- 31-დან 90 დღემდე;
- 91-დან 180 დღემდე;
- 180-დან 360 დღემდე;
- 360 დღეზე მეტი ვადით.

ვადიანი ანაბრების სახესხვაობად ითვლება დეპოზიტური და საშემნახველო სერთიფიკატები.

სერთიფიკატი – ბანკ-ემიტენტის წერილობითი მოწმობაა ფულადი სახსრების ანაბრების შესახებ, რომელიც ადასტურებს მენაბრის ან მისი სამართალ-მემკვიდრის ფულადი სახსრებისა და მასზე დარიცხული პროცენტების მიღების უფლებას დაწესებული ვადის ამოწურვის მიხედვით.

დეპოზიტურ სერთიფიკატებს იურიდიული პირები იყენებენ და დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

საშემნახველო სერთიფიკატები განკუთვნილია ფიზიკურ პირებზე მისაყიდად.

საკრედიტო რესურსების მობილიზაციის ახალი ფორმაა საბანკო თამასუქი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, რომელიც შეიცავს თამასუქის მიმცემის (ბანკის) უპირობო სავალ ვალდებულებას განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ თამასუქის მფლობელისათვის კონკრეტულ ადგილზე მითითებულ დროში. თავისუფალი სახსრების მოზიდვისათვის ვექსელის უპირატესობა რამდენიმე ფაქტორი:

განვიხილოთ რა საკრედიტო პოტენციალის სახსრების სტრუქტურა, მათი მრავალფეროვნება, შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურის რეგულარული ანალიზის მეშვეობით ბანკს ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ გამოავლინოს სახსრების ბრუნვის კანონზომიერებანი. აღნიშნული კანონზომიერებები კი შესაძლებელია გამოყენებული იქნას საკრედიტო პოტენციალის განაწილების და ბანკის ლიკვიდობის სწორი პოლიტიკის წარმართვისათვის.

საკრედიტო პოტენციალის სახსრებზე და მთლიანობაში საბანკო სექტორზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გადრმავეულმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გლობალურ ფინანსურ კრიზისს საქართველოში აგვისტოს ომიც დაემატა. ამდენად, საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალისა და სხვა ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს ომამდე და ომის შემდგომი პერიოდების მიხედვით წარმოვადგენთ.

საქართველოს საბანკო სექტორის საქმიანობის მაჩვენებლების უახლესი პერიოდის განხილვამდე გვინდა შევეხეთ ზოგიერთ პრობლემას, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე არსებობდა.

2007 წლიდან საქართველოს საბანკო ბაზარზე კონკურენცია გაიზარდა. ინტენსიური გახდა ბანკების მიერ ახალი ფილიალებისა და სერვისცენტრების გახსნა. წელიწად-ნახევრის განმავლობაში მათი რაოდენობა 52%-ით გაიზარდა და 2008 წლის ივლისის ბოლოსათვის 640 გახდა (მათ შორისაა 129 ფილიალი და 511 სერვისცენტრი). ფილიალებისა და სერვისცენტრების გახსნასთან ერთად ხდებოდა ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზება, ბანკების დიდი ნაწილი მუშაობის გახანგრძლივებულ რეჟიმზე (9-დან 22 საათამდე) გადავიდა, გაჩნდა 24 საათიანი მომსახურების სერვისცენტრები. წინა წლებთან შედარებით კრედიტის ხელმისაწვდომობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, დამატებითი გარანტიების გარეშე შესაძლებელი გახდა მცირე მოცულობის სამომხმარებლო და განვადებით სესხის აღება მოკლე ვადაში. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთნენ საყოფაცხოვრებო, ავტომანქანების სავაჭრო ობიექტები და სამშენებლო ბიზნესი. დასაბამი მიეცა იპოთეკური დაკრედიტების ინტენსიურ პროცესს. მსხვილმა ბანკებმა შეიძინეს სადაზღვევო კომპანიები. დიდი მასშტაბები შეიძინა ელექტრონულმა მომსახურებამ. 2008 წ. 7 თვეში ბანკომატების რაოდენობა 43%-ით გაიზარდა და 1189 შეადგინა. ამავე პერიოდში პოსტერმინალების რაოდენობა 40%-ით გაიზარდა და 7253 შეადგინა. სადებეტო პლასტიკური ბარათების რაოდენობა გაიზარდა 43%-ით და 2,7 მლნ. ცალს მიაღწია, ხოლო საკრედიტო ბარათების რაოდენობა გაიზარდა 165%-ით და 427 ათას ცალს გადააჭარბა.

ბოლო პერიოდში (ვგულისხმობთ 2008 წლის ომამდე პერიოდს) ეკონომიკური აქტივობისა და ბანკებს შორის კონკურენციის ზრდასთან ერთად საქართველოში ფიქსირდებოდა დეპოზიტებსა და კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ბუნებრივი პროცესი. მაგრამ შემდგომ აღნიშნული ტენდენცია შენედა და დაიწყო დეპოზიტებსა და ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე პროცენტების ცვლილება. პირველ რიგში კი ბანკებმა ჯერ დეპოზიტებზე დაიწყეს პროცენტების აწევა (2009 წ.), რესურსების გაძვირებამ და ინფლაციის გაზრდამ კი კრედიტების გაძვირება გამოიწვია. კრედიტების გაძვირების უფრო აქტიური ფაზა 2007 წლის ივლისის პერიოდს უკავშირდება. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხებზე მთელი წლის განმავლობაში 4,6 ერთეულით გაიზარდა და 2008 წლის ივლისში 22,2% იყო. აღნიშნული მიუთითებს 26%-იან ზრდაზე.

2006 წლიდან 2008 წლის ომამდე პერიოდში საკმაოდ შეიცვალა საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპის მაჩვენებელიც. 2006-2007 წწ. ბანკების საკრედიტო პორტფელის ზრდის ტემპის საშუალო მაჩვენებელი თვეში 4,2%-ს შეადგენდა, 2008 წ. თებერვალ-ივლისში 3,3%-ს, ხოლო იმავე წლის მაის-ივლისში – 2,6%-ს. ადგილობრივ ბაზარზე რესურსების მოზიდვაში უფრო მეტი უკუსვლა შეინიშნებოდა. მთლიანი დეპოზიტების მიხედვით ზრდის ტემპმა 2006-2007 წწ. 3,6% შეადგინა, 2008 წ. თებერვალ-ივლისში – 1,5%, მათ შორის, მაის-ივლისში შესაბამისად – 3,3%, 2,5% და 1,7%. აქვე შევნიშნავთ, რომ 2008 წლის მანძილზე იყო პერიოდები, როდესაც ამ მაჩვენებლების კლების ტენდენციაც კი დაფიქსირდა. 2008 წ. თებერვალში მთლიანი დეპოზიტები 2,5%-ით, ხოლო ფიზიკურ პირთა დეპოზიტები მაისში 0,5%-ით შემცირდა.²¹

შეიძლება ითქვას, რომ 2008 წ. პირველ ნახევარში გამოიკვეთა საბანკო სისტემაში უარყოფითი ტენდენცია ბანკების მიერ რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით. აღნიშნული შედეგი მიღებული იქნა იმიტომ, რომ არ მოხდა ჩარევა და რეგულირება შესაბამისი ბერკეტებით საბანკო საზედამხედველო ორგანოების მხრიდან.

დეპოზიტების საშუალო ვადიანობის მაჩვენებელს როგორც მოსახლეობის მხრიდან ბანკებისადმი ნდობის ხარისხის განმსაზღვრელ ერთ-ერთი ინდიკატორს, შემცირებას იწყებს. 1996-1999 წლებში თუ ვადიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობის მაჩვენებელი 6,9 თვე იყო, 2002 წლის დასაწყისამდე საკმაოდ გაიზარდა და 9 თვე შეადგინა.

2003 წლიდან გარკვეული ჩაგარდნის შემდგომ ისევ გაუმჯობესდა სიტუაცია, რომელიც 2004 წლის დასაწყისამდე გაგრძელდა და 12,3 თვე შეადგინა. აღნიშნული პერიოდი ერთადერთი იყო, როცა ვადიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობამ გადააჭარბა სესხების საშუალო ვადიანობას. ამ პერიოდის შემდეგ კი ვადიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობა პერმანენტულად იწყებს კლებას და 2008 წლის ივლისის ბოლოს მცირდება 9-მდე.²²

აღნიშნულისაგან განსხვავებით, სესხების ვადიანობის მაჩვენებელი იზრდებოდა და 2000 წლის დასაწყისიდან 2008 წლის დასაწყისამდე 8,6 თვიდან 14,7 თვემდე გაიზარდა, მაგრამ 2008 წლის განმავლობაში საერთოდ აღარ გაზრდილა.

²¹ www.nbg.gov.ge (მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი №126. იანვარი-აგვისტო, 2009).

²² www.nbg.gov.ge.

ზემოთ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ვადიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობის შემცირება და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების ზრდა ქმნის, ჯერ ერთი, რესურსების მოზიდვასა და ლიკვიდობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მეორე, რესურსების გაძვირებას და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესებას იწვევს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მართალია, ბოლო პერიოდში ბანკები სულ უფრო მეტ შემოსავალს იღებდნენ, მაგრამ მცირდებოდა რენტაბელობის მაჩვენებლები.

აგვისტოს მოვლენებამდე წარმოჩენილ ნეგატიური ტენდენციის ბანკების სესხების პორტფელის ხარისხის ბოლო პერიოდის გაუარესება. საბანკო სისტემის სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შეფარდება საკრედიტო დაბანდების მოცულობასთან მცირდებოდა და 2007 წლის ივლისისათვის 33%-მდე დაიწია. ვადაგადაცილებული სესხების წილმა კი მთლიან პორტფელში ამ პერიოდისათვის 0,7% შეადგინა. ამ პერიოდიდან ერთი წლის განმავლობაში საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივად გაუარსდა და ზემოაღნიშნული რეზერვების შეფარდება საკრედიტო პორტფელთან 43%-მდე, ხოლო ვადაგადაცილების წილი 17%-მდე გაიზარდა²³.

რუსეთ-საქართველოს ომამდე საბანკო კაპიტალის აქტივები ძირითადად უძრავ ქონებაზე და იპოთეკურ კრედიტებზე მოდიოდა. მოზიდული სახსრების დიდ ნაწილს შეადგენდა მოსახლეობის ანაბრები და დასავლეთიდან შემოსული თანხები. გარდა ამისა, საბანკო სფეროში განსაკუთრებული ადგილი რუსულ და ყაზახურ კაპიტალს ეკავა. ყაზახური აქტივების დიდი ნაწილი, ისევე როგორც რუსულის, აგვისტოს ომის შემდეგ გავიდა საქართველოდან. ამას მოჰყვა ის, რომ მოსახლეობის ანაბრების დიდი ნაწილი ფიზიკურმა პირებმა გაიტანეს. საომარი მოქმედებების შემდგომ აგვისტოს მონაცემებით, კომერციული ბანკებიდან მოსახლეობამ და იურიდიულმა პირებმა ჯამში 400 მილიონი ლარი გაიტანეს, მთლიანობაში კი კომერციული ბანკების აქტივები აგვისტოში 700 მლნ. ლარით შემცირდა. რაც შეეხება სექტემბერს, ფიზიკურ პირთა დეპოზიტებმა 2 მლნ. ლარით დაიკლო. 2008 წ. იანვრიდან სექტემბრამდე მთლიანად საბანკო სექტორმა 37 მილიონი ლარის ზარალი განიცადა. ზარალი გამოიწვია სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვში თანხების გადარიცხვამ.

²³ www.nbg.gov.ge (ინფლაციის მიმოხილვა. 2009 წ. II კვარტალი) 11-13 გვ.

№2 და №3 ცხრილებში მოცემულია ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში 3 უმსხვილესი ბანკისა და მთლიანი საბანკო სექტორის აქტივებისა და ვალდებულებების სტატისტიკა. მონაცემებიდან ირკვევა, რომ ყველაზე მეტად ბანკებში დეპოზიტები შემცირდა. თუ ომამდე ბანკებში ფიზიკური პირები 1,8 მილიარდ ლარს ინახავდნენ, ომის შემდგომ ეს ციფრი 1,5 მილიარდ ლარამდე შემცირდა. დანაკლისის მიხედვით რიგით მეორე იყო საკრედიტო დაბანდება. ეს ბუნებრივია, რადგანაც ამ დროის მონაკვეთში სესხების დაფარვა მიმდინარეობდა, ხოლო გაცემა შეჩერებული იყო. მთლიანად საკრედიტო დაბანდება დაახლოებით 150 მილიონი ლარით შემცირდა.

რაც შეეხება დეპოზიტებს, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მთლიანი დეპოზიტები 400 მილიონ ლარზე მეტით შემცირდა, აქედან უმეტესი ნაწილი – 300 მილიონი ფიზიკური პირების დეპოზიტების შემცირების შედეგია, ხოლო ნასესხები სახსრები, რაც ძირითადად საფინანსო კომპანიებიდან და უცხოური ბანკებიდან მოზიდულ ფულს წარმოადგენს, უმნიშვნელოდ არის შემცირებული, დანარჩენი 100 მილიონი იურიდიული პირების დეპოზიტების შემცირების შედეგია.

2008 წლის 11 თვის მონაცემებით, საბანკო სექტორმა მთლიანად 158 მლნ. ლარის ზარალი განიცადა – საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით, „თიბისი ბანკმა“, რომელიც საქართველოს მეორე უმსხვილესი მანკია 67 მლნ. ლარი იზარალა, ოქტომბერში ბანკის აქტივები 8,26%-ით დაეცა და 1,792 მლრდ. ლარი შეადგინა, სამსახურიდან დაითხოვეს 300 თანამშრომელი, საბანკო სექტორის ლიდერმა – „საქართველოს ბანკმა“ კი 830 თანამშრომელი გაათავისუფლა.

მაშასადამე, ყველაზე დიდი რაოდენობით თანამშრომლების დათხოვნა იმ ბანკებს მოუწიათ, რომლებიც 2006-2007 წლებში ექსპანსიურ პოლიტიკას ახორციელებდნენ („საქართველოს ბანკი“, „თიბისი ბანკი“) და ახალი პროდუქტებისა თუ გაყიდვის არხების გაფართოებასთან ერთად, პერსონალის ინტენსიური ზრდით იყვნენ დაკავებულნი.

თანამშრომლების შემცირებების გარეშე და შედარებით იოლად გამოვიდნენ კრიზისიდან ისეთი ბანკები, რომლებიც ექსპანსიისგან თავს იკავებდნენ. კომერციული ბანკების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ გლობალური კრიზისის გამო, საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა.

ბანკები ომამდე

ბანკების დასახელება	აქტივები			ვალდებულებები		
	მთლიანი აქტივები (მლნ.ლარი)	ფულადი და სახსრე- ბი	საკრე- დიტო დაბან- დება	დეპოზი- ტები	მ.შ.ფი- ზიკურ პირთა დეპოზ.	ნასეს- ხები სახსრე- ბი
„საქართველოს ბანკი“	3 017 572	482 876	1 879 364	1 207 925	462 266	963 417
ს.ს. „თიბისი ბანკი“	2 200 008	464 139	1477 432	1 122 723	553 137	625 675
ს.ს.„ბანკი რეს- პუბლიკა“	685 931	127 105	498 172	307 311	160 454	246 860
სულ საბანკო სექტორი	8 898 819	1777898	5 673 535	4 130 275	1830660	2 518 527

წყარო: www.nbg.gov.ge

რა თქმა უნდა, აღნიშნული სინამდვილეს შეესაბამება და უფრო დავაკონკრეტებთ – ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების შემცირებამ, უმუშევრობის ზრდამ, და შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავლების კლებამ მკვეთრად შეამცირა მოთხოვნა ისეთ საცალო-საბანკო პროდუქტებზე, როგორც ბიცაა სამომხმარებლო სესხები, განვადებები და იპოთეკური სესხები. ასევე სერიოზულად შემცირდა კორპორატიული საბანკო გაყიდვები.

გლობალურმა საფინანსო კრიზისმა თითქმის ყველა დარგის კომპანიების გაყიდვებზე იმოქმედა, საგრძნობლად შემცირდა მათი შემოსავლები და გაუარესდა კრედიტუნარიანობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2008 წ. 1 დეკემბრისათვის საქართველოს ხუთი უმსხვილესი ბანკის აქტივები 80,4%-დან 77,6%-ით შემცირდა.²⁴

ცხრილი 3

ბანკები ომის შემდეგ

ბანკების დასახელება	აქტივები (მლნ. ლარი)			ვალდებულებები (მლნ. ლარი)		
	მთლიანი აქტივები	ფულადი სახსრები	საკრედიტო დაბანდება	დეპოზიტები	მ.შ.ფიზიკურ პირთა დეპოზ.	ნასესხები სახსრები
ს.ს. „საქართველოს ბანკი“	2 670 717	247 147	1 793 655	990 510	370 328	888 296
ს.ს. „თიბისი ბანკი“	1 993 999	343 414	1 422 150	975 505	450 937	579 123
ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“	625 340	72 057	495 329	271 806	135 396	227 241
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“	610 891	117 136	449 801	287 036	206 908	205 320
სულ საბანკო სექტორი	8 197 352	1 317 539	5492 051	3 603 197	1520105	2 430 804

წყარო: www.nbg.gov.ge

2009 წლის პირველი კვარტლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“ აქტივების მიხედვით პირველ და მეორე ადგილებს ინაწილებდნენ. საქართველოს 5 წამყვან კომერციულ ბანკს შორისაა

²⁴ www.nbg.gov.ge

„ბანკი რესპუბლიკა/ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი“, „პროკრედიტ ბანკი საქართველო“ და ბანკი „ქართუ“.

განსხვავებული სტრატეგიის გამო, კარგ პირობებში აღმოჩნდა „პროკრედიტ ბანკი საქართველო“. 2008 წლის პირველ 11 თვეში არასაბანკო დეპოზიტები 1,3%-ით გაიზარდა და 2,9 მლრდ. ლარი შეადგინა, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტები 8,6%-ით გაიზარდა, ეროვნულ ვალუტაში კი 12,7%-ით შემცირდა. სეპ-ის მონაცემებით, უცხოური ვალუტის წილი დეპოზიტებში კვლავ მაღალია – 84,8%.

„პროკრედიტ ბანკის“ უკეთესი სტრატეგიის მანიშნებელია ისიც, რომ 2008 წ. 30 სექტემბრის მდგომარეობით, ბანკის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 326 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლის დასაწყისისათვის არსებულ მდგომარეობას 84 მლნ. აშშ დოლარით აღემატება. აგვისტოს მოვლენების შემდეგ ბანკის თანამშრომლები ყველა იმ მომხმარებელს შეხვდნენ, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალდნენ. „პროკრედიტ ბანკმა“ დაზარალებულ კლიენტებს გადახდის გრაფიკი ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე შეუცვალა, რის შედეგადაც კონფლიქტის ზონების მოისახლეობას კრედიტების დროულად გადახდისა და თავისი ბიზნეს საქმიანობის გაგრძელების საშუალება მიეცა.

2008 წლის მესამე კვარტლიას ბოლოსათვის ბანკის მიერ მოზიდულმა კლიენტთა მთლიანმა სახსრებმა 191 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლის დასაწყისისათვის არსებულ მონაცემებზე 18 მლნ. აშშ დოლარით მეტია. სექტემბერში კლიენტთა მოზიდულმა სახსრებმა 10 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც აგვისტოში ბანკიდან გატანილი სახსრების დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს. ოქტომბერში ბანკში თითქმის ყოველდღიურად იხსნებოდა ახალი 1000 ლარიანი ანგარიში, რაც რეკორდულ მაჩვენებლად ითვლება. ეს ციფრები გამოხატავს მომხმარებლის ნდობას „პროკრედიტ ბანკის“ მიმართ, ნდობის ფაქტორი მნიშვნელოვნად გააძლიერა იმ ფაქტმა, რომ აგვისტოს მოვლენების დროს ყველა მომხმარებელმა შეუფერხებლად შეძლო ბანკიდან თანხების გატანა.

2008 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით „პროკრედიტ ბანკის“ წმინდა მოგება 6,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ნათელია, რომ საომარ მოქმედებებს ბანკის რენტაბელობაზე მკვეთრად უარყოფითი ზეგავლენა არ მოუხდენია.

„პროკრედიტ ბანკის“ პრიორიტეტად კვლავ ძალიან მცირე, მცირე და საშუალო ბიზნესების დაკრედიტება დარჩა, რადგან ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, სწორედ ეს საწარმოები ქმნიან ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს და,

შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ბანკის მთავარი მიზანია მომხმარებელს შესთავაზოს საიმედო საკრედიტო მომსახურება მათთან გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობის დამყარებით.

„პროკრედიტ ბანკის“ სტრატეგიამ გაამართლა არა მარტო აგვისტოს ომთან, არამედ მსოფლიო კრიზისთან მიმართებაში, რაშიც დაგვარწმუნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის შტეფან ბოვენის ნათქვამმა: მსოფლიო კრიზისი „პროკრედიტ ბანკის“ საქმიანობაზე უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს, რადგან ოპერაციების ჩატარებისას ბანკი კლიენტთა დეპოზიტებს ეყრდნობა, რაც ბანკის დაფინანსების მთავარი წყაროა. მსოფლიოს მასშტაბით ბანკის მომხმარებელთა რაოდენობა მილიონს აჭარბებს, ამიტომ „პროკრედიტ ბანკი“ კაპიტალის ბაზრისგან დამოუკიდებელია ბანკი ფრთხილად წინდახედულად მოქმედებს, ის ცდილობს მომხმარებელს ისეთი მოცულობის კრედიტი გამოუყოს, რომელიც მას ნამდვილად სჭირდება, სწორედ ამიტომ ვერ ჩაითრია მსოფლიო საბანკო კრიზისმა „პროკრედიტ ბანკი“, რაც ბანკის მიდგომის სისწორეში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს.“

2008 წლის ბოლოსათვის „პროკრედიტ ბანკის“ მიმდინარე სესხების რაოდენობა 45 000 ითვლიდა, ანუ ბანკის მომსახურებით სარგებლობდა თითქმის 40 000 კომპანია, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილიც ექსპორტითაა დაკავებული. რაც შეეხება საქართველოს ბაზრის წილს, აქტივების მხრივ, ბანკი 8,5%-ს ფლობს, ანუ დეპოზიტების დიდი მოცულობა არა აქვთ, ფიზიკური პირებისა და ოჯახის დანაზოგების მიხედვით კი საბაზრო წილი 14%-ს შეადგენდა.

საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები 2009 წლის I კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1,9%-ით გაიზარდა და 8,2 მლრდ. ლარი შეადგინა, ხოლო ვალდებულებებმა – 6,5%-ით მოიმატა და 6,7 მლრდ. ლარს მიაღწია.

საბანკო სექტორში განთავსებული მთლიანი დეპოზიტების მოცულობამ 2009 წლის 1 ოქტომბრისათვის 3,0 მლრდ. ლარს გადააჭარბა, რაც 4,1%-ით მეტია მიმდინარე წლის პირველი სექტემბრისათვის არსებულ მაჩვენებელზე. სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა სამეწარმეო და შინამეურნეობების სექტორების როგორც მიმდინარე ანგარიშების, ისე ვადიანი დეპოზიტების ზრდას, შესაბამისად 7,8 და 2,1%-ით.²⁵

²⁵ www.nbg.gov.ge.

2009 წ. პირველი ოქტომბრის მდგომარეობით კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ოდენობით სავაჭრო საწარმოები პირველობენ – ეროვნული ვალუტით 223302 ათასი ლარი, მაშინ, როცა სასტუმროებსა და რესტორნებზე გაცემული სესხები 622 ათასი ლარია, ასევე ცოტაა სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხები – ვაჭრობასთან შედარებით 218263 ათასი ლარით ნაკლები (ეს გარკვეულწილად სოფლის მეურნეობაში დაკრედიტების სეზონურობას უკავშირდება). ნაკლები სესხებია გაცემული მშენებლობაზეც 0 53 465 ათასი ლარი, მაშინ, როცა მრეწველობაზე 95688 ათასი ლარია გაცემული.. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ ერთი – საფინანსო კრიზისმა უფრო მეტად მშენებლობა დააზარალა, ვიდრე ვაჭრობის სფერო, მეორეც, კომერციულ ბანკებს კარგად აქვთ თავიანთი კომიტენტების საქმიანობა შესწავლილი. თუმცა კომერციულ ბანკებსა და სამშენებლო კომპანიებს და სხვა კომიტენტებს შორის პრობლემები მაინც იყო. ამდენად, მიზანმიმართულად მიგვაჩნია კომერციული ბანკების მიერ სისტემატურად გაანალიზდეს თავისი კომიტენტების საქმიანობის ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა:

- ბალანსის ლიკვიდობა;
- სახსრების გამოყენების რენტაბელობა (კერძოდ, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობა, როგორც სახსრების ლიკვიდობის ხარისხის რეალური, ეკონომიკური კრიტერიუმი);
- წარმოების გეგმები და მათი საბაზრო კონიუნქტურის პირობებთან შესაბამისობა;
- საწარმოების ტექნიკური დონე და მისი განვითარების პერსპექტივები;
- საექსპორტოდ წარმოებული საქონლის (ამ შემთხვევაში მრეწველობის სხვადასხვა დარგების – მაგალითად, ღვინის, მინერალური წყლების საწარმოთა პროდუქციის) ხვედრითი წონა.

საბანკო პოლიტიკაში საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირების მხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს ზემოთხამოთვლილ მაჩვენებლებთან ერთად მოსახლეობის სახსრებს. მოსახლეობის დანაზოგებზე ზემოქმედებას ახდენს შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1. ფულადი შემოსავლების სიდიდე და დანაზოგებისაკენ მიდრეკილება;
2. ფართო საბანკო ქსელის და ეფექტიანი ლოტირების გზით დანაზოგების შექმნის ორგანიზება;
3. მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი;

4.საინფორმაციო სამსახურის ორგანიზება;

5. მოსახლეობასთან მომუშავე ბანკის განყოფილების ტექნიკური აღჭურვა;

6. კომიტენტების კარგად ცოდნა, მათი რეგიონალური განაწილება, საფინანსო ძალები, მოთხოვნების ინტენსივობა და ბანკში დეპონირებული სახსრების გამოყენება, ვალდებულების შესრულების საიმედოობა, უზრუნველყოფილი შესაძლებლობები და სხვა ფაქტორები, რომელთა საფუძველზე მოსახლეობის სახსრების მოზღვაგებაზე და უკუქცევაზე რეალური წარმოდგენა შეიძლება შეიქმნას. 2009 წლის სექტემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირების დეპოზიტები 239 ათას ლარს უდრიდა, მათ შორის რეზიდენტების 23540-ს, ხოლო არარეზიდენტების – 398 ათას ლარს უდრიდა. 2008 წლის ნოემბრისათვის იგივე მაჩვენებლები ასეთი იყო: 25246 ათასი ლარი, 25018 ათასი ლარი, 228 ათასი ლარი. ზრდა შეინიშნება 2009 წლისათვის მხოლოდ არარეზიდენტების დეპოზიტებში 170 ათასი ლარით. დიდი სხვაობა შეინიშნება იურიდიული პირების დეპოზიტების ოდენობაში: 2009 წ. სექტემბერში სულ იყო 26998 ათასი ლარი, მაშინ, როცა 2008 წ. 74008 ათასი ლარი იყო (47090 ათასი ლარით ნაკლები). ვადიანი დეპოზიტების რაოდენობით მეორე ადგილზეა კომერციული ბანკები – 24520 ათასი ლარით.²⁶

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომამდე საქართველოს კომერციულმა ბანკებმა ყველა სახის სესხზე საპროცენტო განაკვეთი 2-3%-ით გაზარდა. აღნიშნულის მიზეზად მსოფლიო ბაზარზე არსებული პრობლემები – ფულადი რესურსების გლობალური მასშტაბით გაძვირება სახელდებოდა. 2008 წ. მაისიდან უძრავი ქონების იპოთეკური სესხის წლიური განაკვეთი 14-დან 16-20%-მდე გაიზარდა. სამშენებლო კომპანიები მშენებლობის დასაფინანსებლად ძირითადად ბანკის კრედიტს იყენებენ. რა თქმა უნდა, საპროცენტო განაკვეთების ზრდა პირდაპირ აისახება მშენებლობის თვითღირებულების ზრდაზე. ძირითადი სიმძიმე კი მომხმარებელზე გადადის ფასის მატების სახით. ის კომპანიები, რომლებიც სწორად აკონტროლებენ თვითღირებულებასა და მოგების მარჟას, საბანკო პროცენტის გაზრდის პარალელურად, ყველა შემთხვევაში აწევენ ფასს.

ცნობილია, რომ საპროცენტო განაკვეთების ზრდა გარკვეულწილად საკრედიტო რესურსების სიმწირესა და სიძვირეზე მეტყველებს. საქართველოში საპროცენტო განაკვეთების მატება პირველ რიგში, გლობალურ ბაზარზე ლიკვიდობის ნაკლებობამ გამოიწვია, რაც თავის მხრივ აშშ-ის გაჭიანურებული

²⁶ www.nbg.gov.ge.

იპოთეკური კრიზისის შედეგია. ქართულ ბანკებს უჭირთ უცხოეთიდან შედარებით იაფი საკრედიტო რესურსების მოზიდვა, რადგანაც მსოფლიო ბაზარზე მათთვის კრედიტი გაძვირდა 1,5-2%-ით. 2007 წლისათვის საქართველოს ბანკები უცხოურ ბანკებში საკრედიტო რესურსებს 4-6%-იანი განაკვეთებით იღებდნენ, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციამ ამ განაკვეთებზეც იმოქმედა და ამჟამად ოპტიმალური განაკეთი 8-10%-ის ფარგლებში მერყეობს. საკრედიტო რესურსების გამო, საქართველოს ბანკები სესხს იმაზე დაბალ პროცენტებში ვერ გასცემენ, ვიდრე თავად იღებენ საერთაშორისო საბანკო სტრუქტურებიდან. ქართული ბანკები უცხოეთიდან რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით შეზღუდულები არიან როგორც კრედიტის მოცულობის, ისე მისი ვადის მიხედვით. უცხოური საფინანსო ინსტიტუტების მიერ ქართული ბანკებისათვის გამოყოფილი რესურსები, არასაკმარისი გარანტიების გამო, როგორც წესი მოკლევადიანია. ასეთ შემთხვევაში რისკის ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანია. რისკის განმაპირობებელი კი როგორც საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესები, ასევე ქვეყანაში არსებული ფაქტორებია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საბანკო სექტორში ბოლო დროის დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიციები შემოვიდა, კომერციული ბანკების მიერ მოზიდული სახსრები მაინც ძვირია.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 2009 წლის სექტემბრისათვის 8,7%-ს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტებისა 0 8,7%-ს. თუ შევადარებთ 2008 წლის იმავე პერიოდის მონაცემებს, პირველი მათგანი 11,8%, ხოლო მეორე 7,2% იყო. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთმა 3,1 პროცენტული პუნქტით მოიკლო, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტებისა კი – 1,5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთმა აიწია 0,2 პროცენტული პუნქტით, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტებისა კი შემცირდა 6,8%-მდე 2008 წ. 12,2%-დან. იურიდიული პირების დეპოზიტებიდან საკმაო შემცირება დაფიქსირდა სამეწარმეო სექტორზე 2009 წ. სექტემბერში – 10,7%, მაშინ, როცა წინა წლის შესაბამის პერიოდში 14,3% იყო. შემცირდა საპროცენტო განაკვეთი ფინანსური სექტორის მიხედვითაც: 2008 წ. 6,5%, 2008 წ. – 11,9%. რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებს, შემდეგი სურათი გვაჩვენებს: 2009 წ. სექტემბერში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მთლიანობაში გაზრდილია საპროცენტო განაკვეთი, ასევე გაზრდილია 16%-ით.

3.2. საკრედიტო პოტენციალის სახსრების მოზიდვაზე მოქმედი ფაქტორები

კომერციული ბანკის წარმატება დიდწილადაა დამოკიდებული იმ ფაქტორების აღრიცხვაზე, რომლებიც საკრედიტო პოტენციალის სახსრების მოზიდვაზე ახდენენ გავლენას. ბანკის პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირებაზე.

საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრები საკრედიტო პოტენციალის ფორმირების ძირითადი ფაქტორია. საწარმოების სახსრების აკუმულაციისათვის რეალური შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება, ერთი მხრივ, და იმავე საწარმოების ფულად სახსრებზე მოთხოვნები – მეორე მხრივ, საბანკო საქმიანი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტებია.

საბანკო სისტემაში საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 2009 წლის ივლისში გაიზარდა და 22,7% შეადგინა (1 წელზე მეტი ხნის ვადიან სესხზე), ეროვნული ვალუტით სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები 24,6%-ია. ამავე პერიოდის განმავლობაში 0,7 პროცენტული პუნქტით, 21,6%-მდე გაიზარდა უცხოური ვალუტით დაკრედიტების განაკვეთები. უცხოურ ვალუტაში იურიდიული პირებისათვის სესხები წლიური 18,6%-ის ფარგლებში გაიცემოდა. 2008 წლის ივლისთან შედარებით საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში სესხებზე შემცირდა 0,2 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში სესხების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა 2,1 პროცენტული პუნქტით.

რაც შეეხება 2009 წლის სექტემბრის მდგომარეობას, საპროცენტო განაკვეთები სესხებზე თითქმის უცვლელია, გაიზარდა 0,1 პროცენტული პუნქტით და 21,8% შეადგინა. ეროვნული ვალუტით სესხების საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთები 23,1%-ია. ამავე პერიოდის განმავლობაში 0,1 პროცენტული პუნქტით, 20,9%-მდე გაზარდა უცხოური ვალუტით დაკრედიტების განაკვეთები. უცხოურ ვალუტაში იურიდიული პირებისათვის სესხები წლიური 17,8%-ის ფარგლებში გაიცემოდა. გასული (2008 წ.) სექტემბერთან შედარებით საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში სესხებზე შემცირდა 1,3 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში სესხების საპროცენტო განაკვეთები 0,6 პროცენტული პუნქტით.²⁷

²⁷ www.nbg.gov.ge (მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი №126. იანვარი-აგვისტო, 2009).

მსოფლიოს საკრედიტო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას ადგილობრივი პრობლემებიც ემატება. ასეთი პროცესების ხელშემწეობი გარკვეულწილად ეროვნული ბანკიც არის, რომელიც ინფლაციის შეჩერებას სადეპოზიტო სერთიფიკატებზე საბაზრო განაკვეთის აწევით ცდილობს. შესაბამისად, ადგილობრივი საკრედიტო რესურსი უფრო და უფრო ძვირდება. ამას ისიც ემატება, რომ ეროვნული ბანკი ლარის კუსის რეგულირების მიზნით, მიმოქცევიდან გარკვეული ოდენობის ფულს მუდმივად იღებს.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, საპროცენტო განაკვეთებზე გაველენას მოსახლეობის მიერ ბანკებში შეტანილი ანაბრებიც ახდეს. ცნობილია, რომ ბანკების ერთ-ერთი მთავარი ფინანსური კაპიტალი ვადიანი დეპოზიტებია. დეპოზიტების 90%-ზე მეტი კი ფიზიკური პირების ანაბრებზე მოდის. მთლიან დეპოზიტებში ვადიანი ანაბრების წილი ბოლო დროს 42%-დან 37%-მდე შემცირდა, რაც განპირობებულია რამდენიმე მიზეზით. ჯერ ერთი, ანაბრებზე არსებული საპროცენტო განაკვეთი ინფლაციის ხარჯზე მთლიანად ქრება, გარდა ამისა, პოლიტიკური დესტაბილიზაციის მოლოდინი საბანკო სექტორზე მყისიერად რეაგირებს. მდგომარეობის გართულების გამო, ასევე იმის გამო, რომ საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირებაში მოსახლეობის სახსრებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რამდენიმე კომერციულმა ბანკმა „ვითიბიმ“, „აზისბანკმა“ „საქართველოს ბანკმა“, „თი-ბი-სიმ“ , „სტანდარტ-ბანკმა“ ანაბრების მასშტაბური აქციები დაიწყეს და ეს დღესაც გრძელდება. სახსრების მოზიდვას ხელი შეუწყო მილიონი ლარის („თიბისი“), მილიონი დოლარის („საქართველოს ბანკი“), ბინების („თიბისი“, „საქართველოს ბანკი“, „სახალხო ბანკი“), მანქანების („სტანდარტ-ბანკი“) პრომო აქციებმა.

კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალის სახსრების წყაროებში ცენტრალური ბანკის კრედიტებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აღნიშნული წყაროების სპეციფიკა მდგომარეობს შემდეგში:

ა) ცენტრალური ბანკის კრედიტები არის ემისიის სახსრები, ფულადი მასის მოცულობის რეგულირებისა და საბანკო სისტემის ლიკვიდობის ძირითადი ინსტრუმენტი;

ბ) ცენტრალური ბანკის მიერ, რეფინანსირების წესით კომერციული ბანკისათვის გაიცემა კრედიტები.

ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის, კრედიტის გაცემის მიზანია, კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის წყაროების იმ ნაწილის

ანაზღაურება, რეფინანსირება, რომელიც ბანკების კომიტენტების ზემოთ მითითებულ კრედიტებშია ამოქმედებული. კომერციული ბანკების მიერ, ცენტრალური ბანკების კრედიტების გამოყენების შესაძლებლობა, მეურნეობის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, ქვეყნის ფულადი საკრედიტო პოლიტიკით განისაზღვრება. სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კიდევ ერთი ინსტრუმენტის – მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების საშუალებით ხდება საბანკო სესხებისა და დეპოზიტების დინამიკაზე ზემოქმედება. ეროვნულ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების მოცულობის გაზრდა ან შემცირება შესაბამისად ამცირებს ან ზრდის კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალს.

კომერციულ ბანკებზე სარეზერვო მოთხოვნა ზემოქმედებს როგორც გადასახადი, ამცირებს მიმოქცევაში არსებული ფულის მასას, აძვირებს კრედიტებს, შესაბამისად ამცირებს მათზე მოთხოვნას და საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ინსტრუმენტის გამოყენებით, სებ-ი საჭიროების მიხედვით ახდენს გავლენას ფულად მულტიპლიკატორზე. 2007 წ. მაისში განხორციელდა დარეზერვების წესის ცვლილება. გაუქმდა განსხვავებული სავალდებულო რეზერვების ნორმები და 13%-იანი ერთიანი ნორმა იქნა შემოღებული. ამ ცვლილებამ კომერციულ ბანკებს საშუალება მისცა:

ა) უფრო ეფექტიანად ემართათ ლიკვიდური სახსრები და არ დაეგროვებინათ ზედმეტი თანხა საკორესპონდენტო ანგარიშებზე;

ბ) კიდევ ერთი ინსტრუმენტის ამოქმედების – 2007 წლის დეკემბრიდან კომერციულმა ბანკებმა აქტიურად დაიწყეს სებ-ის ერთდღიანი სესხებით სარგებლობა.

აქვე შევნიშნავთ, რომ აგვისტოში საომარი მოქმედებების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, 2008 წლის 2 ოქტომბრიდან მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმა 13-დან 5%-მდე შემცირდა.

ერთდღიანი სესხები განკუთვნილია საბანკო სისტემისადმი ლიკვიდობის მისაწოდებლად და საბანკო სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში მთავარ ამოცანას ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტებით საბანკო სისტემიდან ზედმეტი ლიკვიდობის ამოღება წარმოადგენდა და ამ მიზნისათვის ძირითადად სადეპოზიტო სერთიფიკატები გამოიყენებოდა, ერთდღიანი სესხები უფრო ეფექტიანს ხდიდა სადეპოზიტო სერთიფიკატებით ჭარბი ლიკვიდობის ამოღებას. საჭიროების შემთხვევაში, კომერციულ ბანკებს შეეძლოთ

დაეგირაგებინათ თავიანთ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები და მიეღოთ ერთდღიანი სესხი. შესაბამისად, კომერციულ ბანკებს სებ-ის ფასიან ქაღალდებში სახსრების განთავსების მეშვეობით, მოულოდნელი ლიკვიდობის დეფიციტის პრობლემის წარმოქმნისას მისი სწრაფი მოგვარების შესაძლებლობა ჰქონდათ. ეს კიდევ უფრო ზრდიდა სადეპოზიტო სერტიფიკატებით კომერციული ბანკების დაინტერესებას.

2007 წლის 22 აგვისტოს №224 და №225, ასევე 2007 წლის 31 დეკემბრის №346 ბრძანებების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებათა რეპო ოპერაციების შესახებ“ და „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ერთდღიანი კრედიტების გაცემის შესახებ“ დებულებებში შეტანილი იქნა ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებდა რეპო-ოპერაციების სადეპოზიტო სერტიფიკატებისა და ობლიგაციების, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების პერსპექტივას.

2007 წ. ერთდღიანი სესხები გაიცა ოთხი კომერციული ბანკისათვის. მათ შორის 18 სექტემბერს ორი კომერციული ბანკისათვის წლიურად 12%-ად, შესაბამისად 7,0 მლნ. ლარისა და 10,0 მლნ. ლარის ოდენობით. 2008წ. სულ სებ-ის მიერ გაცემული იქნა 3409,2 მლნ. ლარის ერთდღიანი სესხი კომერციულ ბანკებზე, როცა 2007 წელს, სექტემბერში მისი ამოქმედებიდან წლის ბოლომდე, მხოლოდ 90 მლნ. ლარი]. სესხზე მოთხოვნა 2008წ. მაღალი იანვარ-თებერვალსა და, განსაკუთრებით, აპრილ-მაისში იყო, რაც ლიკვიდობის დეფიციტის გამწვავების პერიოდს ემთხვევა. გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სებ-მა მაისში გაზარდა ერთდღიანი კრედიტით დავალიანების საერთო დღიური ლიმიტი 75 მლნ. ლარამდე.²⁸

2009 წლის II კვარტალში სებ-ის მიერ კომერციულ ბანკებზე გაიცა სულ 20 მლნ. ლარის ერთდღიანი სესხები, რაც მთლიანად აპრილის თვეზე მოდის. 16 აპრილიდან სებ-ის გადაწყვეტილებით, ერთდღიანი სესხების სარგებლობისათვის განაკვეთი 11%-დან 10%-მდე შემცირდა. ამავე დროს, 2009წ. II კვარტალში მხოლოდ ერთმა ბანკმა ისარგებლა ბოლო ინსტანციის სესხით. გაცემულ იქნა 15 მლნ. ლარის სესხი 11%-ის სარგებლით, უზრუნველყოფის გარეშე.

²⁸ www.nbg.gov.ge (მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი №126. იანვარი-აგვისტო, 2009).

კომერციული ბანკებისთვის ლიკვიდობის მართვის ხელშეწყობისათვის 2009წ. II კვარტალში ხორციელდებოდა 3 თვიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების ემისია. ისედაც შემცირებული სესხებისათვის სადეპოზიტო სერთიფიკატებს კონკურენცია რომ არ გაეწიათ, მათზე დაწესებული მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი სებ-მა შეამცირა 16 აპრილიდან 13%-დან 10%-მდე, ხოლო 14 მაისიდან 10%-დან 7%-მდე. 28 მაისიდან შემცირდა ყოველკვირეული ემისიის მოცულობაც 25 მლნ. ლარიდან 3 მლნ. ლარამდე. II კვარტალში მოთხოვნა სადეპოზიტო სერთიფიკატებზე გაიზარდა. შედეგად, განთავსდა 149 მლნ. ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატები, მაშინ, როცა I კვარტალში იგივე მაჩვენებელი 115,5 მლნ. ლარი იყო.

2009 წ. სექტემბერში ჩატარდა სადეპოზიტო სერთიფიკატების ოთხი 91 დღიანი აუქციონი, აღნიშნულ აუქციონზე მთლიანად განთავსდა 60 მლნ. ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერთიფიკატი, საანგარიშსწორებო ფასით 59 387 157 ლარი, რაც აგვისტოს თვის ანალოგიური მაჩვენებლის ტოლია. სექტემბერში ბანკების მხრიდან სადეპოზიტო სერთიფიკატებზე მოთხოვნა 146,9 მლნ. ლარით აღემატებოდა ემისიას. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 4,14% შეადგინა, რაც აგვისტოს თვის საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთზე 0,35%-ით ნაკლებია.²⁹

ბანკთაშორისი კრედიტი იმ სესხების მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც საკრედიტო პოტენციალის სტაბილურობას იცავს. ფინანსური დამოკიდებულებით მდგრადი ბანკები, რომელთაც ჭარბი რესურსები აქვთ, ვაჭრობენ თავისუფალი საკრედიტო რესურსებით. იმისათვის, რომ ამ რესურსებმა მოიტანონ შემოსავალი, ბანკები ცდილობენ განათავსონ ისინი სხვა ბანკ-მსესხებლებში.

ბანკისათვის სხვა ბანკებში საკრედიტო რესურსების მოთავსება ხელსაყრელია მეურნეობაში ჩადებულ სახსრებთან შედარებით, განსაკუთრებით ამჟამად, რადგანაც გარანტია ბანკის მხრიდან კრედიტის დაბრუნებისა უფრო დიდია, ვიდრე მეურნეობის მხრიდან.

საერთაშორისო პრაქტიკაში უფრო მეტადაა გავრცელებული დეპოზიტები 1, 3 და 6-თვიანი ვადით, ზღვრული ვადები 1 დღიდან რამდენიმე წლამდე. უცხოურ პრაქტიკაში ბანკთაშორისი დაკრედიტება, როგორც წესი, ხორციელდება ბანკის მიმდებარე ლიკვიდობის დასაცავად და სახსრების დაბანდების უზრუნველსაყო-

²⁹ www.nbg.gov.ge (მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი №126. იანვარი-აგვისტო, 2009).

ფად; იგი ძირითადად მოკლევადიან ხასიათს ატარებს და ამასთან სახსრების გაცემის ოპერატიული ხერხია.

ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარებას უზრუნველყოფს კარგი საინფორმაციო ბაზა, რომელიც ბანკების ფინანსურ მდგომარეობას, მათ გადახდისუნარიანობას და ლიკვიდობას ახასიათებს, პრაქტიკაში აუცილებელია ბალანსების გამოყენება.

2007 წლისათვის საქართველოს ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონებზე აქტიურობა მინიმუმამდე დავიდა. ცხადია, რომ საბანკო სისტემის განვითარებისა და სეპ-ის ფულად-საკრედიტო ოპერაციების დახვეწის ფონზე, ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონების გამართვა არაეფექტური იყო.

იურიდიულ პირებზე გაცემული ბანკთაშორისი სესხები ეროვნული ვალუტით საერთოდ არ არის, ხოლო უცხოური ვალუტით 4215 ათას ლარს შეადგენს. ბანკთაშორისი დეპოზიტები კი წარმოდგენილია როგორც ეროვნული (24520 ათასი ლარი), ისე უცხოური ვალუტით (25699 ათასი ლარი). ბანკთაშორის დეპოზიტებზე აღნიშნულ პერიოდში საპროცენტო განაკვეთი 4,5%, ხოლო სესხებზე 15% დაფიქსირდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბანკთაშორისი დეპოზიტები 2009 წლის სექტემბრისათვის საკმაოდ შემცირებულია 2008 წლის ნოემბერთან შედარებით (230934 ათასი ლარი) – 180714 ათასი ლარით. თუ 2008 წლის ნოემბერში საპროცენტო განაკვეთი 8,4% იყო, 2009 წლის სექტემბერში – 4,5%, ანუ შემცირება 3,9 პროცენტული პუნქტით.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მსოფლიო ბაზარზე არსებული ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, საშუალო და მცირე ზომის ბანკებს უფრო შეექმნებათ პრობლემები. თუკი ისინი კაპიტალის დეფიციტს ვერც მოსახლეობიდან მოზიდული ანაბრებით შეივსებენ, მაშინ იძულებული იქნებიან შეამცირონ საკრედიტო პორტფელი.

აღნიშნულის გამო მცირე ბანკების გამსხვილების პროცესი გარდაუვალი იქნება. მეორე მხრივ კი, მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო უცხოური ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები შემოდინან საქართველოს ბაზარზე. აღნიშნული ტენდენცია კი საწინდარია იმისა, რომ გაიზრდება კონკურენცია და, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთი შემცირდება. უცხოური ბანკები ინტენსიურად შემოდინან საქართველოს ბაზარზე, მაგრამ საკრედიტო რესურსების მოზიდვა მაინც არ ხდება ისეთი ოდენობით, რომ საპროცენტო განაკვეთმა საგრძნობლად დაიწიოს (თუმცა

2009 წლის მე-2 ნახევარში მცირედ შემცირებას ჰქონდა ადგილი). აღნიშნულიდან გამომდინარე, კრედიტის გაიაფებისათვის მიგვაჩნია, რომ:

ა) სახსრების საკრედიტო პოტენციალის განაწილების სფეროში საბანკო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი უნდა იყოს სახსრების წყაროების, სტრუქტურის, ბანკის აქტივების სტრუქტურასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ბ) ბანკმა თავის საქმიანობაში საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადიანი ტრანსფორმაციის განხორციელება უნდა შეძლოს;

გ) ბანკმა სახსრების ტრანსფორმაცია უნდა მოახდინოს კრედიტის განსაზღვრული თანხის საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადაზე უფრო მეტი ხნით გაცემით.

საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადიანი სტრუქტურის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მოთხოვნამდე დეპოზიტების სახსრები ბანკში კონცენტრირდება სხვადასხვა დეპოზიტებიდან, რომლებიც მათ სხვადასხვა დინამიკით გამოიყენებენ. თუ რა დონემდე შეუძლია ბანკს მოახდინოს ვადიანი სახსრების სტრუქტურის შეცვლა, საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირებისა და განაწილების დამტკიცებულ საქმიან პოლიტიკაზე დამოკიდებული. ტრანსფორმაციის მომენტში სახსრების წყაროების და აქტივების ლიკვიდობის დონე საბანკო ანალიზზეა დამოკიდებული.

საქართველოს კომერციულ ბანკებში საკრედიტო პოტენციალის და მისი ზრდის ფაქტორების გასაუმჯობესებლად საჭიროა სახსრების ვადიანი სტრუქტურის ანალიზი და მათი განაწილება ბანკის ოპერაციების ვადიანობის, ფულადი ნაკადების მიმართულებისა და თარიღის (სახსრების წყაროები, სახსრების განაწილება, გაწყვეტა) მიხედვით ჩატარდეს. რამდენადაც საკრედიტო პოტენციალის სახსრების მოზღვაგებისა და უკუქცევის მნიშვნელოვანი ფაქტორია ბანკის ლიკვიდობის პოლიტიკაში ხარისხობრივი და რაოდენობრივი წონასწორობა, ამიტომ სახსრების ვადიანი სტრუქტურის მაჩვენებლები საშუალებას იძლევა, ჩატარდეს წონასწორობის ანალიზი და ამით შეფასდეს საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადიანი ტრანსფორმაციის არალიკვიდობის რისკის ხარისხი. ვადიანი ტრანსფორმაციის ხარისხის უმარტივესი მაჩვენებელი შეიძლება მოკლევადიანი აქტივების საერთო მოცულობასა და მოკლევადიან წყაროებს შორის და გრძელვადიანი აქტივების სიდიდესა და ბანკის საკრედიტო პოტენციალის სახსრების გრძელვადიან წყაროებს შორის საპროცენტო თანაფარდობა იყოს.

აღნიშნულის შესაბამისად შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის გზები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ბანკების საკრედიტო პოტენციალის ზრდა და ეკონომიკის დაკრედიტების სრულყოფა:

1. საკრედიტო პოტენციალის ზრდის ფაქტორების მუდმივი ანალიზი და ამ ფაქტორების ხელშეწყობის პირობების გაუმჯობესება;

2. საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადიანი ტრანსფორმაციის განხორციელება;

3. მსოფლიო პრაქტიკის შესაბამისად სარეზერვო ნორმატივის დამცავი ფუნქციის შერბილება და სპეციალიზირებული სადაზღვევო კომპანიების წინწამოწევა;

4. საქართველოში მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტება არა წარმოების განვითარების, არამედ იმპორტის დაფინანსებას უწყობს ხელს, რასაც ბოლო წლებში ფიზიკურ პირებზე მკვეთრად მზარდი გრძელვადიანი კრედიტების მოცულობა ადასტურებს. ამდენად, ამჟამად უმჯობესია სამშენებლო-იპოთეკური კრედიტის რესტრუქტურზაცია;

5. სამშენებლო და საბანკო სფეროს ურთიერთდაკავშირებულობისა და ორივე მათგანის კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდნის ამჟამინდელი მდგომარეობის განუმეორებლობა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შესაძლებელია სამშენებლო სფეროს დაზღვევით, რამდენადაც სამშენებლო პროექტების დიდი ნაწილი რომ დაზღვეულიყო, არ შეიქმნებოდა სერიოზული ფინანსური პრობლემები;

6. ჩამოყალიბდეს საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის უმთავრესი მიზანია კომერციული ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლება. ამისათვის მათი რესურსული პოტენციალის გაზრდაა საჭირო. ეს კი პირდაპირ უკავშირდება კრედიტზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას და, შესაბამისად, ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა;

7. საქართველოში უნდა შეიქმნას სპეციალური სადაზღვევო ფონდი, რომელიც კომერციული ბანკის გაკოტრების შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი კლიენტების ანაბრების მთლიან ან ნაწილობრივ ანაზღაურებას. აღნიშნული ფონდი დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის დეპოზიტების ზრდაზე, ეროვნული რესურსების მობილიზებით მოხდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რესურსების მოზიდვა;

8. დეპოზიტების სადაზღვევო სისტემის შემოღებაში დაინტერესებული უნდა იყოს არა სახელმწიფო, არამედ საბანკო დაწესებულებები და სადაზღვევო კომპანიები, რამდენადაც აღნიშნული სისტემა აუცილებელია საფინანსო სისტემის სტაბილურობისათვის. ამით სადაზღვევო კომპანიებს დამატებითი შემოსავლები უზრუნველდება, ხოლო ადამიანები ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც დეპოზიტებზე გარკვეული თანხა აქვთ, გადაიხდიან გარკვეულ სადაზღვევო შენატანს და თავს მშვიდად იგრძნობენ;

9. კომერციულმა ბანკებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ გრძელვადიანი დაკრედიტების დამკვიდრებას, რაშიც მონაწილეობა მთავრობამაც უნდა მიიღოს;

10. კომერციული ბანკების მიერ მიწოდებული მომსახურების ასორტიმენტის, მათ მიერ შესრულებული ოპერაციების სახეობების გაფართოება. ამასთან ერთად, ეროვნული ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების საქმიანობის არსებული სფეროსა და ფუნქციების ოპტიმალური შეზღუდვა, მათი უშუალოდ ეკონომიკის დაკრედიტებისათვის, გადართვის სტიმულირებისათვის პირობების შექმნა;

11. საფინანსო დანაზოგების სტიმულირება და მათი გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა უნდა მოხდეს საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, შემნახველებსა და ინვესტორებს შორის პირდაპირი კავშირების (არაორგანიზებული ბაზარი) ნაცვლად საბანკო არხებით ფულადი დანაზოგების გადანაწილების მეშვეობით, რაც გაზრდის საბანკო სისტემის კაპიტალიზაციის დონეს და შესაბამისად დადებითად იმოქმედებს საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე, რაც ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

3.3. საქართველოს კომერციული ბანკების როლი და მათ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორები

საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის. იგი, გარდა იმისა, რომ უდიდეს ზეგავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე, ამასთანავე გულისხმობს: კაპიტალის საკმარისობის გაძლიერებას, აქტივების ხარისხის ამაღლებას, რისკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვას, ლიკვიდობის, დეპოზიტების დაზღვევის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნის და საბანკო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

საკრედიტო სისტემის მდგრადობისა და საიმედოობის ხარისხის ამაღლება განაპირობებს არა მარტო ბანკების და მათი კლიენტების, არამედ საზოგადოების იმ ინტერესების დაცვასაც, რაც ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის დინამიურ განვითარებას უკავშირდება.

ხშირ შემთხვევებში ბანკის საიმედოობის სინონიმად იგულისხმება მისი მდგრადობა. თუმცა, მდგრად ბანკში უფრო ფუნდამენტური აზრია ჩადებული. საიმედოობა ბანკის მდგრადობის გამოვლენის უმნიშვნელოვანესი ფორმაა. საიმედო ბანკი, რა თქმა უნდა, მდგრად და მყარ ბანკს წარმოადგენს.

კომერციული ბანკის საიმედოობაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორები, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ნებისმიერი ეკონომიკური სტრუქტურის ფინანსური მდგრადობის ისეთი პირობები, როგორცაა: კაპიტალის საკმარისობა, აქტივებისა და პასივების ხარისხი, შემოსავლიანობა და ლიკვიდობა.

ბანკების ფინანსური მდგრადობა გარდა იმისა, რომ უდიდეს ზეგავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე, ამასთან გულისხმობს შემდეგს: კაპიტალის საკმარისობის გაძლიერებას, აქტივების ხარისხის ამაღლებას, რისკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვას, ლიკვიდობის, დეპოზიტების დაზღვევის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნისა და საბანკო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

საქართველოს კომერციული ბანკების მდგრადობის დახასიათებისათვის განვიხილავთ აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურას,

ლიკვიდურობას, მომგებიანობას, კაპიტალის ადეკვატურობას და ფინანსური სიძლიერის მაჩვენებლებს ომამდე და ომის შემდეგ.

კომერციული ბანკების აქტივების ძირითად კომპონენტს წმინდა სესხები წარმოადგენს, რომელთა წილი ეროვნული და უცხოური ვალუტით სხვადასხვა ვადიანობის მქონე მთლიან აქტივებში, ძირითადად 80%-ს აღემატებოდა და საშუალოდ 61,63%-ს შეადგენდა.

2008 წ. ივნისში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, წმინდა სესხების მოცულობის მთლიან ზრდაში, რომელიც 57,3%-ს შეადგენდა, ანუ 3372,7 მლნ. ლარიდან გაიზარდა 5304.1 მლნ. ლარამდე, აღსანიშნავია 1 წელზე მეტი ვადიანობის გრძელვადიანი სესხების ხვედრითი წილის გაზრდა როგორც ეროვნული, ასევე უცხოური ვალუტის მიხედვით. ეროვნული ვალუტით გაცემული გრძელვადიანი წმინდა სესხების ზრდის ტემპებმა – 114,0%, მნიშვნელოვნად გადააჭარბა უცხოური ვალუტით გაცემული გრძელვადიანი წმინდა სესხების ზრდის ტემპებს – 37,5%. აღნიშნული მიუთითებს ბანკების მხრიდან კურსის სტაბილურობის მოლოდინზე. ლარით გაცემული გრძელვადიანი სესხების ხვედრითი წილი 14,1%-დან 21,9%-მდე გაიზარდა.³⁰

ლარის გაცვლითი კურსის გამყარების მოლოდინი აგრეთვე აისახება ბანკების ვალდებულებების სტრუქტურაშიც. ომამდე ნასესხები სახსრების მოცულობამ ვადიანი დეპოზიტების მოცულობას გადააჭარბა და 1685.0 მლნ. ლარი შეადგინა. ნასესხები სახსრების ზრდა მოხდა უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებით – 677,7 მლნ. ლარის ოდენობით, მაშინ, როცა ლარით მოზიდული სახსრების მოცულობა შემცირდა – 20,2 მლნ. ლარით. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების მოცულობის ზრდა უმეტესად მოხდა 6 თვიდან 1 წლამდე და 1 წელზე მეტი ვადიანობის მქონე სახსრების ხარჯზე.

მოსახლეობაში ლარის გამყარების მოლოდინმა და ეკონომიკის ლეგალიზაციის ზრდამ იმოქმედა აგრეთვე საბანკო ვალდებულებების კიდევ ერთ მნიშვნელოვან პოზიციაზე, როგორცაა ვადიანი დეპოზიტები 2008 წ. ივნისში მათი მოცულობა 386,2 მლნ. ლარით გაიზარდა 2007 წ. ივნისთან შედარებით. ლარით მოზიდული დეპოზიტები, მთლიანობაში თითქმის 139%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც უცხოური ვალუტით ვადიანი დეპოზიტების ზრდამ 22% შეადგინა. ლარში არსებული ვადიანი დეპოზიტების წილი 12,8%-დან 22,4%-მდე გაიზარდა.

³⁰ www.nbg.gov.ge.

აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობა ანუ ლიკვიდურობის პოზიციის სტრუქტურა ვადიანობის მიხედვით 2007 წლის ივნისთან შედარებით ომამდელი პერიოდისათვის შეიცვალა. თუ 2007 წ. ივნისში ლიკვიდურობის პოზიცია უარყოფითი იყო მხოლოდ 1 თვემდე ვადიანობის სესხებისათვის, უცხოური ვალუტით ნასესხები სახსრების მნიშვნელოვანმა ზრდამ 6 თვიდან 1 წლამდე ვადიანობის მუხლში შეამცირა აქტივების ვალდებულებებთან ფარდობა აღნიშნული ვადიანობისათვის უცხოური ვალუტით 92,6%-დან 60,1%-მდე, ხოლო ყველა სხვა ვალუტით – 125,2%-დან 90,6%-მდე.

რაც შეეხება ომის შემდგომ პერიოდს, 2008 წ. ბოლო კვარტალში საბანკო სექტორის ლიკვიდობის პოზიცია საგრძნობლად გაუარესდა უცხოური ვალდებულებების დაფარვის ვადის მოახლოებასა და შესაბამისი აქტივების კლებასთან ერთად. 2008 წ. დეკემბერში დასაფარი ვალდებულებები შესაბამისი ვადიანობის აქტივებს 562 მლნ. ლარით აღემატებოდა. 2008 წ. აგვისტოს ბოლოსათვის კი აქტივები 155 მილიონი ლარით (ანუ 407 მლნ. ლარით ნაკლები) აღემატებოდა ვალდებულებებს. კომერციულმა ბანკებმა სებ-ის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და წარმომშობი კომპანიების მხარდაჭერით შეძლეს მიმდინარე უცხოური ვალდებულებების დაფარვა და 2009 წ. I კვარტლის ბოლოსათვის საბანკო სექტორი დადებითი ლიკვიდობის პოზიციას ისევ დაუბრუნდა. 2009 წ. პირველი ნახევრის განმავლობაში კომერციული ბანკების მიერ დაფარული ვალდებულებების მოცულობამ 658,7 მლნ. ამერიკული დოლარი შეადგინა, ხოლო საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან მოზიდულმა სახსრებმა 524,4 მლნ. ამერიკული დოლარი.³¹

რამდენადაც 2009 წლის მეორე ნახევრიდან ისევ დაიწყო საბანკო სექტორის მიერ ვალდებულებების დაფარვა (დაახლოებით 211,6 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის) და 181 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის სახსრების შემოსვლა (დასაფარ ვალდებულებებსა და მისაღებ დაფინანსებას შორის სხვაობა მხოლოდ 30,6 მლნ. აშშ. დოლარი), ამდენად 2009 წლის ბოლომდე არ უნდა ველოდოთ საბანკო სექტორის ლიკვიდობის პოზიციის გაუარესებას.

2009 წ. I კვარტალში შემცირდა ასევე მოკლევადიანი ლიკვიდობის სხვაობა (ერთ თვემდე ვადიანობის მქონე აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობა), თუმცა აღნიშნული შემცირება მოხდა ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ხარჯზე. ეს ფაქტი აიხსნება სებ-ის “ნოსტრო” ანგარიშებზე

³¹ www.nbg.gov.ge.

სახსრების ზრდით და ლიკვიდური სახსრების სეზონის სადეპოზიტო სერტიფიკატებში დაბანდებით.

2009 წლის ივნისში საბანკო სექტორი მართალია უკვე აკმაყოფილებდა ყველა მარეგულირებელ მოთხოვნას და ლიკვიდობის სიჭარბეც კი დაფიქსირდა, მაგრამ თუ წინა პერიოდებს შევადარებთ, სხვა სურათს მივიღებთ. 2007 წ. იანვრიდან ომამდე, ანუ 2008 წლის ივლისის ჩათვლით, საბანკო სექტორის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მთლიან აქტივებთან საშუალოდ 23,2%-ს შეადგენდა და მინიმალური იყო 2008 წ. მაისში – 19,5%. იმავე პერიოდში სეზონში მინიმალური რეზერვები და “ნოსტრო” ანგარიშებზე განთავსებული სახსრები საშუალოდ მთლიანი აქტივების 6,7%-ს შეადგენდა. 2009 წ. ივნისში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 18,0 და 5,9%-ს შეადგენდა.

ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ ბანკებს პროცენტულად ნაკლები ლიკვიდური აქტივები გააჩნიათ გაზრდილი რისკების პერიოდში, ვიდრე საკრედიტო ბუმის დროს. ამდენად, ჭარბი ლიკვიდობის არსებობის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ ბანკებს კვლავ სჭირდებათ ლიკვიდური სახსრები, შესაბამისად მომავალში კომერციული ბანკები გააგრძელებენ ლიკვიდური სახსრების შენარჩუნებაზე ზრუნვას. ამასთან, კომერციულ ბანკებს არ ერიცხებათ რა პროცენტები საკორესპოდენტო ანგარიშზე განთავსებულ სახსრებზე, ალბათ მათთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა ამ სახსრების სხვანაირად განთავსება. თუკი სეზონის საკორესპოდენტო ანგარიშებზე ლიკვიდური ლარის სახსრების ზრდის ტენდენცია გაგრძელდება და გადააჭარბებს ბანკებისათვის საჭირო მოცულობას, პერსპექტივაში შესაძლოა:

ა) ბანკებმა განაახლონ ლარში დენომინირებული მოკლევადიანი მცირე ზომის სესხების გაცემა (მომენტალური განგადება, რომელიც 2008 წ. ბოლოს „საქართველოს ბანკმა“ საერთოდ გააუქმა, „თიბისიმ“ ძალზე შეზღუდა);

ბ) ბანკები შეისყიდიან სადეპოზიტო სერტიფიკატებს ან სახაზინო ვალდებულებებს;

გ) ბანკები ჭარბ სახსრებს განათავსებენ ვადიან დეპოზიტებზე უცხოურ ბანკებში.

ომამდე, ანუ 2008 წ. ივნისისათვის საქართველოს საბანკო სექტორის ლიკვიდურობის დონემ 2007 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 40,6%-დან 32,9%-მდე დაიწია. არსებული ტენდენცია პირველ რიგში, რამდენიმე მსხვილ ბანკში

ლიკვიდურობის კლებასთან იყო დაკავშირებული, რის გამოც მაისის თვეში ზოგიერთმა მათგანმა ვერ დააკმაყოფილა საშუალო ლიკვიდურობის მოთხოვნა.

აღნიშნული ტენდენციის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ მსხვილი ბანკები ცდილობდნენ ეფექტიანად გამოეყენებინათ მათ ხელით არსებული რესურსები და მიემართათ ისინი უფრო შემოსავლიანი ოპერაციების (სესხების) განსახორციელებლად, რამაც საბანკო სისტემაში ლიკვიდური აქტივების (მათ შორის ნაღდი ფული, მინიმალური რეზერვები, „ნოსტრო“ ანგარიშები სებ-ში და არარეზიდენტ ბანკებში). ზრდის დაბალი ტემპი განაპირობა ვალდებულებების ზრდასთან შედარებით. ამავე დროს, მსხვილი ბანკების საკუთრებაში არსებული ისეთი ლიკვიდური აქტივი, როგორცაა სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები, 2008 წ. II კვარტალში მნიშვნელოვნად შემცირდა.

„კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ თანახმად, კომერციული ბანკების საანგარიშგებოთვის საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი (საანგარიშგებოთვის საშუალო ლიკვიდური აქტივებისა და საშუალო ვალდებულებების შეფარდება) უნდა იყოს არანაკლებ 20%-ისა. ეს საზედამხედველო მაჩვენებელი 30%-ს შეადგენდა, მაგრამ 2008 წ. სექტემბრის ბოლოს იგი შემცირებული იქნა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ. ამან დამატებითი სახსრები გამოუთავისუფლა საბანკო სისტემას. თუმცა, გაზრდილი ეკონომიკური რისკების ფონზე ბანკები თავის მხრივ ცდილობენ დიდი ოდენობით ლიკვიდური სახსრების შენარჩუნებას და 2009 წ. ივნისის ბოლოსათვის მთლიანი საბანკო სექტორის საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტმა 31,40% შეადგინა რაც ასევე მცირეა 2007 წლის ივნისის (40,6%) და 2008 წლის ივნისის ომამდელ პერიოდთან შედარებით (32,9%).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო სისტემის წმინდა მოგებამ 76 145 ათ. ლარი შეადგინა, რაც 27,2%-ით მეტია 2007 წ. 30 ივნისის მაჩვენებელზე, საოპერაციო მოგებამ 223 144 ათასი ლარი შეადგინა, ანუ 103,5%-ით მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

საოპერაციო და წმინდა მოგებებს შორის შესამჩნევი სხვაობა გამოწვეულია აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის 253%-იანი ზრდით. თავის მხრივ, საბანკო სისტემის აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის 51% (63517 ათასი ლარი) „ვითიბი ბანკ ჯორჯიაზე“ მოდიოდა. ეს ფაქტი ბანკის საკრედიტო პორტფელის გაჯანსაღებისაკენ მიმართულ ცვლილებებს უკავშირდებოდა, რასაც დიდი მოცულობის უმოქმედო სესხების ჩამოწერა და სესხების შესაძლო დანაკარგების

რეზერვის მკვეთრი ზრდა მოჰყვა. სამაგიეროდ, საბანკო სექტორმა თითქმის 38 მლნ. ლარის მოგება მიიღო დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან, რომლის უდიდესი ნაწილი „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საკრედიტო პორტფელის გაჯანსაღების შედეგად მიღებული ზარალის გასანეიტრალებლად, მისი მთავარი მფლობელის, რუსული „ვნეშტორგბანკის“ მიერ გატარებულ ღონისძიებას უკავშირდება.

2009 წ. პირველ ნახევარში საბანკო სექტორის მომგებიანობა უარყოფითი იყო. 2009 წ. იანვარ-ივნისში ზარალმა 63,6 მლნ. ლარი შეადგინა, 2008 წ. პირველ ნახევარში კი მოგება 76,1 მლნ. ლარი იყო. 2008 წ. აგვისტოდან შემოსავლებმა კლება იწყო და სექტემბრიდან ნეგატიური გახდა, წლის ბოლოსათვის კი ზარალმა 215,7 მლნ. ლარი შეადგინა, მთლიანობაში, მაკროეკონომიკური სიტუაციის სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით რეზერვები, რამაც უარყოფითად იმოქმედა ბანკების მომგებიანობაზე.

2008 წ. პირველ ნახევარში შემოსავლების ზრდის ტემპს (61,3%), თუმცა წმინდა საპროცენტო შემოსავალი 56,9%-ით მეტია შესაბამის მონაცემებთან შედარებით. იმავე პერიოდში არასაპროცენტო შემოსავლებში აღსანიშნავია წმინდა საკომისიო და სხვა მომსახურების მიხედვით შემოსავლების 61,6%-იანი ზრდა. მეტ-ნაკლებად თანაბრად არის გაზრდილი არასაპროცენტო ხარჯები ძირითადი პუნქტების მიხედვით, რომლის საერთო ზრდა 59,6%-ს შეადგენს.

2009 წ. პირველ ნახევარში, მთლიანობაში საბანკო შემოსავლების შემცირება არასაპროცენტო შემოსავლების (მოსაკრებლები, შემოსავლები სავალუტო ოპერაციებიდან და ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან) ხარჯზე მოხდა. საპროცენტო შემოსავლების 2009 წ. პირველ ნახევარში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 44,3 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც ეკონომიკაზე გაცემულ სესხებზე პროცენტების ზრდით აიხსნება.³²

რაც შეეხება საბანკო სისტემის ხარჯებს, მათი მოცულობა 2009 წ. იანვარ-ივნისის პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 117 მლნ. ლარით გაიზარდა, რაც ძირითადად აიხსნება სესხების ხარისხის გაუარესების გამო აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით ზარალის 103 მლნ. ლარით ზრდით. ამავე პერიოდში, საბანკო სისტემის არასაპროცენტო ხარჯები შემცირდა 16 მლნ. ლარით, მათ შორის საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კლების გამო. რაც

³² www.nbg.gov.ge

შეეხება საპროცენტო ხარჯებს, მათი მოცულობა საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 30 მლნ. ლარით, დეპოზიტებზე და მოზიდულ სახსრებზე პროცენტების ზრდის გამო. 2008 წ. ივნისში შემოსავალი აქტივებზე და კაპიტალზე თუკი შესაბამისად 1,9, და 8,9% იყო, ერთი წლის შემდეგ – 2009 წ. ივნისში – 1,6 და – 8,4% გახდა.³³

2009 წ. პირველ ნახევარში შემცირდა მოკლევადიანი სესხების მოცულობა და მათი ხვედრითი წილი გრძელვადიან სესხებთან შედარებით. 2009 წ. ივნისის ბოლოსათვის მოკლევადიანმა სესხებმა 1 262 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი სესხების 23,5%-ს წარმოადგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთები მოკლევადიან სესხებზე საქართველოში ძირითადად მეტია გრძელვადიანი სესხების საპროცენტო განაკვეთებზე, მოკლევადიანი სესხები უფრო რისკიანად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, მოკლევადიანი სესხების კლება კომერციული ბანკების მიერ გაზრდილი რისკებისაგან თავის არიდების ტენდენციაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია მოკლევადიან სესხებზე საპროცენტო განაკვეთების სწრაფი ზრდა, საანგარიშგებო პერიოდში საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 1 თვემდე ვადიანობის ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე 26,3, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე 15,3%-ით გაიზარდა. იმავე პერიოდში 1 წელზე მეტი ვადიანობის სესხებზე შესაბამისი საპროცენტო განაკვეთები 6,6 და 6,4%-ით გაიზარდა.

აღნიშნული ტენდენცია კომერციული ბანკების მიერ კონსერვატიული საკრედიტო პოლიტიკის გატარების ნაწილია. ეკონომიკური აგენტებისათვის განსაკუთრებულად გაძნელდა მოკლევადიანი სესხების აღება. შესაბამისად, გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები. ამას კი, როგორც წესი, სესხების ხარისხის გაუარესება მოსდევს.

2009 წ. პირველ ნახევარში სამეწარმეო სფეროზე გაცემული სესხების დარგების მიხედვით განაწილებაში არსებითი ცვლილებები არ შეინიშნება, 2,0%-ით გაიზარდა ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხების ხვედრითი წილი, ხოლო მშენებლობის სექტორისათვის 0,8%-ით შემცირდა. ასევე აღინიშნება მთლიან სესხებში ვადაგადაცილებული სესხების ხვედრითი წილის ზრდა, 2009 წ. ივნისის ბოლოსათვის ვადაგადაცილებულმა სესხებმა 279,5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც საკრედიტო პორტფელის 5,2%-ს წარმოადგენს. 2008 წ. ივნისში ეს მაჩვენებელი 2,6%-ს შეადგენდა. მთლიანი ვადაგადაცილებული

³³ www.nbg.gov.ge.

სესხების ზრდა ნაწილობრივ აიხსნება გადაგადაცილებულ სესხებში უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ხვედრითი წილის ზრდით, თუ ეს მაჩვენებლები 2008 წ. ივნისში 56,9%-ს შეადგენდა, 2009 წ. ივნისის ბოლოსათვის იგი 61,0% უტოლდება. მეორე მხრივ, უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებში, გადაგადაცილებული სესხების წილი თავის მხრივ 4,3%-ს შეადგენს და უფრო დაბალია ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხების შესაბამის მაჩვენებელზე, რომელიც 9,6%-ის ტოლია. აღნიშნული მიუთითებს ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების შედარებით მაღალ რისკიანობაზე.³⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის დაკრედიტების შემცირება უმეტესწილად საბოლოო მოხმარებისათვის გამიზნული სახის სესხებს შეეხო. ყველაზე მკვეთრად შემცირდა მომენტალური განვადების სესხები, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ავტოსესხები, არადეველოპერულ საამშენებლო კომპანიებთან და სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობასთან დაკავშირებული სესხები. აღსანიშნავია სამომხმარებლო საქონლის წარმოებასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული სესხების ზრდა.

2008 წ. ივლისამდე სესხები ეკონომიკაში ძალიან მაღალი ტემპებით იზრდებოდა, ამას ხელს უწყობდა ეკონომიკაში მოთხოვნის გაფართოება, რაც ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპებითა და საპროცენტო განაკვეთების კლებით იყო განპირობებული. სესხები ძირითადად, უძრავი ქონების შესაძენად, საშუალო და გრძელვადიანი მოხმარების საქონლით ვაჭრობაში წარიმართა. სესხების მკვეთრ ზრდას თავდაპირველად მოჰყვა მთლიან სესხებში უმოქმედო სესხების წილის შემცირება. ეს კანონზომიერიცაა, რადგან ახალი სესხების, რომელიც საწყის ეტაპზე არ შეიცავს უმოქმედო სესხებს, გაუარესება გარკვეული პერიოდის შემდეგ ხდება დაკვირვებადი.

2006 წლიდან 2008 წ. პირველი ნახევრის ჩათვლით ეკონომიკაზე გაცემული სესხების სწრაფ ზრდას თან დაემთხვა ეროვნული ვალუტის გამყარებაც, რაც ხელს უწყობდა სესხებზე გადახდების დროულობას. სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა 2008 წ. მეორე ნახევრიდან. მთლიანობაში, მაკროეკონომიკური გარემოს დამძიმებამ (ეკონომიკური ზრდის ვარდნამ და უმუშევრობის ზრდამ), მიკროეკონომიკურმა ფაქტორებმა (საგარეო წყაროებიდან ნასესხები სახსრების დიდი ნაწილის არაპროდუქტიულ დარგებში, მაგ. იპოთეკურ სესხებში მიმართვამ, რაც არ ქმნის საექსპორტო შემოსავლებს), განაპირობა სესხების გაუარესება.

³⁴ www.nbg.gov.ge.

სესხების გაცემა შეიკვეცა და მთლიანი სესხების მოცულობა 2009 წ. ივნისში 4,9%-ით ნაკლები იყო, ვიდრე ერთი წლით ადრე.

2009 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკაზე გაცემულ მთლიან სესხებში წამყვანი ადგილი ეკუთვნის ისეთ დარგებს, როგორცაა, ვაჭრობა და მომსახურება – 28,5%, მშენებლობა – 7,3%, მრეწველობა – 7,34%, ასევე ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებს – 41,4%. მათივე წილი მაღალია უმოქმედო სესხებში შესაბამისად 24,6; 20,2; 8,1 და 26,6%. მშენებლობის სექტორის წილი უმოქმედო სესხებში არაპროპორციულად მაღალია.

2009 წ. ივნისის მდგომარეობით მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხების 51,9% უმოქმედო სესხებს მიეკუთვნება, როცა ერთი წლით ადრე 8,6% იყო. ეს კი იმაზე მიუყვითებს, რომ უძრავი ქონებისა და მშენებლობის ბიზნესები მაღალრისკიანია. ამის შემჩნევა 2008 წ. აგვისტომდეც შეიძლებოდა. მოზიდული სახსრების საკუთართან შეფარდების მაღალი დონე ამ სექტორში და რენტიდან შემოსავლიანობის (ბინის ქირის მის ფასთან შეფარდება) უფრო დაბალი დონე ბანკებში დეპოზიტებზე არსებულ პროცენტთან შედარებით, მიუთითებდა საცხოვრებელი ბინების ბაზარზე არამდგრადი სიტუაციის ჩამოყალიბებაზე. ამჟამად, მშენებლობის დიდი ნაწილი საცხოვრებელ ბინებზე მოდის, რომელთა უმრავლესობა მშენებლობის საწყის ან შუალედურ ეტაპზეა.

2009 წ. პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით რეზერვი ასევე შემდეგ სფეროებში: საკრედიტო ბარათებით გაცემული სესხები, ავტოდილერები, სასტუმროები და ტურიზმი, ხანგრძლივი მოხმარების საქონლით ვაჭრობა. სულ, სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით რეზერვმა საბანკო სექტორისათვის 2009 წლის ივნისში შეადგინა 653 მლნ. ლარი, როცა ერთი წლით ადრე 229,8 მლნ. ლარი იყო. მათი შეფარდება მთლიან სესხებთან ამავე პერიოდში პერმანენტულად იზრდებოდა 4,2%-დან 12,2%-მდე. თუმცა, ამ მაჩვენებლის ზრდაში, ამავე პერიოდში გასათვალისწინებელია სესხების მთლიანი მოცულობის 164,1 მლნ. ლარით შემცირების ეფექტი. სესხების ხარისხის გაუარესებაზე ბანკების მიერ მათი ჩამოწერის მატებაც მეტყველებს. კერძოდ, 2008 წლის იანვარ-ივნისში სესხების ჩამოწერამ შეადგინა 70,4 მლნ. ლარი, 2008 წ. იანვარ-დეკემბერში უკვე 203,9 მლნ. ლარი, ხოლო 2009 წ. იანვარ-ივნისში 169,7 მლნ. ლარი.³⁵

³⁵ www.nbg.gov.ge.

კაპიტალის ადეკვატურობის განხილვამდე ორიოდე სიტყვით შევეხებით ბანკის კაპიტალს, რამდენადაც ამით ფასდება ბანკის გადახდისუნარიანობა, მდგრადობა და საიმედოობა.

– კაპიტალი ის წყაროა, რომლის ხარჯზეც ფინანსდება ახალი საბანკო პროდუქტების შემუშავება და მომხმარებლისათვის მიწოდება. ამიტომ, რაც უფრო დიდია ბანკის კაპიტალი, მით უფრო მეტ საშუალებას ფლობს ბანკი, რათა უკეთესი პროდუქტები და მომსახურების სპექტრი შესთავაზოს მომხმარებელს;

– კაპიტალის სიდიდე კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია;

– კაპიტალი და, შესაბამისად, მისი სიდიდე კრედიტორების ნდობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. ნდობა კი, თავის მხრივ, ბანკის არსებობისა და ფუნქციონირების აუცილებელი ატრიბუტია;

– დაბოლოს, კაპიტალი ბანკის მომავალი ზრდის რეგულატორია.

სწორედ კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს ბანკის აქტივებისა და ოპერაციების შემდგომ ზრდას. ნებისმიერ ბანკს ჯერ ბაზარი და შემდგომ მარეგულირებელი ორგანოები კარნახობენ კაპიტალსა და აქტივებს შორის აუცილებელი თანაფარდობის – „კაპიტალის ადეკვატურობის“ დაცვის ლოგიკას.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი წარმოადგენს პოტენციური რისკების მიმართ ბანკების მდგრადობის უზრუნველყოფის ინდიკატორს (ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8%-ისა, ხოლო ბანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 12%-ისა).

2009 წლის ივნისის მდგომარეობით საბანკო სექტორისათვის საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის ინდექსმა შეადგინა 17,6% მაშინ, როცა ერთი წლით ადრე, რუსეთ-საქართველოს ომამდე 15,8% იყო. ამავე დროს, პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის ინდექსი შეადგენდა შესაბამისად 14,6 და 13,8%-ს.

პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის გაანალიზებიდან ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აქტივების ემისიით მიღებული კაპიტალი გაიზარდა 88 მლნ. ლარით, პირველადი კაპიტალი საანგარიშო პერიოდში შემცირდა 117 მლნ. ლარით, რაც წინა წლების გაუნაწილებელი მოგების მკვეთრი – 237 მლნ. ლარით – შემცირებით აიხსნება. სამაგიეროდ, 2009 წ. ივნისში 2008 წლის ივნისთან შედარებით 310 მლნ. ლარით გაიზარდა სუბორდინირებული ვალები, რაც საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსებით შეიძლება აიხსნას, რამაც განაპირობა

მეორადი კაპიტალის მატება. შედეგად, სახედამხედველო კაპიტალმა 1632 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 62 მლნ. ლარით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.³⁶

რაც შეეხება რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს, მათი მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა 2009 წ. ივნისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მათ შორის, საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების კლება 533,9 მლნ. ლარი იყო, მიუხედავად უცხოურ ვალუტაში ეკონომიკის დაკრედიტების შედარებით მაღალი დონისა. ეს შემცირება განაპირობა შეწონვას დაქვემდებარებული აქტივების უფრო დაბალი კოეფიციენტით 0,75 შეწონვამ (იქამდე არსებული 1-ის ნაცვლად). ამავე დროს, შემცირდა საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებიც 452 მლნ. ლარით. თუ ამას სესხების მიხედვით შექმნილი სპეციალური რეზერვი გამოაკლდება, აღმოჩნდება, რომ მთლიანად რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები შემცირდა თითქმის 1.45 მლრდ. ლარით, რამაც კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების ზრდა განაპირობა.

საქართველოში სახედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით მაღალია. ასე მაგალითად, 2009 წ. მარტში პოლონეთში 11,7% იყო, ჩეხეთში – 12,9%, სლოვაკეთში – 10,8%, ესტონეთში კი უფრო მაღალი იყო – 22,0%, ვიდრე საქართველოში (17,6%), რაც შეეხება 2008 წ. მონაცემებს, საქართველოში ომამდე დაფიქსირდა 15,8%, ხოლო 2008 წ. დეკემბერში უკრაინაში – 15,1%, ლიტვაში – 12,0%, უნგრეთში – 11,0% დაფიქსირდა

2009 წ. პირველ ნახევარში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილება შეინიშნება: პირველი, მაშინ, როდესაც გაიზარდა უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 8,04%-დან 9,69%-მდე, შემცირდა ეროვნულ ვალუტაში მიზიდული დეპოზიტების საშუალო პროცენტი (12,4-დან 11,42%-მდე). მეორე, ეროვნულ ვალუტაში მოზიდულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის კლება იმაზე მიუთითებს, რომ კომერციულ ბანკებს არ უღირთ ლარში დეპოზიტების მოზიდვა და შემდგომ მათი სესხებად გაცემა (გაზრდილი სავალუტო რისკით გამოწვეული საბაზრო რისკის პირობებში).

საპროცენტო განაკვეთებმა ლარის მხოლოდ მოკლევადიან დეპოზიტებზე დაიკლო (გრძელვადიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 13.3-დან 14,1%-მდე გაიზარდა). ამავე დროს, უცხოურ ვალუტაში მოზიდულ ვადიან დეპოზიტებზე

³⁶ www.nbg.gov.ge.

საპროცენტო განაკვეთი 9,7-დან 11,0%-მდე გაიზარდა, რაც ძირითადად სწორედ მოკლევადიან დეპოზიტებზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთით იყო განპირობებული.

2008 წ. აგვისტოს ომამდე შეინიშნებოდა საქართველოს ბანკებში პრობლემები. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ 2008 წ. ივნისში ფინანსური სტაბილურობა 2007 წლის ივნისთან შედარებით გაუარესდა. ფინანსური სიძლიერის ყველა ინდექსი ამ პერიოდისათვის შემცირდა. მართალია, 2007 წ. სექტემბერში გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ინდექსების ზრდა დაფიქსირდა, მაგრამ შემდგომ მათი მკვეთრი კლება აღინიშნა. მიუხედავად ამისა, არსებული სიტუაცია საგანგაშოდ არ შეფასებულა, რადგან სებ-ის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ბანკების მიერ შესრულდა. ამის დასტურია აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის და შემდგომი პერიოდი, როდესაც საქართველოს კომერციულმა ბანკებმა შექმნილი მძიმე სიტუაციის მიუხედავად წარმატებით გაართვეს თავი კრიზისს, თუმცა უკვე 2008 წლის სექტემბრისათვის კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები ივნისთან შედარებით კიდევ უფრო გაუარესდა.

ომამდე 2008 წ. ივნისში წმინდა მოგება 76,145, სექტემბერში 37,335-ით შეიცვალა, დეკემბერში 215,744 იყო, ხოლო 2009 წ. იანვარში – 6,503. ეს უკანასკნელი 2009 წ. ივლისში 74,589 გახდა.³⁷

სააქციო კაპიტალი 2008 წ. ივნისში 1,791,939 იყო, ივლისში ოდნავ გაიზარდა, ხოლო აგვისტოდან კლება შეინიშნებოდა დეკემბრის ჩათვლით (1,517,250), კლება გაგრძელდა 2009 წლის I კვარტალშიც, მარტში – 1,495,574 დაფიქსირდა, აპრილში მცირე მატების შემდეგ (1,540,089), ისევ კლება შეინიშნება ივლისის თვის ჩათვლით. მათ შორის პირველადი კაპიტალი 2008 წ. ივნისი – 2009 წ. ივლისის პერიოდში კლებით აღინიშნებოდა 2009 წ. მაისამდე, მცირედი მატება მაისიდან ივლისამდე აღინიშნებოდა. ხოლო საზედამხედველო კაპიტალში ზრდა 2008 წ. ივნის-აგვისტოში, 2009 წ. თებერვალ-ივლისში შეინიშნებოდა. საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იზრდებოდა 2008 წ. ოქტომბრის ჩათვლით, ზრდა კვლავ განახლდა 2009 წ. თებერვალში და ივლისში 17,9 შეადგინა იმავე წლის იანვრის 14,7-ის ნაცვლად.

³⁷ www.nbg.gov.ge.

დაბოლოს, საბანკო სექტორის მდგრადობის შეფასებისათვის გამოყენებულ სტრეს-ტესტების მეთოდოლოგიას შევხებით. სტრეს-ტესტების მთავარი მიზანია კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ხარისხზე სისტემური რისკების პოტენციური გავლენის დადგენა და ამ რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში წარმოშობილი უარყოფითი ეფექტების რაოდენობრივად განსაზღვრა. სტრეს-ტესტები არ არის შემუშავებული ეკონომიკასა თუ საბანკო სექტორში მოსალოდნელი მოვლენების წარმოსაჩენად, არამედ ის საშუალებას იძლევა გაანალიზებულ იქნას სისტემის მდგრადობა ნაკლებალბათური ჰიპოთეზური უარყოფითი შოკების მიმართ.

სტრეს-ტესტების შედეგები ეფუძნება საკრედიტო რისკის პანატურ მოდელს, სადაც დამოკიდებულ ცვლადს უმოქმედო სესხები წარმოადგენს, ხოლო ამხსნელი ცვლადებია რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი, ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურება და ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში გაცემული სესხების რეალურ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობა. ამ მოდელს იყენებს საქართველოს ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო.

ეს უკანასკნელი სტრეს-ტესტები წარმოდგენილია მთლიანად საბანკო სექტორის დონეზე. მოდელის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა საბანკო სექტორზე გაცვლითი კურსის ცვლილებისა და რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის ეფექტის დადგენა.

2009 წელს მშპ-ის ზრდის პროგნოზი 4%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, სტრეს-ტესტი შესრულებულია რეალური მშპ-ს მეტად პესიმისტური და ნაკლებადსავარაუდო 9%-იანი ზრდისთვის.³⁸

საბანკო სექტორის მდგრადობის ანალიზი ჩატარებული იქნა გაცვლითი კურსის 20%-იანი გაუფასურებისათვის.

ჩატარებული სტრეს-ტესტები საბანკო სექტორის თავდაპირველ მდგომარეობად 2009 წ. ივნისს ითვალისწინებს. შოკის შედეგად შეცვლილი საბანკო სექტორის სიძლიერის მაჩვენებლების გამოსათვლელად მიჩნეული იქნა, რომ შესაძლო დანაკარგების მიხედვით სესხების კლასიფიკაცია პროპორციულად უცვლელი რჩება.

სტრეს-ტესტების შედეგების მიხედვით საბანკო სექტორი საკმაოდ მდგრადია მაკროეკონომიკური შოკების მიმართ. მშპ-ს 9%-ით ვარდნის დაფიქსირების შემთხვევაში საბანკო სექტორის ზარალის პროგნოზმა 80 მლნ. ლარი შეადგინა და

³⁸ www.nbg.gov.ge.

ნაგარაუდევია უმოქმედო სესხების წილის 22,0%-მდე ზრდა. შეეხება კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს, მშპ-ის შოკის შემთხვევაში ის 12%-იან საზედამხებლო მინიმუმზე მეტი რჩება და 16,8%-ს შეადგენს.

3.4. კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის აღდგენის ღონისძიებები

ნებისმიერი კომერციული ბანკის სტაბილური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შემუშავდეს ამ ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის შეფასების მეთოდოლოგია. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ადგილი ბანკის რეიტინგს უკავია. ბანკის რეიტინგის მიხედვით განისაზღვრება თუ ბანკი გარკვეული დროის მანძილზე როგორ ასრულებს თავის ვალდებულებებს. საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად აუცილებელია განვიხილოთ ქვემოთ ჩამოთვლილი პარამეტრები:

1. **კაპიტალის საკმარისობა.** იგი განიხილება, როგორც ბანკის საკუთარი სახსრების (კაპიტალის) და აქტივების თანაფარდობა. ბანკების საქმიანობა ყოველთვის გულისხმობს სხვადასხვა სახის რისკის არსებობას. წინააღმდეგ შემთხვევაში რისკის ამა თუ იმ ფორმის გარეშე შეუძლებელია ბანკმა ფულის გარკვეული თანხები გამოიმუშაოს.

რისკები პრაქტიკულად ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც მენაბრეები კრედიტებს არ აბრუნებენ, ფასიანი ქაღალდების კურსი ეცემა და ა.შ. ასეთ პირობებში ბანკმა თავისი დანაკარგების კომპენსირება უნდა მოახდინოს დამოუკიდებლად, აუცილებელია გააჩნდეს საკმარისი ოდენობის საკუთარი სახსრები, ანუ კაპიტალი.

2. **აქტივების ხარისხი.** ბანკის კაპიტალის საკმარისობის განსაზღვრისას შემფასებელმა უნდა განსაზღვროს საბანკო შენატანების, ანუ აქტივების საიმედოობა. თუ ბანკს მთელი თავისი სახსრები დაბანდებული აქვს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, ამ შემთხვევაში ბანკს დიდი კაპიტალი არ სჭირდება კაპიტალის საკმარისობის დაკმაყოფილებისათვის, ვინაიდან აქტივების დაკარგვის ალბათობა მეტად მცირე იქნება და ამიტომაც დანაკარგების კომპენსირების საჭიროებაც არ იქნება. სხვა სიტუაციაა, როდესაც ბანკი აქტიურად ეწევა საწარმოთა დაკრედიტებას. ამ დროს დანაკარგების დაშვება სრულიად მოსალოდნელია.

3. **მართვის დონე.** ესაა კაპიტალის საკმარისობის შემდეგ ბანკის კრედიტუნარიანობაზე გავლენის მქონე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. საკონკურენციო ბრძოლაში პროფესიონალურ დონეზე მოქმედი ბანკები იმარჯვებენ, რადგან ბანკის კვალიფიციური ხელმძღვანელი გაცილებით ნაკლებად დაუშვებს გადაჭარბებული რისკების გამო დაბალი შემოსავლების მიღებას.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მართვის დონის პარამეტრის შეფასება სარეიტინგო საქმიანობაში ყველაზე რთულია სხვა მაჩვენებლებთან შედარებით ბანკის ფინანსური მდგრალობის შესაფასებლად, ვინაიდან, რომ განისაზღვროს პერსონალის პროფესიონალობა, საკმარისი არ არის საბანკო ანგარიშგების შესწავლა, მენეჯერებთან შეხვედრები, გადაწყვეტილებათა მიღების სისტემის ანალიზი და სხვ.;

4. რენტაბელობა. ის ბანკი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში შემოსავლებს ვერ ღებულობს, განწირულია დასახურად, ან უკეთეს შემთხვევაში, სხვა ბანკებთან შესაერთებლად. სარეიტინგო აგენტების ამოცანაა განსაზღვრონ, მისაღებია თუ არა რენტაბელობის დონე ბანკის საკუთარი სახსრების ზრდის თვალსაზრისით, რაც მეტია რენტაბელობა და რაც უფრო დაბალ შეფასებას მისცემენ ექსპერტები მომავალში მისი დაწვევის ალბათობას, მით უფრო მოღალა ბანკის საკრედიტო რეიტინგი;

5. ლიკვიდურობა. სარეიტინგო სააგენტოს ამოცანაა ამ პარამეტრის შეფასებისას განსაზღვროს, თუ რამდენად წარმატებულად შეძლო ბანკმა ლიკვიდურობის დაკარგვის რისკის მინიმიზირება. ამისათვის კი მოწმდება აქტივების და პასივების სტრუქტურა, ხდება მათი მაჩვენებლების პროგნოზირება და განისაზღვრება მოსალოდნელი სიტუაცია, როცა ბანკს თავისი ან საკუთარი ანგარიშების განაღდება არ შეეძლება. რაც დაბალია ამის ალბათობა, მით მაღალი იქნება ბანკის საკრედიტო რეიტინგი.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის როლი საბანკო სისტემის მდგრალობის უზრუნველყოფაში იმაში მდგომარეობს, რომ ბანკების აქტივების ზრდის, საკუთარი და მოზიდული კაპიტალის და ლიკვიდობის რეგულირების პროცესში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კლასიკური ინსტრუმენტები – ღია ბაზრის ოპერაციები და საკრედიტო აუქციონები – მიზნად უნდა ისახავდეს არა საბანკო სისტემიდან ლიკვიდობის მოკლევადიან ამოღებას, არამედ საბანკო სისტემის პერსპექტივაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებას. ამიტომ აუცილებელია საბანკო სფეროში ფინანსური მდგრალობის განმტკიცებისათვის, ლიკვიდობის ოპერატიული მართვისა და კომერციული ბანკების დეპოზიტებზე რიცხული თანხების გამოყენების გაუმჯობესებისათვის კომერციული ბანკების მინიმალური რეზერვებისა და საკორესპოდენტო ანგარიშების გაერთიანების პროცესის სრულყოფა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის როლის გაძლიერება საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაში მოითხოვს ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად – დოლარიზაციის შემცირების ღონისძიებათა შემუშავებას, საბანკო სისტემის აქტივ-პასივების უცხოურ ვალუტაში გამოხატვის შემცირებას.

ფინანსური გაჯანსაღებისათვის პრაქტიკული ღონისძიებებიდან პირველხარისხიანს ზარალიანობის ლიკვიდაცია წარმოადგენს. ბანკებმა გულდასმით უნდა გააანალიზონ ზარალიანი და იმ არარენტაბელური საწარმოების პერსპექტივები, რომლებიც დიდი ხანია გადახდისუუნარონი არიან. მათ უნდა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად ხარჯებისა და ეფექტის გავლით, რაც უზრუნველყოფს უზარალო საქმიანობაზე გადასვლას. ბანკის მიერ ამ ღონისძიებათა ანალიზი აჩვენებს სესხების გაცემის შესაძლებლობას.

1. კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის აღდგენის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია ღონისძიებათა შემუშავება ბანკის კრიზისიდან გამოსაყვანად და მათი რეალურობის შეფასება. მიღებულ ზომათა საფუძველზე უნდა დაიფაროს საკუთარი კაპიტალისა და ლიკვიდური სახსრების დანაკლისი.

კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის უპირველეს საფუძველს და საერთოდ საბანკო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საფუძველს წარმოადგენს დეპოზიტების დაზღვევა. იგი უზრუნველყოფს მენაბრეთა დაცვას დაბანდებული საშუალებების დაკარგვის რისკისგან ან გაცემული რისკის მინიმიზაციას კომერციულ ბანკთა გაკოტრების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია საბანკო სექტორის მდგრადობასა და ფინანსურ სტაბილურობაზე ზრუნვა, რისთვისაც საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებებისა და რეკომენდაციების დასახვა და გათვალისწინება:

1. უახლოეს მომავალში სეპ-ის პოლიტიკას კვლავ 2 ძირითადი მიმართულება უნდა ჰქონდეს:

- საბანკო სექტორისათვის მოკლე და საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების მიწოდება (ბოლო ინსტანციის დაკრედიტება, საპროცენტო განაკვეთების შემცირება);

- გაცვლითი კურსის კონტროლი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად; (უცხოური ვალუტის აუქციონი, რაც საბაზრო მექანიზმზე უფრო მეტადაა დამყარებული, ვიდრე ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა).

2. კომერციული ბანკების ზედამხედველები მუდმივი მონიტორინგის გზით უნდა ცდილობდნენ უზრუნველყონ, რომ ბანკები:

- იყვნენ ფინანსურად საიმედონი;
- იმართებოდნენ კვალიფიციურად;
- არ უქმნიდნენ საფრთხეს მენაბრეთა ინტერესებს;

3. საკრედიტო სექტორში არასასურველი რისკებისგან საიმედო დაცვისა და მდგრადობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საბანკო რესურსების განვითარებისა და შიდა საბანკო საქმიანობის ფაქტორების შეფასება. რამდენადაც საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემაში კაპიტალის საკმარისობის ხარისხს განმსაზღვრელი პოზიცია უკავია და ამ მაჩვენებლის ძირითად კომპონენტს საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს, საჭიროა საქართველოში არსებული ნორმატივი გაიზარდოს ისე, რომ გაკოტრებისას დეპოზიტების უსაფრთხოებისათვის საკმარისი იყოს.

4. რამდენადაც საქართველოს საკრედიტო ბაზარზე საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილით უცხოური კაპიტალი გამოდის (მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომის დროს რუსული და ყაზახური კაპიტალი გავიდა), ამდენად მათი საქმიანობის რისკების მინიმიზაცია აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ეროვნული ბანკის სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები წარმოადგენს.

5. კომერციული ბანკების მდგრადობაზე მოქმედი ისეთი შიდასაბანკო ფაქტორების გაუმჯობესება, როგორებიცაა:

- მენეჯმენტისა და პერსონალის კომპეტენცია;
- კომერციული ბანკის პოლიტიკა;
- სპეციალისტების მომზადების სისტემა;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ბანკის ტექნიკური ბაზა;
- ინფორმაციული უზრუნველყოფის დონე.

6. ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის შემცირება, რამდენადაც ისინი ძალზე უარყოფითად მოქმედებს საბანკო სისტემის მდგრადობასა და საიმედოობაზე.

7. საქართველოში ეფექტიანად ფუნქციონირებადი დეპოზიტების დაზღვევის სისტემას შეუძლია შემდეგი პრობლემების გადაჭრა:

- უზრუნველყოს საბანკო სისტემის მდგრადობა;

- გაკოტრების ზღვარზე მყოფი ბანკების ფინანსური მხარდაჭერა;
- მეანაბრების დაცვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაართულების შემთხვევაში დეპოზიტების მთლიანად დაკარგვისაგან;
- შეუქმნას მეანაბრებს გარანტიები ბანკის გაკოტრების შემთხვევაშიც;
- აამაღლოს საბანკო სისტემისადმი ნდობის ხარისხი.

8. საქართველოს საბანკო სისტემის უსაფრთხოებისა და გამჭვირვალებით-სათვის საჭიროა რეფორმებისა და ცვლილებების გატარება, რომელთაგან გამოსა-ყოფია შემდეგი:

- რისკ-მენეჯმენტის გაუმჯობესებისათვის საქართველოს ბანკებს აეკრძალოთ სადაზღვევო კომპანიების ფლობა;
- მოხდეს ბანკების დაყოფა უნივერსალურ და სპეციალურ ბანკებად. უნივერსალურ ბანკებს ნებისმიერი სახით ბიზნესში პირდაპირი მონაწილეობა აეკრძალოთ, ხოლო დერივატივების ბაზრებზე ნებისმიერი ოპერაციების ჩატარების უფლება ჰქონდეთ;
- როგორც საბანკო სფეროში, ისე მასთან დაკავშირებულ სამშენებლო კომპანიებში მოხდეს დეპოზიტების მკაცრად დაზღვევა;
- აიკრძალოს ტოპ-მენეჯმენტი, რათა ბანკი აბსოლუტურად დამოუკიდებელი და თავისუფალი გახდეს;
- ცენტრალური ბანკის მოთხოვნით, ბანკი უფრო გამჭვირვალე უნდა გახდეს დეპოზიტებთან, ინვესტორებთან და თანამშრომლებთან მიმართებაში. მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე და რეალურ ეკონომიკაში არსებული მიმდინარე ტენდენცი-ების მიმოხილვის ფონზე ბანკის მენეჯმენტი ელექტრონული ვებ-გვერდების საშუალებით (თუნდაც ყოველდღიურად) უნდა ახდენდეს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდობისა და მომგებიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

თავი IV. ღაკრედიტების რისკები და მათი მართვა

4.1. საკრედიტო რისკი და მისი მართვა საქართველოს საბანკო სექტორში

მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ საბანკო ბიზნესი ადამიანთა საქმიანობის ყველაზე სარისკო სახეების პირველ ათეულში შედის. აბსოლუტურად საიმედო ბანკები არსად არ არსებობენ. საბანკო საქმიანობას რისკი მუდმივად თან სდევს. საბანკო პრაქტიკაში რისკები ესაა ბანკის დანაკარგების საშიშროება (შესაძლებლობა) განსაზღვრული მუდგენების დადგომისას.

ფინანსური რისკი მოიცავს რისკის ფართო სფეროს, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასთან. რისკები შეიძლება იყოს როგორც საბანკო (შიდა), რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო ინსტიტუტების ფუნქციონირებასთან, ისე გარეშე, ანუ საერთო რისკები.

ფართო გაგებით საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური დანაკარგების შესაძლებელი კონტრაგენტების, პირველ რიგში მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგს.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კონტრაგენტების, როგორც საბალანსო, ისე ბალანსგარეშე ვალდებულებების მიხედვით. საკრედიტო რისკი შეიძლება აღინიშნოს პარტნიორების, მსესხებლების ან ემიტენტების არა მარტო ფორმალურ, არამედ არაფორმალურ ვალდებულებებშიც. მან შეიძლება გამოიწვიოს როგორც რეალური, ისე მინიმალური დანაკარგები.

საკრედიტო რისკი, ცალკე აღებული, არ უნდა იქნეს განხილული, რადგანაც ის დაკავშირებულია სხვა საბანკო რისკებთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკრედიტო რისკი ბევრწილად არის დამოკიდებული საკრედიტო ოპერაციების განხორციელებასთან, ე.ი. საოპერაციო რისკების ზემოქმედებაზეა დამოკიდებული.

საკრედიტო რისკს ცენტრალური ადგილი უკავია საბანკო რისკების ერთობლიობაში, ხოლო მის შემადგენელ ელემენტებს სხვა საბანკო რისკების სტრუქტურულ ელემენტებთან თავსებადობის ხასიათი გააჩნია, ეს კი თავის მხრივ მათ მჭიდრო კავშირს და ურთიერთგანპირობებულობას განსაზღვრავს.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეკრების სხვადასხვა მეთოდი არსებობს, თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად იყენებენ SWOT – ანალიზის მეთოდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვაველინოთ მსესხებლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი პოტენციური შესაძლებლობები და რისკები.

იმისათვის, რომ „თიბისი ბანკის“ SWOT ანალიზი ჩავატაროთ, საჭიროა განვიხილოთ კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი გარე შესაძლებლობები და მოსალოდნელი საშიშროებანი. ამიტომ გავაანალიზებთ კომპანიის მაჩვენებლებს და SWOT –ის საბოლოო ანალიზისათვის შესაბამის კითხვებს გავცემთ პასუხს და შევადგენთ „თიბისი ბანკის“ SWOT დიაგრამას. მონაცემებს დინამიკაში წარმოვადგენთ 2000-2007 და 2009 წლების მონაცემების მიხედვით (იხ. დანართ №10 და ცხრილი №4 და №5).

ცხრილი №4

„თიბისი ბანკის“ მოგება-ზარალის უწყისი

2009 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის (ათას ლარებში)

საპროცენტო შემოსავალი	233,231
საპროცენტო ხარჯი	109,862
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	123,369
აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი	77,273
წმინდა საპროცენტო შემოსავალი დარეზერვების შემდეგ	46,096
წმინდა საკომისიო შემოსავალი	16,780
სხვა არასაპროცენტო შემოსავალი	56,734
არასაპროცენტო ხარჯები	117,507
მოგება დაბეგვრამდე	2,103
მოგების გადასახადი	915
წმინდა მოგება	1,188

„თიბისი ბანკის ბალანსი“

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ათას ლარებში)

აქტივები	
ნაღდი ფული და სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში	167,711
მოთხოვნები ბანკების მიმართ	199,322
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	115,496
საკრედიტო პორტფელი	973,511
ინვესტიციები	23,574
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	153,665
სხვა აქტივები	94,365
სულ აქტივები	1,727,644
ვალდებულებები	
ვალდებულებები ბანკების მიმართ	380,818
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	984,983
სხვა ვალდებულებები	48,636
სულ ვალდებულებები	1,414,437
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	15,000
აქციების ნომინალ ზედა ღირებულება	201,723
რეზერვები	30,4648
გაუნაწილებელი მოგება	65,836
სულ კაპიტალი	313,207
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,727,644

2007 წლისათვის „თიბისი ბანკის“ წილი ბაზარზე აქტივების, საკრედიტო პორტფელისა და დეპოზიტების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ შთამბეჭდავია (2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი წარმოდგენილია 20 საბანკო დაწესებულებით): აქტივების მიხედვით მისი წილი 23,7%-ია, საკრედიტო პორტფელის მიხედვით 25,6%, დეპოზიტების მიხედვით 24,2%, თუ შევადარებთ 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, აქტივებისა და საკრედიტო პორტფელის წილი ბაზარზე 2007 წლისათვის გაზრდილია; 2006 წლის აქტივების წილი 22,5%-ს, ხოლო საკრედიტო პორტფელის – 22,2%-ს შეადგენდა.³⁹ საწინააღმდეგო სურათი გვაქვს დეპოზიტების წილის მხრივ, 2006 წ. უფრო მაღალი იყო მათი წილი ბაზარზე სხვა ბანკებთან შედარებით – 26,2%. მთლიანი აქტივებისა და კაპიტალის ზრდის დინამიკაც შეიძლება ითქვას, რომ 2000-2007 წლებში საკმაოდ შესამჩნევია. თუ 2000 წელს მთლიანი კაპიტალი 16 344 ათასი ლარი იყო, 2007 წელს 312534 ათასი ლარი გახდა, ანუ 296190 ლარით გაიზარდა, რაც შეეხება მთლიან აქტივებს 2007 წელს მათი ოდენობა 1711630 ათას ლარს უდრიდა, მაშინ, როცა 2000 წელს – 87682 ათ. ლარი იყო, ანუ 2007 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 1623948 ათ. ლარით გაიზარდა⁴⁰.

დანართ 10-ში წარმოდგენილია „თიბისი ბანკის“ ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა 2000-2007 წწ. მოცემული მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ 2000 წელთან შედარებით საკმაოდ დიდი ცვლილებაა – ზრდის ტენდენციის თვალსაზრისით. წმინდა შემოსავალი 2000 წელს 13.004 ათ. ლარს უდრიდა, 2004 წ. – 42,385 ათ. ლარს, ხოლო 2007 წელს – 127,367 ათ. ლარს მიაღწია.

წმინდა მოგება 2000 წლის 3,664 ათ.; ლარიდან 2007 წლისათვის 28,953 ათას ლარამდე, ანუ 25,209 ათას ლარამდე გაიზარდა.

გაზრდილია ასევე წმინდა შემოსავალი ერთ აქციაზე: 2000 წ. – 260,1 ლარი, 2007 წელს კი – 1,078.2 ლარი.

16 344 ათასი ლარიდან 318,824 ათას ლარამდე (ანუ 302,480 ათასი ლარით) არის გაზრდილი სააქციო კაპიტალი.

³⁹ www.tbc.bank.ge

⁴⁰ www.tbc.bank.ge

ზრდის ტენდენციაა დაფიქსირებული მთლიან დეპოზიტებში (2000 წ. – 53,487 ათ. ლარით; 2007 წ. – 780,563 ათასი ლარი), სრულ აქტივებში (2000 წ. – 87,682, 2007 წ. – 1,606,393 ათ. ლარი).⁴¹

აქტივების სტრუქტურა 2007 წლისათვის შემდეგია: ნაღდი ფული და ფულადი სახსრები ეროვნულ ბანკში 11%-ია (2006 წ. იყო 21%), მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ – 5% (2006 წ. – 6%); სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები – 7% (2006 წ. – 5%); საკრედიტო პორტფელი – 66% (2006 წ. 59%); ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში – 0% (2006 წ. – 1%); ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები – 7% (2006 წ. – 5%); სხვა აქტივები – 4% (2006 წ. – 3%). როგორც ვხედავთ აქტივების სტრუქტურაში 2007 წ. 2006 წელთან შედარებით გაზრდილია მანვენებელთა უმეტესობა: მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო პორტფელი, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, სხვა აქტივები.

რაც შეეხება ვალდებულებების სტრუქტურას, 2007 წ. იგი შემდეგნაირად გამოიყურება: მთლიანი ნასესხები სახსრები – 43% (2007 წ. 32%); მოთხოვნამდე ანგარიშები 32% (2006 წ. 38%), ვადიანი დეპოზიტები – 23% (2006 წ. – 28%); სხვა ვალდებულებები – 2% (2006 წ. – 2%). მონაცემებიდან ჩანს, რომ 2 წლის მანძილზე შემცირების ტენდენცია ფიქსირდება ვადიან დეპოზიტებსა და მოთხოვნამდე ანგარიშებზე, ხოლო გაზრდილია მთლიანი ნასესხები სახსრები. სხვა ვალდებულებები კი იგივე დარჩა (2%).⁴²

განვიხილოთ საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა. 2007 წლისათვის ბანკის საპროცენტო შემოსავლები (84%) 37%-ით აჭარბებდა საპროცენტო ხარჯებს (47%), რაც ბანკის წარმატებულ ფუნქციონირებაზე მეტყველებს. წმინდა საკომისიო შემოსავალი 11%, ხოლო სხვა საოპერაციო შემოსავლები 5%-ის ტოლი იყო.

მთლიანი ხარჯების სტრუქტურაში პერსონალის ხარჯები 20%, რაც იგივე მანვენებელია, როგორც 2006 წელს; 2006 წელთან შედარებით გაზრდილია 2%-ით საპროცენტო ხარჯები, 1%-ით სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები და 4%-ით სესხის შესაძლო დანაკარგების ხარჯები.

რაც შეეხება 2009 წელს, 2008 წლის ცნობილი მოვლენებისა და ფინანსური კრიზისის გამო წმინდა მოგებამ 1,188 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2007 წლის

⁴¹ www.tbc.bank.ge

⁴² www.tbc.bank.ge

იმავე მონაცემთან შედარებით 27,765 ათასი ლარით ნაკლებია (2007 წ. – 28,953 ათასი ლარი; 2009 წ. – 1,188 ათასი ლარი). „თიბისი“ ბანკის აქტივების შედარება 2007 და 2009 წლებისათვის კი სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: 2007 წ. ბანკის აქტივები 1,707,393 ათასი ლარი იყო, 2009 წ. კი აღნიშნული მაჩვენებელი 1,727,644 ათასი ლარი გახდა ანუ გაიზარდა 20,251 ათასი ლარით.⁴³

2009 წლის ბოლოსთვის „თიბისი ბანკს“ საქართველოს ეროვნულ ბანკში ნაღდი ფული და სახსრები 167,711 ათას ლარს შეადგენდა, ხოლო საკრედიტო პორტფელი – 973,511 ათას ლარს. ვალდებულებები 2009 წლის 31 დეკემბერს 1,414,437 ათას ლარი იყო, საწესდებო კაპიტალი – 15,000 ათას ლარი, ხოლო აქციების ნომინალზედა ღირებულება 201,723 ათას ლარი. შევნიშნავთ, რომ 2006 წ. საკრედიტო პორტფელი 574,193 ათას ლარს უდრიდა.⁴⁴

იმისათვის, რომ შევაფასოთ „თიბისი ბანკის“ ძლიერი და სუსტი მხარეების ბალანსი, უნდა შევადაროთ აქტივები და ვალდებულებები (ღირებულებითი, რაოდენობრივი, ხარისხობრივი მაჩვენებლები), ვნახავთ, რომ აქტივები რაოდენობრივად უფრო მეტია ვალდებულებებზე. ვალდებულებებში მთლიან ნასესხებ სახსრებს (43%) საკმაოდ აჭარბებს საკრედიტო პორტფელის ოდენობა – 60%.

რაც შეეხება კომპეტენციის მასშტაბს და კომპანიის გარე შესაძლებლობებს (რაც ზემოთ თეორიულად უკვე განხილული იქნა ჩვენ მიერ). ამისათვის განვიხილავთ ბანკის საერთაშორისო მიღწევებს და ახალ პროდუქტებს.

2007 წ. შემოდგომაზე „თიბისი ბანკი“ საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიდა და რეგიონული განვითარება დაიწყო. „თიბისი ბანკმა“ აზერბაიჯანში ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტის „სოა კრედიტის“ აქციათა 75% შეიძინა. სოა-კრედიტი აშშ-ს ქალაქ ჩიკაგოში დაფუძნებული „შორბანკის“ შვილობილი კომპანიაა აზერბაიჯანში.

რეგიონულ განვითარებაზე ზრუნვა „თიბისი ბანკმა“ შიდა ბაზარზე მიღწეული წარმატებების პარალელურად დაიწყო. პირველ ეტაპზე შეირჩა აზერბაიჯანის, როგორც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ფინანსური ბაზარი, რომელიც ხასიათდება სტაბილური ზრდის ტენდენციით.

„თიბისი ბანკი“ უახლოეს მომავალში „სოა-კრედიტს“ სერიოზულ ფინანსურ ინსტიტუტად ჩამოაყალიბებს, რომელიც აზერბაიჯანში ადგილობრივ მომხმარებელს შესთავაზებს საბანკო მომსახურების ფართო სპექტრს.

⁴³ www.tbc.bank.ge.

⁴⁴ www.tbc.bank.ge.

რაც შეეხება საერთაშორისო რეიტინგებს, მოვიტანო Fitch-Ratings-ის და Moody's შეფასებებს.

2007 წ. ივლისში საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ Fitch-Ratings „თიბისი ბანკის“ რეიტინგი 2 საფეხურით გააუმჯობესა და „B+“ კატეგორია მიანიჭა.

სარეიტინგო სააგენტოს ექსპერტთა განცხადებით, „თიბისი ბანკი“ განმსაზღვრელ როლს ასრულებს ქართული საბანკო სისტემის განვითარებაში. ასეთი მაღალი შეფასება კი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, როგორც „თიბისი ბანკის“ საოპერაციო გარემოსა და დაფინანსების პარამეტრების გაუმჯობესებაზე, ასევე მთლიანად საქართველოს საბანკო სექტორის განვითარების მზარდ ტენდენციაზე.

Fitch-Ratings-მა თიბისი ბანკის რეიტინგი გააუმჯობესა შემდეგ კატეგორიებში:

- გრძელვადიანი რეიტინგი გაუმჯობესდა „B“-დან „B+“-მდე;
- მხარდაჭერის რეიტინგი გაუმჯობესდა „5“-დან „4“-მდე;
- მოკლევადიანი რეიტინგი – „B“;
- ინდივიდუალური რეიტინგი – „D“.

2007 წ. მაისში საერთაშორისო სააგენტომ Moody's „თიბისი ბანკს“ მიანიჭა რეიტინგი შემდეგ კატეგორიებში:

- შეფასება – სტაბილური;
- საბანკო დეპოზიტები – უცხოურ ვალუტაში B3/NP;
- საბანკო დეპოზიტები – ეროვნულ ვალუტაში Ba 1/NPI;
- ბანკის ფინანსური მდგრადობა – D –

შევნიშნავთ, რომ 2007 წლის 27 მარტს „თიბისი ბანკს“ მსოფლიოში ხარისხის ყველაზე ავტორიტეტული სტანდარტი მიენიჭა – ხარისხის მართვის სისტემებში მსოფლიო ლიდერებმა SAIGLOBAL და საერთაშორისო სერტიფიცირების ქსელმა IQNet „თიბისი ბანკს“ ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001: 2000 მოთხოვნებთან შესაბამისობის სერტიფიკატი მიანიჭეს.⁴⁵

„თიბისი ბანკი“ პირველია საქართველოში, რომელმაც ISO –ს სტანდარტი მიიღო. ეს ნიშნავს, რომ „თიბისი ბანკის“ მართვის სისტემების ხარისხი შეფასდა, როგორც მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი.

⁴⁵ www.tbc.bank.ge

2007 წ. მარტში ამერიკულმა ჟურნალმა „GLObaL Finance“ მსოფლიოს განვითარებადი ბაზრების საუკეთესო ბანკების რეიტინგში „თიბისი ბანკი“ დაასახელა, როგორც საუკეთესო ბანკი საქართველოში.

„GLObaL Finance“-ის მიერ 2004, 2005, 2006, 2007 წლებში ზედიზედ ოთხჯერ „თიბისი ბანკი“ დასახელდა, როგორც საუკეთესო ქართული ბანკი სახაზინო და სავალუტო გაცვლითი ოპერაციების წარმოებაში.

გარდა ამისა, 2005, 2006 და 2007 წელს „თიბისი ბანკის“ წარმატების მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა და იგი 3-ჯერ მოხვდა აზიის რეგიონის 19 საუკეთესო ბანკის რეიტინგში, როგორც „საუკეთესო ბანკი საქართველოში“.

თიბისი ბანკმა 2007 წლის განმავლობაში უცხოური საფინანსო ინსტიტუტებიდან 245 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი მოიზიდა, ჩამოთვლილთა შორის:

- აპრილი – 47 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის რესურსი მოიზიდა მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის „ჯეი პი მორგანის (JP Morgan) დახმარებით;

- ივნისი – „მერილ ლინჩმა“ (Merrill Lynch) 40 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა „თიბისი ბანკში“;

- ივლისი – ნიდერლანდების განვითარების ფინანსურმა კომპანიამ (FMO) „თიბისი ბანკს“ 20 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სუბსორდინირებული სესხი გამოუყო. ამავე თვეში „თიბისი ბანკმა“ მეორე კონტრაქტიც გააფორმა – შვეიცარულმა კორპორაციამ Gredit-Suisse „თიბისი ბანკს“ 35 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსური რესურსი გამოუყო. ეს იყო Gredit-Suisse-ის პირველი ინვესტიცია საქართველოში;

- აგვისტო – „თიბისი ბანკმა“ მსოფლიოში წამყვანი საინვესტიციო ბანკის, „დოიჩე ბანკის“ დახმარებით 54 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის სინდიცირებული სესხი მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 14 წამყვანი ბანკიდან;

- ნოემბერი – „თიბისი ბანკმა“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან (EBRD) 49 მლნ. აშშ დოლარი მიიღო. აქედან 19 მლნ. აშშ დოლარი წარმოადგენს სინდიცირებულ სესხს; 20 მლნ. აშშ დოლარი განკუთვნილია ვაჭრობის სფეროს დაფინანსებისათვის, ხოლო 10 მლნ. აშშ დოლარი – ენერგოეფექტურობის პროექტების დაფინანსებისათვის

აქვე მოვიტანთ 2008 წელს „თიბისი ბანკის“ მიერ მოზიდული რესურსების შესახებ ინფორმაციას:

2008 წ. 27 ნოემბერს „თიბისი ბანკმა“ და OPIC-მა (უცხოური კერძო საინვესტიციო კორპორაცია) ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის თანახმად „თიბისი ბანკი“ დამატებით ფინანსურ რესურს მიიღებს 40 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო OPIC ამ თანხის გარანტორ მხარეს წარმოადგენს. თანხა მოხმარდება „თიბისი ბანკის“ მიერ გრძელვადიანი იპოტეკური სესხების, აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებას, ახალი საკრედიტო ხაზი საშუალებას მისცემს „თიბისი ბანკს“ კიდევ უფრო გააძლიეროს როგორც ფიზიკური, ასევე კორპორატიული კლიენტების დაფინანსება.

2007 წელი „თიბისი ბანკისათვის“ წარმატებული იყო ახალი პროდუქტების დანერგვის თვალსაზრისით. ბანკის მომსახურების მენიუ გაფართოვდა და კლიენტების მოთხოვნებზე მეტად მორგებული გახდა.

კერძოდ, „თიბისი ბანკიმა“ მომხმარებელს შესთავაზა შემდეგი ახალი პროდუქტები:

- ტელეფონ-ბანკი – მისი მომსახურება ხელმისაწვდომია 24 სთ-ის განმავლობაში. მთელი კვირის მანძილზე. ტელეფონ-ბანკის საშუალებით მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია.

ფიზიკურ პირებს აგრეთვე შეუძლიათ ტელეფონით განახორციელონ მთელი რიგი ოპერაციები, მაგალითად: გადარიცხვები, გადაიხადონ კომუნალური გადასახადები, გახსნან ანაბრები, დაფარონ სესხი, შეუკვეთონ პლასტიკური ბარათები და სხვ.

ტელეფონ-ბანკით სარგებლობისათვის კლიენტისათვის საკმარისია ბანკში მხოლოდ ერთხელ მისვლა სატელეფონო მომსახურებისათვის პირადი კოდის მისაღებად.

- გადაჯექი ახალ მანქანაში – თუ მომხმარებელს ჰყავს ძველი მანქანა და სურს მისი ახლით შეცვლა, მაგრამ ამისთვის არ გააჩნია საკმარისი დანაზოგი, „თიბისი ბანკმა“ ასეთი შემთხვევისთვის შექმნა სპეციალური პროდუქტი „გადაჯექი ახალ მანქანაში“. ამ მომსახურების საშუალებით კლიენტს შესაძლებლობა ეძლევა იყიდოს ახალი მანქანა მთლიანად ბანკის სესხით და შემდეგ აუჩქარებლად იზრუნოს ძველის გაყიდვაზე. სესხის აღებიდან 4 თვის განმავლობაში.

- იპოთეკური სესხები – უძრავი ქონების ბაზრის სწრაფი ტემპით განვითარებას „თიბისი ბანკი“ გამოეხმაურა იპოთეკური სესხების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით და ერთდროულად რამდენიმე სიახლის

დანერგვით. კერძოდ, იპოთეკური სესხების ვადა გაიზარდა 30 წლამდე, მსესხებლებს საშუალება მიეცათ ისარგებლონ 1 წლიანი საშეღავათო პერიოდით და, რაც მთავარია, შეიქმნა იპოთეკური სესხის 4 ახალი სახეობა:

1. „გარანტირებული სესხი“ (2 პროდუქტის ერთობლიობა: ზრდადი ანაბარი + ოპოთეკური სესხი. გარანტირებული სესხის მაქსიმალური მოცულობა 50 000 აშშ დოლარია);

2. „შენატანების ყოველწლიური ზრდა“ (იპოთეკური სესხის ნაირსახეობა, რომელიც განკუთვნილია პირებისათვის, რომელთა ხელფასიც არ ყოფნის სესხის მოთხოვნილი თანხის აღებას, და/ან კლიენტებისათვის, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია მცირე შენატანების გაკეთება სესხის მოქმედების საწყის ეტაპზე);

3. „ოფსეტი“ (ამ ტიპის იპოთეკური სესხი მოსახერხებელია იმ კლიენტებისათვის, რომლებსაც აქვთ ან გეგმავენ ჰქონდეთ ბანკში დანაზოგი და ამავდროულად, იპოთეკური სესხიც გააჩნიათ);

4. „შეცვალე სახლი“ (კლიენტს საშუალება ეძლევა იყიდოს ახალი ბინა მთლიანად ბანკის სესხით და შემდეგ იზრუნოს ძველის გაყიდვაზე).

– განვადების ბარათი – 2007 წლიდან ბანკმა დანერგა ახალი პროდუქტი – „განვადების ბარათი“. ეს უკანასკნელი ძალზე პოპულარული გახდა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი გამოშვებიდან პირველივე თვეს ბანკმა 10 000 ასეთი ბარათი გაყიდა. განვადების ბარათი არის VISA Electron სწრაფი გამოშვების (Instant Issue) ბარათი, რომლითაც კლიენტს აქვს საქონლის ან მომსახურების განვადებით შეძენის შესაძლებლობა.

2007 წ. გაყიდვების სტიმულირების მიზნით, „თიბისი ბანკში“ დაინერგა თანამშრომლების მოტივაციის ახალი სისტემა, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო საკონსულტაციო სააგენტოს “Senteo International”-ის მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით. განახლებული სისტემა აგებულია გუნდურ პრინციპებზე და ითვალისწინებს მოტივაციის როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალურ სისტემებს.

2008 წლის 18 დეკემბრიდან „თიბისი ბანკმა“ მომხმარებელს შესთავაზა ახალი უნიკალური ვადიანი ანაბარი – ოქროს ანაბარი. ამ უკანასკნელის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ „თიბისი ბანკი“ ანაბრის დამატებით საიმედოობას შექნილი ოქროთი უზრუნველყოფს. მაქსიმალური სარგებლის მისაღებად და ანაბრის დამატებითი საიმედოობისათვის, „თიბისი ბანკი“ ანაბარს

„ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე“ შექმნილი ოქროთი გაამყარებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოქროს ანაბრის მფლობელი საიმედოობის დამატებით გარანტიებთან ერთად, ოქროს ფასის ზრდის შემთხვევაში გაზრდილი საპროცენტო სარგებლის მიღებას შეძლებს. ოქროს ანაბარზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია ოქროს ფასის ცვლილებაზე და შეადგენს: ფასის ზრდის შემთხვევაში 16%-მდე სარგებელს; ხოლო მისი კლების შემთხვევაში – გარანტირებულ წლიურ 9%-ს.⁴⁶

მოკლედ შევეხებით საკრედიტო პორტფელსაც. ფიზიკური პირების დაკრედიტების მხრივ 2007 წელი საკმაოდ წარმატებული იყო „თიბისი ბანკისათვის“. მნიშვნელოვნად გაიზარდა პორტფელის მოცულობა და კლიენტების რაოდენობა. დაინერგა ახალი სასესხო პროდუქტები (სწრაფი განვადება, განვადების ბარათი, განცხადების დამუშავების ახალი სისტემა) და კიდევ უფრო დაიხვეწა არსებული პროდუქტების მომსახურების პირობები.

2007 წ. ბოლოს ფიზიკურ პირებზე გადაცემული სესხების პორტფელმა 313,940 ათასი ლარი შეადგინა. 2006 წ. ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან შედარებით პორტფელის მოცულობა შესაბამისად 124%-ით, ხოლო გადაცემული სესხების რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა.

კორპორატიული საბანკო საქმიანობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს „თიბისი ბანკის“ კონკურენტული უპირატესობის შექმნაში. კონკურენციის გამძაფრების პირობებში, 2007 წ. „თიბისი ბანკმა“ წარმატებით შეინარჩუნა ქართულ საბანკო სექტორში ლიდერის პოზიცია კორპორატიულ სეგმენტზე.

2007 წლის განმავლობაში ბანკის კლიენტი კომპანიების რაოდენობამ 17 000 ერთეულს გადააჭარბა, რაც წინა წელთან შედარებით 14%-იან ზრდაა. თუ 2006 წ. ბოლოს საკრედიტო პორტფელი კორპორატიულ სეგმენტზე 452 მლნ. ლარს შეადგენდა, 2007 წ. ბოლოს მისმა მოცულობამ 854 მლნ. ლარს გადააჭარბა. 2009 წელს კი საკრედიტო პორტფელი კიდევ უფრო გაიზარდა – 973,511 ათ.ლარი.

საკრედიტო პორტფელის ასეთი დიდი მოცულობით ზრდა ძირითადად განაპირობა ბანკის დაფინანსების გააქტიურებამ ვაჭრობის, მომსახურების, უძრავი ქონების მშენებლობის და წარმოების სფეროებში. მთლიანი საკრედიტო პორტფელის ზრდის დაახლოებით 80% სწორედ ამ სექტორებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ 347 ათასი ლარიდან 456 ათას ლარამდე გაიზარდა საშუალო

⁴⁶ www.tbc.bank.ge

სესხის მოცულობა, რაც კორპორატიულ სექტორში მოქმედი კომპანიების მხრიდან დაფინანსების მზარდ მოთხოვნაზე მიუთითებს.

გაიზარდა ასევე „თიბისი ბანკის“ მონაწილეობა დოკუმენტალურ ოპერაციებში. 2009 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული აკრედიტივების და გარანტიების მოცულობამ 213 მლნ. ლარს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემს 40%-ით აღემატება.

კორპორატიულ სექტორში მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა აგრეთვე დეპოზიტების კუთხით. მოზიდული სახსრების მოცულობა 2007 წლის განმავლობაში 244 მლნ. ლარიდან 343 მლნ. ლარამდე გაიზარდა 2008 წ. ჩაგარდნის მერე კვლავ გაიზარდა დეპოზიტების რაოდენობა. აღნიშნული მაჩვენებელი მიუთითებს კორპორატიულ სექტორში „თიბისი ბანკის“ მიმართ არსებულ მაღალ ნდობაზე.

როგორც ვიცით, SWOT ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია „თიბისი ბანკის“ საკრედიტო პორტფელის ხარისხობრივი მაჩვენებლები, როგორებიცაა: ვადაგადაცილებული სესხების თანაფარდობა მთლიან პორტფელთან, რომელიც 2,8%-ს შეადგენს და რეზერვის საშუალო მაჩვენებელი, რომელიც 3,4%-ის ტოლია.

მსხვილი კორპორატიული ბიზნესის მომსახურებისათვის ბანკში შეიქმნა ორი განყოფილება: კორპორატიული დაკრედიტების და კორპორატიული გაყიდვების. მნიშვნელოვანია 2007 წელს ჩამოყალიბებული კორპორატიული ბანკირის ინსტიტუტი. ამ უკანასკნელმა და ზემოთ აღნიშნულმა განყოფილებებმა ძალზე აამაღლეს ბიზნესის მომსახურების ხარისხი.

სტრატეგიული განვითარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო „თიბისის“ მიერ საინვესტიციო ბანკის დაარსება. მაღალკვალიფიციური წევრებით დაკომპლექტებული გუნდის მეშვეობით, „თიბისი ბანკის“ საინვესტიციო ბანკმა საქმიანობის დასაწყისიდანვე შესთავაზა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სხვადასხვა სახის ფინანსური სერვისი: კომპანიის ღირებულების შეფასება, ფინანსური კონსულტაცია, საშუამავლო საქმიანობა, ფინანსური დაგეგმვა, კაპიტალის მართვის მთელი რიგი პროდუქტები და სერვისები.

„თიბისი ბანკის“ საინვესტიციო ბანკმა განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები: ევროპის ერთ-ერთ წამყვან პირად ბანკთან თანამშრომლობით, დანერგა კაპიტალის მართვის ინოვაციური პროდუქტი; მოახდინა კომპანიების ფინანსური შეფასება, ინვესტიციების განთავსება და მათი საკონსულტაციო

მომსახურება. ანალიზის საფუძველზე წარმოვადგენთ თიბისი ბანკის SWOT ანალიზის (შედარების) მონაცემებს. (იხ. დანართი 11.)

ბანკი „რესპუბლიკის“ სტრატეგია არის მართვის რეორგანიზაცია და მკაცრი საფინანსო დისციპლინის დანერგვა. რეგიონებში გაიხსნა ახალი ფილიალები და სერვის ცენტრები. გაფართოვდა ქსელი, გაიზარდა: საცალო და კორპორაციული საბანკო საქმიანობის მასშტაბი, მომხმარებელთა რაოდენობა, რომლებიც უკვე სარგებლობენ საუკეთესო ინოვაციური პროდუქტითა და უმღლესი ხარისხის მომსახურებით.

ბანკი „რესპუბლიკის“ საქმიანობა მომხმარებელზე და მის ბიზნეს შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და ჯგუფ „სოსიეტე უენერალისა“ და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების პოტენციალის შესაბამისად ვითარდება.

ბანკის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა საცალო და კორპორაციული საბანკო მომსახურება.

ბანკი ვარაუდობს ქსელის გაფართოების სტრატეგიის განხორციელებას, რის მეშვეობითაც ბანკის თითოეული მომხმარებელი ნებისმიერ დროსა და ადგილას მარტივად მიიღებს მისთვის სასურველ ყველა სახის მომსახურებას. ბანკი ამყარებს შიგა პარტნიორულ ურთიერთობებს, რაც ინტელექტუალური კაპიტალის სწორად მართვასა და კოორდინაციისათვისაა საჭირო. იმ გზით შესაძლებელია უშეცდომოდ განისაზღვროს მომსახურების მიმართულებები და ხელსაყრელი ბიზნეს-სეგმენტები.

ბანკი „რესპუბლიკის“ ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტი საქართველოს მასშტაბით ფილიალების ქსელის ინტენსიური გაფართოებაა. აღნიშნული სტრატეგიის თანახმად 2008 წლის ბოლოსათვის დაგეგმილი იყო 45 ფილიალის გახსნა, 2010 წლის ამავე პერიოდისათვის კი 80 ფილიალისა და სერვის ცენტრის გახსნა დაგეგმილი. 2008 წლის პირველი იანვრის მონაცემებით ბანკს 8 ფილიალი ჰქონდა. სტრატეგიის სრულად შესრულება 2008 წლის ბოლოსათვის (45 ფილიალი) ვერ შეძლეს (33 ფილიალი და სერვის-ცენტრი), რაც აგვისტოს მოვლენებისა და ფინანსური კრიზისის გამო მოხდა. დედაქალაქში ფილიალებისა და სერვის ცენტრების რაოდენობა 18-ს გაუტოლდა. რეგიონებში 2007 წ. ორი ფილიალი და ოთხი სერვისცენტრი ამოქმედდა. ფილიალები გაიხსნა დასავლეთ საქართველოს ისეთ უმსხვილეს ქალაქებში, როგორებიცაა: ქუთაისი და სამტრედია. ოთხი სერვის-ცენტრი დაემატა ბათუმს, მარნეულს, ოზურგეთსა.

ბანკი „რესპუბლიკა“ კორპორაციულ და საცალო საბანკო საქმიანობას როგორც თბილისში, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებშიც ეწევა.

თანამედროვე ბიზნესი კორპორაციული მართვის პრინციპებზეა დაფუძნებული, რაც თავისთავად წარმატებულ საქმიანობასა და აქციონერთა მოგებას უზრუნველყოფს, ბანკი „რესპუბლიკა“ ტრადიციულად განაგრძობს ამ პრინციპების დანერგვასა და დახვეწას, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მის განვითარებასა და წარმატებას.

ბანკი „რესპუბლიკა“ საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურად თანამშრომლობს.

2006 წლიდან EBRD ბანკ „რესპუბლიკის“ აქციათა 10%-ის მფლობელი გახდა. EBRD განახორციელა რამდენიმე ტექნიკური დახმარების პროექტი და ბანკ „რესპუბლიკას“ ვაჭრობის დაფინანსებისა და მიკროკრედიტების გაუმჯობესებაში დაეხმარა.

2007 წ. სექტემბერში ბანკმა ხელი მოაწერა თანადაფინანსების 20 მილიონიან ხელშეკრულებას, რაც დაეხმარა მას იმ მსხვილი კორპორაციული კლიენტების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში, რომლებიც ბანკისგან დიდი მოცულობის სესხს ითხოვდნენ.

2007 წ. დეკემბერში გაფორმდა 3 წლიანი ხელშეკრულება საკრედიტო ხაზის გამოყოფის თაობაზე, რომლის მოცულობა 12 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. 6 მლნ. აშშ დოლარი გამოყენებული იქნა მიკროდაკრედიტების დასაფინანსებლად, ხოლო საკრედიტო ხაზის მეორე ნახევარი კი – მცირე და საშუალო საწარმოების დასაფინანსებლად.

2005 წ. შედგა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და ბანკ „რესპუბლიკას“ შორის თანამშრომლობის პირველი ეტაპი ბანკში განხორციელდა IFC-ის კორპორაციული მმართველობის პროექტი. IFC-მ დახმარება გაუწია ბანკს მართვის გამჭვირვალე პრინციპების დამკვიდრებისა და განხორციელების მიმართულებით. 2007 წ. სექტემბერში ბანკ „რესპუბლიკისა“ და IFC-ის მიერ ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც გამოეყო 20 მლნ. აშშ დოლარის საკრედიტო ხაზი მცირე და საშუალო საწარმოების დასაფინანსებლად. აღნიშნული საკრედიტო ხაზის გამოყენება მოხდა იპოთეკური დაკრედიტებისა და სტუდენტური სესხების გამოსაყოფად, რათა საქართველოს მოსახლეობას მისცემოდა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება.

გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) პირველი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელმაც ბანკ „რესპუბლიკასთან“ დაამყარა ურთიერთობა (2004 წ.). გარდა ამისა, ბანკს გაეწია მნიშვნელოვანი დახმარება მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისა და საცალო საბანკო საქმიანობის გაუმჯობესების მიმართულებით.

2007 წ. 10 დეკემბერს, ბანკ „რესპუბლიკასა“ და KFW-ს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას 16 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზის გამოყოფის შესახებ. საკრედიტო ხაზი გაიცა ორ თანაბარ (8 მლნ. აშშ დოლარი) ტრანშად; პირველი ტრანშის ვადა განისაზღვრება 5 წლით, ხოლო მეორე ტრანშის – 10 წლით. 5 წლიანი ტრანში ათვისებული იქნა მცირე და საშუალო ბიზნესის რეფინანსირებისათვის, ხოლო 10 წლიანი ტრანში კი ბანკმა „რესპუბლიკამ“ ამ ბოლო დროს ბანკისათვის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ბიზნეს მიმართულების – გრძელვადიანი იპოთეკური სესხების – დასაფინანსებლად გამოიყენა.

2008 წლის განმავლობაში ბანკი „რესპუბლიკა“, „სოსიეტე ქენერალის“ ჯგუფის მუდმივი დახმარების გარდა, კვლავ განაგრძობს სასარგებლო ურთიერთობებს და ახალ ერთობლივ პროექტს EBRD-თან, IFC-თან და KFW-თან.

2007 წ. განმავლობაში, რისკების მართვის სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბანკ „რესპუბლიკის“ განვითარებაში, დაწესებულ ლიმიტებთან რისკების შესაბამისობის შემოწმების მიზნით. სამსახურმა გააანალიზა პოტენციური რისკები საოპერაციო სამსახურების მიერ წარმოებული საბანკო ოპერაციებისგან დამოუკიდებლად. შემოწმების ყველა ეტაპზე მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბანკ „რესპუბლიკის“ მთლიანი მოგების (რისკის გათვალისწინებით) მუდმივი ოპტიმიზაცია გრძელვადიანი განვითარების ხელშესაწყობად.

საქმიანობის მთავარ მიმართულებად განისაზღვრება რისკების ანალიზის, შეფასების, დამტკიცებისა და მონიტორინგისათვის საჭირო მეთოდების შემუშავება და დანერგვა, მაღალი რისკის სფეროებში გაყიდვების სტრატეგიის კრიტიკული ანალიზი, საკრედიტო რისკების დამოუკიდებელი შეფასება, ბანკის რისკების იდენტიფიცირება და რისკების მართვის საინფორმაციო სისტემების ადეკვატურობისა და შესაბამისობის მონიტორინგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რისკების ჯანსაღი და ეფექტიანი მართვით რისკების მართვის სამსახურმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ბანკის მოგებისა და განვითარების საქმეში.

რისკის მართვის შემუშავებული სტრატეგია დაეფუძნა რისკის თითოეული კატეგორიისათვის (საკრედიტო, საბაზრო, ქვეყნის, საოპერაციო) მკაფიოდ განსაზღვრულ ამოცანებს.

სტრატეგია შესრულდა რისკების მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრული პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც მოიცავდა შერჩევის კრიტერიუმს, შედეგად, ბანკი მონაწილეობდა ყველაზე ოპტიმალურ ოპერაციებში.

2007 წლის ბოლო კვარტლიდან შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ წამოწყებული სტრატეგია, რომელიც ეფუძნება სპეციფიკურ პროექტებს საოპერაციო რისკების მონიტორინგთან დაკავშირებით, ამ სფეროში შესაბამისი მექანიზმებისა და ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

2010 წლის დასაწყისისათვის ბანკში დასაქმებულია 1000-ზე მეტი ადამიანი. ბანკი კლიენტებს 47 ფილიალისა და სერვისცენტრის მეშვეობით ემსახურება.

2006 წ. ჯგუფი „სოსიეტე უნერალის“ გახდა ბანკის აქციების 60%-ის მფლობელი. 2009 წ. ჯგუფმა თავისი წილი 80%-მდე გაზარდა.⁴⁷

ამჟამად „სოსიეტე უნერალის“ გლობალური ცოდნა და კომპეტენცია ბანკ „რესპუბლიკის“ ყველაზე ძლიერი მხარეა. ბანკი თანაბრად აქტიურია როგორც კორპორაციული, ასევე საცალო საბანკო საქმიანობის კუთხით და გასწევს ნებისმიერი სახის საინვესტიციო საბანკო მომსახურებას „სოსიეტე უნერალის“ ჯგუფის ფარგლებში. „ბანკი რესპუბლიკის“ კონკურენტული უპირატესობა საერთაშორისო ცოდნასა და კომპეტენციებში მდგომარეობს უცხოური ინვესტირების მეშვეობით, რაც ბანკს ეხმარება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისა და უცხოელი პარტნიორების მოზიდვის კუთხით. ბანკი აქტიურია იპოთეკური და სამომხმარებლო დაფინანსებისა და მიკროდაკრედიტების კუთხით და დახმარებას უწევს მცირე საწარმოებს არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით.

ბანკი „რესპუბლიკა“ უნივერსალური ბანკინგის მოდელით ხელმძღვანელობს და მისი მიზანი აქციონერთათვის მოგების ზრდის უზრუნველყოფაა. „სოსიეტე უნერალთან“ ინტეგრაციის შემდეგ, ბანკში დაინერგა რისკის მენეჯმენტის ახალი სისტემა.

ავისტოს ომის დროსაც კი ბანკს არ შეუწყვეტია ჩვეული მუშაობა და მშვიდ რეჟიმში ემსახურებოდა მომხმარებელს. ყველაზე რთულ მომენტებში ბანკი მაღალ

⁴⁷ www.Republic.ge.

პროფესიულ დონეზე აწარმოებდა ოპერაციებს, მისი ერთგული და მაღალკვალიფიციური პერსონალი ზრუნავდა კლიენტების უსაფრთხოებაზე და კომფორტზე.

საერთაშორისო და ადგილობრივი ფინანსური კრიზისის დროს, ბანკი „რესპუბლიკა“ აგრძელებდა გაფართოების დასახულ სტრატეგიას. აღსანიშნავია, რომ მეტად რთულ პერიოდშიც კი ბანკში არ მომხდარა კადრების შემცირება. ბანკი აქტიურად ვითარდება და ფართოვდება, საფილიალო ქსელის ზრდის შედეგად, ბანკი მაქსიმალურად უახლოვდება კლიენტს, სთავაზობს დასავლურ, კლიენტის მოთხოვნაზე მისადაგებულ პროდუქტებს და უმაღლესი ხარისხის მომსახურებას. ბანკი „რესპუბლიკა“ გაფართოების გეგმას მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს.

ბანკ „რესპუბლიკის“ სტრატეგია მიმართულია არა მხოლოდ მოგების მიღებაზე, არამედ სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესის წარმოებაზე სოციალური პრობლემების სრულყოფილი მოგვარების მიზნით.

ბანკ „რესპუბლიკის“ მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალური და ბიზნესურთიერთობების განვითარებას საქართველოში მისი ახალ საფეხურზე გადაყვანის მიზნით.

ცხრილ № 6-ში წარმოვადგენთ ბანკი „რესპუბლიკის“ ფინანსურ შედეგებს 2002-2007 წწ., ხოლო ცხრილ № 7-ში 2008-2009 წლის მონაცემებს, ცხრილ №8-ში კი ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

2007 წლის განმავლობაში ბანკის მთლიანი აქტივები 157,768 ათასი ლარით გაიზარდა (45%), გაცემული სესხების მოცულობა 66%-ით გაიზარდა და 310,957 ათასი ლარი შეადგინა. სასესხო პორტფელის 39%-ს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები, ხოლო 61%-ს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს.

2008 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მთლიანი შემოსავალი 73,731 ათ. ლარი იყო, მაშინ, როცა 2007 წ. – 60,517 ათ. ლარს შეადგენდა, გაზრდილია 2008 წლისათვის მთლიანი ხარჯები მთლიანი აქტივები, მთლიანი ვალდებულებები, სააქციო კაპიტალი, შემცირებულია მოგების გადასახადი, წმინდა მოგება, უკუგება საშუალო კაპიტალზე – 2,31 ათ.ლარი.

რაც შეეხება საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებს, 2008 წ. 30 სექტემბრისათვის შემოსავლები გაზრდილია დაახლოებით 10 ათასი ლარით (2007 წ. – 42,536.117 ათ. ლარი; 2008 წ. – 52,042,159 ათ.ლარი) საპროცენტო ხარჯები კი პირიქით, შემცირებულია დაახლოებით ერთი ათასი ლარით.

ბანკი „რესპუბლიკის“ ფინანსური შედეგები
2002-2007 წწ. ათასი ლარი

	2002	2003	2004	2005	2006	2007	ზრდა 2003	ზრდა 2003	ზრდა 2003	ზრდა 2003	ზრდა 2003
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
შედეგები საპერაციო შემოსავალი	9,774	10,867	12,100	23,265	30,265	37,771	11%	11%	92%	30%	25%
წმინდა მოგება	3,489	4,596	4,816	9,181	8,148	4,653	32%	5%	91%	-11%	-43%
საქმიანობა კლიენტებზე გაცემული სესხები	39,567	53,201	80,302	128,954	187,575	310,956	34%	51%	61%	45%	66%
მთლიანი აქტივები	64,619	77,700	125,829	211,284	348,520	506,288	20%	62%	68%	65%	45%
კლიენტების ანგარიშები	43,899	49,969	99,815	156,263	253,964	314,079	14%	100%	57%	63%	24%
მთლიანი უაღრუ- ბულეები	50,413	58,898	101,027	178,481	285,469	417,524	17%	72%	77%	60%	46%
კაპიტალი საწესდებო კაპიტალი	5,826	5,826	7,000	7,000	22,000	38,500	0%	20%	0%	214%	75%
სულ სააქციო კაპიტალი	14,206	18,802	24,802	32,803	63,051	88,764	32%	32%	32%	92%	41%
კოეფიციენტები											
ROA	5,4%	5,9%	3,8%	4,3%	2,3%	0,9%					
ROE	24,6%	24,4%	19,4%	28,0%	12,9%	5,2%					
ROAA	6,2%	6,5%	4,7%	5,4%	2,9%	1,1%					
ROAE	27,9%	27,8%	22,1%	31,9%	17,0%	6,1%					

ბანკ „რესპუბლიკის“ ფინანსური მაჩვენებლები

მოგება – ზარალის მანვენებლების დინამიკა (მონაცემები ათას ლარებში 2009 წლის 30 ივნისის მდგომარეობით)							
	2009	2008	2007	2006	2005	2004	2003
მთლიანი შემოსავალი	57,476	105,477	60,517	47,815	31,243	20,677	18,882
მთლიანი ხარჯი	59,658	113,342	57,613	38,408	22,159	12,786	11,760
მოგების გადასახადი	(219)	(796)	855	3,717	1,901	1,149	1,032
წმინდა მოგება	(1,963)	(7,069)	2,049	5,690	7,183	6,530	4,596
ძირითადი საბაღანო მუხლების დინამიკა (მონაცემები ათას ლარებში 2009 წლის 30 ივნისის მდგომარეობით)							
	2009	2008	2007	2006	2005	2004	2003
მთლიანი აქტივები	756,867	855,439	498,938	350,398	212,104	129,062	77,700
მთლიანი გაფორმებული	655,124	754,601	418,053	287,606	179,062	101,898	58,898
სააქციო კაპიტალი	101,743	100,838	80,885	62,793	33,041	27,164	18,802
ფინანსური კოეფიციენტები (მონაცემები ათას ლარებში 2009 წლის 30 ივნისის მდგომარეობით)							
	2009	2008	2007	2006	2005	2004	2003
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	(4,02)	(7,23)	3,58	14,66	22	24	24
უკუგება საშუალო აქტივზე (ROA)	(0,55)	(1,09)	0,60	2,31	3	5	6

ეკონომიკური მაჩვენებლები

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა წლის შესაბამისი პერიოდი
კაპიტალი		
1 პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 8\%$	9.70%	10.90%
2 სახელმწიფო კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 12\%$	15.17%	15.67%
3 რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან	115.52%	130.41%
4 ფულადი დივიდენდები/ წმინდა მოგებასთან		
მოგება		
5 მთლიანი საპროცენტო შემოსავლები/ საშუალო წლიურ აქტივებთან	12.46%	11.20%
6 მთლიანი საპროცენტო ხარჯები/ საშუალო წლიურ აქტივებთან	4.52%	4.29%
7 საომერაციო შედეგი/ საშუალო წლიურ აქტივებთან	5.0%	4.50%
8 წმინდა საპროცენტო მარჟა	7.94%	6.92%
9 უკუგება საშუალო აქტივებზე	-0.22%	0.36%
10 უკუგება საშუალო კაპიტალზე აქტივების ხარისხი	-1.59%	2.31%
11 იმოქმედო სესხები/ მთლიან სესხებთან	13.59%	6.42%
12 სშდრ/ მთლიან სესხებთან	12.64%	6.68%
13 უცხოური ეალუტით არსებული სესხები/ მთლიან სესხებთან	84.95%	72.73%
14 უცხოური ეალუტით არსებული აქტივები/ მთლიან აქტივებთან	66.90%	58.68%
15 მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	-8.73%	56.36%
ლიკვიდაცია		
16 ლიკვიდური აქტივები/ მთლიან აქტივებზე	22.14%	16.02%
17 უცხოური ეალუტით არსებული ეალდებულებები/ მთლიან ეალდებულებებთან	85.67%	74.42%
18 მიზდინარე და მოთხოვნამდე დემონიტები/ მთლიან აქტივებთან	29.16%	24.34%

აქტივების სტრუქტურაში განსაკუთრებული შემცირების ტენდენცია 2008 წ. 2007 წელთან შედარებით შეინიშნება ფულად სახსრებზე საბანკო ანგარიშებზე (2007 წ. 37,520,515 ათ. ლარი; 2008 წ. – 4,685,982 ათ. ლ.), რაც გამოწვეულია აგვისტოს ომის მიზეზით ბანკიდან სახსრების გატანით.⁴⁸

⁴⁸ www.Republic.ge

2008 წლისათვის მთლიან ვალდებულებებს მთლიანი აქტივები აჭარბებს 109,563.038 ათ. ლარით.

შევეხებით საცალო და კორპორატიულ საბანკო მომსახურებასაც, 2007 წელს ბანკმა „რესპუბლიკამ“ დანერგა უნივერსალური საბანკო მომსახურება და გაუჩნდა სერიოზული ამბიციები საცალო საბანკო მომსახურების მიმართულებით. კომერციულმა ბანკებმა საცალო საბანკო მომსახურების მხრივ „რესპუბლიკა“ მნიშვნელოვან კონკურენტად აღიარეს. მომხმარებელთა რაოდენობა – 41%-ით. იპოთეკური დაკრედიტების მასშტაბი – ოთხჯერ, მოკროდაკრედიტების ოპერაციები კი სამჯერ გაიზარდა. მაჩვენებლები აშკარად მიუთითებს ბანკ „რესპუბლიკის“ საცალო პორტფელის ზედაზე.

ბანკის აღნიშნული წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა სათანადო მარკეტინგულმა და სარეკლამო სტრატეგიამ, ბანკის გაყიდვებისა და მარკეტინგის გუნდის დაუღალავმა მუშაობამ და საფილიალო ქსელის სწრაფმა ზრდამ.

2007 წლის განმავლობაში 15-ზე მეტი ახალი პროდუქტი დაინერგა. საცალო მომსახურების ოფიცრებს ჩაუტარდათ ტრენინგები ბანკის ტრენინგცენტრის მიერ. სამსახურმა განახორციელა ორიგინალური სარეკლამო და მარკეტინგული კამპანია.

უნდა აღინიშნოს, რომ მიკროდაკრედიტების ბიზნესში მიღწეული წარმატება. ბანკმა „რესპუბლიკამ“ საკუთარი ბიზნესი მოარგო ქვეყანაში მიკროდაკრედიტების სეგმენტის ზრდის ტენდენციას. მნიშვნელოვნად გაიზარდა მიკროდაკრედიტების მასშტაბი (2007 წ. ბანკი „რესპუბლიკა“ EBRD-ში ყველაზე დინამიკურ ბანკად აღიარა მიკროდაკრედიტების მიმართულებით).

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ბანკ „რესპუბლიკის“ სამომხმარებლო დაფინანსების სექტორის სტაბილური განვითარებისათვის. ყველაზე სერიოზულ კონკურენციას ბანკი სწორედ ამ სექტორში წააწყდა. გაიზარდა სამომხმარებლო საქონლისა და ავტომობილების (როგორც ახალი, ისე მეორადი) განვადების მასშტაბი. 2007 წ. ბანკ „რესპუბლიკის“ პარტნიორი სავაჭრო კომპანიების რიცხვი 60-დან (2006 წ. ბოლოს) 137-მდე გაიზარდა (2007 წ. ბოლოს). 137 პარტნიორი კომპანიიდან 31-ში მომხმარებელს ბანკის წარმომადგენელი ემსახურება. 173%-ით გაიზარდა სამომხმარებლო დაფინანსების პორტფელი – 2006 წ. აღნიშნული მაჩვენებელი 1,27 მლნ. ლარს უდრიდა, 2007 წლის ბოლოს კი იგი 3,48 მლნ. ლარს გაუტოლდა.

სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ბანკ „რესპუბლიკის“ საცალო საბანკო საქმიანობის „სოსიეტე ჯენერალის“ პრინციპებთან მისადაგების მიმართულებით (საქართველოს საბანკო ბაზრისა და კონკურენციის გათვალისწინებით). მარკეტინგული თვალსაზრისით რეგულარულად გამოიყენებოდა სრულიად ორიგინალური, „სოსიეტე ჯენერალის“ კორპორაციული იერსახის შესაბამისი ბანკ „რესპუბლიკის“ ვიზუალური ნიშნები.

2007 წელს განხორციელდა ბანკ „რესპუბლიკის“ იპოთეკური სესხის პრომოკომპანია, რასაც სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა ბანკის კონკურენტების, მარკეტინგის პროფესიონალებისა და მომხმარებლების მხრიდან. კომპანიის შედეგად ფილიალებში მომხმარებელთა ნაკადი სწრაფად გაიზარდა.

შეინიშნებოდა წინსვლა გაყიდვების სტიმულირების თვალსაზრისით, ბანკის ძირითად კორპორაციულ კლიენტებს პრეზენტაციების საშუალებით მიეწოდებოდათ ინფორმაცია ახალი საცალო შეთავაზებების შესახებ. ა

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ბანკ „რესპუბლიკის“ ადგილის დამკვიდრების მიზნით მეორადი უძრავი ქონების ბაზარზე. ბანკმა შეიძინა აქტუალური საცალო საბანკო მოთხოვნების სერიოზული ცოდნა და გამოცდილება.

კორპორაციული სეგმენტი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ბანკ „რესპუბლიკისათვის“, რამდენადაც ბანკი „სოსიეტე ჯენერალის“ შემოსვლამდე, ძირითადად კორპორაციულ მიმართულებაზე იყო ორიენტირებული, ბანკი „რესპუბლიკის“ კორპორაციული საბანკო მომსახურების სტრატეგია არა მხოლოდ ბაზარზე ადგილის მოპოვებას, არამედ ეკონომიკის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანასაც ისახავს მიზნად.

ბანკის საქმიანობის სტილი განსაკუთრებით სასარგებლო და მოსახერხებელია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ იმპორტისა და ექსპორტის ოპერაციებში. ქართველი დისტრიბუტორი ან ქართული კომპანია, რომელიც პროდუქციას საერთაშორისო მომწოდებლისაგან ყიდულობს აკრედიტივით, იხდის შემცირებულ საბაზრო ფასს. ბანკი რამდენიმე ქართულ კომპანიას დაეხმარა ცნობილ საერთაშორისო ბრენდებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარებაში.

2007 წ. მთლიანმა კორპორაციულმა პორტფელმა ზოგადი შედეგებით დაგეგმილს გადააჭარბა. 2007 წლის აგვისტოდან მიღწეულ იქნა ყველაზე მაღალი

მაჩვენებელი. პორტფელის ზრდასთან ერთად, გაიზარდა კორპორაციული საქმიანობის შედეგად მიღებული მთლიანი საპროცენტო შემოსავალი.⁴⁹

2007 წ. ბანკმა მომხმარებელს შესთავაზა აკრედიტივი, გადახდის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს გადავადების შესაძლებლობას. შედეგად, ქართველი მეწარმეები იმპორტის დასაფინანსებლად სარგებლობენ კონკურენტული და საუკეთესო პირობებით ბაზარზე არსებულ ტარიფებთან შედარებით დაბალი ტარიფით. გაიზარდა და რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია ვაჭრობის დაფინანსების პორტფელმაც. სავაჭრო საფინანსო ოპერაციების მასშტაბი 116,9% გახდა 2006 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

აღსანიშნავია საბაზრო განვითარების ასოციაციის FOREX-ის მიერ შემდეგ ნომინაციებში გაცემული ჯილდოები:

- ა) პირველი ადგილი – 2007 წ. ყველაზე აქტიური ბანკი თბილისის ბანკთაშორის გაცვლით ბირჟაზე;
- ბ) მეორე ადგილი – 2007 წ. საუკეთესო ბანკი თბილისის ბანკთაშორის გაცვლით ბირჟაზე ვაჭრობის მაქსიმალური მოცულობით;
- გ) პირველი ადგილი – 2007 წ. ყველაზე აქტიური დილერი თბილისის ბანკთაშორის გაცვლით ბირჟაზე.

2008 წელს ბანკი „რესპუბლიკა“ აგრძელებდა საცალო საბანკო მიმართულების გაძლიერების სტრატეგიას და აღმოსავლეთ საქართველოში უკვე მეორე ფილიალი გახსნა, იმერეთში–ერთი ფილიალი და 2008 წ. დეკემბერში კი თბილისში, დიდმის მასივში, გახსნა ფილიალი.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი სიახლე რომელიც ბანკმა „რესპუბლიკამ“ განახორციელა 2009 წლის 2 იანვრიდან – ნებისმიერი ტიპის ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი გადახდის წყაროსთან ადარ დაიბეგრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ანაბრის მფლობელი წარმოადგენს ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს.

2009 წლის სექტემბრის პერიოდისათვის კაპიტალის ზრდა შეინიშნება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (იხ. ცხრილი 10), შემცირებულია უმოქმედო სესხები (13,59%; 6,42%), ლიკვიდური აქტივები (22,14%, 16,02%).

ბანკ „რესპუბლიკის“ ფინანსური მაჩვენებლის და ახალი პროდუქტების დანერგვის ანალიზი საშუალებას გვაძლევს SWOT მეთოდით შევადგინოთ

⁴⁹ www.Republic.ge

დიაგრამა, სადაც წარმოვადგენთ ბანკის შიდა ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე გარე შესაძლებლობებსა და საშიშროებებს.⁵⁰

ანალიზის საფუძველზე წარმოვადგენთ თიბისი ბანკის SWOT ანალიზის (შედარების) მონაცემებს. (იხ. დანართი 12.)

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ „თიბისი ბანკისა“ და ბანკი „რესპუბლიკის“ ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ მიმართულებად უნდა იქცეს SWOT-ის მეთოდის გამოყენება ისე, რომ კომპანიის ორივე – შიდა და გარემომცველი ასპექტები იყოს გათვალისწინებული. ასევე საჭიროა ბანკების თანამშრომლებმა გააკეთონ SWOT დიაგრამა მთავარი კონკურენტებისათვის და მომხმარებლებისათვის. შედეგად შესაძლებელი გახდება მენეჯერმა შეაფასოს ახალი შესაძლებლობები და საშიშროებანი, ბანკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მთავარი მომხმარებლისათვის შედგენილ SWOT დიაგრამას, რადგან ის განსაკუთრებული ეფექტიანობით გამოირჩევა.

ანალიზი, რომელსაც ბანკირები ატარებენ შეიძლება იყოს შიდა და გარე. გარე ანალიზი მოიცავს მოცემული მსესხებლის შედარებას სხვებთან; შიდა ანალიზი გულისხმობს კანონიერი ანგარიშგების სხვადასვა ნაწილების ერთმანეთთან შედარებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ანალიტიკურ პროცესებისთვის საჭირო ფინანსურ კოეფიციენტებს ორი დიდი ნაკლი გააჩნია: ესენია:

- კლიენტის მიმდინარე ოპერაციების შესახებ არ იძლევიან ინფორმაციას;
- ინფორმაციას იძლევიან წარსულის მონაცემების საფუძველზე, მაშინ, როდესაც კრედიტის გაცემა მომავალში უნდა მოხდეს.

აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი მონაცემების გარდა, საჭიროა პროგნოზირების, შეფასებების და შეხედულებების გათვალისწინება.

ზოგჯერ საჭირო ხდება უფრო სრული ანალიზი მსესხებლის ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასების საფუძველზე. მსესხებლის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების გამოყენება მიზანშეწონილი სესხის დაფარვის პერსპექტივების ანალიზისთვის.

საბანკო საკრედიტო რისკის ფაქტორების შესწავლის კომპლექსური მიდგომა ბანკს საშუალებას აძლევს არამარტო ადეკვატური გადაწყვეტილებები მიიღოს გასაცემ კრედიტებზე, არამედ მომავალშიც მინიმუმამდე დაიყვანოს მათი

⁵⁰ www.Republic.ge

დაკარგვით გამოწვეული პირდაპირი დინამური ზარალი №8. დანართიდან ნათლად ჩანს, რომ რისკის ანალიზის განხორციელების დონე საბანკო-საკრედიტო რისკის სიდიდეზე ზემოქმედი ფაქტორების დებულებისას, ძირითად ფუძემდებლურ არგუმენტს წარმოადგენს.

საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის არსებობა კონკრეტული ბანკისათვის თავისთავად პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა, მაგრამ, ამასთან ერთადერთი და მნიშვნელოვანია ძირითადი შემავალი ინფორმაციის სიზუსტე, სწორი შეფასება, დასკვნების გამოტანა და შესაბამისი პროცედურების თანმიმდევრულად შესრულება.

ამდენად, კომერციული ბანკის მიერ საკრედიტო რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის გამოყენება (ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის თანხლებით) ბანკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების, კონკურენტუნარიან საბანკო ინსტიტუტად ფუნქციონირების, საბანკო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისა და გავლენის გაძლიერების აუცილებელი პირობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში მეტად ბუნდოვანი და არაპროგნოზირებადი იქნება ბანკის განვითარების პერსპექტივა, შესაბამისად, მისი საქმიანობა სისტემატურად მრავალ უპასუხო კითხვას წარმოშობს.

წარმატებული დაკრედიტებისათვის ბანკმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს გასაგები, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოქნილი საკრედიტო რისკის მართვის სისტემა. ამ სისტემის ძირითად წინამძღვარს წარმოადგენს გააზრებული საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მოწონებულია ბანკის დირექტორატის საბჭოს მიერ და რომელსაც თან ახლავს მოცემული ბანკისათვის ფორმალიზებული დაკრედიტების სტანდარტები და კონკრეტული ინსტრუქციები, რომელთა შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებენ მმართველობითი ვერტიკალის ყველა დონის მუშაკები.

საკრედიტო რისკის მართვის სისტემის ძირითადი ელემენტებია: საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა; საკრედიტო შეთავაზების შეფასება და მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი; კრედიტების რანჟირება საკრედიტო რისკის დონის (რეიტინგის დადგენა) და დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მიხედვით; საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა კრედიტების მიხედვით შესაძლო დანაკარგების გათვალისწინებით; საკრედიტო გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილების განაწილება – კრედიტების ავტორიზაცია; საკრედიტო

მონიტორინგი; საკრედიტო პორტფელის მართვა და პრობლემური კრედიტების აღდგენა

საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნის ძირითად ფაქტორად ითვლება დაკრედიტების ერთიანი კულტურის განვითარება სტანდარტული ინსტრუქციის დანერგვის გზით ინიცირებისათვის, ანალიზისათვის, გადაწყვეტილების მიღებისა და ცალკეული კრედიტების მონიტორინგისათვის. საკრედიტო პორტფელის მართვა – უმაღლესი ხელმძღვანელობის ფუნქციაა, რომელიც მოითხოვს არსებული რისკის ყველა სახის გამოვლენას და იმ მაქსიმალურად დასაშვები დონის განსაზღვრას, რომელიც ბანკს შეუძლია მიიღოს. დაკრედიტების ერთიანი კულტურის განვითარების ფარგლებს, ერთნაირი საკრედიტო ინსტრუქციების და რისკის მართვისადმი მიდგომების დანერგვა, რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა წარმოადგენს ოფიციალურად დამტკიცებული საკრედიტო პოლიტიკის ელემენტებს.

დაკრედიტების ერთიანი კულტურა ბანკში ეყრდნობა შემდეგს:

- ერთიანი საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას, დაკრედიტების სტანდარტების დანერგვას და რეალიზებას მათ ინსტრუქციებში;

- სტანდარტებისა და ინსტრუქციების ბანკის თანამშრომლებისთვის სწავლებას;

- საქმიანობის შედეგების შეფასებას და ბანკის საკრედიტო პოლიტიკის პრინციპებთან შესაბამის და საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე შრომის ანაზღაურების სიდიდის განსაზღვრას;

- ბანკისათვის „მისაღები“ კრედიტების პარამეტრების შემუშავებას;

- ყველა კრედიტისათვის აუცილებელი ანალიტიკური პროცედურის მითითებებს;

- უფლებამოსილების, შეთანხმების და დამტკიცების განაწილების პროცედურის დადგენას;

- ყველა საკრედიტო ხელშეკრულების ავტორიზაციას;

- საკრედიტო მონიტორინგისადმი ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრას.

საკრედიტო პორტფელის მართვისადმი მოცემული მიდგომის რეალიზაციის საერთო წინამძღვრებად ითვლება:

- დაკრედიტების შიდასაბანკო ლიმიტის დადგენა კონკრეტული მსესხებლებისა და მსესხებელთა ჯგუფებისათვის;

– საკრედიტო რისკების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომლებიც დაკავშირებულია საკრედიტო რეიტინგთან და გამოიხატება ცალკეული მსესხებლის რისკის დონეში;

– დაკრედიტების დივერსიფიკაცია ცალკეული დარგების მიხედვით;

– რისკის დაბალი დონის მქონე პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა;

– საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება მაღალი რისკის მქონე დარგებთან დამოკიდებულებაში;

– კრედიტებზე ფასწარმოქმნის პოლიტიკის შემუშავება.

საკრედიტო რისკის მართვის პროცესი სამ შემადგენლად იყოფა: საკრედიტო პორტფელის მართვა, „ბანკი-კლიენტი“ ტიპის ურთიერთდამოკიდებულების მართვა და მმართველობითი კონტროლი.

საკრედიტო რისკის მართვის სისტემა, როგორც საკრედიტო პორტფელის მართვის სტრატეგიის ნაწილი, რომელსაც განსაზღვრავს ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა, მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

– საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს ბანკის საკრედიტო საქმიანობის კარკასს;

– საკრედიტო პორტფელის ფორმირების ძირითად ორიენტირებს დარგობრივი პრიორიტეტების რეალიზაციისა და შეზღუდვისათვის;

– კრედიტებზე ფასწარმოქმნის მეტოდურ მითითებებს იმის განსაზღვრად, თუ როგორი უნდა იყოს საპროცენტო განაკვეთის და საკომისიოს დონე, რათა უზრუნველყოს ბანკის რენტაბელობის გეგმური ნორმატივების მიღწევა.

განვიხილავთ საკრედიტო რისკის მართვის პროცესის ეტაპებს:

ა) *მსესხებლებთან მუშაობის ეტაპებზე რისკების მართვა.* საკრედიტო რისკის მართვის პროცესის მოცემული ეტაპები მიეკუთვნება „ბანკი-კლიენტი“ ურთიერთდამოკიდებულების მართვას, რომელიც ფოკუსირებულია ინდივიდუალური საკრედიტო რისკების შეფასებაზე სტრატეგიული მითითების ფარგლებში. საკრედიტო ანალიზი მდგომარეობს ინდივიდუალური მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზში და ინდივიდუალური კრედიტების სტრუქტურირებაში რისკების გამოვლენისა და შემცირების მიზნით, ასევე ყოველი მათგანისგან ზარალის მინიმიზაციაზე. საკრედიტო მონიტორინგი ამოწმებს ბანკის კრედიტუნარიანობას და არწმუნების მას, რომ კლიენტის კრედიტუნარიანობა მისაღებია. კრედიტის თვალყურის დევნება მდგომარეობს კრედიტუნარიანობის აღდგენაში მისი სერიოზული გაუარესების ან სრული დაკარგვის შემთხვევაში;

ბ) *დაკრედიტების პროცესის მართვა და კონტროლი.* მე-10 დანართზე წარმოდგენილი ძირითადი ეტაპები მიეკუთვნებიან „ბანკი-კლიენტის“ ტიპის ურთიერთდამოკიდებულების საზოგადოებრივ კონტროლს. მოცემული დამოკიდებულება დაკავშირებულია ისეთი გადაწყვეტილების მიღებასთან, რომელიც იზიდავს რისკს და ამიტომ მოითხოვს საზოგადოებრივ კონტროლს.

საკრედიტო ანალიზი, საკრედიტო მონიტორინგი და მუშაობა პრობლემურ კრედიტებთან – ასეთი კონტროლის შემადგენელი ნაწილებია. კრედიტის შეთანხმებისა და დამტკიცების ჯაჭვი და ამაზე პასუხისმგებელი ბანკში ყველა საკრედიტო გადაწყვეტილებისათვის ერთი და იგივე ორგანოები უნდა იყვნენ.

გ) *მმართველობითი კონტროლი.* ბანკში უნდა არსებობდეს მმართველობითი კონტროლისგან დამოუკიდებელი კონტროლი, რომლის მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს საკრედიტო გადაწყვეტილება ხელშეკრულების მიხედვით, საკრედიტო პორტფელის შინაარსი და მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლის პროცესი.

მმართველობითი კონტროლის დანიშნულებაა:

– საკრედიტო აუდიტი უნდა ითვლებოდეს კვალიფიციურად, ცალკეული საკრედიტო გადაწყვეტილებების და მთლიანად საკრედიტო პორტფელის ხარისხის დამოუკიდებელ შემოწმებად;

– საკრედიტო საინფორმაციო მმართველობითი სისტემა (სსმს) უნდა წარმოადგენდეს ზუსტ და ოპერატიულ ინფორმაციას კონკრეტული კრედიტის მდგომარეობისა და მთლიანობაში საკრედიტო პორტფელის ხარისხის მონიტორინგს როგორც საკრედიტო განყოფილებების თანამშრომლების, ისე კონტროლიორებისათვის;

– სახსრების მოძრაობაზე კონტროლმა უნდა აიცდლოს მსესხებლების მიერ ფულის მიღება ავტორიზაციის მთელი პროცედურის ყველა ფორმალობის დამთავრებამდე.

ამრიგად, საბანკო საკრედიტო რისკის მართვის მიზნები მოიცავს შემდეგს: რისკის გაფრთხილებას, განსაზღვრულ დონეზე მხარდაჭერას და რისკის მინიმიზაციას.

თანამედროვე პირობებში უფრო მეტად გავრცელებულია რისკების მართვის შემდეგი ოთხი მეთოდი: თავიდან აცილება ანუ უარის თქმა, შემცირება ანუ მინიმიზაცია, დაზღვევა და შენარჩუნება.

ჩამოთვლილთაგან პირველის ბანკები იყენებენ არასაიმედო კლიენტების და საექვო გარიგებების დაკრედიტებაზე უარის თქმით.

შემცირების მეთოდით ახდენენ კრედიტების დივერსიფიკაციას, რეზერვების შექმნას და კრედიტების სტრუქტურირებას.

დაზღვევისას სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ საკრედიტო დანაკარგების ანაზღაურებას ვალდებულებების გადანაწილებით და ჰეჯირებას სწრაფ ბაზარზე საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით.

შენარჩუნება გამოიხატება მაღალრისკიანი დარგების საკრედიტო საქმიანობის შეჩერებაში, საკრედიტო ბაზრის ახალი სექტორების ძიებაში და ახალი საკრედიტო პროდუქტების შემუშავებაში.

საბანკო პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სესხის მიმღების საბოლოო შეფასების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის რეიტინგის განსაზღვრას. მსესხებლის შეფასების კრიტერიუმები თითოეული ბანკისათვის მკაცრად ინდივიდუალურია და დაფუძნებულია ბანკის პრაქტიკულ გამოცდილებაზე, რომელიც პერიოდულად გადასინჯვას ექვემდებარება.

ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტის მოცულობის შემცირება მაშინ გამოიყენება, როდესაც ბანკი დარწმუნებული არ არის კლიენტის საკმარის კრედიტუნარიანობაში.

კრედიტების დაზღვევა ითვალისწინებს კრედიტის დაუბრუნებლობის რისკის მთლიანად სადაზღვევო ორგანიზაციაზე გადაცემას. დაზღვევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, როგორც წესი, სესხის მიმღები ფარავს.

საკმარისი უზრუნველყოფის მოზიდვის მეთოდის გამოყენება ბანკს გაცემული სესხის დაბრუნებისა და პროცენტის მიღების გარანტიას აძლევს. საკრედიტო რისკისგან თავის დასაღწევად ბანკი მოიზიდავს სესხის საკმარის უზრუნველყოფას, რაც მას აძლევს გარანტიას, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ აღებული ვალდებულებები აუცილებლად შესრულდება.

სადისკონტო სესხების გაცემას შედარებით ნაკლებად შეუძლია საკრედიტო რისკის შემცირება. სესხის გაცემის ასეთი წესი კრედიტის საფასურის მიღების გარანტიას აძლევს ბანკს. რაც შეეხება თვით სესხის დაბრუნების შესაძლებლობას, იგი ღიად რჩება და ამისათვის უნდა იქნას გამოყენებული საკრედიტო რისკისგან დაცვის მიზნით ზემოთ განხილული რომელიმე მეთოდი.

აღნიშნული მეთოდებიდან გამოყოფთ საკრედიტო რისკის დაზღვევის მნიშვნელობას და მის აუცილებლობას, მითუმეტეს, რომ საქართველოში საკრედიტო რისკების დაზღვევა პრაქტიკაში არასაკმარისად გამოიყენება.

ბანკის საკრედიტო რისკის დაზღვევა მნიშვნელოვანია საბანკო ბიზნესის განვითარებისათვის. უცხოეთში საკრედიტო რისკების დაზღვევას ახორციელებენ შემდეგი სადაზღვევო კომპანიები: გერმანული „ჰერმესი“, ინგლისის „ლოიდი“, ბელგიური „ნაგიური“, ჰოლანდიური „ნსმ“, ფრანგული „პარისი“, აშშ-ის „სიგმნა“, მსოფლიო ბანკის შესაბამისი სტრუქტურები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბანკის კრედიტის რისკების დაზღვევა, ზოგადად, დაზღვევის ყველაზე რისკიანი სფეროა თანამედროვე ეკონომიკის პირობებში, თუმცა იგი მიმზიდველიცაა. დამზღვევები საკმაოდ დიდი მოცულობის ფინანსურ აქტივებს უნდა ფლობდნენ, რომ მათ თავიანთი ვალდებულებების შესრულება შეეძლოს.

საბანკო კრედიტის რისკების დაზღვევას თ. ხინიკაძე და თ. ბაღათურია შემდეგნაირად წარმოადგენენ:

– საფინანსო-საკრედიტო რისკების დაზღვევა, რომელიც დაკავშირებულია კრედიტის პროცენტის გადაუხდელობის, კრედიტის დაუბრუნებლობის, ანაბრების და დეპოზიტების, სავალუტო და ა.შ. რისკებთან;

– რისკების დაზღვევა, რომლებიც დაკრედიტებასთან ირიბად არის დაკავშირებული, მაგალითად მსესხებლის ქონება გაცემული კრედიტის ქირით, მსესხებლის სიცოცხლე და ა.შ.

– რისკების დაზღვევა, რომლებიც ქონების დაკარგვასთან არის დაკავშირებული, მაგალითად: ბანკის მიერ ყალბი ფულადი ნიშნების მიღების, ფასიანი ქაღალდების გაყალბების ან დაკარგვის, ფულადი ნიშნების მოპარვის, პლასტიკური ბარათების, შენობების, სეიფების, კომპიუტერების და სხვა მოწყობილობების განადგურება/დაზიანება.

– რისკების დაზღვევა, რომელიც ბანკის პერსონალთან არის დაკავშირებული, მაგალითად: ბანკირების მოტაცება, ინკასატორების და ბანკის მომსახურების არაკეთილსინდისიერება.

ანაბრებისა და დეპოზიტების დაზღვევის შესაბამისად მეანაბრებს მათი ანაბრების დაცვის გარანტია ეძლევათ ბანკის გაკოტრების ან მის მიერ საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში.

საბანკო რისკების დაზღვევა ბანკის კლიენტებისათვის დამატებითი მომსახურებაა და ის ამავდროულად თვით დაზღვევისთვის სადაზღვევო პრემიების წყარო ხდება.

საქართველოს საბანკო სისტემა 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აერთიანებდა 19 ბანკს, რომელთაგან 15 უცხოური კაპიტალის მონაწილეობით იყო შექმნილი, ორი კი უცხოური ბანკების ფილიალებს წარმოადგენდა. საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები მშპ-ს 46,2%-ს შეადგენს. 19 ბანკიდან 13 ბანკი უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ფუნქციონირებს, არარეზიდენტების წილი ბანკების განაღდებულ კაპიტალში 79,7%-ს შეადგენს, საიდანაც 10,3% საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წილია, 55,6% – კერძო ბანკების, 34,2%-სხვა ინვესტორების.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი ბანკები მთლიანი აქტივების 89,1%-ს აკონტროლებენ. ამ ბანკებშია თავმოყრილი აგრეთვე სისტემის მთლიანი სესხების 89,2%, და არასაბანკო დეპოზიტების 90,9%.

კომერციული ბანკების განაღდებული საწესდებო კაპიტალი 2008 წელთან შედარებით 6,4%-ით გაიზარდა და 611,3 მლნ. ლარი შეადგინა

2008 წ. კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები ზომიერი (6,5%) კლებით ხასიათდებოდა, რაც უმთავრესად საკრედიტო რისკების ზრდის გამო სამეწარმეო სექტორსა და შინამეურნეობებზე გაცემული სესხების საგრძნობი შემცირებით იყო გამოწვეული, რაც შეეხება მთლიან ვალდებულებებს, მათი კლება ძირითადად კომერციული ბანკების მხრიდან სესხების მკვეთრი შემცირებით იყო განპირობებული. ამ დროს დეპოზიტები გაიზარდა.

2009 წელს კომერციული ბანკების მხრიდან ქვეყნის ეკონომიკაზე როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების 59,8% ეკონომიკის ცალკეული დარგების, 40,2% კი შენამეურნეობების დასაკრედიტებლად გამოიყო.

2008 წ. დაკრედიტების დარგობრივი სტრუქტურა შესამჩნევად შეიცვალა: 2,3 პროცენტული პუნქტით იმატა მრეწველობის წილმა, 0,5%-ით გაიზარდა ჯანდაცვის და 0,3%-ით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წილი. ვაჭრობის წილი კი 1,3%-ით შემცირდა, უძრავი ქონებით ოპერაციებისა და მშენებლობის წილი კი, შესაბამისად, 0,9 და 0,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

2009 წ. ეკონომიკის დარგების დასაკრედიტებლად გასულ წელთან შედარებით 14%-ით ნაკლები თანხა იქნა მიმართული, რაც ძირითადად ვაჭრობასა და

მშენებლობაზე გაცემული სესხების, შესაბამისად, 12,8 და 14,9% შემცირებით იყო განპირობებული.

ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტების შემცირება გამოწვეული იყო საქართველოს შიგნით შექმნილი არასტაბილური მდგომარეობითა და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე ლიკვიდობის პრობლემებით.

რაც შეეხება საბანკო სისტემის აქტივების ხარისხს, იგი მნიშვნელოვნად გაუარესდა 2008 წ. აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდგომ. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე ომამდე (საკრედიტო ბუმის პირობებში) ძალზე მაღალი იყო. საქართველოში როგორც მაკრო, ისე მიკროეკონომიკური კუთხით საკრედიტო რისკების ფორმირება სწორედ ზემოთ აღწერილი საკრედიტო ბუმის დროს მოხდა. ხშირ შემთხვევებში სესხად აღებული უცხოური სახსრების ინვესტირება მოხდა ისეთ დარგებში, რომლებიც არ იყო ექსპორტზე ან იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებული. ამასთან გაიოლდა სესხის გაცემის სტანდარტები. ეს უკანასკნელი კი საკრედიტო ბუმისთვისაა დამახასიათებელი.

2009 წლის ბოლოს კრიზისის დაწყებიდან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი ამავე პერიოდში ჩამოწერილი სესხების აღდგენის ეფექტის გათვალისწინებით, 809 მლნ. ლარით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში რეზერვები გაიზარდა კლიენტებზე გაცემულ საბანკო გარანტიებზე (16,1 მლნ. ლარი, სხვა აქტივებზე 13,1 მლნ. ლარი, ხოლო დასაკუთრებულ ქონებაზე კი – 45 მლნ.ლ.).

კრიზისამდელ პერიოდში პორტფელის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო უძრავი ქონების (იპოთეკური სესხის ჩათვლით), საშუალო და გრძელვადიანი მოხმარების საგნების სექტორების დაფინანსებით. აღნიშნულ სექტორებს ყველაზე მეტად ახასიათებთ პროციკლურობა.

უძრავი ქონების განვითარების სექტორი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია საცხოვრებელი უძრავი ქონების დეველოპერებით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საკრედიტო რისკის მატარებელია.

უძრავი ქონების დეველოპმენტის სესხის წილი მთლიან პორტფელში რისკ-სექტორების მიხედვით 5,5%-ია, მაღალია სესხის ნაშთიც – 286,2 მლნ. ლარი და სესხის რეზერვი/პორტფელთან – 31%. არსებული ინფორმაციის მიხედვით, მშენებლობის პროცესში მყოფ ფართებში საცხოვრებელი ფართების წილი 83%-ს შეადგენს, რომელთაგან საწყის და შუა ფაზაში მყოფი სამშენებლო პროექტები დაახლოებით 86%-ია.

მთლიანი საბანკო სისტემა – სესხები რისკ სექტორების მიხედვით
(მლნ. ლარებში)

მთლიანი საბანკო-სისტემა – სესხები რისკ სექტორების მიხედვით (მლნ. ლარებში)	2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	სესხის წილი მთლ. პორტფელში სექტორების მიხედვით	სესხის ნაშთი	სესხის რეზერვი	სესხის რეზერვი / პორტ
1 სახელმწიფო ორგანიზაციები	0,4%	21.8	2.5	11%
2 საფინანსო ინსტიტუტები	1.0%	52.5	1.3	2%
3 ლომბარდული სესხები	2.6%	136.8	2.8	2%
4 უძრავი ქონების დეველოპმენტი	5.5%	286.2	88.0	31%
5 უძრავი ქონების მენეჯმენტი	5.2%	271.2	29.6	11%
6 სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	3.6%	184.4	27.8	15%
7 სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	2.7%	142.2	25.6	18%
8 სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობა	5.3%	274.3	26.8	10%
9 სამომხმარებლო საქონლის წარმოება	4,9%	252.3	38.2	15%
10 ხანგრძლივპერიოდის პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა	1.6%	85.3	15.9	19%
11 ფესვაცილის, ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	1.0%	51.9	2.7	5%

კრიზისამდე პერიოდშივე შეინიშნებოდა უძრავი ქონების ბაზრის გადახურება მაღალი ლევერეჯისა და საბანკო დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით უფრო დაბალი ქირა/ფასთან კოეფიციენტის გამო. თანამედროვე ეტაპზე არსებული უარყოფითი ფაქტორების ერთობლიობა, როგორებიცაა იპოთეკურ სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები, უძრავ ქონებაზე ფასების შემცირების რისკი და მშპ-ს საპროგნოზო მაჩვენებლის დაბალი ნიშნული, ეჭვქვეშ აყენებდა დეველოპერების მხრიდან უკვე დაწყებული პროექტების ვადებში დასრულების პერსპექტივას. მთლიანობაში ის პროექტები, რომლებიც საბანკო სესხების მონაწილეობით განხორციელდა, შეჩერდა არა გადახდის უუნარობის, არამედ ლიკვიდობის პრობლემის გამო.

დეველოპერების პრობლემების გადაჭრის მიზნით მერიის მიერ წამოწყებული იქნა პროექტი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“. ამ უკანასკნელის შესახებ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ. პირველ რიგში შევეხებით ამ პროექტის ჩამოყალიბების (წარმოქმნის) წინაპირობას.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს სამშენებლო დარგში შექმნილი პრობლემების დიდი ნაწილი აგვისტოს ომისა და მსოფლიოს ფინანსური კრიზისის დადგომამდეც იყო მოსალოდნელი, რადგანაც დარგის მუშაობის ფინანსური მექანიზმი, ძირითადად ეყრდნობოდა წინასწარი გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალს. ბაზარზე გაძლიერებულმა კონკურენციამ და ფიუჩერსულმა კონტრაქტებმა მენაშენები აიძულია წინასწარი გაყიდვები განვადებით მოეთხოვათ. დასაწყისში განვადებები შემოიფარგლებოდა პროექტის 2-3 წლის ხანგრძლივობით, შემდეგში კი მათი ხანგრძლივობა 10-15 წელზე ავიდა. მშენებლები მშენებლობის ტემპების შესანარჩუნებლად იძულებულები იყვნენ გაეყიდათ მთელი პროექტის 80% მაინც. სხვაგვარად, განვადების გრაფიკები ვერ უზრუნველყოფდა მშენებლობის ტემპებს. გაყიდვებისა და მშენებლობის ტემპების ასეთი ურთიერთმიმართების შემთხვევაში, ნებისმიერ ობიექტში დგება მომენტი, როდესაც წინასწარი გაყიდვებით გაფორმებული კონტრაქტების მასშტაბები ბევრად უსწრებს მშენებლობის ბიუჯეტის შესრულებას, რაც ავტომატურად განაპირობებს ფინანსური რისკების მაღალ დონეს. კერძოდ, „კონკრეტულ პროექტში შემოსავლების 80% წინასწარ განსაზღვრულია მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ხარჯების 80% კი, მეტნაკლებად პროგნოზირებადი, მაგრამ მაინც – განუსაზღვრელი. ასეთ შემთხვევაში, თუ პროექტის მსვლელობისას აღმოჩნდება, რომ ბიუჯეტის პროგნოზირებული ხარჯვითი ნაწილი გაიზრდება 10%-ით, დარჩენილ გასაყიდ ფართებზე ფასები 50%-ით მაინც უნდა გაიზარდოს, რომ პროექტი დაგეგმილ მოგებაზე გავიდეს. სწორედ ეს მომენტი დაედო საფუძვლად დარგში ფინანსური პირამიდების მშენებლობას. ხარჯვით ნაწილში 1%-იანი ინფლაცია, ავტომატურად იწვევდა ფასების 2-5-ჯერ ზრდას“.⁵¹

აღსანიშნავია ისიც, რომ მუდმივად ფასების ზრდა შეუძლებელი იყო. ამის გამო კი ბევრი კომპანია წაგებაზე წავიდა, ამიტომ ისინი ცდილობდნენ ერთი ობიექტის დასაფინანსებლად ახალი ობიექტის მშენებლობა დაეწყოთ. გასაყიდი ფასების მუდმივმა ზრდამ და კონკურენციამ კი მიწებზე ფასების აწვევა გამოიწვია.

⁵¹ ლალიაშვილი ა., ქაროსანიძე ე. ფინანსური სფეროს ახლებური რეგულირება. ქ. „საქართველოს ეკონომიკა“, №6. 2009. გვ. 6.

ამის შესაბამისად კი მშენებლობის სექტორი სულ უფრო არაპროგნოზირებადი და სავალალო გახდა.

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური კრიზისისგან საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ყველაზე მეტად სამშენებლო სექტორი დაზარალდა. ექსპერტთა წინასწარი პროგნოზი ახდა. დედაქალაქში და საერთოდ ქვეყანაში დაწყებული სამშენებლო ბუმი ერთბაშად ჩაცხრა და ერთი მეორის მიყოლებით შეწყვიტეს ფუნქციონირება იმ მცირე და საშუალო საწარმოებმა, რომლებიც ქართულ სამშენებლო სექტორს მასალებით ამარაგებდნენ, მშენებლობიდან გამოთავისუფლებულებმა კი უმუშევრებში გადაინაცვლეს. თუმცა არც ბანკები აღმოჩნდნენ კარგ დღეში (აქაც გათავისუფლდა ბევრი თანამშრომელი), ბევრი უმოქმედო სესხი დაუგროვდათ და სხვა.

ქართული ბანკების მიერ მოსახლეობაზე გაცემულმა 20-30%-იანმა იპოთეკურმა და სხვა სამომხმარებლო სესხებმა და ქართველ მშენებელთა მიერ საკუთარ ფართებზე დადებულმა არარეალურმა ფასებმა, საბოლოო ჯამში ორივე სექტორს შეუქმნა პრობლემა.

საკრედიტო რისკი მაღალია კომერციული უძრავი ქონების ბაზარზეც, თუმცა უფრო ნაკლები, ვიდრე საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის შემთხვევაში. ეს გამოწვეულია კრიზისის დაწყებამდე ქირა/ფასთან კოეფიციენტის მეტობით დეპოზიტების პროცენტთან და აგრეთვე დაბალი ლევერეჯით.

აქედან გამომდინარე, კომერციული უძრავი ქონების სექტორზე გაცემული სესხების რისკი უფრო დაბალია, რაც ასახულია კიდევაც სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვში.

მაღალი საკრედიტო რისკის მატარებელია არადეველოპერულ სამშენებლო კომპანიებზე გაცემული სესხებიც – 3,6%, თუმცა ამ მიმართულებით რისკების შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გაწეული დიდი ხარჯები.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ეკონომიკური რეცესიის უარყოფითი ზეგავლენა მალე ვლინდება კორპორატიულ სექტორში, საცალო პორტფელზე გავლენა კი გარკვეული დროის შემდეგ მუდავნდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ საწარმოები სამუშაო ძალის ოპტიმიზაციას ფინანსური სიძნელეების გამო ახდენენ, რაც გარკვეული დროის შემდეგ გაზრდილ უმუშევრობაში ვლინდება. ამ პრობლემის გამო სებ-მა გაააქტიურა საცალო პორტფელის ხარისხის მონიტორინგი და შეიმუშავა ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები ანუ შერჩევითი

შემოწმების მეთოდოლოგიური აღწერა. აღნიშნული მეთოდი აქტუალურია საცალო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისას, რადგან ის ძალზე სტრუქტურირებულია და მცირე სიდიდის სესხებისგან შედგება. ზედამხედველს სჭირდება მეთოდი, რომელიც საშუალებას მისცემს შეარჩიოს რამდენიმე მსესხებელი და მათი შესწავლით გარკვეული დამაჯერებლობით განსაზღვროს ბანკის საცალო პორტფელის ხარისხი. საცალო პორტფელის შემოწმების დროს გამოიყენება შემთხვევითი შერჩევის მეთოდი, რომელიც უნდა იძლეოდეს შემდეგი სტატისტიკის მიღების საშუალებას:

ა) რიცხობრივი მაჩვენებლის მიღება და მათი დაკავშირება მთლიან პორტფელთან;

ბ) შერჩევის რისკის რიცხობრივად გამოსახვა.

შერჩევის მეთოდოლოგია ეფუძნება თითოეული სესხის ექსპერტულ დონეზე მაღალი სიზუსტით შეფასების შესაძლებლობას. აღნიშნული მეთოდი არის ისტორიული ვადაგადაცილებების მეთოდისგან განსხვავებით მომავალზე ორიენტირებული, რისთვისაც მსესხებელზე შეიძლებისდაგვარად სრულყოფილ ინფორმაციას იყენებს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სტრატაში ასეთი ინფორმაცია არასრულყოფილია, ან არ არის სანდო, მაშინ ხდება მისი ისტორიული მიგრაციული ანალიზი და ასეთ სტრატაში მოხვედრილი პროდუქტები ფასდება როგორც უფრო რისკიანი.

სესხის ხარისხის შეფასების გარდა, პარალელურად ხდება შემოწმებული სესხებისათვის პროცედურების დაცვის აუდიტი, თავად პროცედურების რისკიანობის შეფასება. მოცემული შეფასების შედეგები გამოიყენება რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის მიზნებისთვის.

ცნობილია, რომ გრძელვადიან პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხები უფრო რისკიანია, ვიდრე კორპორატიული სესხები, მაგრამ მცირე და საშუალო ბიზნესი ხასიათდება უფრო იდიოსინკრატული რისკებით, ხოლო კორპორატიული სესხები კი – სისტემური რისკებით. ამდენად, სასესხო პორტფელის კორპორატიულ, მცირე და საშუალო და საცალო – სამომხმარებლო პროდუქტებად დაყოფა სასესხო რისკების შეფასების მნიშვნელოვანი დამატებითი ფაქტორია. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში დეფოლტების დონემ მოიმატა, თუმცა ზრდა გაცილებით ნაკლები იყო კორპორატიულ და საცალო სექტორთან შედარებით, იმ ფონზე, როდესაც ბუმის დროს მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით პრობლემური სესხების წილი ყველაზე მეტი

იყო. ამასთან, როდესაც საბანკო სისტემა განიცდის ლიკვიდობის პრობლემას, ეს მცირე და საშუალო ბიზნესზე, რომლის დაფინანსების უმთავრესი წყარო ბანკებიდან მიღებული სესხებია, უფრო მეტად აისახება და აღნიშნული სექტორი რჩება დაფინანსების წყაროს გარეშე, რადგანაც ბანკები უპირატესობას ანიჭებენ მსხვილ, კორპორატიულ კლიენტებს. რამდენადაც 2009 წლის მე-2 ნახევრიდან საქართველოს საბანკო სექტორი მზარდი, ჭარბი ლიკვიდობის პირობებში ოპერირებდა, ზემოაღნიშნულ პრობლემას საქართველოში ადგილი არ აქვს.

ისე, როგორც მსოფლიოში, საქართველოშიც ლომბარდების სექტორი ბიზნეს ციკლის საწინააღმდეგო მახასიათებლების მატარებელია. ამიტომ ლიკვიდობის, საკრედიტო რისკების გამო შეზღუდული საკრედიტო აქტივობის პირობებში ლომბარდულ სესხებზე გაზრდილი მოთხოვნა და ოქროს ფასის ზრდა ფიქსირდება. თანაც ეს სექტორი ეკონომიკური აქტივობის სათანადო დონეზე აღდგენის შემდეგ შესაძლოა მნიშვნელოვანი რისკების მატარებელი იყოს.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბანკების, ასევე საშუალოდ მსესხებლების ჯერ კიდევ დაბალი ლევერეჯის გამო, საბანკო სექტორის მიერ შოკი დაძლეული იქნა. აღარ შეინიშნება პრობლემური აქტივები. გაუმჯობესებული ლიკვიდობის პოზიციის გათვალისწინებით, ახალი სესხების გაცემა დამატებით შეუწყობს ხელს ბანკების ბალანსების შემდგომ გაჯანსაღებას. განსხვავებით იმ ვითარებისგან, როდესაც რეცესიისა ბანკების კონსერვატორულ მიდგომას საკრედიტო რისკის მიმართ, ლიკვიდობის კონსერვატორული მართვაც ემატება, რაც მთლიანობაში პრობლემური აქტივების ზრდას უფრო უწყობს ხელს.

საკრედიტო აქტივობის მხრივ ასევე აღსანიშნავია, რომ ფისკალური სტიმული ხელს უწყობს ეკონომიკაში საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონის თანდათანობით აღდგენას, რაც სესხებზე მოთხოვნის მატების განმსაზღვრელი ფაქტორია. თუმცა ეროვნულ ვალუტაში გრძელვადიანი სახსრების არარსებობა ერთ-ერთ შემაფერხებელ გარემოებად განიხილება, რადგანაც ეს ფაქტორი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საკრედიტო აქტივობის შეზღუდვას, როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების მხრივ.

ბანკში შემუშავებულია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები პორტფელის კონცენტრაციის ინსტრუქციების ჩათვლით. რეზერვების მართვის კომიტეტი ახორციელებს ბანკის საკრედიტო რისკის მუდმივ მონიტორინგს. ბანკის საკრედიტო პოლიტიკას ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭო. იმისათვის, რომ შეიზღუდოს საკრედიტო რისკის დაუცველობა უცხოურ

ვალუტაში, რისკების მართვის განყოფილების მიერ შედგენილი იქნა სანდო პარტნიორთა სია, რომელთაც აქვთ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (Standard & Poon's Moody's and Fitch) მიერ დადგენილი მაღალი გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი. ეს სია დამოწმდა რეზერვების მართვის კომიტეტის მიერ.

პარტნიორთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება ბანკის საკრედიტო რეიტინგი, ქვეყანა სადაც აღნიშნული ორგანიზაცია მდებარეობს, ბანკის აქტივებისა და კაპიტალის მოცულობა, საერთაშორისო ბაზრებზე და კორპორატიულ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილება და მომხმარებელთათვის შეთავაზებული მომსახურების სპექტრი. ბანკის კონტრაგენტებისთვის ზემოთ აღნიშნულ სააგენტოთა მიერ გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის ჩამოქვეითების შემთხვევაში კონტრაგენტი ამოღებულ იქნება სიიდან.

ბანკს გააჩნია აგრეთვე ღიმიტები და სუვერენული ღიმიტები ინდივიდუალური კონტრაგენტებისათვის. №10 ცხრილში აღწერილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების კომპონენტების მაქსიმალური საკრედიტო რისკი. ეს უკანასკნელი ნაჩვენებია გაუფასურების რეზერვის შექმნამდე და ურთიერთჩათვლისა და უზრუნველყოფის ხელშეკრულების გავლენამდე.

როდესაც ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია რეალური ღირებულებით, ზემოთ ნაჩვენები თანხა წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკს, მაგრამ ეს არ არის მაქსიმალური რისკი, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას სამომავლოდ ღირებულების ცვლილების შედეგად. ფინანსური ინსტრუმენტის თითოეული ტიპისთვის მაქსიმალური საკრედიტო რისკის თაობაზე მითითებები წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნულ კონკრეტულ შენიშვნებში.

ბანკის მიერ მისი სასესხო აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდეგნაირად:

რეიტინგი – კარგი ფინანსური მაჩვენებლის მქონე მსესხებლებისთვის გაცემული სესხები, რომელთა სესხის ხელშეკრულებების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი – სტაბილური ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებისთვის გაცემული სესხები, რომელთა სესხის ხელშეკრულებების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი – დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებისთვის გაცემული სესხები, რომელთა სესხის ხელშეკრულებების

პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

ცხრილი 10

	შენიშვნები	მაქსიმალური რისკი 2009	მაქსიმალური რისკი 2008
ფული და ფულადი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	5	1,647,586	1,185,891
მოთხოვნები არარეზიდენტი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	5,347	40,947
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო	7	368,890	20,515
საეალუტო ფონდში სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	8	167,725	–
გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები	9	1,192,539	1,036,489
ადგილობრივ კომერციულ ბანკებზე	10	45,000	209,412
გაცემული სესხები დაფარვის ვადამდე	11	789,101	756,853
ფლობილი ფასიანი ქაღალდები სხვა აქტივები	14	4,551	4,581
		4,220,739	3,254,688
პირობითი ფინანსური ვალდებულებები	21	5,477	40,923
		4,226,216	3,295,611
სულ საკრედიტო რისკი			

რეიტინგი – დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებისთვის გაცემული სესხები, რომელთა სესხის ხელშეკრულებების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი ვადაგადაცილებულია.

პოლიტიკის შესაბამისად, ბანკმა საკრედიტო პორტფელის მიზნებისათვის სათანადოდ უნდა აწარმოოს რისკის რეიტინგები. დაკავშირებული რისკების რეიტინგების შეფასება და განახლება რეგულარულად ხდება.

სესხის გაუფასურების შეფასებისას ითვალისწინებენ ძირითადი თანხის ან პროცენტის 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებას, კონტრაგენტის ფულად ნაკადებთან დაკავშირებულ პრობლემებს, საკრედიტო რეიტინგის შემცირებას და

ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევას. ბანკი გაუფასურების შეფასებას ახდენს ინდივიდუალურად და კოლექტიურად.

ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები:

ბანკი თითოეული სესხისათვის ინდივიდუალურად განსაზღვრავს რეზერვს. რეზერვის თანხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კონტრაგენტის ბიზნეს გეგმა, მისი უნარი გაუმკლავდეს ფინანსურ სირთულეებს ასეთის წარმოშობის შემთხვევაში, გაკოტრების შემთხვევაში დაგეგმილი ქმედებები, სხვა ფინანსური სახსრების არსებობა. უზრუნველყოფის სარეალიზაციო ღირებულება და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების პერიოდულობა.

გაუფასურების ზარალის შეფასება ხდება საანგარიშგებო თარიღით, თუ გაუთვალისწინებელი მოვლენები სხვაგვარად არ მოითხოვს.

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები:

რეზერვების კოლექტიურად შეფასება ხდება იმ სესხებიდან წარმოშობილი ზარალისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის არსებითი და იმ სესხებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არსებითია, მაგრამ არ არსებობს ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური საფუძველი. რეზერვების შეფასება ხდება საანგარიშგებო თარიღით ყველა ცალკეული პორტფელისათვის.

თანამშრომლებზე გაცემული სესხები:

ბანკის თანამშრომლებს უფლება აქვთ ბანკში მუშაობის პერიოდში აიღონ სესხი ბანკიდან. თანამშრომლის გათავისუფლების შემთხვევაში დასაფარი სესხისათვის იქმნება 100 პროცენტის რეზერვი. სესხის ჩამოწერა ხდება ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.

რაც შეეხება რისკების მართვის პოლიტიკას, ჩამოყალიბებულია რისკების მართვის ფონდი, რომელიც სამართავად გადაეცა საქართველოს ეროვნულ ბანკს. სეპ-ის რისკების მართვისა და კონტროლის განყოფილება პასუხისმგებელია საერთო რისკების მართვასა და ფუნქციების შესაბამისობაზე, საერთო პრინციპების შემუშავებასა და რისკების განსაზღვრის, შეფასების, მართვისა და წარდგენის მეთოდებზე.

სეპ-ი და რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობა:

საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური სტაბილურობისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით ახორციელებს საფინანსო ინსტიტუტების რეგულირებას რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის პრინციპებით. აღნიშნული გულისხმობს ყოველ ფინანსურ ინსტიტუტსა და ტრანსაქციაზე ინდი-

ვიდუალურ მიდგომას, მათი გავლენის შეფასებას საქართველოს საფინანსო სექტორის სტაბილურობაზე და საზედამხედველო რესურსების ადეკვატურ გადანაწილებას. რადგანაც საფინანსო სექტორის 95%-ს კომერციული ბანკები წარმოადგენენ, ამიტომ რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობა ამ ეტაპზე ძირითადად მათზე ვრცელდება.

ბანკების რეგულირება ხორციელდებოდა რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის ელემენტებით, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი CAMEL-ის შეფასებების სისტემას შეჰქონდა. რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის მიდგომა მიზნად ისახავს განავითაროს რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის არსებული პრინციპები შემდეგი მიმართულებით:

– ფართოვდება შესაფასებელი რისკების არეალი და მათი ანალიზის სიღრმე, როგორც ადგილზე, ასევე დოკუმენტური შემოწმების დროს;

– რისკების შეფასება განსაზღვრავს რისკების შესამცირებლად საზედამხედველო სტრატეგიას, რომელიც მოიცავს ზედამხედველობის ინტენსივობას და საზედამხედველო რესურსების განაწილებას.

ძველი შეფასების სისტემისგან განსხვავებით, რისკებზე ორიენტირებული ახალი ზედამხედველობის სისტემის მთავარი უპირატესობები შემდეგში გამოიხატება:

1. გონივრული ზედამხედველობა – რისკების ადეკვატური და გონივრული შეფასება, იმ რისკებზე ფოკუსირება, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ფინანსურ სტაბილურობას და საზედამხედველო რესურსების გადანაწილებას;

2. დიალოგი რეგულირებად ინსტიტუტებთან – მნიშვნელოვანია ინსტიტუტის მენეჯმენტის სხვადასხვა რგოლებთან კომუნიკაციის ეფექტიანი პლატფორმის არსებობა. დიალოგის მიზანია სამეთვალყურეო საბჭოზე და ბანკის მენეჯმენტზე ზეგავლენის მოხდენა იმისათვის, რომ არსებობდეს შიდა კონტროლის მექანიზმების და რისკების მართვის დახვეწის ინიციატივა;

3. სისტემური რისკების გათვალისწინება – მოიცავს მაკროპროდუქციული მიდგომის გამოყენებას მნიშვნელოვანი რისკების განსაზღვრისას. აგრეთვე ფინანსური ინსტიტუტის რისკების შეფასებას მთლიანი საბანკო სექტორის ჭრილში;

4. მომავალზე ორიენტირებული მიდგომა – რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობა ითვალისწინებს არა მარტო მატერიალური რისკების იდენტიფიცირებას, არამედ მათი მომავალში მატერიალიზაციის შესაძლებლობას;

5. თავსებადობა – ერთნაირი მახასიათებლების მქონე ბანკების მონაცემთა დაჯგუფება და თითოეული მათგანის ფინანსური მდგომარეობის ინდიკატორების ჯგუფის საშუალოსთან შედარება. ეს საშუალებას იძლევა, მოხდეს კონკრეტული ფინანსური ინსტიტუტის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, მსგავსი ჯგუფის ბანკებთან შედარებით;

6. შიდა რესურსების ეფექტიანი გამოყენება – საზედამხედველო რესურსების ფოკუსირება რისკების გარშემო. გამჭირვალე და თავსებადი პროცედურების გამოყენება რისკების შესაფასებლად და რესურსების განაწილება მათ შესარბილებლად. ხდება ადგილზე ინსპექტირებისა და დოკუმენტებზე ზედამხედველობის ინტეგრირება, სპეციალიზირება და ანალიტიკოსების ჯგუფებს შორის მჭიდრო კოორდინირება.

რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობის ძირითადი პრინციპია თითოეული ფინანსური ინსტიტუტის რისკის ორ-განზომილებაში – ეფექტის ინდექსით და ალბათობის ინდექსით შეფასება. ეფექტი განსაზღვრავს, რა ზომის პრობლემები შეიძლება მოჰყვეს ფინანსური ინსტიტუტის ფინანსურ სიძნელეებს, ალბათობა კი განსაზღვრავს, როგორია ფინანსური ინსტიტუტის რისკის პროფილი და რამდენადაა შესაძლებელი მასში ფინანსური სიძნელეების წარმოქმნა.

ეფექტი ფინანსური ინსტიტუტის სისტემურობასთან ასოცირდება. სისტემურობის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორია წილი ფინანსურ ბაზარზე. მაგალითად, დეპოზიტების ან სასესხო ბაზარზე, ან თუნდაც მთლიანი აქტივების მიხედვით.

ალბათობა ფინანსური ინსტიტუტის მდგრადობასთან ასოცირდება. ფინანსური ინსტიტუტის ალბათობა ასახავს მისი რისკიანობის რეიტინგს და მიიღება მისი ბიზნესის სხვადასხვა კომპონენტების დამახასიათებელი წმინდა რისკების კომბინირებით. წმინდა რისკი თავის მხრივ იყოფა შიდა რისკად და რისკის მიტიგონტად.

საკრედიტო რისკისათვის შიდა რისკი განისაზღვრება პორტფელის ხარისხით და მისი მდგრადობით სხვადასხვა შოკებისადმი. მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

- ა) სასესხო პორტფელის სტრუქტურა;

ბ) რამდენად ახორციელებს ბანკი უცხოური ვალუტით დაკრედიტებას ისეთ მსესხებლებზე, რომელთაც სავალუტო პოზიცია აქვთ შეჯირებული? რამდენად არის გათვალისწინებული ეს ფაქტი საკრედიტო სტანდარტებში;

გ) დაკრედიტების სტრატეგია – რამდენად რისკიანია ბანკის აქტივები? ფინანსური ბაზრის რომელ რისკ-სეგმენტზე ახორციელებს ბანკი საკრედიტო საქმიანობას?

დ) პორტფელის კონცენტრაცია – რამდენად დივერსიფიცირებულია პორტფელი და რამდენადაა კონცენტრირებული მსხვილ ბიზნეს – ჯგუფებზე?

ე) რამდენად არის სესხები დამოკიდებული უზრუნველყოფაზე?

ვ) რა არის სესხი/უზრუნველყოფა და სესხი/შემოსავალი მაჩვენებლები?

ზ) ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე საკრედიტო პორტფელის კონცენტრირება, რისკები ამ სექტორებში;

ი) პორტფელის საკრედიტო რისკის ცვლილება, სხვადასხვა სტრუქტურულ სცენარებში (ეკონომიკური რეცესია, უზრუნველყოფის ფასის დაცემა).

რისკ – ფაქტორების შეფასების შემდეგ ზედამხედველი შეისწავლის თუ რა შესაძლებლობები აქვს ბანკს ამ რისკ-ფაქტორების შესამცირებლად. ამისათვის შეფასდება სამეთვალყურეო საბჭო, მენეჯმენტი, შიდა სისტემები და კონტროლი, რესურსები.

ფინანსური ინსტიტუტებს რისკების მართვა და კონტროლი უნდა იყოს ადეკვატური მისი ბიზნეს – ფაქტორის შიდა რისკთან.

ფინანსური ინსტიტუტის საკრედიტო რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

– სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკრედიტო რისკის მონიტორინგი და ადეკვატური და ოპერაციული ინფორმაციის ფლობა – რამდენად სრულყოფილი ინფორმაცია აქვს საბჭოს მენეჯმენტის მიერ აღებულ რისკებზე და რამდენად ეფექტიანია კონტროლისა და აუდიტის ის მექანიზმები, რომელიც საბჭოს გააჩნია.

– საკრედიტო რისკის მართვის ჩარჩო, გადაწყვეტილებების დელეგირებისა და მონიტორინგის სისტემა.

საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებული პროცედურების დაცვა.

– საკრედიტო პორტფელის ანალიზისათვის ინფორმაციული სისტემები.

– საკრედიტო პორტფელის აუდიტი.

– როგორ აფასებს ფინანსური ინსტიტუტი საკრედიტო პორტფელიდან მოსალოდნელ დანაკარგს და პორტფელის რისკს, რამდენად ადეკვატურია

სესხების შესაძლო დანაკარგების აღიარება, რამდენად კონსერვატიულია დარეზერვების პოლიტიკა?

ზედამხედველის მიერ სწორედ შიდა რისკისა და მიტიგანტის ანუ რისკის შემამცირებელი შეფასებაა მთავარი თითოეული ბიზნეს ფაქტორისათვის. შეფასების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს ფინანსური ინსტიტუტის ალბათობის ინდექსის დადგენას. ამისათვის, ჯერ გაიანგარიშება წმინდა რისკი, რომელიც წარმოადგენს შიდა რისკისა და რისკის მიტიგანტის საშუალოს. თითოეული ბიზნეს ფაქტორის შეწონვა და კომბინირება ხდება საბოლოო ალბათობის ინდექსის მისაღებად. წონა წინასწარ არის განსაზღვრული და მუდმივია ერთგვაროვანი ფინანსური ინსტიტუტებისათვის.

ეფექტისა და ალბათობის შეფასების შემდეგ მათი კომბინირება განსაზღვრავს საზედამხედველო მიდგომას და ფინანსური ინსტიტუტის საზედამხედველო სტრატეგიას. სტრატეგია შეიძლება მოიცავდეს დამატებით მოთხოვნებს, რისკის შემამსუბუქებელ პროგრამას და მონიტორინგის სისტემებს.

რისკებზე ორიენტირებული ზედამხედველობა უწყვეტ პროცესებს წარმოადგენს და საფეხურების შესრულება მოიცავს რისკების შეფასებას, შეფასებული რისკების მიხედვით საზედამხედველო სტრატეგიის ფორმულირებას და რისკების შესამცირებლად საზედამხედველო ქმედებების განხორციელებას.

საქართველოში ზედამხედველობის ოპტიმალური ორგანიზაციული სტრუქტურის შესამუშავებლად მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. დეტალურად იქნა შესწავლილი ავსტრალიის პრუდენციული რეგულირების სააგენტო (APSA), რომელიც ლიდერია რისკებზე ორიენტირებული ფინანსური ზედამხედველობის პრაქტიკის დანერგვაში.

რისკებზე დაფუძნებულ ზედამხედველობაზე გადასასვლელად მოხდა საზედამხედველო რესურსების გადაჯგუფება და ოპტიმიზაცია. შეიქმნა რესურსების გამოყენების ჩარჩო შემდეგი პრინციპების დაცვით:

– რესურსების ფოკუსირება ფინანსური ინსტიტუტების რისკების გარშემო – იდენტიფიცირებული რისკების შესაბამისად, ორგანიზაციის შიგნით რესურსების გადანაწილება ხდება უფრო გამჭვირვალე და მოქნილი.

– რესურსების სპეციალიზირება – უფლებამოსილებების მკაფიო გადანაწილება. სპეციალიზირება საშუალებას იძლევა, მოხდეს ბანკის რისკების უფრო სიღრმისეული ანალიზი. ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინებით, საბანკო ზედამხედველობის სტრუქტურა დაეფუძნა ზედამხედველობის

დეპარტამენტს და სპეციალიზირებული ჯგუფებისა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტს.

ზედამხედველობის დეპარტამენტი წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომლის უშუალო ამოცანაა კონკრეტული ფინანსური ინსტიტუტის მონიტორინგი, მთლიანი რისკ პროფილის შეფასება და საზედამხედველო სტრატეგიის შემუშავება, საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგი.

სპეციალიზირებული ჯგუფებისა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტი წარმოადგენს სპეციალიზირებული ჯგუფებისგან შემდგარ სტრუქტურულ ერთეულს, სადაც ხდება კონკრეტული რისკ-ფაქტორების სიდრმისეული ანალიზი.

რეფორმამდე არსებული სტრუქტურის მიხედვით, სპეციალიზირება ხდებოდა ადგილზე ინსპექტორებისა და დოკუმენტური (დისტანციური) ინსპექტირების მიხედვით. იმის გამო, რომ ეს ღონისძიებები არ საჭიროებდა განსხვავებულ სპეციალიზირებულ ცოდნას, სტრუქტურა სრულად ვერ ავლენდა სპეციალიზაციის სარგებელს. ასევე მკაფიოდ არ იყო გამოკვეთილი კონკრეტულ ფინანსურ ინსტიტუტსა და რისკებზე პასუხისმგებელი ზედამხედველი. კონკრეტული ფინანსური ინსტიტუტისათვის პრობლემას ქმნიდა ზედამხედველობის ფრაგმენტულობა და ზედამხედველობის არასტაბილურობა საზედამხედველო ციკლის მიხედვით.

ახალი სტრუქტურის პირობებში მნიშვნელოვანი ხდება ჰორიზონტალური კავშირის არსებობა საზედამხედველო დეპარტამენტსა და სპეციალიზირებულ ჯგუფებს შორის, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან.

– საზედამხედველო გეგმა – საზედამხედველო რესურსების განაწილება ხდება საზედამხედველო გეგმის შესაბამისად, რომელიც შემუშავდება სპეციალიზირებული ჯგუფებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ კურატორ ვიცე-პრეზიდენტთან შეთანხმებით. გეგმაში აისახება, თუ რა რისკების შეფასებას ახდენენ ზედამხედველები დამოუკიდებლად და რა რისკების შესამოწმებლად ხდება სპეციალიზირებული ჯგუფების გამოყენება.

– რისკების რეესტრი – იდენტიფიცირებული რისკების შესახებ სპეციალიზირებული ჯგუფები და ზედამხედველები ახდენენ ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას. სპეციალიზირებული ჯგუფები და ზედამხედველები ახდენენ ინფორმაციის რეგულარულ გაცვლას. სპეციალიზირებული ჯგუფები აგროვებენ და სისტემაში მოჰყავთ ინფორმაცია მათი სპეციალიზაციის შესაბამისად, რის შემდეგაც ხდება აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება საბანკო ზედამხედველების მიერ.

სპეციალიზირებული ჯგუფები ახდენენ სპეციფიკური რისკების შემოწმების მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელიც გამოიყენება როგორც სპეციალიზირებული ჯგუფების, ასევე ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ.

სპეციალიზირებული ჯგუფები შეიმუშავენ რისკების შემოწმების მეთოდოლოგიას, ასევე ახორციელებენ მოცემული მეთოდოლოგიის გამოყენებით რისკების შეფასების თანმიმდევრულობის მონიტორინგს.

შევეხებით საზედამხედველო ჩარჩოს სხვა ცვლილებებსაც. 2009 წ. მუშაობა დაიწყო ბასს 27 („კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“) საფუძველზე კონსოლიდირებული ზედამხედველობის განხორციელების მიმართულებით. კომერციულ ბანკებს მოეთხოვათ გარკვეული პერიოდულობით სეზონში კონსოლიდირებული ანგარიშგებების წარმოდგენა და მათ ბაზაზე არსებული პრუდენციული ნორმატივების გაანგარიშება.

კონსოლიდაციის განხორციელების მიზნებისათვის განისაზღვრა იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება საბანკო ჯგუფში გაერთიანებას და წარმოადგენს კონსოლიდაციის ობიექტს. ამ საქმიანობის ჩამონათვალი განსაზღვრულია ევროდირექტივით.

2010 წ. ჩამოყალიბდა იმ ეკონომიკური ნორმატივების/ლიმიტების ნუსხა, რომელთა დაცვა სავალდებულო იქნება კონსოლიდირებულ დონეზე და ასევე ნორმატივების/ლიმიტების, რომელთა დაცვა სავალდებულო იქნება არაკონსოლიდირებულ დონეზე.

2009 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა საბანკო დაწესებულებების მიერ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების რეგულირების გადამუშავება-დახვეწის მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს არაფინანსურ სექტორში არსებულ განსხვავებულ რისკებს.

საბანკო დაწესებულებების მიერ ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია 2009 წ. 24 სექტემბერს, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი შესწორება შვილობილი საწარმოს განმარტების თაობაზე. ახალი განმარტება შეესაბამება ბასს 27-ით განსაზღვრულ დებულებებს, პირდაპირი და ირიბი ფლობის კონტროლის განხორციელების მხრივ.

სეპ-ის მიერ მომზადდა „კომერციული ბანკების გარე აუდიტორებთან ურთიერთობის დებულების“ პროექტი, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და 2010 წ. შევა ძალაში. გარე აუდიტორებთან ურთიერ-

თობა შეამცირებს ბანკების ანგარიშგების ტვირთს და საშუალებას მისცემს სუბ-სექტორებში, გამოათავისუფლოს რესურსები უკვე მატერიალიზებული რისკების იდენტიფიცირებიდან და მთავარი აქცენტი არამატერიალიზებული რისკების იდენტიფიცირებაზე გადაიტანოს.

4.2. საქართველოს საბანკო სექტორი და პრობლემური სესხები

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებული რეფორმებიდან განსაკუთრებული წარმატებით განხორციელდა საბანკო სისტემის რეფორმა. თუმცა დასაწყისში იყო პრობლემები: სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღებამდე საქართველოს საბანკო სისტემებში შედიოდა ცენტრალური და დარგობრივი სახელმწიფო ბანკები.

საკანონმდებლო ბაზის ლიბერალიზაციის პირობებში დაიწყო ახალი რეალური საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის შემცირება, რაც განპირობებული იყო მზარდი ინფლაციური პროცესებით. ამ დროს უკონტროლოდ დარჩა მათი საქმიანობის ხარისხი და პროფესიონალიზმი.

ბანკები უმთავრესად კრედიტების მიზნობრივად განაწილებით ან ეროვნული ბანკიდან აღებული კრედიტების რეფინანსირებით იყვნენ დაკავებულნი. ასევე დიდ მოგებას იღებდნენ შავ ბაზარზე სპეკულაციური სავალუტო ოპერაციებით.

ასეთი ვითარების რეგულირების მიზნით 1995 წლის ოქტომბერში ძალაში შევიდა გაცემული სესხების შესაძლო დანაკარგების გათვალისწინების სისტემა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოსთხოვა ბანკებს სესხის დაკარგვის საშიშროების შემთხვევაში შესაბამისი რეზერვების დაუყოვნებლივ შექმნა და 6 თვით ვადაგადაცილებული სესხების სრული ჩამოწერა.

1996 წ. მინიმალური საწესდებო კაპიტალის თანხა გაიზარდა 100 ათას USD-მდე. შემდგომ 1998 წლის ივნისამდე უნდა გაეზარდათ საწესდებო კაპიტალი 500 ათას USD-მდე. საერთოდ, საწესდებო კაპიტალის ზრდის გრაფიკის შეუსრულებლობის შედეგად 60 ბანკი იქნა დახურული.

1995 წ. დასაწყისიდან (როცა მოქმედებდა 230 ბანკი) 1997 წ. ბოლომდე არსებობა შეუწყვიტა 180-მა საბანკო დაწესებულებამ. ორ წელიწად-ნახევარში არსებობა შეწყვიტა რეგისტრირებული ბანკების 80%-მა.

1995-1997 წლებში მოკლევადიანი და საშუალო სესხები დარგების მიხედვით საქართველოს ეკონომიკისათვის არაღამაკმაყოფილებელი იყო მაღალი საკრედიტო რისკისა და არასაიმედო ინვესტირების პირობებში.

2004 წლიდან საბანკო სექტორის როგორც აქტივები, ისე დეპოზიტებიც გაიზარდა. ეს კი მიუთითებდა საზოგადოების მხრიდან საბანკო სექტორისადმი

ნდობის ამაღლებაზე. ასეთი მაღალი ზრდის შედეგად საბანკო აქტივების წილმა მშპ-თან მიმართებაში 2007 წლის ბოლოს 43%-ს მიაღწია. 2004-2009 წწ. სესხების საშუალო წლიურმა ზრდამ 47% შეადგინა. 2008 წელს 2004 წელთან შედარებით ბანკის სესხები თითქმის 7-ჯერ გაიზარდა. გაიზარდა საბანკო სესხების მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდაში. მშპ-ში სესხების წილი 2002 წელს 8% იყო, 2008 წელს ის გაიზარდა 29%-მდე. „საერთაშორისო ექსპერტების მიერ 2007 წელი საბანკო ტრიუმფის წელიწადად იქნა აღიარებული, თუნდაც იმიტომ, რომ 2007 წელს 7,520.102 მლნ. ლარის იპოთეკური სესხი გასცეს, რაც წინა წელთან შედარებით 127%-ით იყო გაზრდილი“ 2007 წლის მანძილზე 1,9 მლრდ. ლარის მოცულობის ახალი სესხები იქნა გაცემული, წლის ბოლოსათვის საბანკო სექტორის მთლიანმა აქტივებმა 7,2 მლრდ. ლარს მიაღწია.

2007 წელს ეკონომიკაზე გაცემული სესხები 76,2%-ით გაიზარდა და 4,6 მლრდ. ლარს შეადგენდა, რაც მშპ-ს 27%-ია. განსაკუთრებით გაიზარდა დაკრედიტება (113%) ეროვნული ვალუტით. დეპოზიტები ეროვნული ვალუტით ასევე წინმსწრები ტემპით იზრდებოდა, რის შედეგადაც დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2007 წლის განმავლობაში 69,2%-დან 65,1%-მდე შემცირდა, რაც საქართველოს მოსახლეობის მხრიდან ლარში დანახოების გაკეთების სურვილზე მიუთითებდა. 2008 წ. 14,329.745 მლნ. ლარის იპოთეკური სესხი გაიცა და ეს 91%-ით მეტი იყო წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით სესხების დიდი ზრდა, თანაც სწრაფად, შეუძლებელია პრობლემური არ ყოფილიყო. კერძოდ, ამ შემთხვევაში, თითქმის გარდაუვალი იყო სესხების ხარისხის გაუარესება და ასეც მოხდა.

შევესებით ვადაგადაცილებული სესხების დინამიკას 2007-2009 წლებში. 2007 წლამდე ადგილი ჰქონდა ერთ კარგ ტენდენციას, ვადაგადაცილებული სესხების წილი 4%-დან 1%-მდე შემცირდა. მან, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედა ბანკების წმინდა საპროცენტო მარჯაზე და, საერთოდ, მომგებიანობაზე.⁵²

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული 2007 წლიდან ბანკებმა ინტენსიურად დაიწყეს სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების გაცემა. ამან მნიშვნელოვნად შეცვალა ბანკების საკრედიტო პორტფელი.

საერთოდ, სამომხმარებლო და სამოქალაქო ბინების სესხები კარგად დივერსიფიცირებულია და მცირე კონცენტრაციაა რისკი. მაგრამ სამომხმარებლო სფეროზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ციკლები. როდესაც ეკონომიკური აქტივობა მცირდება, ინდივიდებს უმცირდებათ შემოსავლები და ვერ

⁵² www.nbg.gov.ge.

ახერხებენ სესხის გადახდას, ანუ იზრდება საკრედიტო რისკი, ხოლო თუ ეკონომიკა იზრდება, ინდივიდებს მეტი შემოსავლები აქვთ და სესხებსაც კარგად ფარავენ. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, გარდა ამ ფაქტორებისა, აღსანიშნავია აგვისტოს ომი, რომელმაც ძლიერ გააუარესა თითქმის ყველა ტიპის მსესხებლის გადახდისუნარიანობა.

სესხების ხარისხის გაფუჭების ტენდენცია თვალსაჩინო ხდება 2007 წლის ბოლოდან, ხოლო 2008 წლის აგვისტოდან ის იმდენად ინტენსიური ხდება, რომ საფრთხის ქვეშ აყენებს საბანკო სექტორის სტაბილურობას.

მნიშვნელოვანი წანაცვლება და გაფართოება ხდება საბანკო სესხების სტრუქტურაში. წანაცვლება მოხდა საცალო სესხებისაკენ, იზრდებოდა შინამეურნეობების სესხების წილი მთელ სესხებში. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი შიდა ქვესტრუქტურა და ამ ქვესტრუქტურების ცვლილებაც ახდენს გავლენას სასესხო პორტფელის რისკის დონეზე.

ეკონომიკაზე გაცემული სესხების დარგობრივი სტრუქტურაც არ იყო უცვლელი. ეკონომიკის სესხების დარგობრივ სტრუქტურაში ვაჭრობის და სამშენებლო სესხების ხვედრითი წილი, მართალია გაიზარდა 2005 წლიდან, მაგრამ ეს არ ყოფილა ძალიან მასშტაბური სტრუქტურული ცვლილება. საკრედიტო რისკზე ეს ცვლილება ვერ მოახდენდა დიდ გავლენას.

მნიშვნელოვნად შეიცვალა საცალო სესხების სტრუქტურა, რომელშიც 55%-მდე გაიზარდა იპოთეკური სესხების ხვედრითი წილი. იპოთეკური სესხები, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მაღალრისკიანი სასესხო აქტივია.

უძრავი ქონების ფასები ძალიან მგრძობიარეა ეკონომიკური აქტივობის ცვლილებასთან მიმართებაში და ეს გამოიხატება მისი ფასების ცვლილებაში. როდესაც უძრავი ქონების ფასები მცირდება, რა თქმა უნდა, იზრდება იპოთეკური სესხის საკრედიტო რისკი, რადგან სესხის უზრუნველყოფის ღირებულება მცირდება.

საკრედიტო რისკის ზრდას იწვევს სესხის ვადის ზრდა. ბანკების სესხების ვადიანობის სტრუქტურა შეცვლილია გრძელვადიანი სესხების სასარგებლოდ. 84%-მდე არის გაზრდილი გრძელვადიანი სესხების წილი მთლიან სესხებში. არსებობს ვარაუდი, რომ 2009 წლისთვის გრძელვადიანი სესხების ხვედრითი წილის ზრდა გამოწვეულია საბანკო სექტორის პრობლემური სესხების რესტრუქტურირებით.

საკრედიტო რისკის ზრდის ყველა ნიშნის მიუხედავად, ბანკებმა სესხების საპროცენტო განაკვეთების ზრდა გვიან დაიწყეს – მხოლოდ 2008 წლის

გაზაფხულზე. ესეც მხოლოდ იმის გამო, რომ საერთაშორისო ფულად ბაზარზე მოხდა საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი ზრდა. შეიძლება ითქვას, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთში გაზრდილი რისკის საკომპენსაციო კომპონენტი არ იყო გათვალისწინებული.

უფრო დეტალურად განვიხილავთ პრობლემური სესხების დინამიკას 2007-2010 წლებში.

ვადაგადაცილებული სესხების მომატებასთან ერთად 2009 წლის თებერვალში ქართულმა ბანკებმა აქტიურად დაიწყეს ასეთი კრედიტების რესტრუქტურისაცია. ამ დროისათვის ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 142 ათასს შეადგენს, 2008 წ. ეს მონაცემები 32 ათასი იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით მოვიშველიებთ შემდეგ ციტატას: „ის, რომ ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა მოიმატებდა, იქიდანაც ცხადი იყო, რომ თუ გაცემული სესხების ოდენობა რამდენიმე წლის წინ თვეში 20 000-ს შეადგენს, აგვისტოს ომამდე ამ რაოდენობის სესხს ბანკების ნაწილი, პრაქტიკულად ერთ დღეში გასცემდა. „ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, გაიზრდებოდა ვადაგადაცილებული სესხის მოცულობაც“, – აცხადებს „კრედიტ-ინფოს“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე გომიაშვილი“.

2009 წლის მარტის მონაცემებით, „საქართველოს ბანკს“ 108,5 მილიონი დოლარის საკრედიტო ვალდებულები უნდა დაეფარა. 108 მილიონი ლარი საჭირო იყო მერილ ლინჩისაგან“ აღებული 65 მილიონი დოლარის ოდენობის სესხის დასაფარად, რომელიც ბანკმა 2008 წლის იანვარში მიიღო, ასევე დასაფარი იყო მეორე ტრანში – 43,5 მილიონი დოლარის ოდენობით, იმ სინდიცირებული სესხისა, რომელიც „სითი ბანკისა“ და აზიის განვითარების ბანკისგან 2007 წ. აგვისტოში მიიღო (მესამე და ბოლო ტრანში 25 მილიონი დოლარის ოდენობით 2010 წლის აგვისტოში იქნება დასაფარი). გაზეთი „რეზონანსი“ იუწყება, რომ 2009 წლის მარტისათვის 108,5 მილიონი დოლარი ბანკმა უკვე დაფარა, ხოლო „თიბისი ბანკს“ გასასტუმრებელი აქვს 92 მილიონი დოლარის საკრედიტო ვალდებულება

ომის შემდეგ ვადაგადაცილებული სესხების და, შესაბამისად, ურჩი გადამხდელების გამო ბანკებმა აკრძალეს ურჩი გადამხდელებისათვის საბანკო მომსახურება: „შპს “კრედიტ-ინფო-საქართველოს“ შავ სიაში მოხვედა 150 ათასზე მეტი კრედიტორი, რომლებიც, სავარაუდოდ, 7 წლის განმავლობაში საბანკო პროდუქტებით ვეღარ ისარგებლებენ. ურჩი გადამხდელთა სიებში ხშირად თავმდებიც ხვდება და მათ მიმართაც იგივე შეზღუდვები წესდება“. 2009 წლის აპრილის შუა რიცხვებისთვის შემდეგი მონაცემები ქვეყნდება: „2008 წელი

სექტორმა 215 მილიონი ლარის ზარალით დაასრულა. ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 240 მილიონ ლარს აღემატება. კრედიტ-ინფოს ურჩ გადამხდელთა, ანუ ე.წ. „შავ სიაში“ მოხვედრილ პირთა რაოდენობა 175 000-ს აჭარბებს (1 წლის განმავლობაში 400%-იანი ზრდა). ბანკების ბალანსზე გადასული დაგირავენული ქონების ღირებულება 22 მილიარდ ლარს აღწევს. პრობლემური აქტივების მოცულობამ სისტემის მასშტაბით 4-5% შეადგინა.

2009 წლის მაისისთვის ქართულ კომერციულ ბანკებში კრედიტის აღება როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის საკმაოდ დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული და თითქმის შეუძლებელიც კი იყო. 2008 წელს განვითარებული მოვლენების შემდეგ ბანკებს ლიკვიდური სახსრების დეფიციტი გაუჩნდათ, რის გამოც ისინი ვერ ახერხებდნენ ეკონომიკის დაკრედიტებას. შემდგომ პერიოდში (2009 წლის აპრილიდან) სისტემას ლიკვიდობის პრობლემა აღარ ჰქონდა.

ნორმატიულად დადგენილი 20%-ის ნაცვლად ეს მონაცემი 29%-ს შეადგენდა. მაგრამ ბანკები არგუმენტად გაზრდილ რისკებს ასახელებენ და რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კრედიტს არ გასცემდნენ. სწორედ ამიტომ 2009 წლის აპრილში ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 18,2%-ით, 1,4 მლრდ. ლარამდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები – 29,2%-ით, 4,3 მლრდ. ლარამდე გაიზარდა. რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2009 წლის პირველი აპრილისათვის კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით გაცემულმა სესხებმა 560 მლნ. ლარი შეადგინა (გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39,4%-ით ნაკლები), ხოლო უცხოური ვალუტით – 2,5 მლრდ. ლარი (წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20,4%-ით მეტი).

შევეხოთ პრობლემური სესხების 2010 წლის დინამიკასაც:

„კრედიტ-ინფოს“ მონაცემებით, ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა 2010 წელსაც კვლავ იზრდება. „2010 წლის პირველი იანვრის შემდეგ ნეგატიური სესხების ჩანაწერები 5625-ით გაიზარდა და პირველი თებერვლისათვის 300 145 შეადგინა“.

ა.ლალიაშვილის აზრით: „ქართული ბანკებისათვის 2010 წლის იანვარიც ზარალიანი აღმოჩნდა. საერთო ზარალმა ორ მილიონ 720 ათასი ლარი შეადგინა. ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 51 მილიონით, 210 მილიონამდე

გაიზარდა. შეგახსენებთ, რომ 2009 წელი ქართულმა საბანკო სექტორმა 65 მილიონიანი ზარალით დაასრულა“.

2010 წლის მარტში საქართველოს ბანკების ერთი ნაწილი დაკრედიტების სტიმულირებისათვის საპროცენტო განაკვეთის დაკლებას და „კრედიტ-ინფოს“ შავ სიაში მოხვედრილ კლიენტებს, რომლებმაც კრედიტი დაფარეს, კვლავ ახალ სესხებს შეჰპირდნენ. სესხებზე საპროცენტო განაკვეთის 12-13%-მდე შემცირებას ვარაუდობდნენ აპრილიდან „თიბისი ბანკი“, ბანკი „რესპუბლიკა“.

2010 წლის მარტშივე ეკონომიკის დაკრედიტების სტიმულირებისთვის ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში ცვლილებების აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. ამ მოსაზრებას ასე აყალიბებდნენ: „კრედიტებზე განაკვეთები უნდა შემცირდეს, იგეგმება გირაოს ბაზის გაფართოება – ბანკებს სებ-ისგან საკრედიტო რესურსების მიღება არსებული სესხების უზრუნველყოფით შეეძლება. ეს ერთგვარი მეორადი გადაგირავებაა – კომერციული ბანკი ეროვნული ბანკისაგან მისაღები რესურსის უზრუნველყოფაში დებს საკუთარ აქტივებს, სესხს, რომლის გაცემისას მას შესაბამისი ქონება აქვს უზრუნველყოფაში მიღებული“

აღნიშნული ინსტრუმენტის ამოქმედებით სებ-ი კომერციულ ბანკებს აძლევს გარანტიას, რომ მათთვის ღარის რესურსი მომავალშიც იქნება ხელმისაწვდომი, ანუ კომერციულ ბანკებს ჭარბი რესურსების სესხებში გაცემის საშუალება მიეცემა.

სებ-ის შესახებ ორგანული კანონის თანახმად, სებ-ს დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად შეუძლია გასცეს კრედიტი კომერციულ ბანკებსა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებზე, რომლებსაც ანგარიშები აქვთ გახსნილი ეროვნულ ბანკში, ერთ-ერთი შემდეგი აუცილებელი უზრუნველყოფით:

- ა) ამ ორგანული კანონის მე-40 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საერთაშორისო სარეზერვო ინსტრუმენტები;
- ბ) ეროვნული ბანკის, საქართველოს მთავრობის, ან მისი სახელით გამოშვებული, ან საქართველოს მთავრობის მიერ გარანტირებული ფასიანი ქაღალდები;
- გ) დეპოზიტები ეროვნულ ბანკში, ან სხვა დეპოზიტები, რომლებიც მისაღებია ეროვნული ბანკისათვის, ნებისმიერი სახსრებით, მათ შორის ოქროთი, ან სხვა ძვირფასი ლითონებით, რომელთა გაყიდვის, შექენისა და სხვა მათთან

დაკავშირებული ოპერაციების შეუზღუდავად განხორციელების უფლება აქვს ეროვნულ ბანკს ამ ორგანული კანონის შესაბამისად.

დაკრედიტების სტიმულირებისკენ მიმართულ სებ-ის ინიციატივას, საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშემწყობი ინსტრუმენტის ამოქმედების შესახებ, კომერციული ბანკების დადებითი რეაქცია მოჰყვა. ასე მაგალითად, „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენელთა აზრით „საკრედიტო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნით განაკვეთების დაწევას, ლარში დაკრედიტების ზრდას, რომლის საბოლოო მიზანი ეკონომიკის განვითარებაა, ემსახურება ახალი ინიციატივა, რისთვისაც „ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონში“ შესატანი ცვლილებები მზადდება“.

ამრიგად, ცვლილებები შედის სესხის უზრუნველყოფის პირობებში. ბანკები სებ-დან სესხს (რეფინანსირების მოკლევადიან სესხებს თუ არ ჩავთვლით) განსაკუთრებულ შემთხვევებში იღებენ და უზრუნველყოფაში დებენ სებ-ში არსებული საკუთარი რეზერვებიდან გარკვეულ თანხას, ან ფასიან ქაღალდებს.

2010 წლის 1 მაისის მდგომარეობით კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა წინა თვესთან შედარებით 2,3%-ით გაიზარდა და 5,5 მლრდ. ლარი შეადგინა. სებ-ის ინფორმაციით, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა 6,2%-ით, ანუ 79,9 მლნ. ლარით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა – 1,8%-ით, ანუ 74,6 მლნ. ლარით. მისივე ცნობით, რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის 2010 წლის აპრილის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით 636,6 მლნ. ლარის, ხოლო უცხოური ვალუტით – 2,5 მლრდ. ლარის მოცულობის სესხი ჰქონდათ გაცემული. რაც შეეხება მრეწველობას, გაცემული სესხების წილი იურიდიულ პირებზე გაცემული ვადიანი სესხების საერთო მოცულობაში 23,5%-ს შეადგენს და იგი 1 მაისისთვის 748,6 მლნ. ლარით განისაზღვრა. 10,8% მოდის მშენებლობაზე, რაც 344,2 მლნ. ლარს შეადგენს. ამდენად, იურიდიული პირების დაკრედიტების საერთო მოცულობის 80,8% მხოლოდ სამ დარგზე – მრეწველობაზე, მშენებლობასა და ვაჭრობაზე მოდის. 2010 წლის აპრილის განმავლობაში 1,4%-ით ანუ 28.5 მლნ. ლარით გაიზარდა ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და 1 მაისისათვის 2,1 მლრდ. ლარს მიაღწია.

ამრიგად, პრობლემური სესხების გამო საქართველოს საბანკო სისტემამ 2008 წლის მეორე ნახევრიდან პოლიტიკა საგრძნობლად გაამკაცრა, რაც გამოიხატება დაკრედიტების პრინციპებში. მაგალითად, ლიდერი ბანკების მიერ შეთავაზებული

პირობებით შეამცირეს საკრედიტო თანხა, ვადა, გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებზე და უზრუნველყოფის პირობები. თითქმის ყველა ბანკი, უზრუნველყოფაში უძრავ ქონებასთან ერთად ითხოვს სადაზღვევო პროდუქტებით მომსახურებას, როგორცაა მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევა, საკრედიტო თანხის დაზღვევა ან თანამონაწილის სიცოცხლის და შრომისუნარიანობის დაზღვევა და ა.შ., რითაც დაკრედიტების მასშტაბი და მოცულობა საკმაოდ შეზღუდეს. საქმე ისაა, რომ მოხდა არსებული საკრედიტო პორტფელის გადაფასება და, ცხადია, რისკებიც სხვა, უფრო გამკაცრებული კრიტერიუმით გამოითვლება.

ამდენად, საკრედიტო პროდუქტით სარგებლობა შეეძლება მხოლოდ მაღალ კრედიტუნარიან მსესხებლებს. მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კრიზისისა და გაზრდილი რისკების პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკებისა და საკრედიტო ინსტიტუტების მხრიდან ბიზნესის დაკრედიტებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზნესის დაკრედიტების შემთხვევები დღევანდელ ვითარებაში იშვიათობად იქცა, რამაც საბოლოო ჯამში ქართულ ბიზნესსა და საბანკო სექტორს შორის დაპირისპირება გამოიწვია. იურიდიულ პირებსა და ბანკებს შორის ურთიერთობის პრობლემა ის არის, რომ ხშირად დასაბუთებულ ბიზნეს-პროექტს ბანკები არ აფინანსებენ. საბანკო სექტორი აცხადებს, რომ დასაბუთებულ ბიზნეს-პროექტებს აფინანსებენ.

პრობლემური სესხების ამოღებაში იურიდიული სამსახურები ერთგებიან და საკომისიოს ნაცვლად, ვალების ამოღებას ცდილობენ. როგორც ექსპერტები განმარტავენ, ასეთი მეთოდი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს და ბანკები პრობლემური სესხების ამოღებაზე თავს არსად იწუხებენ. იურიდიული სამსახურები ურჩ გადამხდელებს უკავშირდებიან და დავალიანების გადახდის მკაცრ გრაფიკს უდგენენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ქონების გაყიდვას იწყებენ.

4.3. დაკრედიტების სრულყოფის გზები

რამდენადაც დაკრედიტების გაუმჯობესება პირდაპირპროპორციულია მთლიანად საბანკო კრიზისის აღმოფხვრასთან, პირველ რიგში აღნიშნული კრიზისის დაძლევის საკითხებს შევხებით.

საბანკო კრიზისების მრავალწლიანი მსოფლიო გამოცდილებით ცნობილია, რომ კრიზისის დაძლევის პროგრამები ორ ძირიად კომპონენტს მოიცავს.

1. პრობლემური აქტივების დროულ შეფასებას, მათი დროული მოცილების მიზნით ბანკებისათვის სტიმულირების შექმნას;

2. ბანკების რეკაპიტალიზაციას.

თუმცა გარდა აღნიშნულისა, თუკი ქვეყანაში არსებული სიტუაცია მოითხოვს, შესაძლოა დამატებითი გარანტიების მიცემა, ლიკვიდობის მიწოდების გაფართოება და მსესხებლების დავალიანების რესტრუქტურის პროცესების მხარდაჭერა.

საბანკო კრიზისის სრულად თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ არსებობს ამ კრიზისების შედეგების მინიმიზაციის რამდენიმე მეთოდი.

პირველი მეთოდია ბანკების რეკაპიტალიზაცია სახელმწიფო სახსრების ხარჯზე. მიღებული სახსრები ბანკებს შეუძლიათ გამოიყენონ პრობლემური ვალების ჩამოსაწერად. ასეთი მიდგომის წარმატებული რეალიზაციისთვის სახელმწიფოს წინაშე დგება ორი ამოცანა:

1. ობიექტურად შეაფასოს მდგომარეობა ეკონომიკაში, კერძოდ, პრობლემური ვალების მოცულობა და კაპიტალში ბანკების მოთხოვნა, ასევე გამოყოს პოტენციურად სიცოცხლისუნარიანი ბანკები პროგრამაში მონაწილეობისათვის;

2. მიაღწიოს იმას, რომ ბანკებმა დანამდვილებით გაწმინდონ თავიანთი ბალანსები პრობლემური აქტივებისგან.

მეორე მეთოდია სახელმწიფოს მიერ პრობლემური ვალების გამოსყიდვა და მათი მართვის სახელმწიფო კომპანიის შექმნა.

მესამე მეთოდი მდგომარეობას საბანკო აქტივებზე სახელმწიფო გარანტიების მიცემაში. ამ შემთხვევაში ზარალი იყოფა სახელმწიფოსა და ბანკს შორის. აქაც დგება პრობლემური აქტივების და გარანტიების ღირებულების შეფასების პრობლემა, ამ მიდგომისას არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ბანკებმა იციან რა სახელმწიფოს მიერ ზარალის კომპენსირების შესახებ, არ იჩინენ სათანადო ძალისხმევას პრობლემურ აქტივებთან მუშაობისას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბანკების მდგომარეობის დროულ და რეალისტურ შეფასებას და მოსალოდნელი ზარალის საგარაუდო გათვლას.

საკრედიტო რისკები ბანკის პრობლემების ყველაზე არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რადგანაც ბანკების გაკოტრების ძირითადი მიზეზი სწორედ მსესხებლის მიერ კრედიტების დაუბრუნებლობით და ბანკების მხრიდან რისკის სფეროში ჯერ კიდევ განუსაზღვრელი პოლიტიკით არის განპირობებული.

არსებული არასტაბილური ეკონომიკური სისტემისა და კანონმდებლობის პირობებში, დაკრედიტების მეტ-ნაკლებად წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, ბანკმა უნდა შექმნას საკრედიტო რისკის მართვის მოქნილი სისტემა

საკრედიტო რისკის მართვის სრულყოფილი სისტემის ფორმირებისათვის ძირითადი წინაპირობაა ბანკის მხრიდან დაკრედიტების პროცესისადმი კონსერვატიული მიდგომა და დაკრედიტების პროცესის ერთიანი კულტურის ჩამოყალიბება, რომლის ფორმირება შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით ხდება: ერთიანი საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაციის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, დაკრედიტების სტანდარტების დანერგვა და მათი რეალიზაციის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ინსტრუქციებისა და ნორმატიული დოკუმენტების მომზადება,

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში მხედველობაში მიიღება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის:

- ა) დაკრედიტების პროცესში მსესხებლის ან მსესხებლების ჯგუფისათვის შიდასაბანკო ლიმიტების დაწესება;
- ბ) საკრედიტო რისკების სრულყოფილი ანალიზისათვის ანალიტიკური ფორმების პაკეტების შემუშავება, რომლებიც ცალკეული მსესხებლის რისკის დონეს გამოხატავს;
- გ) ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მიხედვით დაკრედიტების დივერსიფიკაცია;
- დ) ეკ-ის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა რისკის შედარებით დაბალი დონის გათვალისწინებით;
- ე) საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება ეკონომიკის იმ დარგებთან მიმართებაში, რომლებიც რისკის შედარებით მაღალი დონით ხასიათდება;

ვ) კრედიტებზე საპროცენტო პოლიტიკის შემუშავება, რისკიანობის კოეფიციენტიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკის მართვის სისტემა, როგორც საკრედიტო პორტფელის მართვის სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება, სამ ძირითად შემადგენელ რგოლს უნდა მოიცავდეს:

1) საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ბანკის საკრედიტო საქმიანობის ძირითად ჩარჩო – მიმართულებას წარმოადგენს;

2) საკრედიტო პორტფელის ფორმირების ძირითადი ორიენტირების – დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა;

3) მეთოდური მითითებები კრედიტებზე ფასწარმოქმნის მექანიზმის ფორმირებისას, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორი უნდა იყოს საპროცენტო განაკვეთები და საკომისიოები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბანკის დაგეგმილი მომგებიანობის დადგენილი პარამეტრების შესრულება.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან დაკრედიტების მიზნების მკაფიოდ ფორმულირებას მოითხოვს, რაც უპირველეს ყოვლისა, ბანკის საერთო სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს უნდა შეესაბამებოდეს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკამ, როგორც მინიმუმი, შემდეგი საკითხები უნდა მოიცვას:

- საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაცია;
- საკრედიტო პორტფელის მართვა;
- დაკრედიტებაზე კონტროლი;
- პასუხისმგებლობის განაწილების პრინციპები;
- გასაცემი კრედიტების შერჩევის საერთო კრიტერიუმები;
- დაკრედიტების ცალკეულ მიმართულებებზე ლიმიტების დაწესება;
- საკრედიტო სარგებლის განსაზღვრის პრინციპები;
- კრედიტების ხარისხიდან გამომდინარე მათთან დაკავშირებით შესაძლო დანაკარგების რეზერვის შექმნა.

მნიშვნელოვანია ასევე სესხებზე შესაძლო რეზერვების ფორმირება.

საკრედიტო საქმიანობის შემაჯამებელი ეტაპია სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირება, რომლის სიდიდე საკრედიტო რისკის მართვის სისტემის ორგანიზებასა და საკრედიტო პოლიტიკით გათვალისწინებული

სტანდარტების რეალიზაციის პროცესში გამოვლენილ ნეგატიურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

კომერციული ბანკი ვალდებულია გაცემული სესხების კლასიფიკაცია თავისი საკრედიტო რისკის მართვის სისტემისა და საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად განახორციელოს და შექმნას მათი შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვები, რომელთა შესახებ დოკუმენტური დასკვნები და ინფორმაცია კრედიტების მართვის დოკუმენტებში უნდა იქნეს დაცული.

საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, სესხების კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს ფაქტებს, გამოვლენილ სისუსტებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც გამოწვეულია ან გამომდინარეობს ისეთი გარემოებებიდან, მოვლენებიდან ან მდგომარეობიდან, რომელთა ზედმიწევნითი ანალიზისა და განსჯის შემდეგ, კომერციული ბანკისათვის ნათელი ხდება გაცემული სესხის ბანკისთვის სრულად და დადგენილ გრაფიკში დაბრუნების შესაძლებლობა.

დაკრედიტების სრულყოფისათვის მნიშვნელოვანია საკრედიტო რისკის კონტროლი. ბანკმა უნდა შექმნას კრედიტების დამოუკიდებელი და მუდმივი განხილვის შიდა სისტემა საკრედიტო რისკის მართვის პროცესის გამოყენების ეფექტიანობასთან დაკავშირებული. განხილვამ სულ ცოტა უნდა მოიცავს:

- საკრედიტო ადმინისტრირების პროცესის შეფასება;
- შიდა რისკიას რეიტინგის გამოყენების სიზუსტის შეფასება;
- მონიტორინგის სხვა ინსტრუმენტების შეფასება;
- იმ სტრუქტურის, ან ოფიცრების მუშაობის ეფექტიანობის შეფასება,

რომლებიც მონიტორინგს უწევენ ცალკეული კრედიტების ხარისხს.

საქართველოში საკრედიტო რისკის დაზღვევის დამკვიდრება და განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.

მართალია, ბოლო პერიოდში საკრედიტო პოლიტიკის და საკრედიტო რისკის მართვის სისტემები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ პრობლემური სესხების კიდევ უფრო ზრდა რომ არ მოხდეს, საჭიროა შემდეგი ნაკლოვანებების გამოსწორება:

- ეკონომიკის სექტორებისა და ბიზნეს- სეგმენტების სუსტი ანალიზი;
- მსესხებლების შესახებ არასრულყოფილი ინფორმაცია და ფინანსური ანალიზი;
- სუსტი მონიტორინგი მსესხებელზე;

– სესხების კლასიფიკაციის სუსტი შიდა სისტემები და სესხების შესაძლო დანაკარგების არაადეკვატური რეზერვის ფორმირება.

გამოსწორებას საჭიროებას კრედიტების სანაცვლოდ ბანკების მხრიდან ბიზნესის წილში შესვლის საკითხი. საქართველოში ადრეც იყო შემთხვევები, როდესაც ბანკები საინვესტიციო და საკრედიტო საქმიანობას ერთმანეთში ურევენ და იმის ნაცვლად, რომ დაეკრედიტებინათ მრეწველობის და ვაჭრობის სხვადასხვა დარგები, პირდაპირ ინვესტიციებს დებდნენ მათში და საბანკო პაკეტშიც მონაწილეობდნენ.

ბანკების მიერ ბიზნესის სხვა სფეროებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გააქტიურდა კრიზისის დროს. მაშინ, როდესაც ბიზნესს მძიმე პერიოდი დაუდგა, ბანკები მათ დახმარებას დაკრედიტებით კი არ უწევდნენ, არამედ პირდაპირ ინვესტიციებს დებდნენ მათში და წილსაც ითხოვდნენ.

ეს ყველაფერი არის შედეგი იმისა, რომ 1998 წლამდე „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონში იყო ასეთი ჩანაწერი, რომ კომერციულ ბანკს შეეძლო თავისი აქტივების ღირებულების მხოლოდ 20% მიემართა საინვესტიციო პოლიტიკაზე. შემდგომ, საბანკო სექტორის წახალისების მიზნით, ეს ციფრი შეიცვალა და 50%-ით განისაზღვრა. ეს გახდა იმის საწინდარი, რომ ბანკებმა აითვისეს სადაზღვევო კომპანიები, საბროკეროები და სხვა სახის ბიზნესი. კომერციულ ბანკებს წილი აქვთ სამშენებლო სექტორში, საოჯახო ტექნიკის იმპორტიორ და რეალიზატორ კომპანიებში. ბანკებისათვის რისკების გამო ეს დადებითად ითვლება, მაშასადამე, იმის მაგივრად, რომ კომერციულმა ბანკებმა ეკონომიკა დააკრედიტონ, პირდაპირ ინვესტიციებს დებენ მასში და პარალელურად საბანკო პაკეტშიც ერევიან. ამდენად, მომავალში უნდა გაიმიჯნოს საბანკო და საინვესტიციო პოლიტიკა.

საქართველოსათვის, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მონაწილეობა დაკრედიტების სრულყოფისათვის. ამ მიმართებით აღნიშვნის ღირსია „იაფი კრედიტისა“ და „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ პროექტები, რომელშიც სახელმწიფო კრედიტი მონაწილეობს.

დასკვნები და წინადადებები

საქართველოს საბანკო სისტემის დაკრედიტების შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხების კვლევის შედეგად ჩამოვყალიბეთ შემდეგი სახის დასკვნები და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები:

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორს სჭირდება საკრედიტო რესურსების უზრუნველყოფა, ამიტომ ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში, რაც ქვეყნის შემდგომი რეალური ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა, მნიშვნელოვანია ფულად-საკრედიტო სისტემის როლის ზრდა, რაც შეიძლება შემდეგი ღონისძიებების მეშვეობით:

1. მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტრანსფორმაცია ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ მონეტარულ პოლიტიკაში;

2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის მხარდაჭერის გათვალისწინება;

3. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიერ კომერციული ბანკებისათვის მასტიმულირებელი ღონისძიებების შემუშავება, რათა მათ საკრედიტო და საინვესტიციო რესურსები მიმართონ რეალური სექტორის დასაკრედიტებლად;

4. ახალი მონეტარული ინსტრუმენტების დანერგვა და ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა;

5. დამატებით საკრედიტო რესურსების შესაქმნელად ეკონომიკის მონეტარიზაციისა და ფულის მულტიპლიკატორის მაჩვენებელთა ამაღლება.

რამდენადაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა შეადგენს, ეს კი საქართველოსთვის აუცილებელია თანამედროვე პირობებში, ამდენად საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სრულყოფისათვის საჭიროა:

6. ბაზრების მდგომარეობის მიხედვით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაკუთრებულად ცხადი ინსტრუმენტების შერჩევა, რომლებზეც დაკვირვება ყველაზე ეფექტურად წარმოაჩენს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას, ამასთან გამოიყენოს სხვადასხვა ინსტრუმენტები სხვადასხვა სიტუაციების მიმართ;

7. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა ორიენტირებული იყოს ხანგრძლივ პერსპექტივაზე და მისი მონეტარული ბერკეტების გამოყენების შემდგომი სრულყოფა მოხდეს;

8. ახალი მონეტარული ინსტრუმენტების დანერგვა და ქვეყნის საფინანსო სტაბილურობის უზრუნველყოფა;

9. დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო სექტორის ეკონომიკის რეალურ სექტორზე პოზიტიური ზემოქმედების ეფექტიანი მექანიზმის ფორმირებასა და რეალიზაციას, ასეთი მექანიზმი კი ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე უნდა იქცეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ორგანულ შემადგენელ ნაწილად;

10. ქვეყნის ეკონომიკის საინვესტიციო პოტენციალის ამაღლებაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის და შესაბამისად ირიბად მთელი საბანკო სისტემის მონაწილეობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს საფინანსო დანახოგების მოზიდვის მასტიმულირებელი მექანიზმების შექმნას, ვინაიდან საქართველოსი, ისევე, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმრავლესობაში, პოტენციური დანახოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაიდება ფიზიკური აქტივებში (უძრავი ქონება, საქონელი და სხვა), ან მოიხმარება და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით არ იძლევა უკუგებას, უკეთეს შემთხვევაში დანახოგები გაიცემა არაორგანიზებულ ბაზარზე, რის გამოც მცირდება შიდა ინვესტიციები;

11 საქართველოში მოქმედი ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი ფაქტიურად კრძალავს ეკონომიკის რეალურ სექტორში რაიმე სახით ჩარევას, უცხოეთიდან მოზიდული კრედიტები კი ძირითადად ხმარდება სოციალური სფეროს დაფინანსებას და ქვეყნის ეკონომიკისათვის არაეფექტიანია, რამდენადაც არ მოქმედებს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე, ხოლო მიღებული კრედიტების ანაზღაურება კი უნდა მოხდეს სწორედ რეალური სექტორის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით პერსპექტივაში ეროვნული ბანკის მიერ გატაცებულმა მონეტარულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს როგორც უცხოური, ისე შიდა საინვესტიციო-საკრედიტო რესურსების მოზიდვას და მათ ჩართვას ეკონომიკის განვითარებაში. ამ მიზნით საჭიროა კომერციული ბანკების აქტივების ორიენტირება არაფინანსური სექტორისაკენ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის მასტიმულირებელი ღონისძიებების შემუშავება, რათა მათ საკრედიტო და საინვესტიციო რესურსები მიმართონ რეალური სექტორის დასაკრედიტებლად.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი განისაზღვრება, როგორც ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდე, ლიკვიდურობის რეზერვის გამოკლებით, კომერციული ბანკის ლიკვიდურობის საერთო რეზერვი ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ აუცილებელ რეზერვის ნორმაზე და ბანკის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრულ ლიკვიდურობის რეზერვის დონეზე დამოკიდებული.

აღსანიშნავია ის გზები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ბანკების საკრედიტო პოტენციალის ზრდა:

12. საკრედიტო პოტენციალის ზრდის ფაქტორების მუდმივი ანალიზი და ამ ფაქტორების ხელშეწყობის პირობების გაუმჯობესება;

13. საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადიანი ტრანსფორმაციის განხორციელება;

14. მსოფლიო პრაქტიკის შესაბამისად სარეზერვო ნორმატივის დამცავი ფუნქციის შერბილება და სპეციალიზირებული სადაზღვევო კომპანიების წინწამოწევა;

15. საქართველოში მშენებლობის გრძელვადიანი დაკრედიტება არა წარმოების განვითარების, არამედ იმპორტის დაფინანსებას უწყობს ხელს, რასაც ბოლო წლებში ფიზიკურ პირებზე მკვეთრად მზარდი გრძელვადიანი კრედიტების მოცულობა ადასტურებს. ამდენად, ამჟამად უმჯობესია სამშენებლო-იპოთეკური კრედიტის რესტრუქტურისაცია;

16. სამშენებლო და საბანკო სფეროს ურთიერთდაკავშირებულობისა და ორივე მათგანის კრიზისულ მდგომარეობაში ჩაგარდნის ამჟამინდელი მდგომარეობის განუმეორებლობა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შესაძლებელია სამშენებლოს სფეროს დაზღვევით, რამდენადაც სამშენებლო პროექტების დიდი ნაწილი რომ დაზღვეულიყო, არ შეიქმნებოდა სერიოზული ფინანსური პრობლემები;

17. საქართველოში უნდა შეიქმნას სპეციალური სადაზღვევო ფონდი, რომელიც კომერციული ბანკის გაკოტრების შემთხვევაში უზრუნველყოფს მისი კლიენტების ანაზრების მთლიან ან ნაწილობრივ ანაზღაურებას. აღნიშნული ფონდი დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის დეპოზიტების ზრდაზე, ეროვნული რესურსების მობილიზებით მოხდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რესურსების მოზიდვა;

18. დეპოზიტების სადაზღვევო სისტემის შემოღებაში დაინტერესებული უნდა იყოს არა სახელმწიფო, არამედ საბანკო დაწესებულებები და სადაზღვევო კომპანიები, რამდენადაც აღნიშნული სისტემა აუცილებელია საფინანსო სისტემის სტაბილურობისათვის. ამით სადაზღვევო კომპანიებს დამატებითი შემოსავლები უზრუნველდება, ხოლო ადამიანები ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც დეპოზიტებზე გარკვეული თანხა აქვთ, გადაიხდიან გარკვეულ სადაზღვევო შენატანს და თავს მშვიდად იგრძნობენ;

19. კომერციულმა ბანკებმა უპირატესობა უნდა მიანიჭონ გრძელვადიანი დაკრედიტების დამკვიდრებას, რაშიც მონაწილეობა მთავრობამაც უნდა მიიღოს;

20. კომერციული ბანკების მიერ მიწოდებული მომსახურების ასორტიმენტის, მათ მიერ შესრულებული ოპერაციების სახეობების გაფართოება. ამასთან ერთად, ეროვნული ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების საქმიანობის არსებული სფეროსა და ფუნქციების ოპტიმალური შეზღუდვა, მათი უშუალოდ ეკონომიკის დაკრედიტებისათვის, გადართვის სტიმულირებისათვის პირობების შექმნა;

21. საფინანსო დანახოვების სტიმულირება და მათი გამოყენების ეფექტიანობის გაზრდა უნდა მოხდეს საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, შემნახველებსა და ინვესტორებს შორის პირდაპირი კავშირების (არაორგანიზებული ბაზარი) ნაცვლად საბანკო არხებით ფულადი დანახოვების გადანაწილების მეშვეობით, რაც გაზრდის საბანკო სისტემის კაპიტალიზაციის დონეს და შესაბამისად დადებითად იმოქმედებს საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე, რაც ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევაში. იგი გარდა იმისა, რომ უდიდეს ზეგავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე, ამასთანავე გულისხმობს: კაპიტალის საკმარისობის გაძლიერებას, აქტივების ხარისხის ამაღლებას, რისკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვას, ლიკვიდობის, დეპოზიტების დაზღვევის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნის და საბანკო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

საბანკო სექტორის მდგრადობისა და ფინანსური სტაბილურობისთვის საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებებისა და რეკომენდაციების დასახვა და გათვალისწინება:

22. უახლოეს მომავალში საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკას კვლავ 2 ძირითადი მიმართულება უნდა ჰქონდეს:

- საბანკო სექტორისათვის მოკლე და საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების მიწოდება (ბოლო ინსტანციის დაკრედიტება, საპროცენტო განაკვეთების შემცირება);

- გაცვლითი კურსის კონტროლი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად (უცხოური ვალუტის აუქციონი, რაც საბაზრო მექანიზმზე უფრო მეტადაა დამყარებული, ვიდრე ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა).

23. კომერციული ბანკების ზედამხედველები მუდმივი მონიტორინგის გზით უნდა ცდილობდნენ უზრუნველყონ, რომ ბანკები:

- იყვნენ ფინანსურად საიმედონი;
- იმართებოდნენ კვალიფიციურად;
- არ უქმნიდნენ საფრთხეს მეანაბრეთა ინტერესებს;

24. საკრედიტო სექტორში არასასურველი რისკებისგან საიმედო დაცვისა და მდგრადობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია საბანკო რესურსების განვითარებისა და შიდა საბანკო საქმიანობის ფაქტორების შეფასება. ღამდენადაც საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემაში კაპიტალის საკმარისობის ხარისხს განმსაზღვრელი პოზიცია უკავია და ამ მაჩვენებლის ძირითად კომპონენტს საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს, საჭიროა საქართველოში არსებული ნორმატივი გაიზარდოს ისე, რომ გაკოტრებისას დეპოზიტების უსაფრთხოებისათვის საკმარისი იყოს.

25. რამდენადაც საქართველოს საკრედიტო ბაზარზე საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილით უცხოური კაპიტალი გამოდის (მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომის დროს რუსული და ყაზახური კაპიტალი გავიდა), ამდენად მათი საქმიანობის რისკების მინიმიზაცია აუცილებლობას წარმოადგენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ეროვნული ბანკის სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნები წარმოადგენს. იუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი კომერციული ბანკების ლიკვიდურობის სათანადო დონის უზრუნველყოფას ემსახურება და ფულის სტაბილურობისათვის ხელსაყრელია, მის სიდიდეზე ბევრადაა დამოკიდებული კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალი. შავალდებულო რეზერვების მაღალი საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ბანკების თავისუფალ ფულად სახსრებს, აფერხებს მის აქტიურ ოპერაციებს, აძვირებს საკრედიტო რესურსებს და ამუხრუჭებს

საქართველოში ბიზნესისათვის ხელსაყრელი და იაფი კრედიტებით უზრუნველყოფას. მდენად, სავალდებულო სარეზერვო ნორმატივის ოპტიმალური დონის დადგენით ხელი შეეწყო მთავრობის მიერ შემუშავებული იაფი კრედიტების პროგრამის უფრო ქმედითად ამოქმედებას, ეს კი გაზრდის დასაქმებას, საბოლოო ჯამში კი აკონომიკის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს;

26. კომერციული ბანკების მდგრადობაზე მოქმედი ისეთი შიდასაბანკო ფაქტორების გაუმჯობესება, როგორებიცაა:

- მენეჯმენტისა და პერსონალის კომპეტენცია;
- კომერციული ბანკის პოლიტიკა;
- სპეციალისტების მომზადების სისტემა;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ბანკის ტექნიკური ბაზა;
- ინფორმაციული უზრუნველყოფის დონე.

27. ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის შემცირება, რამდენადაც ისინი ძალზე უარყოფითად მოქმედებენ საბანკო სისტემის მდგრადობასა და საიმედოობაზე;

28. 2008 წელს შესული ცვლილების, რომელიც ეროვნულ ბანკში საბუღალტრო აღრიცხვის წარმართვის საფუძვლად აღიარებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, შესაბამისად განახორციელოს საბუღალტრო ანგარიშების ანალიზი, რაც პროგნოზის დამუშავებას ხელს შეუწყობს;

29. საქართველოში ეფექტიანად ფუნქციონირებადი დეპოზიტების დაზღვევის სისტემას შეუძლია შემდეგი პრობლემების გადაჭრა:

- უზრუნველყოს საბანკო სისტემის მდგრადობა;
- გაკოტრების ზღვარზე მყოფი ბანკების ფინანსური მხარდაჭერა;
- მეანაბრეების დაცვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის გაართულების შემთხვევაში დეპოზიტების მთლიანად დაკარგვისაგან;
- შეუქმნას მეანაბრეებს გარანტიები ბანკის გაკოტრების შემთხვევაშიც;
- აამაღლოს საბანკო სისტემისადმი ნდობის ხარისხი.

30. საბანკო სფეროში ფინანსური მდგრადობის განმტკიცებისათვის, ლიკვიდობის ოპერატიული მართვისა და კომერციული ბანკების დეპოზიტებზე რიცხული თანხების გამოყენების გაუმჯობესებისათვის კომერციული ბანკების

მინიმალური რეზერვებისა და საკორესპონდენტო ანგარიშების გაერთიანების პროცესის დაჩქარება;

31. საქართველოს საბანკო სისტემის უსაფრთხო და გამჭვირვალედ გახდომისათვის საჭიროა რეფორმებისა და ცვლილებების გატარება, რომელთაგან გამოსაყოფია შემდეგი:

- რისკ-მენეჯმენტის გაუმჯობესებისათვის საქართველოს ბანკებს აეკრძალოთ სადაზღვევო კომპანიების ფლობა;

- მოხდეს ბანკების დაყოფა უნივერსალურ და სპეციალურ ბანკებად. უნივერსალურ ბანკებს ნებისმიერ სახით ბიზნესში პირდაპირი მონაწილეობა აეკრძალოთ, ხოლო დერივატივების ბაზრებზე ნებისმიერ ოპერაციების ჩატარების უფლება ჰქონდეთ;

- როგორც საბანკო სფეროში, ისე მასთან დაკავშირებულ სამშენებლო კომპანიებში დეპოზიტების მკაცრად დაზღვევა მოხდეს;

- აიკრძალოს ტოპ-მენეჯმენტი, რათა ბანკი აბსოლუტურად დამოუკიდებელი და თავისუფალი გახდეს;

- ცენტრალური ბანკის მოთხოვნით, ბანკი უფრო გამჭვირვალე უნდა გახდეს დეპოზიტარებთან, ინვესტორებთან და თანამშრომლებთან მიმართებაში. მსოფლიო საფინანსო ბაზრებზე და რეალურ ეკონომიკაში არსებული მიმდინარე ტენდენციების მიმოხილვის ფონზე ბანკის მენეჯმენტი ელექტრონული ვებ-გვერდების საშუალებით (თუნდაც ყოველდღიურად) უნდა ახდენდეს ბანკის გაპიტალის ადექვატურობის, ლიკვიდობისა და მომგებიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას.

დაკრედიტების სრულყოფისათვის აუცილებელია რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავება, რისკების კლასიფიკაციაში საბანკო საქმიანობის პრიორიტეტული რისკების და ნაკლებად მნიშვნელოვანი რისკების გამოყოფა, რომლებიც დაეყრდნობა მსესხებლის კრედიტუნარიანობის შესწავლასა და შეფასებას, ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტის მოცულობის განსაზღვრასა და კრედიტის დაზღვევას.

საკრედიტო რისკები წარმოადგენენ რა ლიკვიდობის, საპროცენტო, საბაზრო და გადახდის უუნარობის რისკებთან ერთად პრიორიტეტული რისკების სახეებს, მათი ანალიზი უნდა დაემყაროს:

1. კრედიტის მიზნის დადგენის საფუძველზე რისკის შეფასებას;
2. სესხის დაფარვის წყაროების ანალიზს;

3. მსესხებლის ფულადი ნაკადებისა და საკრედიტო პორტფელის ანალიზს;

4. პორტფელური ინვესტიციების მართვის მდგომარეობის, მისი ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის გამოყენებას.

დაკრედიტების სრულყოფის ერთ-ერთ მიმართულებად მიგვაჩნია დაკრედიტების ლიმიტების დადგენა – საკრედიტო პორტფელის ფორმირების კონტროლის ძირითადი ხერხი (მეთოდი), რომელიც გამოიყენება რისკების შემცირებისათვის გრძელვადიანი სიცოცხლის უნარიანობის გაუმჯობესებისათვის. ეს ბანკებს საშუალებას აძლევს:

– გადახდის უნარიანობის შენარჩუნებისათვის რისკის ნებისმიერი სახის გაუთვალისწინებელი კონცენტრაციისგან კრიტიკული დანაკარგებისგან თავი დააღწიოს; – საკრედიტო პორტფელის დივერსიფიცირება მოახდინოს კონცენტრაციის შემცირებისა და სტაბილური მოგების უზრუნველყოფის მიზნით.

ლიმიტები შესაძლოა დადგენილ იქნეს ნორმატივების სახით ან აბსოლუტური ზღვრული სიდიდებით.

რისკის შეფასებისა და პროგნოზირების მიზნით ბანკი ახდენს მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებას, საკრედიტო რისკის გაზომვას, მის პროგნოზირებას და საკრედიტო პორტფელის შეფასებას. შემცირების მიზნით კი – ბანკებმა ღრმად უნდა შეიაწავლონ პოტენციური კლიენტები და ბანკის პოტენციური თანამშრომლები. საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით საჭიროა ასევე მოხდეს მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, შეიქმნას რეზერვები და განხორციელდეს აქტივების დივერსიფიკაცია.

რამდენადაც რეალური ეკონომიკის დაკრედიტება კომერციული ბანკების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა და განსაზღვრავს მათ ეკონომიკურ-ფინანსურ მდგომარეობას, ამდენად აუცილებელია ქვეყნის საბანკო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამასთან დაკრედიტების ხელოვნება დიდად არის დამოკიდებული კომერციული ბანკების მიერ პრაქტიკით შემოწმებული განსაზღვრული წესების დაცვაზე.

მნიშვნელოვანია საერთოდ ეკონომიკის დაკრედიტების გაუმჯობესების ღონისძიებებიც:

32. მართალია დღევანდელი საკანონმდებლო ბაზა ხელს უწყობს ექსპორტის მწარმოებლებს, მაგრამ მნიშვნელოვანია მწარმოებელთა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. მდენად, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები კრედიტის

მეშვეობით გამოყენებული უნდა იქნეს იმ დარგების დასაკრედიტებლად, რომლებიც მოცემულ ეტაპზე მომგებიანი იქნება ქვეყნისათვის.

33. ეკონომიკის დაკრედიტების ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ სტაბილურობაზე, რაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლია სახელმწიფოს, რომელმაც უნდა შეაჩეროს ინფლაციური პროცესები, შემუშაოს რა ანტიინფლაციური პროგრამა.

34. საბანკო კრედიტის პროცენტის სუბსიდირებით და საკრედიტო გარანტიების პროგრამების დანერგვით დაჩქარდება დადებითი შედეგები;

35. ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის ეფექტური ამოქმედება;

36. დაკრედიტების რეზერვების შექმნისა და გამოყენების თვალსაზრისით ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ეფექტური ურთიერთობის ჩამოყალიბება;

37. საქართველოში არსებული მაღალი საკრედიტო რისკის პირობებში ეკონომიკის რეალური დაკრედიტების და საინვესტიციო დაბანდებების გაზრდის მიზნით საჭიროა კონსორციული და პარალელური დაკრედიტების სისტემის გამოყენება, რისთვისაც საჭიროა ბანკების საინვესტიციო საქმიანობის შესაბამისი მასტიმულირებული მექანიზმების ამოქმედება. მ მიზნით მნიშვნელოვანია გრძელვადიანი საკრედიტო დაბანდებებიდან კომერციული ბანკებისც მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავლები გამოიქვითოს მთლიანი საპროცენტო შემოსავლებიდან, ეს კი შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გარკვეულწილად სტიმულს მისცემს ბანკებს მოახდინონ მოზიდული სახსრების გრძელვადიან სესხებად ტრანსფორმაცია;

38. უნდა ამაღლდეს საბანკო მარკეტინგის როლი საწარმოთა დაკრედიტების მექანიზმის სრულყოფაში. ის ძირითად ბაზას უნდა შეადგენდეს: ა) ახალი კლიენტების მოზიდვა; ბ) მოსახლეობის თავისუფალი სახსრების ანაბრებზე განთავსების სტიმულირება; გ) საკრედიტო რესურსების მანევირება და მათი მოძრაობის დაჩქარება; დ) ბანკებს შორის კონკურენციის გაფართოება; ე) ბანკების მიერ საკრედიტო, საოპერაციო, საინვესტიციო მომსახურების ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა და დახვეწა.

39. ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტებაში დიდ მნიშვნელობას იძენს კომერციული ბანკების საქმიანობის ისეთი მიმართულება, როგორცაა საწარმოთა საპროექტო დაფინანსება. ეს კი მოითხოვს მთავრობის მხრიდან ადმინისტრაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას. კერძოდ, საწარმოო სფეროს მაღალი

საკრედიტო და საინვესტიციო რისკების სისტემის დროს ბანკების მიერ საინვესტიციო პროექტებზე გრძელვადიანი სესხების გაცემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო გარანტიების არსებობა, თანაც საბანკო დაკრედიტებაზე საბიუჯეტო გარანტიებიც გაცემა დაკავშირებული უნდა იყოს შემდეგი პირობების შესრულებასთან:

ა) რამდენად არსებობს საკმარისი საბიუჯეტო რესურსები აღნიშნული გარანტიებისათვის;

ბ) რამდენად პრიორიტეტულია დასაკრედიტებელი სფერო. სახელმწიფო გარანტიების ერთ-ერთ სახედ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს მიერ საკრედიტო პროცენტის სუბსიდირება, რაც ბანკებს საშუალებას მისცემს მიიღონ საბაზრო საპროცენტო განაკვეთი, ხოლო მასესხებელ სუბიექტს კი – გადაიხადონ ნაკლები სუბსიდირების ხარჯზე, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას.

ანალიზი, რომელსაც ბანკირები ატარებენ შეიძლება იყოს შიდა და გარე. გარე ანალიზი მოიცავს მოცემული მსესხებლის შედარებას სხვებთან; შიდა ანალიზი გულისხმობს კანონიერი ანგარიშების სხვადასვა ნაწილების ერთმანეთთან შედარებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ანალიტიკურ პროცესებისთვის საჭირო ფინანსურ კოეფიციენტებს ორი დიდი ნაკლი გააჩნია: ესენია:

- კლიენტის მიმდინარე ოპერაციების შესახებ არ იძლევიან ინფორმაციას;
- ინფორმაციას იძლევიან წარსულის მონაცემების საფუძველზე, მაშინ, როდესაც კრედიტის გაცემა მომავალში უნდა მოხდეს.

აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი მონაცემების გარდა, საჭიროა პროგნოზირების, შეფასებების და შეხედულებების გათვალისწინება.

ზოგჯერ საჭირო ხდება უფრო სრული ანალიზი მსესხებლის ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასების საფუძველზე. მსესხებლის ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშების გამოყენება მიზანშეწონილი სესხის დაფარვის პერსპექტივების ანალიზისთვის.

საბანკო საკრედიტო რისკის ფაქტორების შესწავლის კომპლექსური მიდგომა ბანკს საშუალებას აძლევს არამარტო ადეკვატური გადაწყვეტილებები მიიღოს გასაცემ კრედიტებზე, არამედ მომავალშიც მინიმუმამდე დაიყვანოს მათი დაკარგვით გამოწვეული პირდაპირი დინამური ზარალი

რისკწარმომქმნელი მრავალი ფაქტორიდან აღსანიშნავია მაკრო და მიკროეკონომიკური ფაქტორები. მაკროეკონომიკურ ფაქტორებში წამყვანია ეკონომიკის საერთო მდგომარეობა, ასევე იმ რეგიონის ვითარება, რომელშიც თავის საქმიანობას წარმართავს ბანკი. გარდა ამისა, გამოყოფენ იმ ფაქტორებს, რომლებსაც ინფლაციის დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები განაპირობებს. არსებით როლს თამაშობს ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც სააღრიცხვო-საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით დიდად განსაზღვრავს მოთხოვნას ბანკის სესხებზე. ერთ-ერთი განმსაზღვრელი რისკწარმომქმნელი ფაქტორია საბანკო კონკურენციის განვითარების დონე, რომელიც ხასიათდება ცალკეულ რეგიონებში საბანკო კაპიტალის კონცენტრაციის გადიდებით და საბანკო მომსახურებისა და ოპერაციების განვითარებით.

მიკროეკონომიკური ფაქტორებიდან დიდ როლს თამაშობს ბანკის საკრედიტო მობილიზებული სახსრების მთლიანი მოცულობა, დეპოზიტების სტრუქტურა და სტაბილურობა, ცენტრალურ ბანკში სავალდებულო რეზერვების დონე, ბანკის ვალდებულებათა მთლიანი თანხა და სტრუქტურა.

საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის არსებობა კონკრეტული ბანკისათვის თავისთავად პრობლემის გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა, მაგრამ, ამასთან ერთადერთი და მნიშვნელოვანია ძირითადი შემავალი ინფორმაციის სიზუსტე, სწორი შეფასება, დასკვნების გამოტანა და შესაბამისი პროცედურების თანმიმდევრულად შესრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ასევე არარენტაბელური, არასრულყოფილი და ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი კანონმდებლობის პირობებში წარმატებული დაკრედიტებისათვის ბანკმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს გასაგები, და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოქნილი საკრედიტო რისკის მართვის სისტემა. ამ სისტემის ძირითად წინამძღვარს წარმოადგენს გააზრებული საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მოწონებულია ბანკის დირექტორატის საბჭოს მიერ და რომელსაც თან ახლავს მოცემული ბანკისათვის ფორმალიზებული დაკრედიტების სტანდარტები და კონკრეტული ინსტრუქციები, რომელთა შემუშავებაშიც მონაწილეობას იღებენ მმართველობითი ვერტიკალის ყველა დონის მუშაკები.

საკრედიტო რისკის მართვის სისტემის ძირითადი ელემენტებია: საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა; საკრედიტო შეთავაზების შეფასება და მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი; კრედიტების რანჟირება საკრედიტო

რისკის დონის (რეიტინგის დადგენა) და დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მიხედვით; საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა კრედიტების მიხედვით შესაძლო დანაკარგების გათვალისწინებით; საკრედიტო გადაწყვეტილების მიღებისას უფლებამოსილების განაწილება – კრედიტების ავტორიზაცია; საკრედიტო მონიტორინგი; საკრედიტო პორტფელის მართვა და პრობლემური კრედიტების აღდგენა.

საკრედიტო რისკის მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნის ძირითად ფაქტორად ითვლება დაკრედიტების ერთიანი კულტურის განვითარება სტანდარტული ინსტრუქციის დანერგვის გზით ინიცირებისათვის, ანალიზისათვის, გადაწყვეტილების მიღებისა და ცალკეული კრედიტების მონიტორინგისათვის. საკრედიტო პორტფელის მართვა – უმაღლესი ხელმძღვანელობის ფუნქციაა, რომელიც მოითხოვს არსებული რისკის ყველა სახის გამოვლენას და იმ მაქსიმალურად დასაშვები დონის განსაზღვრას, რომელიც ბანკს შეუძლია მიიღოს. დაკრედიტების ერთიანი კულტურის განვითარების ფარგლებს, ერთნაირი საკრედიტო ინსტრუქციების და რისკის მართვისადმი მიდგომების დანერგვა, რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა წარმოადგენს ოფიციალურად დამტკიცებული საკრედიტო პოლიტიკის ელემენტებს.

ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია 1995წ.
2. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი 1995წ.
3. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. 1996წ
4. ასათიანი რ. საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. ჟ. „ეკონომისტი“. №4 გვ. 10-14;
5. აბრამიანი ი., ცაავა გ. საქართველოს საბანკო სისტემის ნაკლოვანებები და მისი ტრანსფორმაციის პროცესი. ჟ. „ეკონომიკა“. №5-6. 2009. გვ. 97-104;
6. არველაძე ნ. პროგრესიტი ბანკის დამფუძნებელი სამომხმარებლო სესხების წინააღმდეგ. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“. №9. 2009. გვ. 27-28;
7. არველაძე ნ. რას მოგვიტანს ლოკომბერგი და ცვლილებები საბანკო სფეროში. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“. №9. 2006. გვ. 24-28;
8. არველაძე ნ. მსოფლიო ახალი ეკონომიკური წესრიგის მოლოდინში, „პროგრესიტი ბანკის“ სტრატეგიამ გაამართლა. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“ №11. 2008. გვ. 33-37;
9. ადგიშვილი გ., თავაძე ლ., ყირიმლიშვილი ნ., ცინცაძე ნ., აჩუაშვილი ნ. ფინანსები და კრედიტი (ლექციების კურსი). თბ., 2009. 198 გვ.;
10. ბარბაქაძე ხ. საქართველოს საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. დისერტაცია ეკ. მეცნ. კანდიდატის სამეც. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2002. 149 გვ.;
11. ხ. ბარბაქაძე, „ბანკების საქმიანობის რეგულირების ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოს საბანკო სისტემის განმტკიცებაში“ ჟურნალი „ეკონომიკა“, №9-10. გვ. 81-85. 2004;
12. ხ. ბარბაქაძე, „ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ურთიერთობანი დაკრედიტების რეზერვების შექმნასა და გამოყენებაზე“ ჟურნალი „ეკონომიკა“ №3-4. გვ. 62-69. 2005;
13. ხ. ბარბაქაძე, „საქართველოს კომერციული ბანკების გადახდისუნარიანობის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები და ინსტრუმენტები“ ჟურნალი „ეკონომიკა“ №11 გვ. 77-84. 2005;

14. ხ. ბარბაქაძე, „საქართველოს საბანკო სისტემის რეფორმის საკითხები“ თსუ სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკა“ გვ. 109-120. 2005;
15. ხ. ბარბაქაძე, „კომერციული ბანკების ლიკვიდობის მდგომარეობაზე კონტროლის გაძლიერების აუცილებლობა“ ჟურნალი „ეკონომიკა“ №11-12. გვ.46-52. 2006;
16. ხ. ბარბაქაძე, „საბანკო სფეროში მოგების გადასახადით დაბეგვრის ანალიზი და ამ გადასახადის რეფორმირების ძირითადი მიმართულებანი“ ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ №12, გვ.56-59. 2006;
17. ხ. ბარბაქაძე, „საკრედიტო მომსახურების ბაზარზე ბანკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მეთოდები“ ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ №4, გვ. 167-174. 2007;
18. ხ. ბარბაქაძე, ლიზინგი – გრძელვადიანი დაფინანსების გეგმა“ ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ №6. გვ.91-101. 2008;
19. ხ. ბარბაქაძე, „სავალუტო რისკი: შეფასებები და მართვის მეთოდები“ ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ №1. გვ.45-50. 2009;
20. ნ. ბაგრატიონი. საბანკო სისტემის სტაბილურობის თეორიის და ფრაქტიკის ზოგიერთი საკითხი. ჟ. „ეკონომიკა“. №6. 2006;
21. ნ. ბაგრატიონი. საბანკო სისტემის ფუნქციონირების ზოგიერთი საკითხი ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. №11. 2006;
22. ნ. ბაგრატიონი. საბანკო ბაზრის და საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ზოგიერთი საკითხი. თეუსუ, საერთაშორისო კონფერენციის ნაშრომთა კრებული. 2008წ. 29/ 11;
23. ნ. ბაგრატიონი. საკრედიტო ურთიერთობის განვითარების თეორიის და პრაქტიკის ზოგიერთი საკითხი. თეუსუ;
24. „ბანკები და ფინანსები“, გაზეთი. №19. 2-8 ივნისი. 2010 წ. გვ. 2;
25. ბუჩუკური გ., ბახტაძე ნ., ქოზაური გ., ხითარიშვილი ი. საბანკო სისტემის განვითარება საქართველოს მაგალითზე. ჟ. „მშენებლობა“. №2 (9), 2008. გვ. 50-54;
26. ბუჩუკური შ. რატომ არ გასცემენ ბანკები სესხებს უმთავრეს მიზეზად გაზრდილი რისკები სახელდება. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“. №15. 5 მაისი. 2009 წ. გვ. 7;
27. ბოლქვაძე მ. იაფი სესხი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 5 მილიონი ლარი – 100 ქართულ ბიზნესპროექტისათვის. ჟ. „ბიზნეს ნიუსი“. №2 (6). 2008 წ. გვ. 40-43;

28. ბარბაქაძე ხ. საქართველოს საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. დისერტაცია ეკ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2002. 158 გვ;
29. ბოლქვაძე ბ. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის მნიშვნელობა საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. თბ., 2009. 255 გვ.;
გაბრიჭიძე ა. ფულად-საკრედიტო სფეროს თანამედროვე მდგომარეობა. ჟ. „ეკონომიკა“. №12. 2005. 59-62 გვ;
30. გუგუშაშვილი თ. საბანკო დაკრედიტების სისტემა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში. დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998. 153 გვ;
31. გორელიშვილი ი. სამშენებლო კრიზისი და საბანკო საბანკო ციებ-ცხელება. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. მარტი. №3. 2009. გვ. 7012;
32. გოგოხია მ. საბანკო საქმე. ლექციების კურსი. თბ., 2006. 367 გვ;
33. გოგოხია მ. ეკონომიკის მართვის საკრედიტო მექანიზმი და ბანკების ფინანსური მდგრადობის აღდგენის ღონისძიებები. ჟ. „ეკონომიკა“. №3-4. 2007;
34. გიქოშვილი გ. მსოფლიო ბანკის როლი საქართველოს ეკონომიკაში. ჟ. „ბანკი“. 4. 201. გვ. 42076;
35. „გადასახადები“. ჟ. №6. 2008. გვ. 34;
36. „გადასახადები“. ჟ. №7. 2008. გვ. 24;
37. „გადასახადები“. ჟ. №9. 2008. გვ. 24-27;
38. „გადასახადები“. ჟ. №10. 2008. გვ. 29;
39. „გადასახადები“. ჟ. №11. 2008. გვ. 15;
40. „გადასახადები“. ჟ. №13-14.. 2008. გვ. 37;
41. „გადასახადები“. ჟ. №17 სექტემბერი 2008. 46-49 გვ;
42. გიგინეიშვილი ნ. „გაცვლითი კურსის გავლენა ინფლაციაზე“ მონეტარული გადაცემის მექანიზმი საქართველოში. ჟ. „ბანკი“. 3 2001. 3-10 გვ;
43. დუდაური თ. რისკების მართვის თავისებურებები სოფლის მეურნეობაში. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, აპრილი, №4. 2009. გვ. 65-67;
44. ეკონომიკური თეორია. გადვიშვილისა და რ.ასათიანის რედაქციით. თბ., 1998. 576 გვ;
45. თამაზაშვილი ნ. ქართული ბანკების პარადოქსი - „წილში შესვლა კრედიტების სანაცვლოდ“. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“. №10. 24-30 მარტი. 2010 წ. გვ. 13;

46. დავით იაკობიძე. საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბილისი 2009.
47. ინგოროყვა ა., წიკლაური ს. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის საფუძვლები. თბ., 2000. 186 გვ;
48. კუკულაძე ზ. ორი თვის შემდეგ შესაძლოა სერიოზული კოლაფსის წინაშე დავდეთ. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“. №15. 5 მაისი. 2009. გვ. 5-7;
49. კუნჭულია თ., კოლუაშვილი პ. სოფელი გერის როლში, ანუ აგროსასურსათო სექტორის განვითარების პრობლემები. ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. ოქტომბერი. 2009. გვ. 36-40;
50. კაკულია მ. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. დისერტაცია ეკ. მეცნ. დოქტორის სამეც. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 200. 301 გვ;
51. კაკულია რ. საქართველოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ფინანსური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები საბაზრო ურთიერთობის პირობებში. დისერტაცია ეკ. მეცნ. დოქტ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1992 წ. 325 გვ;
52. კომერციული ბანკები ბიზნესებს აკოტრებენ. გაზეთი “ბანკები და ფინანსები”. №23. 7-13 ივლისი. 2010 წ. გვ. 11;
53. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. საქართველოს საბანკო სისტემის ზოგიერთი პრობლემა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“. №1. 2009. გვ. 17-20;
54. ლემონჯავა გ. საბანკო სესხები: ტენდენციები და რეგულირება. ჟ. „ეკონომისტი“. №4. 2009. გვ. 33-41;
55. ლალიაშვილი ა. ფული არის, კრედიტები - არა. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“. №1-2. 2010 წ. გვ. 10-13;
56. ლალიაშვილი ა., ქაროსანიძე ე. ფინანსური სფეროს ახლებური რეგულირება. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“, №6. 2009. გვ. 14-23;
57. მიხანაშვილი ნ. საქართველოს საბანკო სისტემა. რეტროსპექტივა და პერსპექტივა. თბ. 2006. 248 გვ;
58. მოსიაშვილი ვ., ლომიძე ფ., ქოქოსაძე ფ. საბანკო საქმე (ლექციების კურსი). თბ., 2009. 295 გვ;

59. მიგინეიშვილი შ. საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილურობის ანალიზი აგრეგირებადი მონაცემების საფუძველზე და მოდელური მიდგომის გამოყენებით. ჟ. „ბანკი“. 4. 2001. გვ. 14-21;
60. მაღლაკელიძე თ. მყარი ფულად-საკრედიტო სისტემა – ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ჟ. „ბანკი“. 5. 2001. 26-36 გვ.;
61. „რეზონანსი“, გაზეთი. 2010 წ. 27 იანვარი. გვ. 6;
62. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ (www.nbg.gov.ge 2009წ. თებერვალი) გვ. 1-26;
63. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. თავი XI. გვ. 15;
64. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგი. ფონდი ღია საზოგადოება. თბ., 2010. გვ. 74;
65. საქართველოს მთავრობა. ძირითადი მონაცემები და მიმართულებები. 2010-2013 წლებისათვის. თბ., 2009. გვ. 68;
66. „საქართველოს ეკონომიკა“. №6. 2009. გვ. 16;
67. სამთავრობო ინიციატივა - „იაფი კრედიტი“ მეწარმეობისათვის - საქართველოში მოქმედმა ბანკებმა მოიწონეს. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“. №12. 2007. გვ. 22-23;
68. საკრედიტო აქტიურობა. ჟ. „ბიზნესი“. №6 (26) სექტემბერი. 2009. გვ. 14-29;
69. ქოქიაური ღ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). II ტომი. თბ., 2005. 1024 გვ.;
70. ქისტაური ღ. ეროვნული ბანკი (ფორმირება, საქმიანობა, მომავალი). თბ. 1996. 105 გვ.;
71. ქისტაური ღ. შ. ქისტაური „თეორიები და ანტითეორიები“ თბ. 2001წ
72. შ. ქისტაური “ინფლაცია” 2000წ
73. შ. ქისტაური “ინფლაცია და მისი თავისებურებები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე.” კომერსანტი 2009წ. №1(6)
74. შ ქისტაური “ქართული ფული” თბ. 2007წ
75. დანიაშვილი მ. უძრავი ქონება ისევ ძვირდება. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“. №10. 2009. გვ. 6-15;
76. დანიაშვილი მ. რამ გამოიწვია საქართველოს საბანკო საპროცენტო განაკვეთების მატება და რა კავშირი აქვს „საქართველოს ბანკისა“ და „თი-ბი-სი

ბანკის“ პრომო აქციებს სლოგანით – „გახდი მილიონერი“ – საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან? ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“. №6. გვ. 8-10;

77. ლუღუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ., 1998. 150 გვ.;

78. ჩიბურდანიძე ლ. საბანკო საქმე (მოკლე კურსი). თბ., 2008. 155 გვ.;

79. ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ., 1997. 456 გვ.;

80. ჩლაიძე ნ. ბალანსგარეშე ვალდებულებების შეწოვის საკითხისათვის კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის გაანგარიშებისას. ჟ. „ბანკი“. 1-2. 2002. გვ. 38-43;

81. ცაავა გ. საბანკო საქმე. თბ., 2005. 663 გვ.;

82. ხინიკაძე თ., ბალათურია თ. ბანკის საკრედიტო რისკის დაზღვევის მნიშვნელობა საბანკო ბიზნესის განვითარებისათვის. ჟ. „ეკონომიკა“. №3-4. 2008. გვ. 62-66;

83. ხარაზიშვილი გ. ჩაკეტილი საკრედიტო წრე. გაზეთი „რეზონანსი“. №40. 17 თებერვალი. 2009. გვ. 7-12;

84. ხარაზიშვილი გ. გამოცხადდება თუ არა “საბანკო არდადეგები”. გაზეთი „რეზონანსი“. 2009 წ. 3 მარტი. გვ. 8-9;

85. ხომერიკი თ. მიკროფინანსების როლი სასესხო ბაზრის განვითარებაში. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“. №3. 2008. გვ. 28-30;

86. ხელაია გ. კრედიტის როლი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის განვითარებაში. თბ., 1974. 226 გვ.;

87. ხელაია გ. ფული, ბანკები და ბირჟები. თბ., 1996. 253 გვ.;

88. ჯიბუტი მ. ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტები განვითარებად ქვეყნებში და მათი რეალიზაციის გზები საქართველოში. დისერტაცია ეკ. მეცნ. კანდიდატის სამეც. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2005. 171 გვ.;

89. Банковское дело. Стратегическое руководство. Под ред. В.Платонова, М.Хигина. М. 1998. с. 340;

90. Банковская система России (настольная книга банкира). М. 1995. книга II, с. 625;

91. Банковское дело. Под ред. В.И.Колесникова, Л.П.Кроливцевой. М. 1995. с. 476;

92. Банковское дело и финансирование инвестиций. Под ред. Н. Брука. Всемирный банк реконструкции и развития. 1995. т. II, часть 1. с. 585;

- 93.Ирищев Б.К. Денежно-кредитная политика. Концепция и механизм. Алма-Ата. «Гюмам». 1990. с. 175;
- 94.Косой М.А. Диссертация на соискание уч. степени канд. экон. наук. М. 1983. с. 150;
95. www.tbc.bank.ge;
96. www.Republic.ge;
97. www.geplac.org (2008 წ. ოქტომბერი);
98. www.nbg.gov.ge;
99. www.nbg.gov.ge (მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი №126. იანვარი-აგვისტო, 2009);
100. www.nbg.gov.ge (ინფლაციის მიმოხილვა. 2009 წ. II კვარტალი) 11-13 გვ.;
101. www.banksandfinance.ge (2010 წ.);
102. www.government.gov.ge;
103. www.pbo.parliament.ge;
104. www.economy.ge;
105. www.google.ge;
106. <http://gyla.ge/> გვ. 39-44;
107. www.rambler.ru referat.ru;
108. www.goeconomics.ge (№3. 2009. გვ. 14-17);
109. www.goeconomics.ge (№11. 2008. გვ. 23-28).

კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკაზე გაცემული სესხები
(2008 წ., ივნისი – 2009 წ., ივლისი)
(მლნ. ლარი)


დანართი №1

	06.08	07.08	08.08	09.08	10.08	11.08	12.08	01.09	02.09	03.09	04.09	05.09	06.09	07.09
კბანკების მიმართ ეკონომიკის დავალიანება სულ	5,594.3	5,741.3	5,566.0	5,503.6	5,489.1	6,073.9	6,072.4	5,956.3	5,877.1	5,754.0	5,630.1	5,494.0	5,458.2	5,427.6
მოკლევადიანი														
მოკლევადიანი ერ. ვალუტით	1,640.8	1,596.1	1,459.9	1,389.6	1,357.7	1,440.2	1,477.6	1,441.4	1,347.9	1,288.0	1,262.7	1,182.2	1,226.3	1,202.7
მოკლევადიანი უცხ. ვალუტით	860.1	816.3	735.9	645.3	622.8	589.6	580.7	545.6	472.5	446.7	426.2	408.4	412.9	412.3
გრძელვადიანი	780.7	779.8	724.0	744.3	734.9	850.6	896.9	895.8	875.4	841.3	836.5	773.8	813.4	790.3
გრძელვადიანი ერ. ვალუტით														
გრძელვადიანი უცხ. ვალუტით	3,796.9	3,974.9	3,909.8	3,882.1	3,878.9	4,334.4	4,345.3	4,240.9	4,193.9	4,145.7	4,034.6	3,938.5	3,935.8	3,931.8
იურიდიულ პირებზე	1,043.4	1,094.1	1,055.8	1,029.2	999.3	971.1	963.7	919.2	889.5	840.9	786.2	753.2	726.2	704.1
ეროვნული ვალუტით														
უცხოური ვალუტით	2,753.5	2,880.8	2,854.0	2,852.8	2,879.6	3,363.3	3,381.6	3,321.7	3,304.4	3,304.7	3,248.5	3,185.3	3,209.6	3,227.7
ფიზიკურ პირებზე														
ეროვნული ვალუტით	3,426.3	3,394.9	3,245.5	3,201.5	3,181.6	3,544.1	3,608.3	3,545.4	3,455.0	3,403.5	3,329.5	3,184.2	3,248.0	3,234.1
უცხოური ვალუტით	1,059.8	996.8	922.4	835.8	802.2	762.9	777.6	746.4	688.9	650.5	599.7	573.4	576.9	576.6
სულ ვადიანი სესხები	2,366.5	2,398.1	2,323.1	2,365.7	2,379.4	2,781.2	2,830.6	2,799.0	2,766.2	2,753.0	2,729.9	2,610.8	2,671.1	2,657.5
ვადაგადაცილებული დავალიანება														
ეროვნული ვალუტით	2,011.4	2,176.1	2,124.2	2,070.2	2,055.0	2,230.6	2,214.6	2,137.0	2,086.7	2,030.1	1,967.8	1,936.5	1,914.1	1,900.3
უცხოური ვალუტით	843.7	913.5	869.4	838.8	820.0	797.8	766.8	718.5	673.1	637.1	612.7	588.2	562.3	539.8
დარიცხული პროცენტი	1,167.6	1,262.5	1,254.9	1,231.4	1,235.1	1,432.7	1,447.9	1,418.5	1,413.6	1,393.1	1,355.1	1,348.2	1,351.9	1,360.5
კბანკების მიმართ ეკონომიკის დავალიანება მთლიანად	5,437.7	5,571.0	5,369.7	5,271.7	5,236.7	5,774.7	5,822.9	5,682.4	5,541.7	5,433.6	5,297.4	5,120.7	5,162.1	5,134.4
ეროვნული ვალუტით														
უცხოური ვალუტით	89.7	99.0	112.4	157.3	177.4	208.6	159.2	177.1	238.2	222.0	228.4	276.9	198.9	199.7
სახელმწიფო სექტორზე	39.3	42.0	54.1	90.6	98.7	110.1	83.2	86.9	108.1	110.6	111.2	112.4	77.7	83.9
ეროვნული ვალუტით														
უცხოური ვალუტით	50.4	57.1	58.3	66.7	78.8	98.6	76.0	90.1	130.0	111.4	117.1	164.4	121.3	115.7
კერძო სექტორზე														
ეროვნული ვალუტით	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
უცხოური ვალუტით	67.0	71.3	83.9	74.6	75.1	90.6	90.2	96.9	97.3	98.3	104.4	96.4	97.1	93.5
სესხები უცხოური ვალუტით (მილიონი აშშ დოლარი)														

მოკლევადიანი უცხ. ვალუტით გრძელვადიანი უცხ. ვალუტით იურიდიული პირების სესხები	5,594.3	5,741.3	5,566.0	5,503.6	5,489.1	6,073.9	6,072.4	5,956.3	5,877.1	5,754.0	5,630.1	5,494.0	5,458.2	5,427.6
უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების სესხები	1,975.0	1,983.5	1,879.9	1,797.4	1,754.1	1,706.6	1,664.3	1,593.2	1,511.1	1,441.2	1,370.9	1,314.1	1,259.5	1,238.2
უცხოური ვალუტით ვადაგადაცილებული სესხები	3,619.3	3,757.8	3,686.1	3,706.2	3,735.0	4,367.3	4,408.1	4,363.1	4,366.0	4,312.8	4,259.2	4,179.9	4,198.7	4,189.4
უცხოური ვალუტით ღარიცხული პროცენტი უცხოური ვალუტით	74.4	50.8	52.0	50.8	50.5	53.5	62.8	61.9	56.9	55.5	44.3	47.7	57.3	59.5
	37.0	21.2	23.9	23.0	22.7	21.8	41.7	41.5	36.4	34.6	20.5	20.1	28.0	29.9
	36.5	29.7	28.1	27.9	27.9	31.7	21.1	20.4	20.5	20.9	23.8	27.6	29.4	29.6
	5,363.3	5,520.1	5,317.7	5,220.8	5,186.1	5,721.2	5,760.1	5,620.5	5,484.8	5,378.1	5,253.1	5,073.0	5,104.8	5,074.9
	1,865.6	1,889.2	1,767.8	1,651.6	1,599.5	1,538.9	1,502.7	1,423.4	1,325.6	1,253.0	1,191.9	1,141.5	1,111.2	1,086.5
	3,497.7	3,630.9	3,549.9	3,569.2	3,586.6	4,182.3	4,257.4	4,197.1	4,159.2	4,125.1	4,061.2	3,931.5	3,993.6	3,988.4
	2,552.4	2,668.9	2,614.3	2,637.9	2,628.4	2,646.8	2,644.3	2,617.3	2,597.3	2,582.5	2,581.2	2,541.0	2,532.6	2,501.7
	550.6	553.8	513.5	529.7	517.2	515.5	538.1	537.4	520.7	503.8	506.9	470.4	490.6	471.9
	1,941.8	2,046.0	2,024.1	2,030.5	2,026.5	2,038.4	2,028.5	1,992.6	1,965.7	1,978.9	1,968.6	1,936.3	1,936.0	1,927.4
	1,668.9	1,703.2	1,647.6	1,683.8	1,674.5	1,685.6	1,698.0	1,679.1	1,645.6	1,648.5	1,654.4	1,587.1	1,611.2	1,587.0
	823.4	896.7	890.0	876.4	869.2	868.3	868.5	850.9	840.9	834.2	821.2	819.6	815.4	812.4
	35.5	40.5	41.3	47.5	55.4	59.7	45.6	54.1	77.4	66.7	71.0	100.0	73.1	69.1
	24.5	28.5	35.4	30.2	29.4	33.2	32.1	33.3	33.5	33.1	34.6	34.3	32.9	33.2


ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურა

2009 წ., Q1



1. სოფლის მეურნეობა – 1,5%
2. მრეწველობა – 20,5%
3. მშენებლობა – 12,5%
4. ვაჭრობა – 46,7%
5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 1,7%
6. საფინანსო შუამავლობა – 0,6%
7. სხვა მომსახურება – 8,1%
8. სხვა სექტორები – 8,4%

2008 წ., Q1



1. სოფლის მეურნეობა – 2,0%
2. მრეწველობა – 18,4%
3. მშენებლობა – 13,8%
4. ვაჭრობა – 47,4%
5. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 2,0%
6. საფინანსო შუამავლობა – 0,9%
7. სხვა მომსახურება – 6,4%
8. სხვა სექტორები – 9,1%

**კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებითა და მისაღები პროცენტებით
დავალიანება საქმიანობის სახეების მიხედვით
(2009 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით)**

დანართი №3

	სესხები ხელშეკრულების ვადების მიხედვით						ვადაგადაცილებული სესხებითა და მისაღები პროცენტებით დავალიანება
	სულ	მათ შორის:					
		I თვიანი	2-3 თვიანი	4-6 თვიანი	7-12 თვიანი	1 წელზე მეტი	
	ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებითა და მისაღები პროცენტებით დავალიანება; ათასი ლარი						
სულ	475850	4936	22987	54812	94276	298839	75477
მათ შორის:							
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა	4108	0	0	9	762	3337	714
მრეწველობა	93660	682	2913	7558	35546	46960	8108
მშენებლობა	55662	1762	1401	8037	18860	25603	37243
ვაჭრობა	219734	1107	9260	32001	28289	149076	24564
სასტუმროები და რესტორნები	659	3	0	0	4	652	69
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	20017	12	0	591	972	18443	97
ფინანსური შუამავლობა	10724	6	0	16	191	10511	272
ოპერაციები უძრავი ქონებით, კვლევები, კომერციული საქმიანობა	21517	0	2390	167	549	18411	931
სახელმწიფო მართვა	1	1	0	0	0	0	0
განათლება	3965	795	295	200	59	2617	15
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	7327	0	0	5230	1554	543	32
მომსახურების სხვა სახეები	38476	570	6728	1003	7490	22686	3434
	უცხოური ვალუტით გაცემული სესხებითა და მისაღები პროცენტებით დავალიანება; ათასი ლარი						
სულ	2411407	15200	42365	83535	312073	1958234	138591
მათ შორის:							
სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა	46377	0	174	13	4458	41732	495
მრეწველობა	496038	824	20883	22789	87650	363891	54593
მშენებლობა	262959	4961	924	2185	15954	238936	19866
ვაჭრობა	1125947	6734	16164	52426	190013	860611	42809
სასტუმროები და რესტორნები	64514	15	46	6	321	64125	3619
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	45791	94	241	626	2845	41985	1395
ფინანსური შუამავლობა	5672	0	0	0	44	5628	36
ოპერაციები უძრავი ქონებით, კვლევები, კომერციული საქმიანობა	112950	1065	1383	592	1102	108808	3240
სახელმწიფო მართვა	0	0	0	0	0	0	0

განათლება	8022	0	34	51	192	7745	88
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	28741	22	0	0	1031	27688	1713
მომსახურების სხვა სახეები	214397	1485	2516	4848	8462	197085	10736

კომერციული ბანკების მიერ რეზიდენტ იურიდიულ და ფიზიკურ პირებსზე გაცემული სესხებითა და მისაღები პროცენტებით დავალიანება ეკონომიკის სექტორის მიხედვით
(2009 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით)

დანართი №4

	სესხები ხელშეკრულების ვადების მიხედვით						ვადაგადაცილებული სესხებითა და მისაღები პროცენტებით დავალიანება
	სულ	მათ შორის:					
		I თვიანი	2-3 თვიანი	4-6 თვიანი	7-12 თვიანი	1 წელზე მეტი	
ეროვნული ვალუტით გაცემული სესხებითა და მისაღები პროცენტებით დავალიანება; ათასი ლარი							
სულ	1076397	86625	55173	60861	208551	665187	134315
მათ შორის:							
სამეწარმეო სექტორზე	475849	4935	22987	54812	94276	298839	75477
სამთავრობო სექტორზე	1	1	0	0	0	0	0
ცენტრალურ მთავრობაზე	0	0	0	0	0	0	0
ადგილობრივ მთავრობაზე	1	1	0	0	0	0	0
ფინანსურ სექტორზე	0	0	0	0	0	0	0
ეროვნულ ბანკზე	0	0	0	0	0	0	0
კომერციულ ბანკებზე	0	0	0	0	0	0	0
საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე	0	0	0	0	0	0	0
შინამეურნეობებზე	600547	81689	32186	6049	114275	366347	58838
უცხოური ვალუტით გაცემული სესხებითა და მისაღები პროცენტებით დავალიანება; ათასი ლარი							
სულ	3911036	46522	69851	116021	500977	3177666	188415
მათ შორის:							
სამეწარმეო სექტორზე	2411364	15200	42365	83535	312073	1958191	138591
სამთავრობო სექტორზე	0	0	0	0	0	0	0
ცენტრალურ მთავრობაზე	0	0	0	0	0	0	0
ადგილობრივ მთავრობაზე	0	0	0	0	0	0	0
ფინანსურ სექტორზე	0	0	0	0	0	0	0
ეროვნულ ბანკზე	0	0	0	0	0	0	0
კომერციულ ბანკებზე	0	0	0	0	0	0	0
საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე	43	0	0	0	0	43	0
შინამეურნეობებზე	1499629	31322	27486	32485	188903	1219432	49824

საბანკო პოლიტიკის შემადგენელი ელემენტები

1. დეპოზიტური პოლიტიკა
2. საკრედიტო პოლიტიკა
3. პოლიტიკა კლიენტების საანგარიშო-საკასო მომსახურების ორგანიზაციის სფეროში
4. საპროცენტო პოლიტიკა
5. სავალუტო პოლიტიკა
6. ცალკეული საბანკო ოპერაციებისა და მომსახურების პოლიტიკა
7. პოლიტიკა ბანკის რისკების მართვის სფეროში
8. პოლიტიკა ბანკის მომგებიანობის, რენტაბელობის დამოკიდებულების
9. პერსონალის მართვის პოლიტიკა
10. კონკურენტებთან დამოკიდებულების და ა.შ. პოლიტიკა

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები

I. მაკროეკონომიკური ფაქტორები	ა) ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა; ბ) ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; გ) ქვეყნის მთავრობის ფინანსური პოლიტიკა.
II. რეგიონალური და დარგობრივი ფაქტორები	ა) ეკონომიკის მდგომარეობა ბანკის მიერ მომსახურების რეგიონებში და დარგებში; ბ) კლიენტების შემადგენლობა, მათი მოთხოვნილება კრედიტებში; გ) ბანკი-კონკურენტების არსებობა.
III. შიდა საბანკო ფაქტორები	ა) ბანკის საკუთარი სახსრების (კაპიტალის) სიდიდე; ბ) პასივების სტრუქტურა; გ) პერსონალის შესაძლებლობები და გამოცდილება.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის პრინციპები

საერთო	სპეციფიკური
<ol style="list-style-type: none"> მეცნიერული დასაბუთებულობა ოპტიმალურობა ეფექტურობა ერთიანობა, საკრედიტო პოლიტიკის ელემენტების უწყვეტი კავშირი 	<ol style="list-style-type: none"> შემოსავლიანობა, მომგებიანობა უსაფრთხოება, საიმედოობა

საკრედიტო პოლიტიკის სახეები

1	2
საკრედიტო ურთიერთობების სუბიექტების მიხედვით	პოლიტიკა იურიდიულ პირებთან დამოკიდებულების მიხედვით საკრედიტო პოლიტიკა მოსახლეობასთან ურთიერთ-დამოკიდებულების მიხედვით
კრედიტის ფორმების მიხედვით	სამომხმარებლო კრედიტის გაცემის მიხედვით სახელმწიფო კრედიტის მიხედვით იპოთეკური კრედიტის მიხედვით საბანკო კრედიტის მიხედვით საერთაშორისო კრედიტის მიხედვით
ვადის მიხედვით	მოკლევადიანი დაკრედიტების სფეროში გრძელვადიანი დაკრედიტების სფეროში
რისკიანობის ხარისხის მიხედვით	აგრესიული საკრედიტო პოლიტიკა ტრადიციული, კლასიკური
მიზნების მიხედვით	მიზნობრივი სესხების გაცემის მიხედვით არამიზნობ-რივი სესხების გაცემის მიხედვით
ბაზრის ტიპის მიხედვით	ფულად ბაზარზე ფინანსურ ბაზარზე კაპიტალების ბაზარზე
გეოგრაფიის მიხედვით	საკრედიტო პოლიტიკა, გატარებული ბანკის მიერ: - ადგილობრივ, რეგიონალურ დონეზე - ნაციონალურ დონეზე - საერთაშორისო დონეზე
დარგობრივი მიმართულების	საკრედიტო პოლიტიკა დაკრედიტების მიხედვით;

მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> - სამრეწველო საწარმოების (მძიმე, მსუბუქი, კვების მრეწველობის); - სავაჭრო ორგანიზაციების; - სამშენებლო ორგანიზაციების; - სატრანსპორტო საწარმოების; - სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების; - გასაღებით-მომარაგებითი ორგანიზაციების; - კავშირგაბმულობის საწარმოების და სხვა.
უზრუნველყოფის მიხედვით	უზრუნველყოფილი სესხების გაცემის მიხედვით არაუზრუნველყოფილი სესხების გაცემის მიხედვით
კრედიტის ფასის მიხედვით	საკრედიტო პოლიტიკა გაცემის მიხედვით: <ul style="list-style-type: none"> - სტანდარტული სესხები; - შეღავათიანი სესხები; - პრობლემური სესხები (აწეული პროცენტები)
დაკრედიტების მეთოდების მიხედვით	ნაშთის მიხედვით დაკრედიტებისას ბრუნვის მიხედვით დაკრედიტებისას

საკრედიტო პოლიტიკის ელემენტები

დაკრედიტების ეტაპები	მარეგდამენტირებული პარამეტრები და პროცედურები
წინასწარი მუშაობა კრედიტების გაცემასთან დაკავშირებით	<ul style="list-style-type: none"> - მომავალი მასესხებლის შემადგენლობა; - დაკრედიტების სახეობა; - დაკრედიტების რაოდენობრივი პროცედურები; - მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასების სტანდარტები; - სესხების შეფასების სტანდარტები; - საპროცენტო განაკვეთები; - კრედიტის დაბრუნებადობის უზრუნველყოფის მეთოდები; - კრედიტის გაცემის მოსამზადებელი პროცედურების დაცვაზე კონტროლი
კრედიტის გაფორმება	<ul style="list-style-type: none"> - საბუთების ფორმები; - კრედიტის გაცემის ტექნოლოგიური პროცედურა; - კრედიტის გაფორმების სისწორეზე კონტროლი.
კრედიტის მართვა	<ul style="list-style-type: none"> - საკრედიტო პორტფელის მართვის წესი; - საკრედიტო ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლი; - ვადაგადაცილებული კრედიტების გახანგრძლივების ან განახლების პირობები; - ზარალის დაფარვის წესი; - კრედიტის მართვაზე კონტროლი.

„თიბისი ბანკის“ ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა 2000-2007 წწ. (ათას ლარებში, გარდა აქციების შესახებ ინფორმაციისა)

წლის შედეგები	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001	2000
1	2	3	4	5	6	7	8	9
წმინდა შემოსავალი	127,367	78,192	56,946	42,385	25,783	26,872	20,353	13,004
წმინდა მოგება	28,953	22,581	31,199	15,747	13,491	10,504	4,498	3,664
წმინდა შემოსავალი ერთ აქციაზე (ლარი)	1,078.2	1,555.4	1,132.8	787,1	478,8	537,4	407,1	260,1
წლის ბოლოს	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001	2000
სააქციო კაპიტალი	318,824	120,614	99,788	61,363	45,639	30,346	20,842	16,344
მთლიანი დეპოზიტები	780,563	552,168	380,270	284,873	192,080	133,524	70,098	53,486
წმინდა საკრედიტო პორტფელი	---	574,193	369,404	212,396	146,480	101,166	72,503	53,230
სრული აქტივები	1,707,393	959,735	596,511	391,962	261,574	188,068	118,820	87,682
Book valul per coomon chare (GeL) Ratios (%)	2,699	2,399	1,985	1,140	848	607	417	327
ROE	13,2	20,5	38,7	29,4	35,5	41,0	24,2	27,2
ROA	2,2	2,9	6,3	4,8	6,0	6,8	4,4	4,8
ლევერაჟი	6,1	7,1	6,1	6,1	5,9	6,0	5,6	5,7
ბაზელის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	25,8	20,6	21,0	41	23	22,3	22,2	25
ბაზრის წილი (%)	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001	2000
სრული აქტივები	25,6	22,5	22,6	23,1	19,7	16,8	13,5	11,8
სესხები	25,6	22,4	21,6	23,6	20,5	17,8	16,1	13,0
სრული ვალდებულებები	24,2	25,0	23,7	25,2	22,2	19,7	16,1	9,3
დეპოზიტები	24,2	26,2	28,9	33,4	26,5	23,0	16,4	16,3

თიბისი ბანკის შიდა ძლიერი და სუსტი მხარეების და შესაბამისად გარე შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი არასასურველი ექსტერნალიების შედარება

თიბისი ბანკის შიდა ძლიერი მხარეები	თიბისი ბანკის სუსტი მხარეები
1	2
<p>– კომპეტენციის დიდი არეალი 1992 წლიდან (დაარსების წელი) ყოველწლიური ზრდა და წარმატება; – ლიკვიდურობის მაღალი დონე; – საფინანსო მოზიდული რესურსებით უზრუნველყოფა (ურთიერთობა EBRD-თან OPIC-თან – 40 მლნ. აშშ დოლარი – 2008 წ., JP Morgan-თან, Merrill Lynch-თან, FMO-თან, Deutsche Bank) – კორპორატიულ სეგმენტზე უპირატესობა ქართულ საბანკო სექტორში; – კორპორატიული მომხმარებლების კეთილგანწყობა, რაც კორპორატიულ სექტორში დეპოზიტების ზრდით აიხსნება; – სრული აქტივების, სრული ვალდებულებების, სესხების და დეპოზიტების მაღალი ხვედრითი წილი ბაზარზე (აქტივების მიხედვით 25,6%); უმაღლესი ხარისხის მომსახურება (საკრედიტო განაცხადების დამუშავების ხარისხი, დარგობრივი ექსპერტიზა და სხვ.) – ბანკის სათაო ოფისისა და მისი</p>	<p>– ახალი პროდუქტების (ზოგიერთის) დანერგვაში საქართველოს ბაზარზე ოდნავი დაგვიანება. მაგალითად 2008 წ. ოქროს ანაბარი, მაშინ, როცა „საქართველოს ბანკმა“ უფრო ადრე დანერგა იმავე სტილის „ნავთობის ანაბარი“; – სწრაფი განვადების (მაღაზიებში) შემოღება უფრო გვიან, ვიდრე „საქართველოს ბანკში“, ხოლო 2008 წ. კი ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით შეზღუდვა. – წმინდა მოგების დაბალი დონე (28,953 ათ.ლ) „საქართველოს ბანკში“ ეს 60,3 მლნ.ლ. უდრის; – სრული ვალდებულებებისა და დეპოზიტების წილის შემცირება ბაზარზე 2007 წ. 2006 წელთან შედარებით; – ფილიალების შედარებით მცირე ქსელი საქართველოს ზოგიერთ ბანკთან შედარებით; – საინვესტიციო ბანკის პროდუქტებისა და სერვისების მრავალფეროვანი სპექტრის არარსებობა; – ახალი ბაზრებისა და</p>

<p>ფილიალების კარგი ადგილმდებარეობა, შესაბამისად კორპორატიულ კლიენტებთან კომუნიკაციის ხარისხი; – ნოუ-ჰაუს ფლობა საბანკო პროდუქტების ფლობაში, – კორპორატიული ბანკირის ინსტიტუტის შემოღება; – საინვესტიციო საბანკო მომსახურების დანერგვა, რაც უპირატესობას ანიჭებს სხვა ბანკებთან შედარებით; თიბისი ბანკის გარე შესაძლებლობები – კავკასიის რეგიონულ ბაზარზე შეღწევა (აზერბაიჯანში): – საერთაშორისო რეიტინგის ამაღლება (Fitch Ratings-ის, Moody's-ის შეფასება); – “Global Finance”-ის მიერ საქართველოს ბაზარზე საუკეთესო ბანკად თიბისის დასახელება; – მსოფლიოს ხარისხის ყველაზე ავტორიტეტული სტანდარტის ISO-ს მიენიჭა (პირველი საქართველოში) – აზერბაიჯანის გარდა, სომხეთის ბაზარზე ან მის სეგმენტზე შეღწევა, უკრაინისა და ბელორუსიის ბაზრებზე შეღწევა.</p>	<p>საინვესტიციო შესაძლებლობების სიმწირე, – სტრატეგიაში საჭირო ცვლილებების შეტანა საკრედიტო პორტფელისა და სადეპოზიტო პორტფელის მოცულობების ზრდისათვის: – სტრატეგიაში საჭირო ცვლილებების შეტანა ახალი პროდუქტების დანერგვის პიონერობისათვის საქართველოს საბანკო ბაზარზე; – სტრატეგიაში ცვლილებების შეტანისათვის დაფინანსების ნაკლებობა; – სრული აქტივების მიხედვით „საქართველოს ბანკს“ უფრო მეტი წილი აქვს ბაზარზე (33%). მოსალოდნელი საშიშროება – საერთაშორისო ბაზარზე, როგორც „საქართველოს ბანკის“ – ლონდონის საფონდო ბირჟაზე – არ მონაწილეობა; – საერთაშორისო ბაზრისკენ სწრაფვის ნელი სტრატეგია; – რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი და ამჟამინდელი დაძაბული ვითარება; – არასტაბილური ვალუტათა რყევები; – მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენის საფრთხეები; – საინვესტიციო მიმზიდველობის შენელება, შესაბამისად, საბანკო საინვესტიციო მომსახურების შეფერხება. – „საქართველოს ბანკი“ საქმიანობს უკრაინისა და ბელორუსიაში.</p>
--	--

ბანკ „რესპუბლიკის“ SWOT დიაგრამა

„რესპუბლიკის“ შიდა ძლიერი მხარეები	„რესპუბლიკის“ სუსტი მხარეები
1	2
<p>– კომპეტენციის დიდი არეალი „სოსიეტე უენერალის“ პრინციპებთან მისადაგების გამო; – წარმატებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემო მომხმარებელთა კეთილგანწყობის საწინდარია; – ქსელის გაფართოების სტრატეგია (2008 წ. 1 იანვრისათვის 8 ფილიალი, ხოლო იმავე წლის ბოლოს 33 ფილიალი); – ქსელის გაფართოების რეგიონალური სტრატეგია (ყველა მსხვილ რეგიონულ ცენტრში ფილიალებისა და სერვის ცენტრების გახსნა); – ადეკვატური საფინანსო რესურსები; – EBRD-ის, IFC-ს, KFW-ს საკრედიტო ხაზები; – რისკების მართვის სტრატეგია (პოტენციური რისკების ანალიზი, შეფასება, მაღალი რისკის სფეროებში გაყიდვების სტრატეგიის კრიტიკული ანალიზი); – გაუმჯობესდა ძირითადი ფინანსური და კომერციული მაჩვენებლები: ა) კლიენტთა რაოდენობის ზრდა (41%-ით); ბ) მომსახურების ცენტრების</p>	<p>– წმინდა მოგების შემცირება (2007 წ. – 2,049; 2008 წ. – 1,656 ათ. ლ.); – საქართველოს საბანკო ბაზარზე „თიბისი ბანკთან“ და „საქართველოს ბანკთან“ შედარებით დაბალი ხვედრითი წილი; – კონკურენტებთან შედარებით ერთეულ პროდუქციაზე მაღალი დანახარჯები; – დაგეგმილი ფილიალების რაოდენობის შეუსრულებლობა (45-დან 33); – იურიდიული პირების წილის შემცირება კლიენტებზე გაცემულ სესხებში; – საბანკო-საინვესტიციო მომსახურების განუვითარებლობა („თიბისი ბანკს“) გააჩნია საინვესტიციო ბანკი); – სამომხმარებლო დაფინანსების ბაზარზე სერიოზული კონკურენციის არსებობა; – კორპორაციული საბანკო მომსახურების სტრატეგიაში ცვლილებების საჭიროება ბაზარზე ადგილის მოპოვების თვალსაზრისით.</p> <p>მოსალოდნელი საშიშროება – საზღვარგარეთის ქვეყნებში სავალუტო კურსების ცვლილება; – „სოსიეტე</p>

<p>რაოდენობის ზრდა (33-მდე); გ) ბანკომატების ქსელის გაზრდა (23 ახალი ბანკომატი); დ) 21%-ით გაიზარდა და გამოშვებულ იქნა 16000 საბანკო ბარათი; ე) ბანკის პერსონალის ზრდა (50%-ით). – საცალო საბანკო მომსახურებაში კონკურენტებთან შედარებით უკეთესი მაჩვენებლები; – უკეთესი მარკეტინგული და სარეკლამო სტრატეგია („რესპუბლიკის“ პროდუქტების რეკლამა ყველაზე ადვილად გასაგები, გამჭირვალე და აღსაქმელია); – მენეჯმენტის სფეროში თანამშრომელთა მაღალი პროფესიონალიზმი (მუდმივი ტრეინინგები); – საქართველოს მიკროდაკრედიტების სეგმენტზე ზრდის ტენდენცია; – მომხმარებელთა ნაკადის ზრდა (იპოთეკური სესხის პრომოკამპანია); – მომხმარებელთა ნდობის ამაღლება („სოსიეტე ჟენერალთან“ მიერთების შედეგად). „რესპუბლიკის“ გარე შესაძლებლობები – დამატებით სამომხმარებლო ჯგუფების მომსახურება (საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მომხმარებლებთან); – ახალ ბაზარზე, როგორცაა რეგიონალური (აზერბაიჯანი, სომხეთი) და შავი ზღვის აუზის (უკრაინა, თურქეთი, ბულგარეთი) ბაზრებზე შედწევა ან ცალკეული სეგმენტის დაკავება.</p>	<p>ჟენერალში“ არსებული მაქინაციები; – სუბსტიტუტი პროდუქციის ზრდა (მაგალითად სტუდენტური სესხები „თიბისი ბანკში“, „სახალხო ბანკში“); – საერთაშორისო საფინანსო კრიზისის საფრთხეები.</p>
---	--

